

Livre I

თქ 728  
3

# საინსტრუქციო კრებულნი

წიგნი I

---

თბილისი 1928 TIFLIS

Исторический сборник || Recueil historique  
Книга I Livre I

№ 2015-16068

სიქ 760  
3

# საისტორიო კრებული

წიგნი I

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3.  
მაგალიტი № 2129, შეკვ. № 4715. ტირაჟი 400.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვერდი
ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ ისტორიისათვის . . . . .	1— 94
ს. კაკაბაძე, როდის არის აშენებული სვეტი-ცხოვლის ტაძარი . . . . .	95—107
<i>Приложение. Д. Гордеев, Предварительное сообщение о древнейших частях Свети-Цховели . . . . .</i>	108—109
ს. კაკაბაძე, წვრილი შენიშვნები და მასალები . . . . .	110—117
ს. კაკაბაძე, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. . . . .	118—148

## S o m m a i r e

	Page
<i>S. Kakabadzé, Matériaux pour l'histoire sociologique et économique de la Géorgie occidentale . . . . .</i>	1— 94
<i>S. Kakabadzé, Epoque de la construction de la cathédrale de Mtskheta . . . . .</i>	95—107
<i>Annexe. D. Gordéeff, Communication préalable sur l'ancienne partie de la cathédrale de Mtskheta. . . . .</i>	108—109
<i>S. Kakabadzé, Petites remarques et documents . . . . .</i>	110—117
<i>S. Kakabadzé, Critique et bibliographie . . . . .</i>	118—148

Краткое резюме на русск. яз. „Материалов по социальной и экономической истории зап. Грузии“ (стр. 1—94) печатается в Бюллетене КИАИ № 4. Резюме исследования—„Когда построен (мцхетский) собор Свети-Цховели“ (стр. 95—107) см. в Бюллетене КИАИ № 1—3, стр. 6—7.

*Мелкие заметки и материалы:* 1. Владелец Ольт Конадзе в 1502 г. (стр. 110—111; приводится текст надписи иконы кахорской церкви; икона, хранящаяся в кут. ист.-этнограф. музее, занесена из ольтинского района в Имер(ет)ию, вероятно, в XVII в.), 2. Каери и монахевре в Имер(ет)ии в XVI в. (стр. 111—112; из исторической метрологии зап. Грузии). 3. Грамота карталпского царя Давида (1505—1526 г.) об освобождении от повинностей, кроме военного характера, католикоесского вассала Махетишвили (стр. 112—113). 4. Документ 1689 г., перечисляющий повинности крестьянского дыма в Карталии (стр. 113—114). 5. Документы кутанских купцов 1807—1810 г. (стр. 114—117; характеризуют торговые отношения).

*Критика и библиография:* Caucasica кн. II и III (стр. 118—119). Перецедко-грузинские штудии, Ленинград, 1926 г., включает в себе исследование Г. Марра и К. Дондуа (стр. 119—120). Известия абхазского научного общества, вып. IV (стр. 120—121). Обзоратель груз. общества истории и этнографии кн. I, Тиф. 1926 г. (стр. 128—129). К. Кекелидзе, Главные историко-хронологические вопросы обращения Грузии (в христианство),—в названной книге обзорателя (стр. 129—136; вследствие допущенных автором основных методологических и фактических ошибок выдвинутые в статье положения отмечаются как неприемлемые). И. А. Джавахишвили, Грузинская палеография, Тифл. 1926 г. (стр. 136—148; указывается, что в части, касающейся историческ. терминологии, книга И. Джавахишвили проработана тщательно, но недостаточно у автора проработана груз. палеография за древний период и почти обойдены молчаньем вопросы груз. палеографии после XV века; экскурсе автора по вопросу о пропехождении груз. алфавита отмечается как неубедительный).

*Сокращения:* საისტ. მ-ბ., = საისტორიო მონაბე, ტუმ. = ტფილისის უნივერსიტეტის მონაბე, მ. ქ. = მოქცევა ქართლისა, ქ. ც-ბა = ქართლის ცხოვრება, ОРОРГ. = Описание рукописей общества распространения грамотности, КИАИ = Кавказский историко-археологический институт, ИАН = Известия Академии наук.

## მ ა ს ა ლ ე ბ ი

დასავლეთ საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ  
ისტორიისათვის\*.

## I

## სოციალური დანაწილება ახალს საუკუნეებში.

დას. საქართველოს მოსახლეობის სოციალური დანაწილება ახალს საუკუნეებში წარმოადგენდა (ისე, როგორც დანარჩენ საქართველოში) წინა საუკუნეების სოციალურ განვითარების შედეგს. XVI ს-ში სოციალურ დანაწილების სურათი ლიხთ-იმერეთში უკვე იხატება შემდეგნაირად: დიდებული, თავადი, აზნაური (მოწინავე წოდებანი), რომელთაც შემდეგ მიყობოდა გლეხობის მასსა, თავისი მზრივ დაყოფილი შემდეგ კატეგორიებად: აზატები, მსახურნი, მოინალე ან, როგორც ეს XVIII საუკუნიდან დადასტურებულია, მესეფე გლეხნი და, უკანასკნელ, საბუთებში XVII ს-ნის დასასრულიდან დადასტურებით, მოჯალაბენი (წინად, როგორც სჩანს, მეახორეს სახელით ცნობილნი).

უმაღლეს წოდებას, რომელიც პირდაპირ მეფეზე იყო დამოკიდებული, წარმოადგენდნენ დიდებულნი და თავადნი. დიდებულნი, როგორც სჩანს, იყვნენ თავადების გვარეულობათა თავბატონები. ასე იყო ეს, ვახტანგის კანონების მიხედვით, ქართლში და ასე უნდა ყოფილიყო იმერეთშიც. 1669 წლისთვის, მაგ., იმერეთში დადასტურებულია 10 დიდებული (დიდი თავადი)<sup>1</sup>. XVIII ს-ნეში იმერეთში ეს დანაწილება თავადებისა დიდებულებად და ჩვეულებრივ თავადებად უკვე შესუსტებულად სჩანს და თავადის დიდებულება უფრო პირად მდგომარეობაზე და გავლენაზე იყო დამოკიდებული.

აზნაურნი, როგორც ცნობილია, იყვნენ სამეფოც, საეკლესიოც და საბატონოც (თავადების).

რაც შეეხება გლეხობას—უმთავრესად ჩვენ ამ წერილში ამ საკითხს ვეხებით—ამ წოდების სოციალურ დანაწილების შესახებ ვრცელი და გარკვეული ცნობა მოყვანილი აქვს არქანჯელო ლამბერტს, რომლის თხრობა მართალია XVII ს-ნის ნახევრის სამეგრელოს შე-

\* მოხსენდა საკავშ. სამეცნ. აკადემ. კავკ. საისტ.-საარქეოლ. ინსტიტუტის სწავლულ წევრთა კრებას 22 თებერვალს 1928 წ.

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ს. კაკაბაძე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივ მდგომარეობის შესახებ მე-17 ს-ნეში, საისტ. მ-ბე I, 25 წ., გვ. 207—210.

ეხება, მაგრამ ამ საკითხში შეიძლება მთელი დას. საქართველოს XVII ს-ნის მოსახლეობის დასახასიათებლად გამოყენებულ იქნას.

არქ. ლამბერტი გადმოგვცემს, რომ აზნაურის წოდებას სამეგრელოში აზნაურები (ჟინოსქუა) და თავადები შეადგენენო, ხოლო გლეხთა წოდებას მსახურები და მოინალებიო<sup>1</sup>. „მხოლოდ თავადებს შეუძლიანთ თავისი ხელქვევით იყოლიონ აზნაურები, აზნაურებს ემორჩილებიან მსახურნი და მოინალები, მსახურებს მარტო მოინალები შეუძლიათ იყოლიონ ხელქვევით. თავადებს ისეთი უფლება და მნიშვნელობა აქვთ სამეგრელოში, რომ არც ერთს თავადს ევროპაში მეტი არა აქვს... სასახლეში მივლენ (მთავართან), თუ სამგზავროდ წავლენ, ან საომრად გავლენ, მუდამ თავადებს ახლავთ მათი აზნაურები. არავის არ შეუძლია გამოვიდეს იმ წოდებიდან, რომელშიაც იგი დაბადებულია, ასე რომ აზნაურს არ შეუძლია თავადი გახდეს, მსახურს—აზნაური და მოინალეს—მსახური. ყოველი კაცი უნდა დარჩეს თავის წოდებაში, თუნდაც სიმდიდრით გაუსწორდეს კოლხიდის უდიდებულეს კაცს.

„აზნაურებსაც მალლა უჭირავთ თავი მსახურთა და მოინალეთა შიშართ. ესენი ემსახურებიან თავიანთ აზნაურს იმავე წესით, როგორც მთავარს ემსახურებიან მისი ხელქვევითები...

„მსახურები ანუ გლეხები ჩვეულებისამებრ მტკიცედ ასრულებენ თავისს სამსახურს და იხდიან იმ ბეგარას, რაც თავიანთ ბატონის მართებთ ძველიდანვე. ამ მხრივ ისინი ისეთი მტკიცენი არიან, რომ მოკვდებიან და არ გადაიხდიან ერთი იოტით იმის მეტს, რაც ჩვეულებით დადებულია. ჩვეულებრივი მათი მოვალეობა ის არის, რომ საკუთარ ოჯახში დარჩნენ და ოჯახის ერთ-ერთი წევრი მორიგობით ბატონს მის სახლში ემსახურებოდეს. ლაშქარსა და მგზავრობაში მსახური თან უნდა ეახლოს ბატონს ცხენით, თუ ცხენი ჰყავს და ან ფეხით, თუ ცხენი არა ჰყავს. ხენა-თესვისა და მოსავლის დროს მსახური თავისი ჯალაბით ვალდებულია თოხით, გუთნით და ხარებით მიეხმაროს თავის ბატონს.

„მოინალეებს კი, გარდა ზემოხსენებული ვალდებულებისა, კიდევ უფრო სათაკილო ტვირთი ადევთ. მათი მოვალეობაა ზამთრისათვის ბატონს შემა მოუმზადოს და არასოდეს ცეცხლს არ გააქროს სასახლეში. როცა ბატონი სხვაგან წავა, მისი ბარგი, კურკლეულობა იქნება თუ სასმელ-საჭმელი თუ ლოგინი, მოინალემ უნდა უზიდოს თავისი ზურგით. ნება არა აქვს ცხენით ეახლოს, რომ კიდევ ჰყავდეს ცხენი. აგრე უნდა სდიოს უკან ბატონს, სადაც წაბრძანდება იგი.

<sup>1</sup> მოინალე წარმოებულია მეგრულ სიტყვიდან ნინალა—სამსახური. XVI ს-ნში ეს ტერმინი გლეხის აღსანიშნავად იხმარებოდა იმერეთშიც. მისი ადგილი იმერეთში შემდეგ დაიკავა მესხეთი გლეხის ტერმინმა.

„გარდა პირადი სამსახურისა ყოველი გლეხი ვალდებულია ბატონს, მისი მოთხოვნისამებრ, აჭამოს წელიწადში ერთხელ; ორჯერ ან სამჯერ, დებულებისა და იმის მიხედვით, თუ რამდენი მიწა-ადგილი აქვს გლეხს. ვინც უფრო შეძლებულია, ძროხა უნდა მოუყვანოს და ურმით ღომი, პური, ღვინო და ქათმები. ვისაც კი ნაკლები მიწა-ადგილი აქვს, უნდა მოუყვანოს ერთი ღორი, სამი თუ ოთხი გუდა ღვინო და ერთი ტომარა ღომი თავისი პურით და ქათმით. გარდა ამისა ყველანი მზად უნდა იყვნენ მიიღონ თავისს სახლში და შეძლებისამებრ გაუმასპინძლდნენ უცხო კაცს, რომელსაც ბატონი მათთან დასადგომად გაგზავნის. როცა ბატონს სტუმრები მოუვა, ყოველი ყმა ვალდებულია ძღვნად მოართვას პური, ღვინო, ქათმები, ყველი და ხილი. დიდ დღესასწაულებში ჩვეულებად არის მიღებული, რომ ყმა ბატონს გაუმასპინძლდეს. უფრო ჩვეულებისამებრ, ვიდრე ვალდებულების ძალით, ყმა უმასპინძლდება ბატონს აგრეთვე შობის მარხვაში და დიდ მარხვაშიაც, რასაკვირველია შესაფერი სამარხო საქმელებით. გარდა ამისა ყოველთვის, როცა ბატონი მოისურვებს, შეუძლია მივიდეს თავისს ყმასთან ვახშმად ან სადილად და ყმა ვალდებულია გაუმართოს კარგი მასპინძლობა... მეგრელების სიმდიდრე ყმების სიმრავლეზეა დამოკიდებული, რადგან ყველაფერი ამ ყმებისაგან შემოჟღიბთ... ამიტომაც ვისაც მეტი ყმა ყავს, ის ნაკლები მდიდარია. ვისაც კი იმდენი ყმა ყავს, რომ ყოველდღე ხარჯის გაუღებლად მოსდის საქმელ-სასმელი, იგი მეტად მდიდარ კაცად მიაჩნიათ“<sup>1</sup>.

არქ. ლამბერტის ეს ცნობა საკმაოდ გარკვევით ახასიათებს საერთო მოხაზულობით როგორც აზნაურების, ისე გლეხების ცალკე ფენათა ვალდებულების სხვაობას. საკმაოდ დეტალური ცნობები გლეხების ვალდებულებათა შესახებ, საერთო დახასიათების მხრივ, ჩვენ მოგვეპოვება უკვე ბატონ-ყმობის გადავარდნის ეპოქიდან, როდესაც რუსული ადმინისტრაცია ჩვენში იმუშავებდა თავად-აზნაურების ნივთიერად დაკმაყოფილებისა და გლეხთა ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლების წესებს. ეს ცნობები მიეკუთვნება მე-1860 წლებს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში წოდებრივ ურთიერთობის ერთგვარ მუდმივობას, ყოველს შემთხვევაში თვალსაჩინო ხანგრძლივობას, აგრეთვე ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა ხანგრძლივ მუდმივობას, ეს ცნობები შეიძლება რეტროსპექტიულად გამოყენებულ იქნას წინა ხანების სათანადო მასალების ჯეროვნად გასარკვევად.

იმერეთის (და გურიისაც, რადგანაც ამ დროს იმერეთი—ულეჩხუმოდ—და გურია ახალციხის მაზრასთან ერთად შეადგენდნენ ქუ-

<sup>1</sup> სამეგრელოს აღწერა, ქარა. თარგმ. ილია ქვინიასი, ტფ. 1901, გვ 34—37, იტალიური ტექსტი *Relazione della Colchide*, ნეაპოლი 1654 წ., გვ. 30—33.



თაისის გუბერნიას) გლახთა ბატონყმურ ვალდებულების შესახებ მე-1860 წლებისთვის მოთხოვნილია ეგრ. წოდ. საბატონო გლახთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ კომიტეტის მოხსენებაში 2 მარტს 1864 წ., რომელშიდაც სხვათა შორის ვკითხულობთ:

„Из общего числа сельского крестьянского населения в четырех уездах Кутаисской губернии—Кутаисском, Шорапанском, Рачинском и Озургетском, где состоит крепостное население, сие последнее составляет без малого две трети, а именно 24,136 дымов крестьян помещичьих и 14.311 дымов крестьян казенного и церковного ведомства<sup>1</sup>.

Эти 24 т. дымов принадлежат 4.785 помещичьим семействам. На каждое помещичье семейство или дым приходится около 5 дымов с небольшим или 20 душ муж. пола крестьян, в частности же общее число крестьян распределено между помещичьими семействами: помещиков, имеющих

	Помещиков	У них владений	Крестьянских дымов у них помещ.	Число душ муж. пола в них крестьянских дымов.
1—20 душ муж. пола (или 5 дымов). . . . .	3776	4455	7302	27701
21—100 душ м. п. . . . .	831	2041	8716	34326
101—500 „ . . . . .	167	1147	5990	25759
501—1000 „ . . . . .	7	174	960	4538
Свыше 1000 „ . . . . .	4	72	1168	4408
	4785	7896	24136	96732

<sup>1</sup> სხვა ცნობების მიხედვით, როგორც ქუთ. საუკ. გუბერნატორის მიერ 1864 წ. ნამეტნიკთან წარდგენილ მოხსენებიდან სჩანს, ამ დროს ირიცხებოდა გლახები კომლედად:

ქუთაისის მაზრა . . . . .	სახაზ. 1839 კ.,	საეკლ. 2730 კ.,	საბატ. 6938 კ.
რაკის „ . . . . .	787	601	3012
შორაპნის „ . . . . .	2142	779	6544
ოზურგეთის „ . . . . .	1369	661	5043
სულ . . . . .	6137	4771	21537

(Записка о благосостоянии кутаисской губернии, от 15 ноябр 1864 г.: საქართვე. ცენტრარქივი, ყოფ. საარქივოგრ. კომის. მასალები).

Помещиков, имеющих в непосредственном своем распоряжении значительные пространства земли, отдаваемые ими под распашку посторонним лицам из части урожая, весьма ограниченное число. Вся масса помещиков имеет весьма небольшое количество земли до 39, 50 и 100 кцев (11, 18<sup>1</sup>/<sub>2</sub> и 37<sup>1</sup>/<sub>2</sub> дес.).

Масса крестьян имеют в наследственном пользовании помещичьей земли до 3,5 кцев. Имеющие до 10 и 15 (кцев) считаются достаточного состояния. Встречаются крестьяне, у коих земли более, чем у помещика. Они имеют участки до 30, 50 кцев и свыше.

В отношении отбывания повинностей помещику крестьяне делятся на разряды:

Азаты обязаны отдавать постоянную прислугу (шинакма) при доме помещика.

Мсахури (есть и такие мсахури, которые обязаны только одною домашнею прислугою подобно азатам), сверх постоянной прислуги отбывают повинность земными произведениями (вином, хлебом, кукурузой или гомиею), а также скотом или живностью, деньгами в размере, установившемся обычаем.

Глехи, сверх постоянной прислуги, отбывают полевые работы и кроме того повинность земными произведениями, скотом или живностью, деньгами, и

Моджалабы находятся целым семейством в полном распоряжении помещика<sup>1</sup>.

Повинности земными произведениями, скотом, живностью или деньгами отбываются крестьянами помещику не по количеству земельных угодий, состоящих в наследственном их пользовании, а совершенно независимо от этого, в установившемся обычаю размере.

Сверх исчисленных постоянных повинностей крестьяне несут случайные и весьма разнообразные повинности деньгами или продуктами и скотом, праздничные приношения, угощение помещика, выводные деньги (при выходе крестьянок замуж), при разделе крестьян, при свадьбе или похоронах помещика<sup>2</sup>.

<sup>1</sup> 1864 წლის მოხსენება ქუთ. გუბერნატორისა ნამესტნიკის სახელზე აღნიშნავს, რომ „помещичьи крестьяне (იმერეთსა და გურიაში) разделяются на 4 разряда, из коих первые почти пользуются свободой, так как обычное обязательное служение его на деле не имеет ныне применения, а последний составляет настоящих чернорабочих в хозяйстве помещичьего двора“ (Зап. о благосост. Кут. губ., от 15 ноябр. 1864 г., საქ. ცენტრარქივი, უფ. არქივგრ. კომის. მასალები).

<sup>2</sup> Записка комитета, учрежденного в гор. Кутаисе об улучшении быта помещичьих крестьян от 2-го марта 1864 г. за № 38. ჩვენ ესარგებლობდით ამ მოხსენების პირით, რომელიც დაცულია საქართვე. ცენტრარქივში.

რაც შეეხება ბატონის სასარგებლოდ ყმისთვის არსებულ ვალდებულების (გარდასახადის) ოდენობას, ამის შესახებ იმავე მოხსენებაში სწერია, რომ „повинность, земными произведениями платимая, (была) не по соразмерности с земным наделом, а в размере, установленном обычаем“. ეს გარდასახადი სამძიმო იყო მხოლოდ უმიწაწყლო გლეხებისათვის. (Эта повинность могла быть обременительной) единственно для крестьян или вовсе не имеющих от помещика земельного надела, или имеющих его в ограниченном количестве. Для крестьян же, имеющих значительный надел, повинность сия не составляет вообще более чем от  $\frac{1}{5}$  до  $\frac{1}{10}$  и даже  $\frac{1}{20}$  части с урожая как вина, так и других земных произведений. В этом отношении существует большое разнообразие, причины коего невозможно объяснить никакими положительными фактами. И это разнообразие встречается не между известными местностями, но в одном и том же владении и в одной и той же деревне“.

კერძოდ ოზურგეთის მაზრის ოსმალეთთან მოსახლვრე ნაწილში გლეხები იხდიდნენ მებატონის სასარგებლოდ ბევრად უფრო ნაკლებ ბეგარას, ვიდრე ქუთ. გუბერნიის სხვა ნაწილები (მოსავალის  $\frac{1}{10}$  ზე ნაკლებს).

მეორე ადგილას იმავე მოხსენებაში გლეხის ვალდებულება მებატონის მიმართ განმარტებულია კიდევ უფრო დეტალურად შემდეგნაირად:

„Крестьянин, жительствует ли на земле своего господина или на чужой, каждый дым, если он не одинокий (одинокий должен выходить на барскую службу в неделю два раза), должен дать помещику одну постоянную прислугу, а другой из того же семейства выходит на полевые работы с земледельческим и плотническим орудием и быками по два и по три дня в неделю, также должны давать лошадей и сопровождать самих помещиков верхом или быть посылаемы, куда указывала надобность господина. Выходящие из крестьянских дымов люди на дворовую службу так называемые шинакма (შინაკმა)—одни исполняют обязанности лакея, повара, лекаря, конюха, мельника, рыболова, каменьщика, плотника, кузнеца, пастуха и караульщика за полевыми посевами, а остальные обрабатывали господские земли и сады. Кроме того помещики получали с крестьян доходы постоянные: საური или სამიანი от 1 до 5 руб., праздничные приношения деньгами или продуктами и скотом: სააღდგომო на пасху, საშობო на рождество, საახალწლო на новый год, სამანსპიძლო угощение, слу-

чайные (приношения): საქვრივო (с выхода замуж вдовы) от 10—20 р., საჩექმე (с выхода замуж девицы) от 5—30 р., გასამურელო—с раздела семьи десятую часть с движимого имущества, საქორწილო (при свадьбе) от 5 до 10 р., при похоронах от 2 до 5 руб., შესაწევარი—при уплате господского долга или при приобретении имущества, смотря по состоянию, от 5 до 20 р. и более, სალაშქრო—при выступлении помещика в поход от 5 до 10 р.

Подати же земными произведениями и живностью отбываются крестьянами в разных размерах: вином, хлебом, пшеницею, гомиею, кукурузою, ячменем, лобиею, сеном, чалюю (солома из гомии и кукурузы), шелковичными листьями, воском, медом, коврами, баранами, свиньями, домашними птицами, сыром, маслом, рыбою и яйцами.

Повинности первого рода лежат лично на крестьян. В случае увольнения от барской службы, прислуга шинაკма платит в год: от 30 до 70 р. за полевую работу, надоба от 40 до 60 р. При совершенном же освобождении из помещичьей зависимости крестьяне платили за выкуп с землею и без земли от 400 до 4000 р. Наемная плата одному слуге составляет в год от 40 до 60 и 120 р., простому рабочему в день от 20 до 40 к., с быками от 60 к. до 1 р., а плотникам и другим мастеровым от 60 к. до 1 р. 20 к.“

აქ მოყვანილი ეს მასალები საკმაოდ ცხად ყოფენ იმერეთის და გურიის გლეხების ვალდებულებათა ვითარებას ბატონყმობის არსებობის უკანასკნელ ხანებში. უნდა ითქვას, რომ მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში XVIII საუკუნეშივე მოხდა მსახურთა და გლეხთა ფენების ერთმანერთში აღრევა და მათი ერთმანერთში გათანასწოლება, დას. საქართველოში ჩვენ ვხედავთ წინანდელ სოციალურ ფენათა მეტს გამძლეობას. გლეხები აქ წინადაც დაყოფილი იყვნენ არა ორ ფენად, როგორც ეს იყო ქართლში ვახტანგის კანონების შედგენის დროს და წინა საუკუნეებშიც (მსახურნი და გლეხნი), არამედ 4 ფენად: აზატნი, მსახურნი, გლეხნი და მოჯალაბენი. ასე იყო როგორც იმერეთსა და გურიაში, აგრეთვე სამეგრელოშიც.

<sup>1</sup> იგივე Записка комитета, учрежденного в Кутаисе по улучшению быта помещичьих крестьян от 2 марта 1864 г., საქ. ცენტრარქ, ყოფ. არქივორ. კომის. მასალები.

ვახტანგის კანონი განასხვავებს მსახურს გლეხისაგან (როგორც ეს იყო წინა საუკუნეებშიც, მაგ., ბექას კანონების მიხედვითაც). ვახტანგის მიხედვით მსახურის სისხლი გლეხთან შედარებით ერთი ორად მეტი ფასობდა. მაგრამ XVIII ს-ნში მსახურნი გაითქვიფნენ დანარჩენ გლეხობაში, ასე რომ XIX ს-ნის ნახევარში, ბატონყმობის გადავარდნის დროისათვის, აღმ. საქართველოში გლეხობა წარმოადგენდა უფლებრივად ერთი ფენის მასას.

სამეგრელოში ბატონ-ყმობის გადავარდნის დროისთვის გლეხობა განიყოფებოდა შემდეგი კატეგორიებად: 1) აზატი გლეხი, რომელიც განთავისუფლებული იყო თავისი ვალდებულების ერთი ნაწილისაგან და უმთავრესად ვალდებული იყო ორ წელიწადში ერთხელ 1 ძროხა გაეღო და თავის ბატონს მგზავრობის დროს თან ხლებოდა, 2) მებეგრენი, რომელნიც თავისი მხრივ განიყოფებოდნენ ორ ფენად—მსახურნი და გლეხნი, 3) მოჯალაბე, რომელიც მუდმივად ბატონის სამსახურში იყო.

თავადებს ჰყავდათ კიდევ შინაყმები. ესენი იყვნენ აზნაურთაგან და ასრულებდნენ საპატიო სამსახურს (მგზავრობის დროს თანხლება, სადილზე სამსახური, უზანგის ჩამორთმევა და სხ.)<sup>1</sup>.

რიცხვობრივად სამეგრელოში ამ დროს, 1860 წლის კამერალური აღწერილობის მიხედვით, მოსახლეობის სოციალური დანაწილება იყო შემდეგი. მთელი მოსახლეობა შეადგენდა (ლეჩხუმიც ამ დროს სამეგრელოს სამთავროში ირიცხებოდა) 25,479 კომლს, მათ შორის თავადები შეადგენდნენ 303 კომლს (1,19%), აზნაურნი—2073 კ. (8,13%), სასულიერო წოდება 469 კ. (1,43%); გლეხობა: აზატი—575 კ. (2,25%), მსახურნი—3989 კ. (15,6%), გლეხნი—17060 კ. (67,5%), მოჯალაბე—990 კ. (3,9%), სულ გლეხობა—22614 კ. ამათში სამთავრო გლეხები იყვნენ 2747 კ., საეკლესიო—3065 კ., საბატონო—16451 კ. და გლეხების კუთვნილი გლეხები—351 კომლი<sup>2</sup>.

ამ ცნობებთან შესადარებლად საყურადღებოა, რომ 1864 წლის ცნობების მიხედვით იმერეთში (ქუთ., შორაპნ. და რაჭის მაზრებში) იყო 37,169 კომლი, მათში დაახლ. 233 კ. თავადი (0,72%), დაახლ. 2986 კ. აზნაური (8%), 1588 კ. სასულ. წოდება (4,27%), დანარჩენი 32,362 კომლი (87%)—გლეხობა<sup>3</sup>.

ეხლა ჩვენ გადავიდეთ დას. საქართველოს სოციალურ ვითარების დამახასიათებელ XVI—XIX ს-ნეთა სხვა მასალების გარკვევაზე.

<sup>1</sup> К. Бороздин, Крепостное состояние в Мингрелии, стр. 42—47.

არსებითად სამეგრელოს მოსახლეობის იმავე დანაწილებას აღნიშნავს რაფ. ერისთავიც თავისი ნარკვევში О крепостном сословии в Мингрелии, Кавказская старина 1873 г. № 4—6, მხოლოდ მას აღნიშნული არა აქვს მებეგრე გლეხების განაწილება ორ ფენად—მსახურებად და გლეხებად. როგორც სჩანს, განსხვავება ამ ორ ფენას შორის ბატონ-ყმობის უკანასკნელ ხანებში უკვე ფრიად მცირე იყო.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 49—50.

<sup>3</sup> Сборник статистических сведений о Кавказе, Тиф. 1869 г. I, стр. 1, след.

## II

## საქუთათლო ქვაბი XVI საუკუნეში.

ქუთაისის საყდრის დავთარი 1578 წლისა, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ<sup>1</sup>, წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან ძეგლს XVI ს-ნის იმერეთის სოციალურ წყობილების შესასწავლად. ძველი წარმოგვიდგენს ქუთაისის საყდრის ყმების ჩამოთვლას მათი ვალდებულებათა დეტალურად აღნიშვნით. დავთარში აგრეთვე აღნიშნულია ბლომად სახელდებით პარტახტები (ამოწყვეტილი საკომლოები), რის სიმრავლე 1568 წლის ქამის შედეგი უნდა იყოს (მოსახლეობა იმერეთში ამ ქამისაგან, როგორც სჩანს, ძლიერ დიდად დაზარალებულა).

დავთარს ბლომში მიმატებული ჰქონია კიდევ უფრო ძველი დავთრის ტექსტი, რომელიც დაბეჭდილ ტექსტში მოყვანილია № 457-დან (გვ. 64) ვიდრე ბლომდის (გვ. 70). რომ ქუთაისის საყდრის დავთრის ეს ნაწილი უფრო ძველი (XIV—XV ს-ნის ხანის) დავთრიდან არის გადმოწერელი, ეს გარემოება ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული<sup>2</sup>. და რომ მართლაც დავთრის ეს ნაწილი საქუთათლოს ყმების 1578 წლის ნუსხას არ ეკუთვნის, ეს სჩანს შემდეგი დაკვირვებიდანაც. მოღწეულ ტექსტში სულ მოთავსებულია 59 საკომლო და 5 პარტახტი, რომელთა გამოსაღები საერთოდ ნაჩვენებია 497<sup>1</sup>/<sub>2</sub> ჩითახური, 48 საკლავი, 48 ქათამი, 48 ფსომიარე ღომი, 240 საწყავი ღვინო, 144 პური. მთელი გამოსაღების ჯუმალი კი ტექსტში ასე არის ნაჩვენები: ჩითახური 675<sup>1</sup>/<sub>2</sub>, საკლავი 62, ქათამი 62, პური 186, ღვინო 310 საწყავი, ღომი 62 ფსომიარე (გვ. 69). განსხვავება ცხადია. ამავე დროს ხელნაწერს (საქართ. საისტ.-საეთნ. მუზ. № 625) ამ ადგილას არაფერი აკლია. ტექსტი იწყება ახალი ფურცლით, მაგრამ ხელნაწერის ეს რვეული სრული ფურცლებით არის წარმოდგენილი (თითო რვეული ამ ხელნაწერისა შეიცავს 8 ფურცელს). ექვს გარეშეა მაშასადამე, რომ დავთრის გადამწერს 1578 წ. ამ ნუსხის ტექსტი ხელთ უკვე ნაკლულევანად ჰქონდა. უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ ნუსხით ერთი ფენის გლახებს (როგორც სჩანს, მოინალეებს) კომლზე თითო საკლავი, თითო ქათამი, 1 ფსომიარე ღომი, 3 პური და 5 საწყავი ღვინო ედვა და ასეთი კომლი ნუსხაში ამ ქამად 48 არის წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ჯუმალში ასეთი კომლი 62 არის საგულისხმებელი (62 საკლავი, 62 ქათამი და სხ). ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ნუსხას 1578 წელსავე აკლდა 14 მოინალის სახელი, ასე რომ ნუსხა თავდაპირველად შეიცავდა არა 59 საკომლოს და 5 პარტახტის სახელს, როგორც ეს მოწვენილ ტექსტშია, არამედ უფრო მეტს.

<sup>1</sup> ძველი საქართველო IV, განყ. III, გვ. 1—72.

<sup>2</sup> საისტ. მ-ბე I, 25 წ., გვ. 244—247.

ამ ნაკლულევან ძველი ნუსხის გამოკლებით რჩება ქუთაისის საყდრის 1578 წლის დავთრის ძირითადი ნაწილი (§ 1—456, გვ. 1—64), რომელიც წარმოგვიდგენს ქუთაისის მთავარეპისკოპოსის ყმებითი მფლობელობის სურათს XVI ს-ნეში.

ქუთაისის საყდრის დავთარში ყმები აღნუსხულია სოფლების მიხედვით. სოციალური დანაწილების გარკვევა საკმაოდ მიახლოებით (მაგრამ თუნდაც რომ არა ყველა შემთხვევებში სრული დაქვეშმარტებით) შესაძლებელი ხდება თვით ამ დავთარსა და აგრეთვე დას. საქართველოს XVI—XVII ს-ნის სხვა ანალოგიურ საბეგრო ნუსხებში დაცულ ცნობების მიხედვით. ქუთაისის დავთარი, მაგ. საკმაოდ გარკვევით გვიჩვენებს აზატის ვალდებულებას. „მართებს შალაბერიძეს აბრამასა ღვინო კოკა 28, ლომი ურემი 1, ნაოთხალი 2, ფეტვი მკლავი 30“ და სხვა, „ან უნდა იქნეს ესე და ან რაც სხუამან აზატმან ქნას, პურის ჭამა და ცხენით სამსახური“ (§ 210): მეორე ადგილას კიდევ, „მართებს როსტეევანასა ღვინო კოკა 28, ლომი ურემი 1, ნაოთხალი 2“ და სხ. „ამას ნულარა იქს, რაც სხუამან აზატმან ქნას, პურის ჭამა და ცხენით სამსახური და ლაშქრობაჲ, ქუთაისის საყდრის მუშოობაჲ“ (§ 234).

აზნაურის ვალდებულება შეიძლება გათვალისწინებულ იქნას აფხაზეთის საკათალიკოზო სოფლის დარჩელის აზნაურშვილთა ვალდებულების მიხედვით. „ათმან, აზნაუ(რ)შვილმან ზროხიანი კარგი საქმელი თავის თავი(თ) გვაქამოს, რარიგადცა თავი ესახელებოდეს“<sup>1</sup>. მართლაც თვით დარჩელის ყმათა გამოსაღებს შორის ბოლოში დასახელებულია ათი კომლი, რომელთგან ზოგს შესახებ ნათქვამია: „საქმელსა გვაქმევდეს, რარიგადცა თავი ესახელებოდეს, როდისცა მოუნდებოდეს“ და ზოგს შესახებ კი უფრო მარტივად: „საქმელი გვაქამოს“-ო<sup>2</sup>. აზნაურის ვალდებულება ამგვარად უმთავრესად „საქმელის ჭამაში“ გამოიხატებოდა (თანხლება და სხვადასხვა საპატიო სამსახური, რომელიც თავისთავად იგულისხმებოდა, აქ ჩამოთვლილი არაა). ამ ცნობის მიხედვით, რომელიც უდგება აზნაურთა XIX ს-ნეში ვალდებულების შესახებ არსებულ სხვა ცნობებს, შესაძლებელია სათანადო დასკვნების გამოტანა კერძოდ ქუთაისის საყდრის დავთრის გარჩევის დროსაც.

რაც შეეხება მსახურის და მოინალის გარჩევას, მსახურს ახალიათებს უპირველეს ყოვლისა სამსახურის ვალდებულება და საზო-

<sup>1</sup> საციაშლოს გამოსვლის დავთარი, ს. კაკაბ. გამ., გვ. 45.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 34. აზნაურის შესახებ ნათქვამია საქმელი, მსახურთ კი გოქკუ-მური დაახლოებით ამასვე ნიშნავს ემართათ. საფელი დარჩელი ოდიში იყო, მაგრამ აზნაურის აქ აღნიშნული ვალდებულება არსებითად, როგორც მასაღებთან სჩანს, XVI—XVII ს-ნეში საერთო ყოფილა დას. საქართველოს აზნაურებისთვის. მცირე სხვაობას მნიშვნელობა არა აქვს.

გაღოდ, შედარებით მოინალესთან უფრო პრივილეგიური მდგომარეობა, როგორც ეს სჩანს საბევრო ნუსხების შედარებით შესწავლიდან და არქ. ლამბერტის ცნობიდანაც.

ყველა ამისდა მიხედვით ქუთაისის საყდრის ყმები 1578 წლის დავთრით შეიძლება აღნუსხულ იქმნას შემდეგ ნაირად.

ქუთაისი. არის 20 საკომლე, მათ შორის 5 პარტახტი.

14 კომლიდან—1 აზნაურია (მართებს პურის-ჭამა), 3 აზატი (მართ. პურის ჭამა და ცხენით სამსახური), 10 მსახური (მათგან ექვსს მართებს პურის ჭამა და სამსახური, ერთს—საყდრის სამსახური, 1-ს საყდრის ჭედა და ხელოსნობა, 1-ს ჭურჭლით სამსახური, 1-ს 20 თეთრი და სამსახური). 1 გლეხი არის ქუთაისის საყდრის სადეკანოზო (დეკანოზის ხელში).

5 პარტახტ საკომლედან—1 არის აზნაურის (მართებს პურის ჭამა) და 4—მსახურის (2—პურის ჭამა და სამსახური, 1—ომფორის სამსახური, 1—სამსახური).

ახალსოფელი. არის ამ სოფელში და დავთრით მის მიმყოლ სოფელში, რამდენადაც ეს დავთრიდან სჩანს (აქ დავთარს აკლია 4 ფურცელი) მოინალე გლეხი 7 კომლი. მართებთ ბეგარა ყველას ერთნაირად, სულ 175 კოკა ღვინო (9 ლიტრიანი), 56 ნაოთხალი ღომი (თუ საეკლესიო ყანას არ იმუშავებენ, ხოლო ყანის დამუშავებისას მხოლოდ 14 ნაოთხალი), 42 თეთრი, 21 ქათამი, 7 საკლავი (12 თეთრიანი თითო), 140 კვერცხი.

დავთარს აქ აკლია 4 ფურცელი, რომელზედაც დაეტეოდა დაახლ. 13—16 საკომლოს გამოსაღები. შემდეგ ფურცელზე მოყვანილია გლეხების გამოსაღების ჯუმალი: ღვინო 325 კოკა, საკლავი 13, თეთრი 77, ქათამი 39, კვერცხი 260, ღომი მთავნი ბეგარა 26 ნაოთხალი (თუ საეკლესიო ყანას არ დაამუშავებდნენ, მაშინ ღომი, როგორც წინანდელ მაგალითიდან სჩანს, ერთი ოთხად მეტი გარდახდებოდათ). ამ ჯუმალის მიხედვით საფიქრებელია, რომ დაკლებულ გვერდებზე მოთავსებული ყოფილა 13 კომლის გამოსაღები რომელიდაც სოფლისა. თუ კიდევ ამის მეტი რამე დედანს აკლია, უნდა აკლდეს ძლიერ ცოტა.

იქვე 1 კომლი აზატი.

იქვე ნაჩვენებია 6 საკომლე პარტახტი მოინალე გლეხისა. გამოსაღების ჯუმალი: 150 კოკა ღვინო, 6 საკლავი, 36 თეთრი, 18 ქათამი, 120 კვერცხი, ღომი 12 ნაოთხალი (საეკლ. ყანის არ დამუშავებისას ოთხჯერ მეტი).

ორიშიში. არის 7 კომლი მოინალე გლეხი. გამოსაღების ჯუმალი 120 კოკა ღვინო (12 ლიტრიანით) და 100 კოკა 9 ლიტრიანით, 7 საკლავი, 42 თეთრი, 21 ქათამი, 104 კვერცხი, 14 ნაოთხალი ღომი.



ქუტირი. არის 2 კომლი მოინალე, მართებთ ერთს—20 კოკა ღვინო რვიანი ლიტრით და მეორეს 20 კოკა თორმეტიანი ლიტრით (სხვა გამოსაღები ამ მეორე კომლის ამოშლილია).

მალლაკი. არის 31 კომლი მოინალე და 11 მოინალის პარტახტი.

ბეგარა, სხვა ვალდებულებათა გარდა, 31 კომლს მართებდა: 321 კოკა ღვინო (9 ლიტრიანი), 374 თეთრი, 58 ქათამი, 270 კვერცხი.

11 პარტახტს მართებდა 102 კოკა ღვინო (9 ლიტრიანი), 112 თეთრი, 60 კვერცხი, 6 ქათამი.

ფარცმანაყანევი. არის 13 კომლი მოინალე გლეხი და 7 პარტახტი.

13 კომლს მართებთ, სხვა ვალდებულებათა გარდა, 150 კოკა ღვინო ცხრა ლიტრიანი და 160 კოკა ღვ. რვა ლიტრიანი, 70 თერი, 16 ქათამი, 37 კვერცხი.

7 მოინალის პარტახტს მართებს 79 კოკა ღვინო (ცხრიანი), 84 თეთრი, 14 ქათამი, და 37 კვერცხი.

ჩუნეში. არის 5 კ. მოინალე. მართებთ 35 კოკა ღვინო (თავში ერთის შესახებ მოხსენებულია, რომ მართებს 7 კოკა რვიანი), 90 თეთრი, 5 ქათამი, 25 კვერცხი, 21 ნაოთხალი ღომი.

ოფისკუჯი. არის 5 კ. მოინალე. მართებთ 5 ურემი ღომი, 70 კოკა ღვინო ათ ლიტრიანი და 20 კოკა ცხრა ლიტრიანი, 4 საკლავი ათ-ათი თეთრის და 1 საკლ. 12 თეთრის, 4 ნაოთხალი ქერი, 7 ქათამი, 4 კომლს კიდევ თითოს საძღვნო კვერცხი.

ბაკისუბანი. არის 1 კ. მსახური, მართებს 14 ლიტრა სანთელი, პურის ჭამა და ძღვენი.

გეგუთი. არის 2 კომლი (განაყოფნი) მსახურნი. მართებთ 900 ზნა თივა, 6 თეთრი, 1 ქათამი, შინ ჩადგომით სმა-ჭამა და ცხენით სამსახური ნიადაგ.

ბაში. არის 29 კომლი მოინალე. მართებთ 29 ურემი ღომი, 580 კოკა ღვინო (თორმეტიანი ლიტრით), 28 საკლავი, 112 ქათამი, 72 კვერცხი, გარდა ამისა ყველა 29 კომლს სათითაოდ „სათეთრო თევზი“, 30 ხელი საჯინიზო მჭადი<sup>1</sup>, თვითო შექნილი მჭადი, თვითო ჩარეკი მკედი, მძაღე, ნიორი, მარილი, თევზობა, ტვირთი, სასახლის მუშაობა, პურის ჭამა, რომელსაც რიკრიკას ეძახდნენ და ბადის მკედი.

<sup>1</sup> ერთი კომლის შესახებ (§ 148) ნათქვამია, რომ მას მართებს 5 საჯინიზო მჭადი-ო. რადგანაც ბოლოში (იქვე, გვ. 21) ყველა ბაშელების შესახებ არის ნათქვამი—ოცდაათი ხელი მჭადი მართებთ კომლეულადო, შეიძლება მივიღოთ, რომ 5 საჯინიზო მჭადი (გამომტყვარი) ყოფილა 30 ხელი მჭადის ექვივალენტი.

იქვე ბაშში, როგორც სჩანს, ყოფილა ორი კომლი გლეხი,— მოსასახლე და მესაღობე (გვ. 22). მართებდათ ორივეს 40 კოკა ღვინო (12 ლიტრიანი), 2 საკლავი, 4 ქათამი, ერთს მათგანს კიდევ— პურის ქამა (რიკრიკა).

მესხეთი. არის 1 შინა-ყმა, 9 მოინალე და 1 პარტახტი მოინალის. შინა-ყმას მართებს 1 ლიტრა სანთელი და შინა-ყმობით სამსახური. 9 კომლს მოინალეს—108 კოკა ღვინო ცხრიანი ლიტრით, 34 კოკა რვიანი ლიტრით, 1 საკლავი ათი თეთრის (1 კომლს), 96 თეთრი (8 კომლს), 16 ქათამი, 90 კვერცხი, 8 კომლს—სამარხო ცერცვი.

1 პარტახტს მართებდა 12 კოკა (რვიანი) ღვინო, 10 თეთრი, 2 ქათ., 5 კვერცხი, სამარხო ცერცვი.

წყალთა-შუა. იყო 3 კომლი მოინალე, 7 მოინალის პარტახტი. ყველას სათითაოდ მართებდათ: 1 ურემი თივა, 1 გვერდი ქერი, 1 საკლავი, 1 ქათამი, კვერცხი, ყველი, სამარხო, პირუტყვის შენახვა, სმა-ქამა, ურმით ბარგის ზიდვა, გეგუთს შეშის მიტანა.

ჭოლევი. იყო 6 კომლი მოინალე და 3 მოინალის პარტახტი. მართებდათ 78 კოკა ღვინო ათიანით, 6 საკლავი თითო ოცი თეთრის, 36 თეთრი, 6 ნაოთხალი ღომი, 10 ქათამი, 30 კვერცხი, სამკომლს—სათეთრო თევზი, ყველას კიდევ საყდრის მუშაობა და სხ.

სამი პარტახტის მართებულობა არაა ნაჩვენები.

ჯუარი სა. არის სამი კომლი მოინალე, რომელთაც მართებდათ 30 კოკა ღვინო, 15 ფოხალი ღომი და კიდევ საყდრის ლურსმანი და გარდაჰედა.

როკითი<sup>1</sup>. არის 7 კომლი აზნაური, 3 კ. აზნატი, 11 კ. მსახური, 48 კომლი მოინალე, 2 კ. აზნაურის ყმა, 1 კომლი—აზნატის ყმა, 1 კ.—ჯვარისმტვირთველის ყმა, 6 მოინალის პარტახტი, 1 აზნაურის პარტახტი, 3 მსახურის პარტახტი.

7 კომლს აზნაურთ მართებთ თითოს პურის ქამა, ლაშქრობადა თითო თეთრის ყავრის მიტანა ქუთაისს (ერთი კომლის შესახებ პირდაპირ—ნათქვამია ცხენით ლაშქრობა მართებსო). ერთს კომლს აზნაურს ყავდა 2 კომლი თავისი ყმა (§ 236, 244).

3 კომლს აზნატს მართებს პურის ქამა, ცხენით სამსახური, თითო თეთრის ყავრის მიტანა ქუთაისს. ერთს აზნატს ყავს თავისი გლეხი (§ 216).

11 კომლს მსახურს (§§ 215, 230, 232, 233, 237, 238, 239, 240, 250, 251, 253,) მართებთ 71 კოკა ღვინო (თავში ერთ ადგილას აღნიშნულია კოკა ათ ლიტრიანი), ღომი 4 ნაოთხალი, 6 საკლავი, 5 გოჭი, 6 ქათამი, 3 ცხვარი, ერთს—პურის ქამა და სამსახუ-

<sup>1</sup> როკითად აქ იგულისხმება ალბად მზარე და არა ერთი სოფელი (შეად- § 245, სადაც მოხსენებულია სოფ. უღურული).

არი, ერთს—სამსახური და სხვებს ლაშქრობა. არის სხვა ვალდებულე-ბანიც, სამს კომლს კიდევ ედვა თითო ცხვარი.

48 კომლს მოინალეს<sup>1</sup> მართებს, უმრავლეს შემთხვევაში გარდა ტვირთისა და მუშაობისა, 1119 კოკა ღვინო (თავში ერთს ადგილას ნათქვამია, რომ კოკა იგულისხმება თოთხმეტე ლიტრიანი), ღომი 76 ნაოთხალი, ღომი 40 ურემი, ფეტვი 1140 მკლავი, 45 საკლავი, 46 გოჭი, 46 ქათამი, ყველი 37 ლიტრა, 2 ძროხა, 2 ცხვარი, 1 კომლს 4 ცხენის ნალუსმარი. კომლზე თითო თეთრის ყავრის მიტანა ქუთაისს.

პარტახტი არის: 1 აზნაურის (§ 219),—მართებს პურის ჭამა; 3 მსახურის (§ 254),—მართებს 3 ცხვარი, 3 ძღვენი და ლაშქრობა; 6 მოინალის, რომელთაგან ერთის ბეგარა ნაჩვენებია და უდრის ამ ადგილის გლეხთა უმრავლესობის ბეგარას (28 კოკა ღვინო, 1 ურ. ღომი, 2 ნაოთხ. ღომი, 30 მკლავი ფეტვი, 1 საკლავი, მისი ყველი, კვერცხი და თევზი, 1 ლიტრა ყველი, გოჭი, ქათამი, ტვირთი, მუშაობა, ქუთაისს 1 თეთრის ყავრის მიტანა).

ბუბანი. არის 2 კომლი აზატი, 6 კომლი მსახური (ერთი მათგანი აზატს ეკუთვნის), 32 კ. მოინალე, 4 მოინალის პარტახტი.

1 აზატს მართებს (§ 298) ხადილის კარგი პურის ჭამა და ხელოსნობით სამსახური, ყავრის მიტანა (ქუთაისს) და საყდრის სამსახური (ეს აზატი თვით იყო სოფლის ხელოსანი).

1 აზატს (§ 296) მართებს ხადილის პურის ჭამა და სამსახური ცხენით, ყავრის მიტანა ქუთაისს და საყდრის სამსახური, 1 ფურბეწი, 1 ცხვარი.

32 კომლ მოინალეს საყდრის და სხვა მუშაობის გარდა მართებს: 893 კოკა ღვინო საბეგრო კოკით (როგორც სჩანს, იგულისხმება ათ ლიტრიანი), 10 კოკა ღვინო ათიანით, 32 საკლავი, მათში 2 ექვს თეთრიანი და 30 კი 12 თეთრიანი, 82 $\frac{1}{2}$  თეთრი, 640 კვერცხი, 32 ურემი ღომი (თითო 24 სანაოთხლო), 30 საბელი, 32 თეთრის ყავარი ქუთაისს მიტანით, 1 ძროხა. ერთს გლეხს (§ 257) მართებს „ხადილის კარგის პურის ჭამა“. ყველას კომლზე ფურბეწი და ცხვარი.

5 კომლს მსახურს (§ 288—292) მართებთ: 22 კოკა ღვინო (ალბად ათიანი), 250 კოკა (ათიანი) ღვინო, 3 ურემი ღომი (თითო 24 სანაოთხლო), 1 საკლავი 12 თეთრის (1 კომლს), 1 თეთრი (1 კომლს), კომლზე თითო თეთრის ღირებულობის ყავრის მიტანა ქუთაისს, ყველას მართებს პურის ჭამა (2 კომლს—ხადილის პურის ჭამა), 3 კომლს მართებს საყდრის მუშაობა, 1 კომლს—საყდრის სამს.

<sup>1</sup> ამ 48 კომლ მოინალედან ორი (§ 210 და 234) 1578 წლისთვის გამხდარა უკვე აზატი.

მსახური, 1 კომლს—1 ზროხა, ყველას კიდევ სათითაოდ თითო ფურბეწი და ცხვარი.

გარდა ამისა ხელოსან ვუჭია ბერყმაძის ყმას მსახურს (§ 297) მართებს 50 კოკა ღვინო, 1 ურემი ღომი, ხადილის პურის ჭამა, საყდრის ყავარი და სამსახური, 1 ფურბეწი და 1 ცხვარი.

4 მოინალის პარტახტს (§ 293—295, 299) მართებს 103 კოკა ღვინო, 3 საკლავი თითო 12 თეთრის, 22 თეთრი<sup>1</sup>, 31 კვერცხი, 4 ურემი ღომი, 4 ქათამი, 4 საბელი, ყავრის მიტანა, საყდრის მუშაობა.

ყველას ბუბანში მართებს კომლზე თითო ჯერი პურის ჭამა რიკრიკა.

ხო ნი. არის 1 კომლი მოინალე. მართებს მუშაობის გარდა 15 კოკა (კამეტიანი) ღვინო, ღომი 1 ურემი და 5 საწყავი, 2 სასაკლავი 24 თეთრის, 6 ქათამი, 4 თეთრი.

ჭყვი ში. არის 2 კომლი მოინალე, რომელთაგან 1-ს მართებს 9 ზუთხი და მეორეს—21 თეთრი, 30 კოკა (ათიანი) ღვინო, 2 ნაოთხალი ღომი.

ფერსათი. არის 1 კომლი აზნაური (§ 357), 5 კ. აზატი, 1 კ. შინაყმა, 16 კომლი მსახური, 42 კომლი მოინალე. ამ 42 კომლ მოინალესაგან 2 კომლი ეკუთვნის დასახელებულ 1 კომლ აზნაურს, 2 კომლი ყავს ჯვარის მტვირთველს. გარდა ამისა არის კიდევ 4 მსახურის პარტახტი, 4 მოინალის პარტახტი და 1 პარტახტიც არ სჩანს მსახურისაა თუ მოინალის, რადგან გამოსაღები არაა ნაჩვენები.

აზნაურს (ფერსათის მამსახლისს გიორგის) მართებს „კარ(გ) კაცობით პურის ჭამა“.

5 კომლს აზატს მართებს 112 კოკა ღვინო (ათიანი), 4 კომლს მეორე წელიწადს ძროხა, 1 კომლს ყოველ წელს ძროხა, ყველას კარგი პურის ჭამა და ცხენით სამსახური.

1 კომლს შინაყმას მართებს (§335) „ზუთხით პურის ჭამა და ყოვლის დღის მსახურობა“.

16 კომლს მსახურს მართებს 402 კოკა ღვინო (მათ შორის 9 კოკა ათ ლიტრიანი, დანარჩენი 14 ლიტრიანი უნდა იყოს), 14 საკლავი 168 თეთრის, 14 ურემი ღომი, 40 თეთრი, 14 ქათამი, 185 კვერცხი, 7 საბელი, 1 კომლს—ყავრის მიტანით სამსახური. ამასთანავე 7 კომლის სამსახურის ვალდებულება სრულებით არ არის დასახელებული, სხვა 2 კომლის ბევარა (64 კოკა ღვ., 2 საკლავი 24 თეთრის, 2 ურემი ღომი, 10 თეთრი, 2 ქათამი, 40 კვერცხი) შეიძლება შენაცვლებულ იქნას სამსახურით. დანარჩენთა შესახებ მოხსენებულია

<sup>1</sup> § 299 დაბეჭდილ ტექსტში მოხსენებულია თეთრი, მაგრამ რამდენი, ნათლად არ სჩანს. ჩვენ ვივლისხმეთ 1 თეთრი.

სამსახურის ვალდებულება და 2 კომლის შესახებ (§ 309, 355) სამსახური და მუშაობაც.

42 კომლ მოინალეთაგან 5 კომლის (2 კ. მამასახლისის გიორგის და 3 კ. შეწირული ხორეპისკოპოსის მიერ) ბეგარა არაა ნაჩვენები, დანარჩენ 38 კომლს კი ადევს 916 კოკა ლვინო (ერთს ადგილას მოხსენებულია საბეგრო კოკა, ალბად აქ საერთოდ იგულისხმება ჩვეულებრივი 10 ლიტრიანი კოკა), კიდევ 52 კოკა 14 ლიტრიანი, 35 საკლავი 432 თეთრის, ლომი 33 ურემი, 128 $\frac{1}{2}$  თეთრი, 665 კვერცხი, 32 ქათამი, 33 საბელი<sup>1</sup>, „ყოვლის დღის მუშაობაჲ“ ყველას და გარდა ამისა 3 კომლს—საყდრის სამსახური ყავრით.

9 პარტახტიდან ერთის (§ 347) ბეგარა არაა ნაჩვენები. დანარჩენთაგან 4 მსახურის პარტახტს მართებს 65 კოკა ლვინო, 4 საკლავი 48 თეთრის, 4 ქათამი, 2 $\frac{1}{2}$  თეთრი, 40 კვერცხი, 2 ურემი ლომი, 2 საბელი, ერთს პარტახტს კიდევ ლვინო მოდისა—12 კოკა. ამ პარტახტების შესახებ არაა მოხსენებული მუშაობის და სამსახურის ვალდებულება, რის გამო ისინი ჩვენ ჩავთვალეთ მსახურთა პარტახტებად (საყდრის სამსახური ყველა ფერსათელთ ედვათ).

4 პარტახტს მოინალისას ედვა 46 კოკა ლვინო, 4 საკლავი 48 თეთრის, 4 ქათამი, 2 თეთრი, 60 კვერცხი, 2 ურემი ლომი, 4 საბელი. ყველა ფერსათელების შესახებ დაეთარში კიდევ ნათქვამია: „რაც გუტიას სახელოს კაცს მართებს (იგულ. ბუბანი) მუშაობაჲ, თივისა და ქერისა და ხატის სამსახური და ყავრის მიტანა, ისე ამათ მართებს“.

კორთხა. არის 16 კომლი მსახური<sup>2</sup>. მართებთ 216 კოკა ლვინო, 15 ურემი ლომი, 33 ნაოთხალი ქერი და 1 პინა ქერი, 15 ნაოთხალი პური და 3 პინა პური, 19 $\frac{1}{2}$  ლიტრა სანთელი, 36 კვერცხი.

დიანტყა. არის 2 კომლი შინაყმა<sup>3</sup>, 11 კომლი მსახური, რომელთა შესახებ მარტო ბეგარაა მოხსენებული (მათ არ მართებთ მუშაობა, სამსახურიც არაა დასახელებული) და 7 კომლი მოინალე. არის კიდევ 6 მსახურის პარტახტი.

<sup>1</sup> § 323-ში ამოშლილია ერთი სიტყვა, რომელიც ჩვენის აზრით უნდა იყოს საბელი, რის გამო ეს 1 საბელი აქ ანგარიშში ჩათვლილია.

<sup>2</sup> არიან ეს გლეხნი მსახურნი თუ არა, დავთრიდან გარკვევით არ სჩანს. ყოველ კომლის შესახებ ნაჩვენებია ბეგარა, მაგრამ არაა ნაჩვენები, მართებდათ, მუშაობა ან სამსახური თუ არა. მაგრამ რადგანაც მუშაობა მათ, როგორც სჩანს, არ მართებდათ, ამიტომ როგორც პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფთ ჩვენ მათ მსახურებად ვთვლით.

<sup>3</sup> § 392 და 395 ჩვენის აზრით შინაყმანი არიან მოხსენებულნი, რადგან მათ მართებთ ყოვლის დღის ულაყით (ჯორით) სამსახური. ეს იგივე ცხენით სამსახური უნდა იყოს, რომელიც აზატებს და შინაყმებს ემართათ.

2 კომლს შინაყმას მართებს: 36 თეთრი, 3 ლიტრა სანთელი, 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> კოკა ღვინო, 4 ნაოთხალი ქერი, 2 ნაოთხალი პური, 5 კვერცხი და ყოვლის დღის ულაცით სამსახური.

11 კომლს მსახურთაგან ერთს მართებს (§ 408) 6 ლიტრა სანთელი და ძღვენი, ხოლო დანარჩენთ 132 თეთრი, 36 კოკა ღვინო, 9 ურემი ღომი, 11 ლიტრა სანთელი, 25 ნაოთხალი ქერი, 6 ნაოთხალი პური და 1 პინა პური, 39 კვერცხი.

7 კომლს მოინალეს მართებთ 86 თეთრი, 7 ლიტრა სანთელი, 5 ლიტრა მატყლი, 31 ნაოთხალი იფქლი, 5<sup>1</sup>/<sub>2</sub> ჩარეჭი მარილი, 11 პური, 4 ლიტრა ყველი, 17 კვერცხი. ყველას მართებს მეულაყობა.

6 მსახურის პარტახტს მართებს 72 თეთრი, 6 ლიტრა სანთელი, 3 ურემი ღომი, 40 კოკა ღვინო, 20 ნაოთხალი ქერი, 5 ნაოთხალი პური, 24 კვერცხი.

3 იტიინის კევი. არის 4 კომლი მსახური და 1 მსახურის პარტახტი.

4 კომლს მსახურს მართებთ 17 ლიტრა სანთელი, 8 ნაოთხალი იფქლი, 8 ძღვენი (სამსახური და მუშაობა არაა დასახელებული და რადგანაც მუშაობა არაა დასახელებული, ამიტომ ჩვენ ისინი მსახურებად ჩავთვალეთ).

იქვე 1 პარტახტს მართებს 3<sup>1</sup>/<sub>3</sub> ლიტრა სანთელი, 2 ნაოთხალი იფქლი, 2 ძღვენი.

გუბს ქვეით, კორთხის წყალს გამოღმა. არის 2 კომლი აზატი, 2 კ. მსახური, 6 კ. მოინალე, 3 პარტახტი (როგორც სჩანს, მოინალის პარტახტები).

2 კომლს აზატს მართებთ ორივეს ცხენით სამსახური, ერთს — ხადილი (ე. ი. პურის ჭამა) და მეორეს 1 ლიტრა სანთელი.

2 კ. მსახურს მართებს — ორივეს ხელოსნობით სამსახური, ერთს კიდევ საყდრის ფინი და ხადილი, ხოლო მეორეს 1 ლიტრა სანთელი.

6 კომლს მოინალეს მართებს მეულაყობის გარდა 92 თეთრი, 6 ლიტრა სანთელი, 6 ლიტრა მატყლი, 30 ნაოთხალი იფქლი, 9 კვერცხი, 4 ლიტრა მარილი, 10 პური.

პარტახტების გამოსავალი არაა ნაჩვენები. ერთი პარტახტი შეერთებულია მოინალის ერთს საკომლოსთან (გლხეს უკავია, § 427).

ხოლასკურა. არის 7 კომლი მოინალე. მართებთ მეულაყობის გარდა 111 თეთრი, 36 ნაოთხალი იფქლი, 8<sup>1</sup>/<sub>2</sub> ლიტრა სანთელი, 6 ნაოთხალი ქერი, 6<sup>1</sup>/<sub>2</sub> ლიტრა მატყლი, 19 კვერცხი, 17 პური, 3 ლიტრა მარილი და 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ჩარეჭი მარილი.

ალისმერე. არის 7 კომლი მოინალე. მართებთ მეულაყობის გარდა 132 თეთრი, 7 ლიტრა სანთელი, 6 ლიტრა მატყლი, 48

ნაოთხალი იფქლი, 453 კ. პური, 6 ლიტრა მარილი, 12 კვერცი, 1 ლიტრა ერბო.

ჯვარისა. 3 კ. ალბად მოინალე და 1 მოინალეს პარტახტი.

3 კომლს მოინალეს მართებთ: 49 თეთრი, 60 კოკა ღვინო (ათიანი), 4 ნაოთხალი ღომი (სამსახური და მუშაობა არაა ნაჩვენები და რადგანაც სამსახური არაა ნაჩვენები, ამიტომ ეს გლეხები ჩვენ მიერ მოინალეებად არიან ჩათვლილი).

პარტახტს მართებს 21 თეთრი, 30 კოკა ღვინო (ათიანი), 2 ნაოთხალი ღომი.

აღისუბანი. არის 1 კომლი მსახური და 1 მსახურის პარტახტი.

მართებს 1 კომლს მსახურს „სამსახური მსახურობით“ და ბეგარა: 1 საკლავი, 10 კოკა ღვ. (ათიანი), 4 საკაბალო იფქლი, ძღვენი.

პარტახტსაც ასე მართებს.

მუჯირეთუბანი. არის 9 პარტახტი. მართებთ ისეთივე ბეგარა, როგორც აღისუბნელ მსახურს.

სავულისხმებელია, რომ ეს პარტახტები მოინალისა იყვნენ, რადგანაც დავთარში გარკვევით არ არის ნაჩვენები, რომ ამ პარტახტებს მსახურობით სამსახური სდებოდეთ.

ეხლა თუ ჩვენ ყველაფერ ზემოდ მოხსენებულის მიხედვით მე-XVI საუკუნის ნახევრის და მეორე ნახევრის საქუთათლო ყმებს, სოციალურ ფენებად დაყოფის მხრივ თავს მოვუყრივთ, მივიღებთ გარკვეულ სურათს, რომელიც აქ წარმოდგენილია ცალკე ტაბულით (იხ. ტაბულა).

პროცენტულად საქუთათლო ყმები პარტახტებიანად (მაშასადამე XVI ს-ნის ნახევარში) განიყოფებიან შემდეგნაირად: აზნაურნი 2,3<sup>0</sup>/<sub>0</sub>, აზატნი 4,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>, მსახურნი 20,7<sup>0</sup>/<sub>0</sub>, მოინალე 72,8<sup>0</sup>/<sub>0</sub>.

ბეგრების საერთო ჯამი პარტახტებიანათ სულ არის შემდეგი: ფულად 2139<sup>1</sup>/<sub>2</sub> თეთრი (მათში პარტახტების 361<sup>1</sup>/<sub>2</sub> თ.); ღვინო კოკა 8 ლიტრიანი 261 (მათში პარტახტების 12), ცხრიანი—1970 (პარტ. 181), ათიანი—688 (პარტ. 130), თორმეტიანი—760, ცამეტიანი—15, თოთხმეტიანი—1796 (პარტ. 168), ჩვეულებრივი (არაა ნაჩვენები რამდენი ლიტრიანი)—2017<sup>1</sup>/<sub>2</sub> (პარტ. 404)<sup>1</sup>. თუ ჩვეულებრივ კოკას 10 ლიტრიანად მივიღებთ, სულ გამოვა 81252 ლიტრა, ე. ი. ათლიტრიანი კოკის ანგარიშზე 8,115 კოკა; ღომი 201 ურემი (პარტ. 17 ურ.), 271 ნაოთხალი (პარტ.—62), 5 საწყავი და 15 ფოხალი; ფეტვი 1320 მკლავი (პარტ. 180), ქერი 92 ნაოთხალი (პარტ. 20), 10 გვერდი (პარტ. 7 გვერდი) და 1 პინა; 870 ხელი მკალი;

<sup>1</sup> ამათში 916 არის საბეგრო კოკა.

ტ ა ბ უ ლ ა

საქუთათლო ყმების რაოდენობისა 1560 წლ. ახლ. და 1578 წ.

	კ მ მ მ ი					ბ ა რ ტ ა ხ ტ ი				
	აზნაური	აზატი	მსახური	მოინალე	სუჴ	აზნაური	აზატი	მსახური	მოინალე	სუჴ
ქუთაისი . . . . .	1	3	10	—	14	1	—	4	—	5
ახალსოფელი . . . . .	—	1	—	20	21	—	—	—	6	6
ორიშიში . . . . .	—	—	—	7	7	—	—	—	—	—
ქვიტირი . . . . .	—	—	—	2	2	—	—	—	—	—
მალლაკი . . . . .	—	—	—	31	31	—	—	—	2	2
ფარცმანაყანევი . . . . .	—	—	—	13	13	—	—	—	7	7
ჩუნეში . . . . .	—	—	—	5	5	—	—	—	—	—
ოფისკუჯი . . . . .	—	—	—	5	5	—	—	—	—	—
ბაკისუბანი . . . . .	—	—	1	—	1	—	—	—	—	—
გვგუთი . . . . .	—	—	2	—	2	—	—	—	—	—
ბაში . . . . .	—	—	—	31	31	—	—	—	—	—
მესხეთი . . . . .	—	1	—	9	10	—	—	—	1	—
წყალთაშუა . . . . .	—	—	—	3	3	—	—	—	7	7
ქოლვეი . . . . .	—	—	—	6	6	—	—	—	3	3
ჯვარისა . . . . .	—	—	—	3	3	—	—	—	—	—
როკითი . . . . .	7	3	11	52	73	1	—	3	6	10
ბუბანი . . . . .	—	2	6	32	40	—	—	—	4	4
ხონი . . . . .	—	—	—	1	1	—	—	—	—	—
ქყვიში . . . . .	—	—	—	2	—	—	—	—	—	—
ფერსათი . . . . .	1	6	16	42	65	—	—	4	5	9
კორთხა . . . . .	—	—	16	—	16	—	—	—	—	—
დიანტყა . . . . .	—	2	11	7	20	—	—	6	—	6
პიტინისხევი . . . . .	—	—	4	—	4	—	—	1	—	1
გუსას ქვევით . . . . .	—	2	2	6	10	—	—	—	3	3
ხოლასკურა . . . . .	—	—	—	7	7	—	—	—	—	—
ალისმერე . . . . .	—	—	—	7	7	—	—	—	—	—
ჯვარისა . . . . .	—	—	—	3	3	—	—	—	1	1
ალისუბანი . . . . .	—	—	1	—	1	—	—	—	—	1
მუჯირეთუბანი . . . . .	—	—	—	—	—	—	—	—	9	9
<b>სულ . . . . .</b>	<b>9</b>	<b>20</b>	<b>80</b>	<b>294</b>	<b>403</b>	<b>2</b>	<b>—</b>	<b>19</b>	<b>54</b>	<b>75</b>



პური 28 ნაოთხალი (პარტ. 5 ნაოთხ.), 4 პინა, 73 პური, 155 ნაოთხალი იფქლი (პარტ. 2 ნაოთხ.), 44 საკაბალო იფქლი (პარტ. 40); 250 საკლავი (პარტ. 40), მათში 102 საკლავი 12-თეთრიანი (პარტ. 11), 5 ათ-თეთრიანი, 6 ოც-თეთრიანი, 1 ოცდაოთხ-თეთრიანი და 2 ექვს-თეთრიანი, დანარჩენთა შესახებ არაფერია ნათქვამი (ჩვენ ვანგარიშობთ 12 თეთრს თითოზე), სულ საკლავი 3,038 თეთრის (პარტ. 480 თეთრის), 520 ქათამი (პარტ. 65), 3041 კვერცი (პარტ. 384), 110<sup>1</sup>/<sub>2</sub> ლიტრა სანთელი (პარტ. 9<sup>1</sup>/<sub>2</sub> ლიტრა); 86 კომლს. (პარტ. 8) მართებს პურის ჭამა; 46 ძროხა, 47 ცხვარი (პარტ. 3 ცხვ.)

ფულზე პარტახტებიანად გამოდის<sup>1</sup>: ღვინო 8,115 თეთრის ლომი (ურემი—20 თეთრი, კოდი 3,3 თ., საწყავი უდრის კოკას, ფოხალი იმერეთისთვის—<sup>1</sup>/<sub>2</sub> კოდს) 4285 თეთრის, ფეტვი და მჭადირჩება გამოურკვეველი, პური (საკაბალო იფქლის 1 ნაოთხალად მიღებით)<sup>2</sup> 284 თეთრის, საკლავი 3038 თეთრის, ქათამი 364 თეთრის, სანთელი (ლიტრაზე XIV ს-ნის უკანასკნელ მეოთხედში 14 თეთრი<sup>3</sup>) 1547 თეთრის. პურის ჭამა სულ მოხსენებულია 86 კომლის, ამათგან 8 კ. არის აზნაური. რჩება 78 კ. ხონის გლეხების თითო ხადილი ღირდა 31,3 თეთრი<sup>4</sup>. 78 ხადილი კი ეღირებოდა 2441,4 თ. სულ მთელი ბეგრის ღირებულობა (პარტახტებიანად) მოდის 22213,9 თეთრის, გარდა ფეტვის და მჭადისა, ხოლო სულ დაახლოვებით 22<sup>1</sup>/<sub>2</sub> ათ. თეთრისა 447 საკომლოზე (გარდა აზნაურის და აზატისა) თითო საკომლოზე მოდის დაახლ. 50 თეთრის ბეგარა, საკლავზე გადატანით (საკლავი 12 თეთრის ანგარიშით) თითო კომლზე 4,17 საკლავის ღირებულობის ბეგარა.

გარდა ამისა საქუთათლო ყმათა კომლთა უმეტეს ნაწილს ედგასხვადასხვა სამუშაო (საყდრის მუშაობა, ტვირთი, ზერის მუშაობა, სამსახური და სხ.).

### III

#### ხონი და ხონელის ყმათი XVI—XIX ს-ნებში.

ხონის მთავარეპისკოპოსის კუთვნილ ყმების საბეგრო ნუსხები ჩვენ მოგვეპოვება XVI და XVIII ს-ნის. ამათ კიდევ ერთვის 1819 წელს რუსთა ხელისუფლების განკარგულებით მოხდენილი აღწერა

<sup>1</sup> ნანგაროშეგია ისე, როგორც ქვემოთ (გვ. 27) ხონის გარდასახადის შესახებ.

<sup>2</sup> 1808 წ. ბათმანი (2 ლიტრა) პური გურიაში იმდენივე ღირდა (1 რუბი), რამდენიც საწყავი ღვინო. რადგანაც კოკა (საწყავი) ღვინოს ფასს 1 თეთრს აღენიშნავთ, ამიტომ ათლიტრაანი კოდი პური იმერეთში ეღირებოდა 5 თეთრი, ხოლო ნაოთხალი—<sup>1</sup>/<sub>4</sub> თეთრი. 227 ნაოთხალი ეღირებოდა 272,7 თ., 4 პინა (8 ლიტრა)—4 თ., 73 პური (იხ. ქვემოთ, გვ. 36 შენ.) 7,3 თ.

<sup>3</sup> ამაზე იხ. საისტ. კრებ. წ. III.

<sup>4</sup> 1 კოდი ლომი (3,3 თ.), 2 საკლავი (24 თ.), 4 კოკა ღვ. (4 თ.).

ამავე ყმებისა. ყველა ამ მასალებით საკმაოდ დეტალურად ირკვევა ხონის მთავარეპისკოპოზის კუთვნილ ყმების რაობა და მათი გარდამხდელობის შემძლებლობაც. ამ მასალების მიხედვით ამასთანავე შესაძლებელი ხდება თვით ხონის მოსახლეობის ვითარების გარკვევაც, რასაც თავისი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით თუ მივიღებთ მხედველობაში ხონისთვის მიკუთვნებულ ადგილს ახალი საუკუნეების ქვემო-იმერეთის ეკონომიურ ცხოვრებაში (უფრო ძველი დროის შესახებ ცნობები არ მოიპოვება).

**ხონის საყდრის ყმები 1580 წლის ახლოს.** პირველი საბეგრო ზუსტა ხონის მთავარეპისკოპოზის კუთვნილ ყმათა მიუკუთვნება XVI ს-ნის დასასრულს და უნდა იყოს შედგენილი 1580 წლის ახლო ხანებში, ე. ი. დაახლოვებით იმ დროს, როდესაც შედგენილ იქნა ქუთაისის საყდრის საბეგრო დავთარი. ხონის საყდრის დავთრის შედგენა უნდა იყოს გამომხატველი დას. საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში ამ დროს აღებული ხაზის—საბეგრო ნუსხების ხელახლად შედგენის და შეჯერებისა<sup>1</sup>.

ხონის საყდრის დავთარი XVI ს-ნის დასასრულისა ჩამოთვლის სულ (გვ. 5—16) 60 კომლს ყმას და დამატებით კიდევ 4 კომლს (გვ. 16—17).

ამ 60 კომლიდან 50 კომლი (გვ. 5—15) არის ხონში მცხოვრები, 1 კ. ცხოვრობს ღანიროში, 2 კ.— ხუნწს, 1 კ. (პარტახტი) მოხსენებულია ჭანგას, დანარჩენი 6 კ. საგულისხმებელია, XVIII ს-ნის დავთართან შედარების მიხედვით, ბაკისუბანში.

ხონში მცხოვრებ ყმათაგან, როგორც მართებული ბეგრის რაობიდან სჩანს, 35 კომლი არის მოინალე (მართებთ ბეგრის გარდა მუშაობა) და 15 კომლი მსახური (6 კომლს მართებს ბეგრის გარდა ხადილი და 9 კომლს მსახურს ბეგრის გარდა სამსახური). 2 კომლი მოინალე შემდეგ გადარაცხული ყოფილა მსახურთა რიცხვში (მათი გამოსაღებს სხვა ხელით ჩამატებული აქვს სამსახური, გვ. 13 და 14).

ღანიროში ცხოვრობს 1 კ. მოინალე (იხდის მარტო ბეგარას), ხუნწს—2 კ. მსახური (ბეგრის გარდა მასპინძლობა და სამსახური), ჭანგას 1 პარტახტი მსახურის (ხადილი), ბაკისუბანს 6 კომლი, ყვე-

<sup>1</sup> ამ დავთრის ტექსტი იხ. ს. კაკაბაძე, ხონის საყდრის დავთარი 1600 წლის ახლოს დროისა, 1913 წ. ნე. დავთარი უნდა იყოს შედგენილი აფხაზეთის საკათალიკოზო 1622 წლის დავთარზე ბევრად ადრე XVI ს-ნის დასასრულს, რადგან 1622 წ. საკათალიკოზო დავთრის გადამწერს ხონის დავთარი ხელთ ჰქონდა დაშლილ მდგომარეობაში (იხ. იქვე, 3—4). ხონის დავთარი დაკულია საქ. ცენტრ-არქივში (მოწვენილი დავთარი შეიძლება იყოს ძველი დროის პირი და არა დედანი).

<sup>2</sup> შეად. ხონის საყდ. დავთ. გვ. 16 და XVIII ს-ნის დავთარი—ს. კაკაბ., დასავლეთ საქართვე. საეკლ. საბუთ. II, 132. ორივე დავთარში ამ ადგილას მოხსენებულია ერთი და იმავე გვარის გლეხები.

ლა მსახურია (ბეგრის გარდა სამსახური). დამატებით დასახელებულ 4 კომლთაგან ორი უნდა იყოს მოინალე (ბეგრის გარდა მართებთხადილი) და ორიც მსახური (ბეგრის გარდა სამსახური).

აზნაური ხონის საყდარს ამ დროს არ ყოლია, რაც მტკიცდება 1622 წელს შედგენილ კათალიკოზის მალაქიას მოლაშქრეების რიცხვის სიითაც. ამ სიაში სახელდობრ მოხსენებულია „წმიდის გიორგის ხონის 30 მსახური“ (იგულისხმება მოლაშქრეები)<sup>1</sup>. აზნაური აქაც არაა დასახელებული, მაშინ როდესაც ამავე სიაში სხვა ადგილების მოლაშქრეების რიცხვის ჩვენებისას აზნაურნიც არიან მოხსენებულნი.

ხონის წმ. გიორგის საყდრის გამოსავლის ჯუმალი აფხაზეთის საკათალიკოზო დავთარში (გვ. 45) აღნიშნულია შემდეგნაირად: „840 კოკა ღვინო, ორი ჭური სხვაჲ, 501 კოდი ცეხვილი ღომი, 98 საკლავი, 273 ქათამი, 25 ურემი ღომი, არის ყველისა და კვერცხისა და თევზისა საყველიერო და საბატკობო, თეთრის ჯუმალი 429, ორმოცდაორი ურემი თივა და შეშა, 25 კალათი სამეჯინიბო ან ურიში ან მჭადი“.

კერძოდ ხონის გამოსავალს, დავთრის მიხედვით, ფულად, ღვინით და ღომით შეადგენდა 339 თეთრი და 1 ბისტი, ღომი 25 ურემი და 480 კოდი, ღვინო 649 კოკა, 70 საკლავი, 246 ქათამი და სხ.

ხოლო ხონის გარედ ხონის მთავარეპისკოპოსის ყმათა გამოსავალს იმავე დავთრით აღთვალვით შეადგენდა 98 თეთრი, ღვინო 2 ჭური, 5 მრთელი, 12 მენახევრე და 139 კოკა, ღომი 12 კოდი, 5 საკლავი, 23 ქათამი.

ამას გარდა დავთარში მიმატებულს ოთხ კომლს (გვ. 16) მართებს 4 თეთრი, 13 კოკა და 4 მრთელი ღვინო, 14 კოდი ღომი, 5 საკლავი, 5 ქათამი, (3 კომლს კიდევ ხადილი). ეს ოთხი კომლი (სანოძე, ფანცულეია, ბახტაძე, კეთილაძე) შემდეგ არის ჩამატებული და დავთარის პირვანდელ ტექსტს არ ეკუთვნის (ისინი არ იყვნენ შეტანილი აფხაზეთის საკათალიკოზო დავთარში, იხ. იქვე, გვ. 45).

ამ ოთხი კომლის მხედველობაში მიღებით დავთარის ძირითად ტექსტში ჩვენ ვღებულობთ განსხვავებას ტექსტში ნაჩვენებ საერთო საბეგრო ჯუმალსა და კომლობრივ აღთვალვით მიღებულ რიცხვს შორის. განსხვავება არის 9 კოდი ღომი, 41 კოკა ღვინო, 23 საკლავი, 21 თეთრი, 4 ქათამი. ეს განსხვავება, ცხადია, მიეკუთვნება ხადილებს და სამასპინძლოს. სულ ხონის ყმებში ხადილი სდებია 9 კომლს და გარდა ამისა 2 კომლს „შინეთ ჩაჯდომა და მასპინძლობა“. თითო ხადილზე მოდის 1 კოდი ღომი, 2 საკლავი, 4 კოკა ღვინო და შეიძლება 2 თეთრიც. რჩება 5 საკლავი და 5 კოკა ღვინო, რომელიც უნდა მიეკუთვნოს 2 კომლის მასპინძლობას.

<sup>1</sup> ს. კაკაბ., აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარი, 46. მალაქია კათალიკოზი ხონის მთავარეპისკოპოსის ეპარქიასაც ფლობდა.

**ხონის მთავარეპისკოპოზის ყმები XVIII ს-ის ნახევარში.** ამ დროის ხონის მთავარეპისკოპოზის ყმების ნუსხა გაყოფილია სამ ნაწილად, რომელთაც აქვთ ცალკე სათაურები:

1) ხონის სანთლის ბეგრების განწესება ძუძლთა გუჯართაგან გამომწერილი (იქვე მიმატებულია ბაკისუბნელების და ივანდიდლების სამთლის ბეგარა), 2) ძუძლთა გუჯართაგან დიდად შემცირებული და მოკლებული ღორის და ღვინის ბეგრები ხონის წის გიორგის შეწირულთა გლეხთა, ახლად განწესებული მოხელეთაგან და შეკრებული, 3) ძუძლთა გუჯართაგან დიდად შემცირებული და მოკლებული ღორის და ქათმის, ყუძლის და კუძრცხის და თევზის ბეგრები ხონის წის გიორგის შეწირულთა გლეხთა, ახლად განწესებული მოხელეთაგან და შეკრებული<sup>1</sup>.

პირველ ნუსხაში მოთავსებული სანთლის ბეგარა ფაქტიურად წარმოადგენს წინად არსებულ ფულადი ბეგარას სანთელზე გადატანით. კათალიკოსმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ თავისი კათალიკოსობის პირველ წლებშივე (1696—1706 წ.) ფულადი ბეგარა საკათალიკოზო ყმებისა შეცვალა სანთლის ბეგარად. როგორც სჩანს, ანალოგიური ცვლილება გატარებული ყოფილა სხვა საეკლესიო გლეხების და კერძოდ ხონის მთავარეპისკოპოზის გლეხების მიმართაც. სანთლის ბეგარის გარდამხდელი სულ ჩამოთვლილია ხონში 24 კომლი, ბაკისუბანში 2 კ., ივანდიდში 5 კ., კუხში 5 კ. (მათ შორის წიქვაძეებიც), ზედა ხონში 2 კ., კონტოეთს 2 კ., ჭანგას (ოსეს ხელნაწერში შეცდომით იყო ბანგას) 2 კ., ღომის და ღვინის ბეგრის გარდამხდელი ჩამოთვლილია ხონში 109 კომლი, ივანდიდს—9 კ., კუხს—22 კ., ბაკისუბანს—7 კ., ღორის, ქათმის, ყველის, კვერცხის და თევზის გარდამხდელი ჩამოთვლილია ხონში 103 კომლი, ივანდიდს—9 კ., კუხს—22 კ. სანთლის ბეგარა, ცხადია, ყველას არ ედვა, რადგან ფულადი ბეგარაც ჩვეულებრივ ყველა მეკომურს არ ედვა. ხოლო რაც შეეხება დანარჩენ გარდასახადებს, საკლავის და ქათმის გარდასახადი საერთოდ, საბეგრო ნუსხების მიხედვით, ჩვეულებრივ გულისხმობს ღომის და ღვინის გარდასახადსაც, მაშინ როდესაც ღომის და ღვინის გარდამხდელს შეიძლება საკლავი და ქათამი არ ემართა. ამიტომ ღომის

<sup>1</sup> ს. კაკაბ., დასავ. საქართ. საეკლ. საბ. II, 125—138. ხსენებული ნუსხები მოწვენილი იყო 1803 წ. ოსე გაბაონის მიერ გადაწერილ გუჯრების წიგნში დაცული პირის მიხედვით (ხსენებული გუჯრების წიგნი დაილუბა 1921 წელს ქ. გეორგიევსკში ქუთაისიდან გატანილ არქივთან ერთად). 1803 წ. ოსეს მიერ გუჯრების პირები გადმოწერილი იყო ნუსხა ხუცურით. თვით დედნები კი, როგორც სჩანს, მხედრულად ყოფილა დაწერილი (შეად., მაგ., ხონია ბახტაძე გვ. 129 და ხოსიკა ბახტაძე გვ. 135; ხოსია უნდა იყოს დამწერლობის ნიადაგზე შეცდომით ხოსია-დან წარმომდგარი).

და ღვინას გარდამხდელ კომლთა რიცხვი უნდა იყოს ხონის საყდრის მეზვერე გლეხთა მაქსიმალური რიცხვი.

აწასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ღომის და ღვინის გარდამხდელ გლეხთა სია წარმოგვიჩენს საკლავის და ქათმის გარდამხდელ სიასთან შედარებით 43 ისეთ კომლს, რომელიც საკლავის და ქათმის გარდამხდელთა სიაში არ იხსენიება (მათში 23 კ. ხონში, 9 კ. კუხში, 6 ბაკისუბანში), ხოლო საკლავის და ქათმის გარდამხდელთა სია, შედარებით ღომის და ღვინის გარდამხდელთა სიასთან, შეიცავს 32 კომლის ახალს სახელს (მათში 23 კ. ხონში, 1 კ. ივანდიდს, 8 კომ. კუხს). დანარჩენი სახელები საერთოა. განსხვავება ჩვენის აზრით აიხსნება იმით, რომ ღომის და ღვინის გარდამხდელთა სია უფრო გვიან არის შედგენილი, ვიდრე საკლავის და ქათმის გარდამხდელთა. მაგ., საკლავის სიაში დასახელებულია ნიკოლოზ ბახტაძე (გვ. 134), ღომის სიაში ის უკვე ხუცესადაა მოხსენებული (გვ. 128), საკლავის სიაში დასახელებულია დავით ირემაძე (გვ. 137), ღომის სიაში ამის მაგივრად მოხსენებულია დავითელა ირემაძისშვილი (გვ. 131), საკლავის სიაში არის ობოლი სანოძე (გვ. 136), ღომის სიაში ამის მაგივრად არის ხოჯონელა სანოძე (გვ. 130).

რაც შეეხება სანთლის ბეგრის ნუსხას, ის შედგენილია ღომის და საკლავის ნუსხის შემდეგ. სანთლის ნუსხაში მოხსენებული არიან დავითელა და სენიელა ჯივშელაშვილის შვილები (გვ. 117). დავითელა ჯივშელაშვილი მოხსენებულია საკლავის ნუსხაში (გვ. 137), ხოლო სენიელა—ღომის ნუსხაში (გვ. 132). განსხვავება უნდა აიხსნებოდეს ამნაირად. საკლავის ნუსხაში აღნიშნულია კომლის უფროსი დავითელა. ღომის ნუსხის შედგენისას კომლის უფროსად უკვე სენიელა იყო (დავითელას სიკვდილის გამო), სანთლის ბეგრის ნუსხის შედგენისას კი კომლში დავითელას და სენიელას შვილები იყვნენ.

საკლავის და ღომის ნუსხაში დასახელებულია ხუცესი ჯივშელაშვილი (გვ. 132 და 137). სანთლის ბეგრის ნუსხაში კი ამის მაგივრად მოხსენებულია გიორგი ხუცისშვილი ჯივშელაშვილი და გაბრიელა ჯივშელაშვილი (გვ. 127). უკანასკნელი ალბად ხუცესის ძმისშვილი იყო (ძმები ხშირად ერთ კომლად ცხოვრობდნენ).

სიმოკლისთვის ჩვენ მეტი მაგალითები არ მოგვცავენ. ზემოდ თქმულიდანაც ცხადია, რომ დასახელებულ სამს ნუსხაში უფრო ძველია საკლავის და ქათმის გარდამხდელთა ნუსხა. ამას მიყვება ღომის და ღვინის გარდამხდელთა ნუსხა და შემდეგ უკვე შედგენილია სანთლის ბეგრის გარდამხდელთა ნუსხა.

ნუსხების დასათარიღებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ საკლავის ნუსხაში მოხსენებულია ორი მოსახლე ქანტურიშვილი (გვ. 136), ღომის ნუსხაში სახელდებით დავითელა და ნასყიდა ქანტურიშვილი

(გვ. 130), ხოლო სანთლის ნუსხაში დასახელებულია ნასხიტელა ჭანტურიშვილი და ნატრიელა (გვ. 125). ჭანტურიშვილები ორი კომლი (ივანე ხუცესი, მისი შვილები დავითელა, გიორგი ხუცესი და მახარეი, მეორე კომლი კაცია, მისი შვალები ნასხიდა და ნატრია),—ძირაათ ხონის საყდრის ყმა, დაუბრუნდნენ საყდარს 1745 წელს<sup>1</sup>. 1755 წლის საბუთში მოხსენებული არიან იმავე მეკომურთა ჭანტურიშვილი დავით და ხუცესი გიორგი<sup>2</sup>, ცხადია ივანე ხუცესის შვილნი. 1762 წლის საბუთში კიდევ მოხსენებულია ერთი მოსახლე ჭანტურიშვილი ნატრია და დავითელა<sup>3</sup>, ალბად კაციას შვილები (დავითელა, სჩანს, დაბადებულია 1745 წლის შემდეგ, ხოლო ნასხიდა 1762 წ. ცოცხალი არ ყოფილა). ამისდა მიხედვით ღომის და ღვინის გარდამხდელთა ნუსხა უნდა იყოს შედგენილი 1746—1750 წლის ახლოს და სანთლის ბეგრის ნუსხა 1756—1760 წლ. ახლოს, ხოლო საკლავის და ქათმის გარდამხდელთა ნუსხა შედგენილი უნდა იყოს უფრო ადრე, 1730—1740 წლებში. შესაძლებელია ამიტომ, რომ განსხვავება ღომის და საკლავის ნუსხებს შორის გარდამხდელ კომლთა რიცხვის ჩვენებაში აიხსნებოდეს მოსახლეობის რაოდენობის სხვაობითაც 1730—1740 და 1746—1750 წლებში. მართლაც, ჩვეულებრივ, როგორც ეს სხვა საბეგრო ნუსხებიდან სჩანს, ღომის, ღვინის, საკლავის და ქათმის გარდასახადი ყველა კომლისთვის არის საგულისხმებელი, ყოველს შემთხვევაში ძნელი საფიქრებელია, რომ რომელიმე კომლს მხოლოდ საკლავი და ქათამი სდებოდა გარდასახადად და ღომი და ღვინო კი არა.

ამისდა მიხედვით მივიღებთ ხონის საყდრების ყმების რიცხვს 1730—1740 წლის ახლოს 134 კომლს (მათ შორის ხონში 103 კომლი) და 1746—1750 წლ. ახლოს—147 კომლს (მათ შორის ხონში 109).

ხონს, როგორც ცნობილია, კერძოდ XVIII ს-ნეში ჰქონდა ქვემო-იმერეთისათვის თვალსაჩინო ეკონომიური მნიშვნელობა. ხონის ბაზრობის შესახებ ცნობა აქვს დაცული გიულდენშტედტს<sup>1</sup>. 1770—1772 წლებში ხონში ირიცხებოდა 200-მდის კომლი მცხოვრები<sup>2</sup>. რამდენი უნდა ყოფილიყო მცხოვრები ხონში 1730—1750 წლებში?

საბეგრო ნუსხებში, როგორც სჩანს, არ შედიან საეკლესიო აზნაურები და მათი ყმები. ამას გარდა ხონში, თუმცა მცირედ, იყვნენ სამეფო და კერძო საბატონო ყმებიც. სხვა საშუალების უქონლობის

<sup>1</sup> ს. კაკაბ., დას. საქ. საეკლ. საბ. II, 12. საბუთის თარიღი ნახვენებია 1760 წლ. ახლ., უნდა იყოს 1745 წ.; შეად. 1745 წ. ქუბაბრას მიერ მიცემული წიგნი იმავე კაცია ჭანტურიშვილის შესახებ, დას. საქ. საეკლ. საბ. I, 157—158.

<sup>2</sup> იქვე II, გვ. 8.

<sup>3</sup> Reisen durch Russland und im Kaukasischen Gebirge, I, 307—308.

<sup>4</sup> იქვე I, 305 (1772 წლ. ცნობა) და კავ. იახიკოვის ცნობა 1770 წ., А. Цагарелѣ, Грамоты... I, 194.

გამო ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ 1819—1825 წლების ცნობებით, რომლის მიხედვით 1819 წ. ხონში ირიცხებოდა სახელმწიფო ყმა 3 კომლი, საეკლესიო აზნაურები და გლეხები 120 კ., საბატონო ყმები 6 კ., სულ 129 კომლი<sup>1</sup>. ამავე წელს ხონში 11 კომლი აზნაური ირიცხებოდა (მათ ყვედათ 13 კომლი გლეხი, რომელიც შესაძლებელია ყველა არ ცხოვრობდა ხონში). 1825 წლის აღწერით ხონში ირიცხებოდა 107 კ. საეკლესიო გლეხი, 12 კ. აზნაური და 5 კ. ამ აზნაურების ყმა. 1819—1825 წლებში ამგვარად მარტო საეკლესიო გლეხები (აზნაურების და მათი ყმების გამოკლებით) შეადგენენ მთელი ხონის მოსახლეობის 80,6%-ს. ამისდა მიხედვით მივიღებთ ხონის მოსახლეობას 1730—1740 წლისთვის 166 კომლს და 1746—1750 წლისთვის—182 კომლს. თუმცა ეს რიცხვები დაახლოვებითია, მაგრამ აქედანაც ცხადია, რომ 1770 წლისთვის, დაწყებული 1730 წლიდან, ხონის მოსახლეობა კომლთა რიცხვის მიხედვით თვალსაჩინოდ გაზრდილა (166 კომლიდან თითქმის 200 კომლამდის).

1730—1760 წლების ზემოდ დასახელებულ საბეგრო ნუსხების ბეგრები არის შემდეგი: ხონში (109 კომლს)—455<sup>1</sup>/<sub>2</sub> კვახი ღომი და 638 კოკა ღვინო, (103 კომლს) 80,6 მარჩილის და 25 შაურის ღორი, 125 ქათამი. ხონის გარეთ მცხოვრებ ხონის საყდრის ყმებს ედვათ 70 კვახი ღომი და ღვინო 32 კოკა და 75 ცალი, საკლავი 23<sup>3</sup>/<sub>4</sub> მარჩილის და 10 შაურის, 32 ქათამი. სულ ხონის საყდრის ყმების გარდასახადი—ღომი 591 კვახი, ღვინო 795 კოკა და 75 ცალი<sup>2</sup>, საკლავი 104,3 მარჩილის და 35 შაურის, 157 ქათამი. სანთლის ბეგარა: ხონში—8 შამახური ლიტრა სანთელი, 1 მარჩილი ფულად და კიდევ ფულად ფარცხალაძეებზე ორ-ორი ფარა, ზოგიერთ კომლზე კიდევ—ტილო. ხონის გარეთ—7<sup>1</sup>/<sub>4</sub> შამახური ლიტრა სანთელი, 1 მარჩილი ფულად. სანთლის ბეგარის ფულზე გადასატანად შეიძლება მხედველობაში ვიქონიოთ, რომ გრიგოლ აფხაზეთის კათალიკოზის მიერ, როგორც ეს საბუთებიდან ცხადად სჩანს, შამახური სანთელი მარჩილის მაგივრად იყო დაწესებული<sup>3</sup>.

ეხლა თუ ჩვენ ხონის საყდრის კუთვნილ თვით ხონში მცხოვრებ ყმათა გარდამხდელობითი შეძლებიანობას განვიხილავთ და ერთმანერთთან XVI ს-ნის დასასრულის და XVIII ს-ნის ნახევრის ცნობებს შევადარებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს. 1580 წლის ახლოს 50 კომლი ყმა ხონში იხდიდა 649 კოკა ღვინოს, 25 ურემ და 480 კოდ ღომს, 70 საკლავს, 246 ქათამს და ფულად 339 თეთრს და 1 ბისტს.

<sup>1</sup> იმერეთის 1819 წლის აჯანყების საქმე, საქ. ცენტრ. არქივი.

<sup>2</sup> ცალი შეიცავდა XIX ს-ნის ნახევრის ცნობებით 6 კოკას.

<sup>3</sup> ს. კაკაბ., დას. საქ. საეკლ. საბ. I, 95, 155 და სხ.

ფულზე გადატანივთ ეს უდრის: ღომი 25 ურემი 500 თეთრს<sup>1</sup> და 480 კოდი—1584 თეთრს, 649 კოკა ღვინო—649 თეთრს<sup>2</sup>, 68 საკლავი—840 თეთრს, 246 ქათამი—172 თეთრს<sup>3</sup>, სულ ფულადი გამოსავალთან ერთად 4085 თეთრს. ეს არის ამ დროის ფასობაზე 332 საკლავის საფასური.

1730—1760 წლებში 103—109 კომლი ყმა ხონში იხდის 638 კოკა ღვინოს, 455 $\frac{1}{2}$  კვახ ღომს, საკლავს 82,8 მარჩილისას, 135 ქათამს და სანთლის ბეგარას (შამახური სანთელის 1 მარჩილად ანგარიშით) 9 მარჩილისას, მიმატებით კიდევ რამოდენიმე კომლზე დადებული ტილოთი, სულ დაახლ. 14—15 მარჩილისას. ფულზე გადატანივთ ყველაფერი ეს დაახლ. უდრის: 638 კოკა ღვინო (კოკა ღვინის ფასის  $\frac{1}{10}$  საკლავისად მიღებით, როგორც ეს სჩანს 1808 წელს მამია გურიელის მიერ შედგენილ ნიხრიდან და როგორც ეს დასტურდება ანგარიშით XVI ს-ნის მეორე ნახევრისთვისაც, ხოლო საკლავი XVIII ს-ნის ნახევარში ხონის დაეთრებითვე 3 რუბი ანუ  $\frac{3}{4}$  მარჩილი ღირდა, რის გამოც კოკა ღვინის ფასი გამოდის 2,25 ბისტი)—47,8 მარ-

<sup>1</sup> ურემული ღომი 1753 წ. ღირდა 1 $\frac{1}{4}$  მარჩილი (ს. კაკაბ., დას. საქართვე. საეკლ. საბ. II, 2). ამ დროს საკლავი ჩვეულებრივ სამი რუბი ღირდა (ხონის საყდრის საბეგრო დაეთრები). XVI ს-ნის მეორე ნახევარში და 1580 წლის ახლოს საკლავი, ქუთაისის საყდრის დაეთრის და სხვა საბუთების მიხედვით ღირდა 10—12 თეთრი, უფრო 12 თეთრი. ურემი ღომი ამ დროს ამიტომ საანგარიშებელია 120 თეთრი.

ურემი XVI ს-ნეში იმერეთში შეიცავდა, ქუთ. საყდრ. დაეთრით, 24 სანაოთხლოს (უნდა იგულისხმებოდეს კოდისას). ურემში მაშასადამე 6 კოდი ყოფილა (ჩვენს შრომაში ქართული მეტროლოგია, საისტ. მ-ზე 25 წ. I, 69 ნოთხალი კოდის შესატყვისად იყო მიჩნეული, ვგონებ, შეცდომით) ამიტომ კოდი ღომის ფასი ამ დროს შეიძლება დაახლ. ვიანგარიშით 3,3 თეთრი.

<sup>2</sup> პაატა აბაშიძის მიერ 1684 წელს მიცემულ კაცხურ სიგელიდან სჩანს, რომ კოკა ღვინო ამ დროს 1 თეთრად იანგარიშებოდა. რადგანაც XVII ს-ნის სიგრძეზე ფასებს იმერეთში თეთრის ანგარიშზე ერთგვარი მუდმივობა ეტყობა, ამიტომ ჩვენ შესაძლებლად ვსთვლით ასეთივე ფასი ღვინოზე დავუშვათ XVI ს-ნის მეორე ნახევრისთვისაც. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კოკა XVI ს-ნეში ნაკლები ზომის უნდა ყოფილიყო, ვიდრე XVII ს-ნის დასასრულს (კოკის შემცველი ლიტრა ნაკლებ რაოდენობის მისხალს შეიცავდა), მაგრამ ეს განსხვავება ერთი საუკუნის მანძილზე არ იყო თვალსაჩინო, ამიტომ ღვინის ფასი XVI ს-ნის დასასრულისთვის შეიძლება ვიანგარიშით კოკა 1 თეთრი. 1808 წ. მამია გურიელის მიერ შედგენილ ნიხრით საწყავი (=კოკა) ღვინო მართლაც ღირდა ღორის  $\frac{1}{10}$ .

<sup>3</sup> პაატა აბაშიძის მიერ 1684 წ. მიცემულ იმავე სიგელიდან სჩანს, რომ ამ დროს 29 ქათამი ღირდა 1 შამახური სანთელი და 1 $\frac{1}{2}$  აბაზი. შამახური სანთელი ამ დროს ჩვეულებრივ 1 მარჩილი ღირდა, 29 ქათამის ფასი გამოდის 1 $\frac{1}{2}$  შამახური სანთელი, რაც 1586 წ. (ამ წელს თამარ იმერთა დედოფლის მიერ გელათის წმ. გიორგის ტაძრისთვის მიცემულ სიგელის ცნობებიდან მიღებულ დასკვნის მიხედვით) ღირდა დაახლ. 21 თეთრი. ერთი ქათამის ფასი არის დაახლ. 0,7 თეთრი.



ჩილს, 455  $\frac{1}{2}$  კვახი <sup>1</sup> ლომი—91 მარჩილს, 125 ქათამი<sup>2</sup>—64,6 მარჩილს, სულ საკლავის და სანთლის გარდასახადის ჩათვლით მთელი საბეგრის ფულზე გადატანით მივიღებთ 301 მარჩილს, რაც უდრის მაშინდელი ფასობით 400 საკლავის ღირებულებას.

1580 წლის ახლოს, ამგვარად, თითო კომლს ხონში მცხოვრებ საეკლესიო გლეხზე მოდიოდა ბეგარა დაახლ. 6,64 საკლავი ღირებულობის, ხოლო 1740—1750 წლ. ახლოს იმავე გლეხზე იქვე მოდიოდა ბეგარა დაახლ. (400 : 106=) 3,7 საკლავის ღირებულობის. უკვე ამ ციფრიდან ცხადად სჩანს, თუ რამდენად დაცემულა  $1\frac{1}{2}$  საუკუნის სიგრძეზე ხონის გლეხთა გარდამხდელი შესაძლებლობა (44 $\frac{1}{6}$ -ით). გარდა ამისა 1580 წ. ახლოს ფულადი გარდასახადი შეადგენდა ხონის გლეხების ბეგრის 8,3 $\frac{3}{6}$ -ს, ხოლო 1740—1750 წლ. ახლოს (სანთლის გარდასახადის სახით) მხოლოდ 3 $\frac{3}{6}$ -ს. ეს მცირე ფაქტი აგრეთვე ადასტურებს 1580—1750 წლებს შუა ნატურალურ მეურნეობის განმტკიცების პროცესს ქვემო-იმერეთში (და საფიქრებელია საზოგადოდ დას. საქართველოშიც).

**ხონის საყდრის ყმები 1819 წელს.** იმერეთის 1819 წლის აჯანყების საქმეში (საქ. ცენტრარქივი)<sup>3</sup> მოთავსებულია 1819 წელს საქართველოს ექსარხოსის თეოფილაქტეს განკარგულებით მომხდარ საეკლესიო ყმების აღწერილობა. საქმეში მოიპოვება მხოლოდ ვაკის ოლქის საეკლ. ყმების ნუსხა, რომელიც სხვათა შორის შეიცავს ხონის საყდრის ყმების აღწერილობასაც. იმერეთის მოსახლეობა ამ დროს 1811—1812 წლის ჟამის და სიმშობის შემდეგ ძალიან დაზარალებული იყო, მცხოვრებთა რიცხვი შემცირებული იყო და ქვეყანაც ეკონომიურად ძლიერ დასუსტებული. აღწერილობა წარმოგვიდგენს ცნობებს საეკლესიო ყმების მიწათმფლობელობის შესახებაც.

<sup>1</sup> კვანის ზომა ჯერჯერობით გამოურკვეველია. ჩვეულებრივ ამ დროს, როგორც ეს სჩანს, მაგ., 1783 წლის ერთ სიგელიდან (დას. საქ. საეკლ. საბ. II, 79—80), თუ საეკლესიო გლეხს 6 კოკა ღვინო ედვა, მას 3 კოდი ლომი ხდებოდა. ხონის გლეხებსაც კომლზე დაახლ. 6 კოკა ღვინო ედვათ; ხოლო ლომი—4,3 კვახი (455  $\frac{1}{2}$  კვახი ედვა 106 კომლს, დანარჩენ სამ კომლს ლომი არ ედვა). ამიტომ 4,3 კვახი იგივე სამი კოდი უნდა იყოს. ამის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოდი რგვალი ანგარიშით უდრიდა დაახლ. 1,5 კვანს. გვერდი ( $\frac{1}{6}$  კოდი) ლომი 1808 წ. მამია გურიელის მიერ დამტკიცებული ნიხრით ღირდა 1 რუბი, საკლავის  $\frac{1}{6}$ . რადგანაც ხონის დავთრებით XVIII ს-ის ნახევარში საკლავი 3 რუბი ღირს, ამიტომ მივიღებთ კვახი ლომის ფასს დაახლ. 0,8 რუბს.

<sup>2</sup> 29 ქათამი, 1684 წლის პაატა აბაშიძის კაცხური სიგელის მიხედვით, უდრიდა  $1\frac{1}{2}$  შამახურ სანთელს. შამახური სანთელი XVIII ს-ის ნახევარში იანგარიშება ისე მარჩილად, 1 ქათამი მაშასადამე ღირს 6,2 ფული.

<sup>3</sup> ამ საქმის შესახებ ცნობები იხ. М. А. Полневков, Архивное дело о восстании в Имеретии, Грузии и Мингрелии в 1819—1820. годах, საისტ. მ-ბე 24 წ. II, 199—220.

დასახელებულ საქმეში მოთავსებულ ნუსხას ხონელ მთავარ-ეპისკოპოსის ყმების შესახებ აქვს შემდეგი სათაური: Поименная ведомость крестьян, Хонской епархии принадлежавших, с детьми их и родственниками мужеска пола, одно семейство составляющими. ამ ნუსხაში თვით სოფელ ხონისთვის ნაჩვენებია 74 კომლი გლეხი (356 სული მამრი) და გარდა ამისა ისეთნი, რომელნიც მიწას არ ამუშაებენ და ობლებიც 9 სული მამრი. ამ 74 კომლიდან ოთხი კომლი (16 ს. მამრი) ცხოვრობდა კერძო მემამულეების მიწაზე, 6 კომლი (17 ს. მამრი) კიდევ არ ჰქონდა სავენახე მიწა (ჰქონდა მარტო სახნავი მიწა—42 ქცევა). ხოლო 64 კომლ გლეხს (314 ს. მამრი) ჰქონდა ვენახი  $95\frac{1}{2}$  ქცევა, რომლის მოსავალი იყო წლიურად 1040 კოკა ღვინო. ახლად გაშენებაში მყოფი ვენახი გარდა ამისა იყო კიდევ  $9\frac{1}{2}$  ქცევა, სახნავი მიწა ჰქონდათ 1352 ქცევა, სულ 105 ქცევა ვენახი და 1394 ქცევა სახნავი მიწა.

ნუსხას გაკეთებული აქვს შემდეგი შენიშვნა (მართლწერას ვიცავთ, i, ხ და ზ-ის გამოკლებით):

*Примечание:* 1) Описанные здесь крестьяне платили прежде сего церкви подать разными продуктами, как-то: хлебом, вином, бобами, гомнем, живностью и другими тому подобными мелочами, что, все приведя в соображение и обратя в деньги, примерно составляло до 180 рублей серебром.

2) При нынешнем описании взамен всего вышеописанного обложены с их согласия ежегодно и положительно в пользу церкви по триста пятидесяти рублей серебром, обязуясь сверх того обрабатывать по прежнему церковные земли и делать другия пособия церкви.

Подать сия не раскладываема будет на те 4 дыма, кои находятся (на) службе при архиерейском доме.

3) Повинность под названием Сабалахо здесь не существует.

4) Здесь есть пошлинный сбор под названием Бажи с продаваемых на базаре разных товаров, как-то: хлеба, скота, соли, посуды и других продуктов, привозимых жителями из смежных с оным селением мест. Статья сия приносит доходу примерно до 50 рублей сер. в год<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ამას აქ მიწერილი აქვს შემდეგი: При нынешнем описании вызвались взять статью сию в откупное содержание на год дворяне: казенный Гавриил Кавтарадзе и церковной Михаил Кутателядзе, с платежом за оную 47-ми рублей серебром, коп и обязались внести с 12-го июня сего 1819 года к управляющему Хонской епархией.

ეს ტირადა დედანში ხაზგადასმულია.

გლეხები, რომელთაც ჰქონდათ მარტო სახნავი მიწები, ხონში იყო 6 კომლი (17 ს. მამრი). მათ ჰქონდათ 42 ქც. სახნავი.

ეს გლეხები იხდიდნენ გარდასახადს ეკლესიის სასარგებლოდ როგორც სხვა გლეხები. 1819 წლიდან მათ დაედვათ გარდასახადი კომლეთულად, როგორც სხვებს (ფ.242).

ობლები, რომელთაც არა აქვთ მიწა და მიწასაც არ ამუშავენ (6—20 წლისა),—9 სული მამრი, მსახურებაში არიან: 1—ადგილობრივ მღვდელთ-მთავართან (ხონელთან), 1 ხონის მოურავთან, 2—მღვდელთან, 4—გლეხებთან და 1 ცხოვრობს დედასთან. გარდასახადი არ ხდებოდათ.

სხვა სოფლებში ნაჩვენებია ხონური უმიწაწყლო გლეხები და ობლები ხონელის კუთვნილი: კუხში გლეხი 1 კ. (3 კ. მამრი), ივანდიდში ობლები 2 ს. მამრი, ქყვიში—ობლები 2 ს. მამრი, მუხაყრუაში ობლები 2 ს. მამრი, შუამთაში 1 კ. გლეხი (4 ს. მამრი) და ობლები ერთად სულით ავადმყოფ ბიძასთან 4 ს. მამრი. გარდასახადი 1819 წლიდან დაედვა მხოლოდ შუამთის 1 კომლს წელიწადში 3 მან.

ხონელის კუთვნილი საეკლესიო აზნაურები (ფ. 245—247) სულ შეადგენდა 11 კომლს (30 ს. მამრი), მათ შორის ორი ს. მამრი ორ კომლად იყვნენ (სასულიერო პირნი). ამ აზნაურთაგან 1 კომლს ყმა არ ყავდა, დანარჩენთ კი ყავდათ 13 კომლი გლეხი (36 ს. მამრი) და გარდა ამისა ცალკე მცირეწლოვანი ყმები (6 ს. მამრი). ორი კომლის (სასულიერო პირთა) კუთვნილ მიწის რაოდენობა. არ არის ნაჩვენები, დანარჩენ 9 კომლს აზნაურს, რომელთაც ყავდათ გლეხები 33 ს. მამრი, ჰქონდათ 740 ქცევა მიწა სახნავი და ტყე და 19 ქცევა ცვენახი.

აზნაურებს გარდასახადი არ ედვათ, გარდა ორი კომლისა, რომელთაც ედვათ სამანსპინძლო. ეს სამანსპინძლო 1819 წელს შეფასებულ იქმნა 3 მანეთად (ორთავესი), რის მაგივრად მათ დაედვათ თითოს 3 მან. გარდა ამისა ხონელის კუთვნილი გლეხები, რომელნიც ცხოვრობდნენ სახაზინო ანდა კერძო მემამულეთა მიწებზე, იყვნენ: ხონიდან 4 კ. (16 ს. მამრი), გადასახლებულნი სხვა სოფლებში (1 მათგანი რაჭაში ცხოვრობდა). ერთს მათგანს დაედვა გარდასახადი ხონის გლეხების დაგვარი, სხვებს კიდევ როგორც ადგილობრივ მოსახლეს სხვა საეკლესიო გლეხებს. სოფ. ღანირში ცხოვრობდა 1 კ. (2 ს. მამრი), პატარა ჯიხაიში—1 კ. (6 ს. მამრი), იანეთში 1 კ. (3 ს. მამრი). ყველა ამათ დაედვათ 3 მან. წელიწადში კომლეთულად. იანეთშივე იყო კიდევ 1 კ. (2 ს. მამრი), რომელიც სიღარიბის გამო განთავისუფლებული იყო გარდასახადისაგან.

სოფ. ქარჩხაბში ხონის ეკლესიის მიწაზე ცხოვრობდა 2 კომლი

აზნაური (4 ს. მამრი). ნუსხაში აქ არის შემდეგი შენიშვნა: *Объ (ორივე ეს აზნაური) владеют 1 сакомдом церковной земли, которая примерно имеет в себе 30 десятин.* საკომლოს ამ რაიონში მაშასადამე საშუალოდ შეადგენდა 30 ქცევა მიწა.

ნუსხაში შემდეგ მოყვანილია ხონელის ყმები სხვა სოფლებშიაც.

**სოფ. კუხი.** ნაჩვენებია 16 კომლი (50 სული მამრი), რომელთაც ჰქონდათ 23 $\frac{1}{2}$  ქცევა ვენახი (მოსავალი 219 კოკა ღვინო) და გარდა ამისა 5 ქცევა ახლად გაშენებული ვენახი. სახნავი მიწა ჰქონდათ 124 ქცევა. გარდა ამისა კუხში იყო კიდევ 1 კომლი ხონელის ყმა, ობლებისაგან შემდგარი (3 ს. მამრი, მიწას არ ამუშავებდნენ).

სოფ. კუხის ეს გლეხები იხდიდნენ იმავე ბეგარას, როგორც სოფ. ხონისა. ფულზე გადატანით ეს ბეგარა შეადგენდა 40 მანეთს. 1819 წლიდან კი მათ დაედვათ მტკიცე გარდასახადი, სულ 70 მან.

**სოფ. ივანდილი.** ნაჩვენებია 7 კომლი (44 ს. მამრი), გარდა ამისა კიდევ იყო 2 ს. მამრი ობოლი, რომელნიც მიწას არ ამუშავებდნენ, ამ 7 კომლს ჰქონდა 13 $\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 190 კოკა ღვინო) და 78 ქც. სახნავი მიწა. გარდა ამისა იყო კიდევ 10 ქც. სახნავი მიწა არავის მიერ არ დაკავებული (პარტახტი).

**კონტუათი.** ნაჩვენებია 6 კომლი (32 ს. მამრი), ჰქონდათ 7 $\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 52 კოკა ღვ.), გარდა ამისა 1 ქც. ახლად გაშენებაში მყოფი ვენახი. სახნავი მიწა მათ ხელში იყო 64 ქცევა.

**ნახახულევი.** ნაჩვენებია 5 კომლი (36 ს. მამრი), ჰქონდათ 8 ქც. ვენახი (მოსავალი 73 კოკა ღვ.) და 55 ქც. სახნავი მიწა.

ამ 3 სოფლის გლეხების შესახებ ნუსხას გაკეთებული აქვს შემდეგი შენიშვნა: 1. *Крестьяне сих трех селений платили прежде сего подать церкви вином, хлебом, живностью, воском, хлебом и прочими мелочами, что, все обратя в деньги, простиралось не более как до 40 рублей серебром в год.*

2. *При внешнем описании все три селения: Ивандиди, Бонтуаты и Нахакхулевы, составляющие 18 дымов. обложены совокупно взамен прежде бывшей на них повинности в пользу церкви по 85-ти рублей серебром ежегодно и положительно.*

**სოფ. ქვევიში.** ნაჩვენებია 15 კომლი (70 ს. მამრი), რომელთაგან 14 კომლს ჰქონდა 20 $\frac{1}{2}$  ქცევა ვენახი (მოსავალი 147 კოკა ღვ.), და 226 ქც. სახნავი მიწა, 1 კომლს (2 ს. მამრი), ჰქონდა 1 ქც. ვენახი გაშენებაში მყოფი (მოსავალი 4 კოკა ღვინო), სახნავი კი არა.

გარდასახადი ფულზე გადატანით უდრიდა 30 მანეთამდის. 1819 წლიდან კი დაედვათ 75 მანეთი წლიურად.

**სოფ. შუამთა.** ნაჩვენებია 4 კომლი, რომელთაგან ორი არის სრულმფლობელი კომლი (14 ს. მამრი), 1 კომლი (4 ს. მამრი) მი-

წას არ ამუშავებდა და 1 კომლი შესდგებოდა ობლებისაგან (4 ს. მამრი). სრულმფლობელ ორ კომლს ჰქონდა ვენახი ტყეში ხეებზე (მალარი), მოსავალი 130 კოკა ღვინო, სახნავი კიდევ 21 ქცევა. მათი გარდასახალი—4 გირვ. სანთელი. 1 კომლი, რომელიც მიწას არ ამუშავებდა, იხდიდა 3 კოკა ღვინოს, 2 ბათმ. ღომს, 1 ღორს, ქათამს, 1 ბათმ. ღომს (sic), 1 ბათმ. პურს და ფულათ ოთხი აბაზს. ყველა 3 კომლის გარდასახალი ფულზე გადატანით უდრიდა 9 მანეთს. 1816 წლიდან თითო კომლს დაედვა წლიურად 3 მან.

სულ ხონელის ყმები 1819 წ. ყოფილან აზნაურიანად 152 კ. და (1811—1812 წ. ქამის შედეგად) 24 ს. ობოლი მამრი, აზნაურნი იყვნენ ქუთათელაძეები. 1580 წ. ახლ. ნუსხაში ქუთათელაძე არის 1 კ., ისიც მსახური, ხოლო 1730—1760 წლის საბეგრო ნუსხებში—3 კ. სანთლის გამომღები და 2 კ. ღომის, ღვინის და საკლავისა და 1 კ. მარტო საკლავის გამომღები. შეიძლება ამ დროსაც ქუთათელაძეების ნაწილი (სანთლის გამომღებნი) უკვე აზნაურნი იყვნენ. 1819 წ. კ. ქუთათელაძე 11 კომლი აზნაურია და 2 კ. გლეხი. 1580 წ. ახლოს ხონში არ იყო არც ერთი აზნაური, 1819 წ. კი არის 11 კ., ხონის მოსახლეობის (129 კ.) —8,6%.

## V

## საცაიშლო ყმები 1622 წ.

საცაიშლო ყმების საბეგრო ნუსხა, რომელიც შეტანილი იყო 1622 წელს შედგენილ აფხაზეთის საკათალიკოზო დიდს საბეგრო დავთარში, იძლევა აგრეთვე ფრიად საყურადღებო სურათს საცაიშლო ყმების უპირველესად ყოვლისა სოციალურად დანაწილებისას<sup>1</sup>. დავთარში ცაიშის ყმები მოხსენებულია ორ ნაწილად: პირველის სათაურია „საცაიშლო გ(ა)მოსავ(ა)ლი მოსაკრეფულობ(ა)ჲ“ და მეორესი—„მ(ა)რთებს ცაიშის მიმდგამსა კაცსა ბეგარა“ (გვ. 5 და 12).

პირველი ნაწილი (გვ. 5—12) შეიცავს, როგორც ეს დავთრის ჯუმალიდან (გვ. 45) საფიქრებელია, ხევთის სასახლის და მისი რაიონის ყმების ნუსხას. აქ ჩამოთვლილია სულ 54 კომლი. მათ შორის

<sup>1</sup> საცაიშლო გამოსავლის დავთარი გამოცემულია ჩვენ მიერ ამავე სახელით (ტფ. 1913 წ.). მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამოცემაში შეტანილია საკათალიკოზო ყმებიც. სახელდობრ დარჩელის სასახლის მიმდგამი კაცები და ამის შემდეგ მიმყოფი ყმები (გვ. 26—45) უკვე საკათალიკოზო არიან. ეს სჩანს, სხვათა შორის, საკათალიკოზო დავთრის ბოლოში მოლაშქრეთა მოთავსებულ სიიდან. ამ სიაში მოჩვენებულია გარდა საკათალიკოზო მოლაშქრეთა ხონის, ცაიშის და ჯუმათის საყდრების მოლაშქრეებიც (მალაქია კათალიკოზი ხონელ—ცაიშელ—ჯუმათელიც იყო). საცაიშლო აზნაურისშვილი და მსახური აქ ნაჩვენებია 63, ხოლო დარჩელისა (ცალკე) — 85 და შემდეგ სხვა საკათალიკოზო სოფლებისაც რიცხვობრივად (აუხაზ. საკათალ. გლეხების დიდი დავთარი, 46).

5 კომლი უნდა იყოს აზნაური (გვ. 11—12). მართებს 4 კომლს თითოს „კარგი საქმელი, რა რიგადცა თავი ესახელებოდეს“ და ერთს — „ზროხიანი საქმელი“. ეს მეკომურები ნუსხის ბოლოში არიან დასახელებულნი. დანარჩენ 49 კომლთაგან მართებს 2 კომლს მარტო გოქკუმური<sup>1</sup> კარგი საქმელი და 3 კომლს—საკლავი ღომით და ღვინით, 28 კომლს—სხვა ბეგარას გარდა ჩვეულებრივი გოქკუმური, ხოლო 21 კომლს—აგრეთვე სხვა ბეგარას გარდა „გოქკუმური კარგი საქმელი“. დასახელებული 2 და 3, სულ 5 კომლი უნდა იყვნენ ჩვენის აზრით მსახურნი, დანარჩენნი კი—მოინალენი.

აგრევე „ცაიშის (სასახლის) მიმდგამი კაცი“ (დავთრის მეორე ნაწილი) წარმოგვიდგენს 110 კომლს. ამათში 1 კომლი არის აზნაური (მართებს „საქმელი, რა რიგადცა თავი ესახელებოდეს“, გვ. 23), 1 კომლი უნდა იყოს აზნატი (მართებს „გოქკუმური კარგი საქმელი, რა რიგადცა თავი მოსწონდეს და ესახელებოდეს“, გვ. 25), 25 კომლი უნდა იყოს მსახური (მართებთ მარტო გოქკუმური კარგი და ჩვეულებრივი, 1 მათგანი, იხ. გვ. 21—22,—სატრაპეზო თევზით). დანარჩენი 83 კომლი, სხვადასხვა ბეგარის გარდამხდელი, უნდა იყოს მოინალე.

ამის დაგვარად საცაიშლო ყმები 1622 წ. უღრის 164 კომლს, მათ შორის 6 კ. აზნაური (3,65%), 1 კ. აზნატი (0,6%), 30 კ. მსახური (18,5%), დანარჩენი 127 კ. (77,25%) არის მოინალე. თუმცა ეს ცნობები ეხება ერთი სამფლობელოს ყმებს. მაგრამ ოდიშის მოსახლეობის XVII ს-ნეში სოციალური დანაწილების გასათვალისწინებლად მას, ექვს გარეშეა, აქვს თავისი მნიშვნელობა. კერძოდ საყურადღებოა აქ, შედარებით 1860 წ. მთელი სამეგრელოს შესახებ არსებულ ცნობებთან, აზნაურების შედარებითი სიმცირე (3,65% ნაცვლად 8,13%-ისა).

1622 წ. საკათალიკოზო მოლაშქრეთა ნუსხის მიხედვით საცაიშლო აზნაურისშვილი და მსახური ყოფილა 63. ამგვარად 36 კომლზე ითვლებოდა 63 მოლაშქრე ანუ, ქართლის ნუსხების გამოთქმით<sup>2</sup>, 63 თავი. კომლზედ ამნაირად მოდის 1,75 თავი. საამილახვროს სასარდლოში XVII ს-ნის მეორე ნახევარში მოდიოდა 688 კომლზე 1115 თავი<sup>3</sup>, ე. ი. კომლზე 1,62 თავი. მართალია, XVII ს-ნის მეორე

<sup>1</sup> ეხლანდელს მეგრულში არის სიტყვა გოქკომური, რომელიც ნიშნავს საქამადს, ხოლო გოქკომილი ან გოქკომირი ნიშნავს გამოკმულს, ალაგ-ალაგ შეკმულს. XVII ს-ნეში ოდიშში გოქკუმური უღრიდა, როგორც სჩანს, იმერეთში ხმარებულ ხადილ-ს.

<sup>2</sup> XVII ს-ნის შესახებ იხ. ს. კაკაბაძე, საამილახვროს დავთარი მე-17 ს-ნის მეორე ნახევრისა (ტფ. 1925 წ.) და მე-18 ს-ნის დავთრები,—ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართვე. სტატისტიკ. აღწერილობისა მე-18 ს-ში.

<sup>3</sup> ს. კაკაბ., საამილახვროს დავთარი..., გვ. V.

ნახევარში მოლაშქრეთა აღრიცხვა უკვე სხვა წესით სწარმოებდა, ვიდრე 1622 წ. დას. საქართველოში. სახელდობრ 1622 წ. დას. საქართველოში მოლაშქრეებად აღრიცხებოდნენ აზნაურნი, აზატნი და მსახურნი, ხოლო XVII ს-ნის მეორე ნახევარში ქართლში უკვე განმრქიციებულად სიანს ახალი წესი—მოლაშქრეებად ყველა ყმების აღრიცხვაზე აღებისა, მაგრამ დასახელებულ ცნობას მაინც ის მნიშვნელობა აქვს, რომ რეალურად აყენებს საკითხს კომლის მოცულობის შესახებ შიდა-ქართლსა და ოდიშში XVII ს-ნეში. ორსავე მხარეში კომლის მოცულობის მხრივ დიდი განსხვავება არ ყოფილა<sup>1</sup>.

საბოლოო ჯამად საცაიშლო ხევთის სასახლის მიმდგამის კაცების ბეგარა დავთარში (გვ. 45) ნაჩვენებია: 4 ძროხა, 144 საკლავი, 44 ქათამი, 32 პური, 266 ლიჯიბი ღომი, 420 ფოხალი ღვინო. მაგრამ აღრიცხვით დავთარში მოხსენებულ მოინალეთა ბეგარა (ხევთის სასახლის მიმდგამი კაცებისა) უდრის: 160  $\frac{1}{2}$  ლიჯ ღომს, 84 კოკა და 92  $\frac{1}{2}$  ფოხალი ღვინოს, საკლავის რიცხვი არის 50, ქათმის 44 და პურის 32. განსხვავება, ცხადია, მიეკუთვნება გოჭკუმურებს. გოჭკუმური სულ აქ მართებდა, კარგი—21 კომლს და ჩვეულებრივი 25 კომლს. 5 კომლს აზნაურს მართებდა კარგი საქმელი და სამ კომლს გლეხს არა გოჭკუმური, არამედ საკლავი ღომით და ღვინით. სულ ამ გოჭკუმურებზე აზნაურებიანათ მოდის 105  $\frac{1}{2}$  ლიჯი ღომი, 243  $\frac{1}{2}$  ფოხალი ღვინო<sup>2</sup> და 94 საკლავი.

ანგარიშით გამოდის, რომ კარგი გოჭკუმურზე ჩასათვლელია 5 ფოხალი ღვინო, ჩვეულებრივზე 4 ფოხალი, ღომი კი საერთოდ

<sup>1</sup> ამისდა მიხედვით და აგრეთვე ზოგი მოსაზრებების გამო ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია საკითხი კომლის მოცულობის შესახებ დას. საქართველოში XVII—XVIII ს-ნეში გადასინჯულ იქნას (კომლის ამ მოცულობის შესახებ იხ. ს. კაკაბ., მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 ს-ნეში, საისტ. მ-ბე, 25 წ. I, 197—199) იმ მხრივ, რომ, როგორც ირკვევა, კომლის მოცულობა ლიხთ-იმერეთში XVI—XIX ს-ნის პირვ. ნახევრის სიგრძეზე შესამჩნევ ცვალებადობას საერთოდ არ განიცდიდა და თითქმის ერთს დონეზე იყო (მცირეოდენი მხოლოდ დაკლების ტენდენციით).

<sup>2</sup> ღვინის რაოდენობის გამონაგარიშებისას აქ კოკა მიღებულია ფოხალის შესატყვისად. დასამატებლად ჩვენს შრომაში ქართ. მეტროლოგია, საისტ. მ-ბე 25 წ. I, გვ. 60 (აქ დაშვებულ კორექტურულ შეცდომის შესასწორებლად აღვნიშნავთ, რომ ფოხალი რაქაში მე-19 ს-ნის ნახევარში უდრიდა 5 ოყას, ანუ 16 გირვ. 62 მისხ. 92 დოლიას: შეცდომით დაბეჭდილია: 50 ოყა და 16 ფუთი) მოყვანილ ცნობებისა ფოხალის ოდენობის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ოდიშში მე-17 ს-ნეში ფოხალი უდრიდა კოკას. ეს გარკვევით სიანს კალაის სასახლის მიმდგამის კაცების ბეგრის მეორე ნახევრიდან (აფხაზ. საკათალ. დავთ., 38—40). აქ სახელდობრ ღვინო კომლობრივ აღნიშნულია 54 კოკა და 17 ფოხალი, ხოლო ჯუმაღში კი (გვ. 40) მთელი ეს გამოსავალი აღნიშნულია 69 ფოხალი (აქვე ჩამატებული იყო სიტყვა კოკა). ამისდა მიხედვით ფოხალი ამ დროს ოდიშში კოკის ფარდად სიანს.

2 ლიჯი. გარდა ამისა 3 კომლი (რომელთაც საკლავი ედვით ლომათ და ლვინით გამოიღებდნენ კომლზე 1 ლიჯს ლომს და 2 ფოხალ ლვინოს, ხოლო აზნაურთა საბეგრო „კარგი საქმელი“ შეიცავდა 2 ლიჯს ლომს და 6 ფოხალს ლვინოს.

94 საკლავი განაწილებული გამოდის თითო გოჭკუმურზე 2 საკლავი და ორი საკლავი კიდევ მოდის დასახელებულ 3 კომლს გლვებზე. აზნაურნი კი საქმელს იხდიდნენ ძროხით (5 კომლზე 4 ძროხა).

რაც შეეხება ცაიშის სასახლის მიმდგამ კაცების ბეგრებს, აქ ვხედავთ შემდეგს სურათს. ბეგრების საერთო ჯუმალია (გვ. 45) 6 ძროხა, 290 საკლავი, 76 ქათამი, 70 პური, 5 მრთელი თევზი, 511 ლიჯი ლომი, 792 ფოხალი ლვინო. კომლობრივი აღრიცხვით კი მოდის ლომი 265  $\frac{1}{2}$  ლიჯი, 14 ჯამი და 21 ოგორდულო; ლვინო 252  $\frac{1}{2}$  ფოხალი, 30 კოკა, 11 საწყავი. ჯამი უდრიდა 2,4 ლიჯს<sup>1</sup>, ხოლო ოგორდულოს ზომა არა სჩანს, მაგრამ ის უნდა ყოფილიყო, როგორც დავთრის ცნობების დაკვირვებიდან სჩანს, ლიჯის დაახლ.  $\frac{1}{2}$ . ამის მიხედვით კომლობრივი ბეგრების რიცხვია დაახლ. 310 ლიჯი ლომი, 293  $\frac{1}{2}$  ფოხალი (ფოხალი, კოკა და საწყავი ერთმანერთის ფარდად<sup>2</sup> არის აღებული) ლვინო. განსხვავება არის დაახლ. 200 ლიჯი ლომი და 498  $\frac{1}{2}$  ფოხალი ლვინო, ხოლო გოჭკუმური აღირიცხება კარგი—52  $\frac{1}{3}$  და ჩვეულებრივი—50. ამით გარდა არის 1 აზნ. და 1 აზატი. ამისდა მიხედვით გოჭკუმური საერთოდ შეიცავდა 2 ლიჯს ლომს (კოტა განსხვავება რიცხვში შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული); ხოლო თუ ლვინოს ხევთის მიმდგამის კაცების გოჭკუმურის მიხედვით ვიანგარიშებთ, მივიღებდით კარგ გოჭკუმურზე 5 ფოხალს და ჩვეულებრივზე 4-ს და სულ 261,5 ფოხალს. რჩება კიდევ 37 ფოხალი. როგორც სჩანს, ლვინო ზოგ გოჭკუმურზე 5 და 4 ფოხალზე მეტიც მოდიოდა.

საკლავი სულ არის 290, ხოლო კომლობრივი ბეგრით კი მოდის 80,5 და ერთისა კიდევ ფულად გარდასახდელი. რჩება 209,5 საკლავი. თითო გოჭკუმურზე მოდის 2 საკლავი. მცირეოდენ ნაშთს

<sup>1</sup> იმავე ქალას გლვების ჯუმალი (აფხ. საკათალ. დავთ., 40) იძლევა 90 ლიჯი ლომს, კომლობრივად კი 54 ლიჯს და 15 ჯამს. ჯამი მაშასადამე უდრის 2,4 ლიჯს (შეად. ს. კაკაბ., ქართ. მეტროლოგია, დასახელ. ადგილ., 64).

<sup>2</sup> საწყავის ზომის შესახებ იხ. ს. კაკაბ., ქართ. მეტროლ., დასახელ. ადგ., 59—60.

<sup>3</sup> თუ სრული ანგარიშიდან გამოვალთ, 102  $\frac{1}{3}$  გოჭკუმური არის 201,6 ლიჯი ლომი. კომლობრივ ბეგრებზე რჩება (511—204,6=) 306,4 ლიჯი ლომი. მაშინ 21 ოგორდული გამოდის 7,3 ლიჯის შესატყვისი. ოგორდული გამოდის ლიჯის დაახლ. ერთი მესამედი.



მნიშვნელობა არა აქვს, რადგან საბეგრო დავთრებში ხშირად არის მცირეოდენი რიკხეობრივი განსხვავება მოცემულ ცნობების მიმართ.

ამისდა მიხედვით საკმაოდ კარგად ირკვევა საცაიშლო გლეხის ბეგრიანობა 1622 წლის ახლო ხანებში. გარდამხდელობის შეძლებიანობის შესადარებლად ჩვენ ავიღებთ სუმმარულ ციფრებს. სულ 157 კომლი საცაიშლო მსახური და მოინალე იხდიდა ბეგარას. 767 ლიჯი ღომს, 1182 ფოხალ ღვინოს, 434 საკლავს, 120 ქათამს, 102 პურს, 5 მრთელ თევზს. ყველაფერ ამისი ზედმიწევნით ფულზე გადატანა ადვილი არ არის, მაგრამ ხონის გლეხების შესახებ (ზემოდ. გვ. 27—28) აღებულ ცნობების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ 767 ლიჯი<sup>1</sup> ღომის ფასი (10 ლიტრიანი კოდის ანგარიშით) 3,070 თეთრი, 1182 ფოხ. ღვინო—ამდენივე თეთრი, 434 საკლავი—5208 თეთრი, 120 ქათამი—84 თეთრი, 102 პური<sup>2</sup>—10,2 თეთრი, 5 მრთელი თევზი (მთელი თევზის საკლავის შესატყვისად მიღებით)—60 თეთრი, სულ 9614,2 თეთრი. კომლზე მოდის ბეგარა 61,2 თეთრის ღირებულობის, საკლავზე გადატანით 5,1 საბეგრო საკლავის ღირებულობის.

შედარებიდან ცხადად სჩანს, რომ საცაიშლო გლეხების გარდამხდელობითი შეძლებიანობა 1622 წლისთვის ნაკლები ყოფილა, ვიდრე ამაზე წინად ხონის გლეხებისა იყო.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საცაიშლო გლეხებს სდებია გარდასახადი მხოლოდ ნატურით, ფულით გარდასახადი სრულებით არ სჩანს.

V

საცაგერლოს ყმები XVI—XVII ს-ნის მიჯნაზე.

საცაგერლოს ყმების დავთარი, რომელიც მიეკუთვნება 1580—1610 წლის ახლო ხანებს<sup>3</sup> და რომლის ტექსტი მოწვენილია ნაკლულევანად, წარმოადგენს საყურადღებო მასალას დას. საქართველოს ერთი კუთხის ყმების მდგომარეობის შესასწავლად განსახლებრულ ხანისთვის. სულ დავთრის ნაკლულევან ნაწილში მოხსენებულია 58 კომლი და 6 პარტახტი. პარტახტების ეს შედარებითი სიმრავლე და

<sup>1</sup> ლიჯი უდრიდა დაახლ. 1,3 ლიტრას (ს. კაკაბ., ქართ. მეტროლოგია, დასახელ. ადგ., 65).

<sup>2</sup> თითო საბეგრო პური ქართლში 1520 წ. გორული ჩარქეს იწონიდა. 1808 წ. მამია გურიელის ნიხრით საწყაევი (=კოკა) ღვინო და ბათმანი პური ერთნაირად ფასობდა (1 რუბი). ბათმანში ორი ლიტრა (8 ჩარქეი) იყო. ქართული პური ცხოზაში 1/4-ს მატულოვს, მაშასადამე (კოკა ღვინოს ფასის 1 თეთრის მიღებით) ერთი პურის ფასი მე-17 ს-ნისთვის გამოდის 0,1 თეთრი.

<sup>3</sup> ს. კაკაბაძე, საცაგერლოს გამოსავლის დავთარი, ტფ. 1914 წ., ტექსტი 3—8, დათარღილება გვ. 16.

აგრეთვე პარტახტების სახელდებით (გვარის და სახელის ჩვენებით) მოხსენიება გვიჩვენებს, რომ დაეთარი შედგენილია მოსახლეობის დაკლების ხანაში რაიმე დიდ სენის (მაგ., უამის) ან სიმშობის შემდეგ.

საცაგერლოს ყმები შეიძლება გაყოფილ იქნას ორ ნაწილად: ერთნი, რომელთაც გარდა სხვადასხვა ბევრისა (ღვინო, პური, ღომი, საკლავი და სხ.) მართებს ტვირთი და მუშაობა. მეორეთ კიდევ არ მართებთ ტვირთი და მუშაობა, არამედ პურის ჭამა და სამსახური. დეტალურად ეს ვალდებულებანი, გარდა სხვადასხვა ბევრისა, განაწილებულია შემდეგნაირად:

უცნობი სოფელი (თავში ტექსტს აკლია და სოფლის სახელი არ სჩანს): 7 კომლი. მართებს ყველას, ბეგარას გარდა, პურის ჭამა, ტვირთი და მუშაობა. ეს შვიდი კომლი, ცხადია, არის მოინალე.

ჩხუტელს არის 8 კომლი. ყველას მართებს პურის ჭამა, ტვირთი და მუშაობა. არიან, მაშასადამე, მოინალენი.

უსახელოს არის 4 კომლი, საფიქრებელია მსახური. მართებთ: 1 კომლს—პურის ჭამა და ლაშქრობა, 3 კომლს—პურის ჭამა და სამსახური.

ნაკურალეშს—11 კ. და 3 პარტახტი, ყველანი, როგორც სჩანს, მსახური. მართებს 6 კომლს (ცაგერლის) პურის ჭამა, (საყდრის) სამსახური და მეფის ლაშქრობა, 3 კომლს—პურის ჭამა და სამსახური, 1 კომლს—პურის ჭამა და ლაშქრობა, 1 პარტახტს—პურის ჭამა, სამსახური და მეფის ლაშქრობა, 2 პარტახტს—პურის ჭამა და სამსახური, 1 პარტახტს პურის ჭამა.

აღუს არის 1 კომლი მოინალე, მართებს პურის ჭამა, მუშაობა და ტვირთი.

ლახეფას არის 9 კომლი მოინალე და 3 მოინალის პარტახტი. მართებს ყველას პურის ჭამა, მუშაობა და ტვირთი.

ოყურეშს არის 16 კომლი მოინალე და 1 კომლი აზნაური<sup>1</sup>. აზნაურს მართებს კარგი პურის ჭამა, მოინალეებს: 4 კომლს პურის ჭამა, ტვირთი და მეფის ლაშქრობა, 2 კომლს—პურის ჭამა და ტვირთი, 10 კომლს—პურის ჭამა, ტვირთი, მუშაობა, მეფის ლაშქრობა. 1 კომლის ვალდებულება, ტექსტის დეფექტიანობის გამო (ბოლოში), არა სჩანს.

სულ საცაგერლოს ყმები (გარდა ტექსტის ბოლოში დასახელებულ ერთი კომლისა) დაეთარში მოხსენიებულია: 1 კ. აზნაური. 41 კ. მოინალე, 15 კ. მსახური, 6 პარტახტი (სამი მსახურის და 3 მოინალის).

<sup>1</sup> ეს აზნაური უნდა იყოს მანოელ ყრუაშვილი (გვ. 8). ტექსტს აქ აკლია, მაგრამ ცხადია, რომ ყრუაშვილის ვალდებულება გამოხატულია შემდეგნაირად: მართებს [კარგაკობით] პურის ჭამა.

მთელი ბევარა 60 კომლის (გარდა 1 აზნაურის, 1 კომლის შოა-ლაპესი, რომელსაც ბევარა არ ედვა და კიდევ 1 პარტახტისა, რომელსაც ბევარათ ემართა ცხვარი საჭმელით) უდრიდა შემდეგს: ღვინო 314 გორო და 1 კასრი, პური: 360 ფოხალი, 16 გორო, 11 კაბიწი, 53 პური, ღომი 85 ფოხალი, 1 ფოხალი ცერცივი, 79<sup>2</sup>/<sub>3</sub> საკლავი 1012 თეთრის (11<sup>2</sup>/<sub>3</sub> საკლავის ფასი არაა დასახელებული, ვანგარიშობთ საკლავზე 12 თეთრს), 72<sup>2</sup>/<sub>3</sub> ქათამი, ყველი 18 თეთრის, 1<sup>1</sup>/<sub>3</sub> ძროხა, 1 ბატკი, 12 თეთრის სანთელი, ფულად 66 თეთრი. ფულზე გადატანით ყველაფერი ეს დაახლ. უნდა უდრიდეს<sup>1</sup>: ღვინო 629 თეთრის, პური 1455,3 თეთრის, ღომი 140,25 თეთრის, საკლავი 1012 თეთრის, ქათამი 50,8 თეთრის, 1<sup>1</sup>/<sub>3</sub> ძროხა და ბატკი დაახლ. 60 თეთრის, 1 ფოხ. ცერცივი რჩება ანგარიშს გარეშე, დანარჩენი—96 თ., სულ 3443,3 თეთრის, ანუ დაახლ. 3450 თეთრის. კომლზე მოდის 57,5 თეთრის ბევარა, ანუ 4,8 საკლავის ღირებულობის. გარდა ამისა გლეხებს ედვა, როგორც მოვიხსენიეთ, სხვადასხვა ვალდებულება (პურის ქამა, მუშაობა, ლაშქრობა, სამსახური და სხ.)

საცაგერლოს ყმების დაეთარი ამასთანავე გვიჩვენებს, რომ ლეჩუმში, ამ ერთი მხარის მიხედვით, პურს ბევრად მეტი ხვედრითი წონა ჰქონდა ადგილობრივ სასოფლო მეურნეობაში, ვიდრე ღომს და ამით ეს მხარე თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა დას. საქართველოს დანარჩენ კუთხეებისაგან.

## VI

### მანთხოჯის გლეხები XVII—XVIII ს-ეში და XIX ს. დასაწყ.

მანთხოჯს (ქვემო-იმერეთში) აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდს დაეთარში (გვ. 12—15) მოხსენებულია სულ 30 კომლი საკათალიკოზო ყმა და 1 პარტახტი. კათალიკოზის მოლაშქრეთა სი-აში მახსენებულია „მანთხოჯს აზნაურისშვილი და მსახური 19“ (გვ. 46). თვით დაეთარში აზნაურშვილი არაა მოხსენებული, ალბად იმ მიზეზით, რომ მას ბევარა არ ედვა. ჩამოთვლილ 30 კომლს და 1 პარტახტს მართებს: ურემი ღომი ყველას პარტახტის გარდა და გარდა ამისა მეტნაკლებობით ყველას სხვადასხვა ბევარა (ღვინო, საკლავი, ცეხილი ღომი, ზოგს თეთრიც და სხ.). 12 კომლს მართებს ბარგის ზიდვა, 7 კომლს მგზავრობა, 1 კომლს მგზავრობა და წიგნის

<sup>1</sup> ფოხალი იანგარიშება, თანახმად საბას ცნობისა, კოდის ნახევრად (თუმცა ოდიში, როგორც ვნახეთ, ამ ხანებში ფოხალი კოდს უდრიდა). გორო, საბათი, შეიცავდა 16 დოქს, კოკა კიდევ—8 დოქს, მაშასადამე გორო უდრიდა 2 კოკას, რესპ. კოდს. კაბიწი არის 8 კოდი, კასრი ერთი კოდი (ს. კაკაბ., ქართ. მეტროლოგია, დასაჯელ. ადგ., 68, 78). ფასები აღებულია ისეთივე, როგორც ქუთაისის და ხონის ბ. გრების ანგარიშის დროს.

ზიდვა, 1 კომლს მგზავრობა და ბარგის ზიდვა, სულ არის ამგვარად 21 კომლი მოინალე. დანარჩენი 9 კომლი კი არის მსახური (პარტახტიც მსახურისა უნდა იყოს). თუ მანთხოჯის გლეხების ნუსხა მართლაც 1622 წლისთვის არის შედგენილი და უფრო ძველი ნუსხიდან არ არის გადმოწერილი, მაშინ მივიღებთ, რომ 9 კომლს მსახურზე და კიდევ აზნაურშიღზე (არ სჩანს, რამდენი კომლი იყო; როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს აზნაური, რატიანი გვარად, XVII ს-ნეში და 1819 წ. წარმოდგენილი იყო 1-2 კომლად) მოდიოდა 19 მოლაშქრე.

საეკლესიო გლეხთა ვითარების ცვალებადობის გასათვალისწინებლად მნიშვნელობა აქვს მანთხოჯის საკათალიკოზო გლეხების ერთს ნუსხას, რომელიც, გარეგან თვისებების მიხედვით (ხელი და ნიშნები) XVIII ს-ნის პირველ ნახევარს, დაახლოებით 1720—1740 წლის ახლო ხანებს მიეკუთვნება. ეს ნუსხა, დაცული საქ. ცენტრ-არქივში (№ 1512), დაწერილია ქაღალდზე, ნიშნად იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ 2 წერტ., უფრო იშვიათად 1 წერტ. და წარმოგვიდგენს შემდეგს ტექსტს:

- ქ აზნეურშიღი იოსე რატიანი.
- ქ არის მათხოჯს მეზროხე კაცი.
- ქ მამუკა ადამია.
- ქ გიორგი ადამია.
- ქ დავით ადამია.
- ქ კაცობა ადამია.
- ქ მამუკელა ადამია.
- ქ ბუხულია ადამია.
- ქ სვიმონა ადამია, მახარობელი ადამია.
- ქ შუშუა ფირცხალავა, ახლად ამოკუთილი.
- ქ მახარა ფირცხალავა.
- ქ მამისთვლი ბარაბაძე.
- ქ მამუკა ბარაბაძე.
- ქ გონიერი ბარაბაძე.
- ქ კუტა ადამიას ნახევარი.
- ქ ხახუტა ფიკელია ძმითურთ.
- ქ ეს აზატი კაცი. აწ ამას გარდა მესეფე კაცი.
- ქ მათე ბარაბაძე.
- ქ ივანე ბარაბაძე.
- ქ მამგულა ბარაბაძე.
- ქ კაცობელა ბარაბაძე.
- ქ გიორგი ბარაბაძე.
- ქ ივანე ლებაძე.
- ქ მაჭუკაცა ბარაბაძე.

- ქ გონიერი ჩიმაგაძე.
- ქ კაცობელა ფირცხავა (sic.)
- ქ ხახუტა კარსანიძე.
- ქ ქუჭუა მელაძე.
- ქ ქუჭუა გვარამია.
- ქ ბაჩუა დოჭვირი.
- ქ მამა დოჭვირი.
- ქ ხახუტა ადამია.
- ქ დათუნა ადამია.
- ქ მამისთვალა ადამია.
- ქ გიორგი ხუროძე.
- ქ ბუჭუელა ხუროძე.
- ქ საყვარელა ადამია.
- ქ მამისთვალა დოჭვირი.

ესენი ვინ მეტურმეულე. ქახლა ურმეული  
ამოკვეთილი.

- ქ სტეფანე ბარამაძე.
- ქ გონიერი კარსანიძე.
- ქ ამას გარდა ხატის კაცი.
- ქ გიორგი ბარამაძე.
- ქ მახარობელი მელაძე.
- ქ ორი კარსანიძენი.
- ქ ოთხი ჩიმაგაძე.
- ქ და მეხუთე სვიმონ ჩიმაგაძე.
- ქ ერთი ჭყონიას კაცი.
- ქ ერთი სვიმონ ჩიმაგაძის კაცი.
- ქ მათხოჯს ჩვენ(ი) ხელშესავალი კაცი. არის  
მეთევზე.
- ქ ორი ფირცხალავა.
- ქ ერთი კარსანიძე.

სულ ნუსხაში ნაჩვენებია 50 კ., ე. ი. იმდენი, რამდენიც XVII ს-ნის (საფიქრებელია მეორე ნახევრის) ერთს ნუსხაში<sup>1</sup>.

ნუსხის თვით თავში ჩამოთვლილია 14 კომლი, რომელთაც მართებდათ 13<sup>1</sup>/<sub>2</sub> ზროხა და მეზროხეებად იწოდებოდნენ. ჩვენის აზრით, ეს მეკომურები მანთხოჯის ძირითად საკათალიკოზო ყმებს არ ეკუთვნოდნენ, არამედ შემდეგ შეწირული არიან საალაპოდ. 1628 წ. ლევან II დადიანის მიერ მიცემული ერთი სიგელი, მაგ, პირდაპირ

<sup>1</sup> ნაგულისხმევი მოკლე ნუსხა აღნიშნავს მანთხოჯში საკათალიკოზო 50 კომლს კაცს ორი აზნაურის შვილით (აფხაზ. საკათალ. დავთ., 58).

უჩვენებს, რომ მეზროზე კაცი საალაპოდ იყო განკუთვნილი<sup>1</sup>. ნუსხა ამასთანავე ასახელებს მეზროზეთა შორის 7 კომლს მარტო ადამიას გვარისას. 1622 წლის დავთარი კი წარმოგვიჩენს მარტო ერთს კომლს მოინალეს ადამიას (გვ. 15), რომლის შესატყვისად ნუსხაში მოხსენებულია 2 კ. ადამია მესეფე.

ამ, საფიქრებელია მოალაპე, მეზროზე კომლთა გამოკლებით რჩება საკათალიკოზო ყმების ძირითადი სია, რომელიც უნდა წარმოადგენდეს 1622 წლის ყმების პარალელს მცირეოდენი ცვლილებებით. ან დამატებებით (რომელიმე საკომლოს ახალი მეპატრონის დაყენებით ან ახლად მოპოებულ მეკომურის მომატებით). სულ ნუსხაში ნაჩვენებია 21 მესეფე გლეხი, რომელნიც მეურმეულეც (ე. ი. ურმეული ღომის გარდამხდელი) უნდა ყოფილიყვნენ, კიდევ სხვა 2 მესეფე გლეხი, რომელთაც ურმეული ახლად ამოკვეთილი ჰქონიათ, 11 კომლი ხატის-კაცი, 3 კომლი მეთევზე.

მესეფე გლეხები არიან იგივე მოინალე, ხატის-კაცებად დასახელებული გლეხები შეიძლება, ჩვენის აზრით, იყვნენ მსახურნი, მეთევზენი კი—მოჯალაბეები.

ნუსხა ადასტურებს მებეგრე გლეხთა მდგომარეობის ცვალებადობას: 2 კომლს ურმეული უკვე ამოკვეთილი აქვთ და, როგორც სჩანს, „ხატის-კაცებსაც“ (იგულისხმებიან მსახურნი) ურმეული უკვე არ ემართათ, მაშინ როდესაც 1622 წ. ნუსხაში ურმეული მანთხოჯის ყველა საკათალიკოზო ყმას ადევს.

საყურადღებოა ტერმინი მესეფე, რომელიც XVIII ს-ნეში იმერეთში თანდათან განმტკიცდა მებეგრე გლეხის (მოინალეს) ექვივალენტად. ტერმინი მესეფე უნდა იყოს ძველი წარმოშობის და იმერეთშიდაც ის, საფიქრებელია, XVIII ს-ნეზე ადრეც უნდა ყოფილიყო ხმარებაში (თუმცა საბუთებში ეს დადასტურებული არ არის). ამისი მაჩვენებელი უნდა იყოს სასიხლო სიგელებში სეფე-ქალის მოხსენიება (XV—XVI ს.)<sup>2</sup>. სასიხლო სიგელების სეფე-ქალის რაობა გარკვევით არ სჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ სეფე-ქალი XV—XVI ს-ნეებში იყო მეპატრონის სახლში შინ მოსამსახურე და ნდობით აღჭურვილი ქალი. 1689 წლის ერთი საბუთის მიხედვით ქართლში ამ დროს ჯერ კიდევ იხსენიება სეფეობა, როგორც, საგულისხმებელია, ბარვის და მკის ვალდებულების გამომხატველი სიტყვა. XVIII ს-ნეში ქართლში ეს ტერმინი, როგორც სჩანს, თანდათან

<sup>1</sup> „ექვსმან მეზროზემან კათალიკოზსა კარგსა ძღვენსა ზოართმიდეს, ვითაც ზ(რ)ოხა მართებს სალაპოდ, ამისთვის ბეგარა არ გაგვიჩენია“; სწერს ლევან დადიანი სოფ. ლალიძგის გლეხების შესახებ (ს. კაკაბ., დას. საქ. საეკ. საბ. I, 42—43).

<sup>2</sup> სეფე-ქალი იხსენიება ალბულას კანონებშიც (§ 24).

<sup>3</sup> იხ. ქვემოთ, გივი ამილახვრის მიერ მიცემული საბუთი.

ქრება და სამაგიეროდ მტკიცედ ფეხს იკიდებს იმერეთში. ქვემოთ დაბეჭდილ ჯრუჭის მონასტრის გლეხების საბევრო ნუსხიდან სჩანს, რომ სეფეობა იმერეთში პირდაპირ ნიშნავდა ყანის მუშაობას. მესეფე გლეხი მაშასადამე არის გლეხი, რომელსაც ვალად ედვა ყანის მუშაობა.

მანთხოჯის საკათალიკოზო გლეხების რაობა XIX ს-ნის პირველ მეოთხედში ცხადად სჩანს 1819 წლის კამერალურ აღწერის ცნობებიდანაც (ქვემოთ, გვ. 91). ვინაობას მხრივ 1819 წელს მანთხოჯში საკათალიკოზო ყმები (აღწერაში საქუთათლოდ წოდებული) ყოფილა: აზნაური ბუჭუა რატიანი, გლეხები - 7 კომლი ბარაბაძე, 6 კ. მელაძე, 2 კ. ხუროძე, 3 კ. ადამია, 4 კ. ფირცხალავა, 2 კ. ჩიმაკაძე, 2 კ. კარსანიძე, 1 კ. დოჭვირი, 1 კ. ფიოლია. შედარებიდან ცხადად სჩანს, რომ აქ წარმოდგენილია მანთხოჯის საკათალიკოზო ყმები გარდა ზემოდ მოყვანილ ნუსხაში მოხსენებულ მოალაპე გლეხებისა. მოალაპე გლეხები, როგორც სჩანს, შეწირულნი იყვნენ სპეციალური დანიშნულებით და საკათალიკოზო ყმების ძირითად სიაში არ იგულისხმებოდნენ.

მოსახლეობის რიცხვის ცვლებადობის თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ XVI ს-ნის პირველ მესამედში მამია დადიანის დროს (საკათალიკოზო დიდ იადგარის მიხედვით) მანთხოჯში არის 1 აზნაური და 40 კომლი გლეხი (ალბად მოალაპეთა ჩათვლით), 1622 წლისთვის მანთხოჯში ყოფილა 30 კომლი საკათალიკოზო გლეხი, XVIII ს-ნის პირველ ნახევარში (ახლების მიმატებით) 37 კომლი და 1819 წ. (1811—1812 წლის ჟამის შემდეგ) მხოლოდ 28 კომლი.

## VII

### ჯრუჭის მონასტრის ყმები 1809 წ.

გლეხების გარდასახადთა ვითარების გასარკვევად ფრიად საყურადღებოა 1809 წელს ჯრუჭის მონასტრისთვის დანაშადებულ სიგელის პროექტი (საქ. საისტ.-საეთნ. მუხ. № 1,329), რადგანაც ამ საბუთის ტექსტი წარმოგვიდგენს ჯრუჭის მონასტრის ყველა ამ დროინდელ გლეხების სიას ვალდებულებათა სათითაოდ ჩამოთვლით.

სიგელი, როგორც სჩანს, ყოფილა შედგენილი მეფისთვის დამტკიცების მიზნით წარსადგენად, მაგრამ დამტკიცებული არ ყოფილა. ხელისმოწერანიც ტექსტის ხელით, მაშინ მიღებულ წესის მიხედვით, დამზადებული იყო და საჭირო იყო მხოლოდ ბეჭდების დაკრვა.

მიზეზი სიგელის დაუმტკიცებლობისა უნდა იყოს ის, რომ ჯრუჭის და მღვიმეს მონასტერი მათი გლეხებით 1805 წლის 26 აპრილის

სიგელით დამტკიცებული ყოფილა სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელზე და მის სახლზე. წინადაც, როგორც სჩანს, ეს მონასტერი მათ მფლობელობაში იყო<sup>1</sup>. 1809 წ. მონასტერს მოუსურვებია მთლად დაედგინა თავი წერეთლებისაგან და, ალბად მეფის დასტურით, შეუდგენინებია ვრცელი სიგელი, რომელშიდაც გარკვევით მოხსენებულია, რომ წერეთელმა „არა ჰგონოს ყმანი უდაბნოსა ამისნი ვითარცა თვით საკუთარი თვისი და არა რომელსამე ჟამსა მოინებოს განყოფად ყმანი უდაბნოსანი რაოდენიც იქმნეს“ (ქვემოდ, გვ. 47). მაგრამ იმერეთის მდგომარეობა 1809 წელს ისეთი იყო, რომ ზურაბ წერეთლის ასე მძლავრად წყენინება მეფისთვის სასარგებლო არ იყო და ამით აიხსნება, რომ უკვე გარდაწყვეტილი საკითხი ჯრუჭის ყმების საკუთრივ მონასტრისთვის დამკვიდრების შესახებ მოიხსნა და სიგელიც დარჩა დაუმტკიცებელი<sup>2</sup>.

ჯრუჭის მონასტრის ყმების ვითარება ამ სიგელით 1809 წ. გვეხატება შემდეგ ნაირად: სულ არის 105 კომლი და 2 პარტახტი. 105 კომლში არის 1 კომლი აზატი (ყამის წირვის გარდამხდელი), 75 კომლი მესეფე გლეხი და კიდევ 5 კომლი, რომელთაც ბევარად რკინა მართებთ და რომელნიც ამავე კატეგორიის გლეხები უნდა იყვნენ, 21 კომლი მსახური. ამას გარდა არის 1 კ. მღვდელი და 2 კომლი ურია (ალბად ვაჭარი).

მესეფე გლეხებს მართებს 62 კომლს 418 კოკა ღვინო, პური 32 ფოხალი და 83 კოდი, ხორცი 6 მარჩილის (6 კომლს), ქათამი 21. ამათში მესაურე<sup>3</sup> არის 48 კომლი.

<sup>1</sup> საქართვე. მთავარმართებლის გენ. ერმოლოვის რაპორტი სენატისადმი 17 დეკ. 1821 წ. АКАК. VI, ч. I, стр. 421.

<sup>2</sup> სიგელი შესრულებულია ლამაზი ხელით გრძელს ქალაღდის გრაგნილზე (233×55 სანტიმ.). თავში სიგელს ამკობს მხატვრის დავით დიასამიძის მიერ შესრულებული წმ. გიორგის წინაშე მვედრებელ სოლომონ II იმერთა მეფის სურათი. დავით დიასამიძე ყოფილა, როგორც სჩანს, იმერეთში მცხოვრები ამ დროინდელი მხატვარი. მისივე შესრულებული უნდა იყოს ჯრუჭის მონასტრის მეორე სიგელში 1804 წლისა მინიატიურული კომპოზიცია აგრეთვე სოლომონ II-ის სურათით (საქ. საისტ.-საეთნოგრ. მუზეუმის საბუთი № 1529). ამავე დ. დიასამიძეს უნდა ეკუთვნის მხატვრული კომპოზიცია მოწამეთა დავით და კონსტანტინეს გამოსახვით 1795 წლის 12 ოქტომბერს მოწამეთის მონასტრისადმი სოლომონ II-ის მიერ მიცემულ სიგელში (საქ. ცენტრარქივი № 7140).

მხატვარი დავით დიასამიძე, 1819 წლის ცნობებით (1819 წლის აჯანყების საქმე, საქარ. ცენტრარქივი, ნუსხაში აქ დ. დიასამიძე დასახელებულია როგორც *Ильинский*) ცხოვრობდა სოფ. ფარცხანაყანევეში, იყო 48 წლისა. მის ოჯახში მამობრივი სქესის სხვა წევრთ ნუსხა არ იხსენიებს. წოდებით იყო საეკლესიო (საქუთათლო) აზნაური, ყმა ყავდა 3 კომლი გლეხი (13 ს. მამრი).

<sup>3</sup> საური იყო ფულით გარდასახადი. ამ ტერმინის შესახებ იხ. ს. კაკაბ., მასალები იმერეთის სახელმწ. მდგომარ. შესახებ მე-17 ს-ნეში, საისტ-მ-ბე 25 წ. I 189, შენ.



მესეფე გლეხთა შორის 26 კომლს მართებს კვირაში ორი დღის სეფეობა. (მუშაობა), დანარჩენთა სეფეობის (მუშაობის) დღეები განსაზღვრული არ არის. 14 კომლის შესახებ პირდაპირ ნათქვამია— მართები ყოველ დღე სეფეობა-ო.

მსახურთ მართებთ: 2 კომლს მხოლოდ მსახური, 1 კომლს ხაბაზობა, 1 კომლს—6 კოკა ღვინო, 12 კოდი პური, 2 ქათამი, 1 მარჩილის ხორცი, საური; 2 კომლს მართებს ერთად 7 კოკა ღვინო, 2 კოდი პური, 4 კოდი ქერი, 4 ქათამი, 12 რუბის ხორცი; 3 კომლს მზარეულობა; 3 კომლს—თითოს 8 კოდი ქერი, 2 ლიტრა ყველი, საური; 2 კომლს—ორ-ორი რუბის ხორცი; 1 კომლს—2 ლიტრა ყველი, 8 კოდი ქერი; 1 კომლს—მეჯინიბობა, 1 კომლს—1 ჩარეკი ერბო, 2 ლიტრა ყველი, საური; 2 კომლს—თითოს 5 კოკა ღვ., 3 კოდი პური, საური; 1 კომლს—8 კოკა ღვ., 2 კოდი პური, 2 ჩარეკი სანთ., მსახური, საური. 1 კომლს—12 კოკა ღვინო და მსახური.

ასეთი იყო საერთოდ ჯრუჭის მონასტრის გლეხების დაბეგვრა მონასტრის სასარგებლოდ 1809 წ.. აქ არ არის მოხსენებული, ედვა თუ არა გლეხებს გარდასახადი წერეთლების სასარგებლოდ. როგორც შემდეგ დავინახავთ, ანალოგიურს (ჯრუჭის მონასტერთან) მდგომარეობაში მყოფ კაცხის მონასტრის გლეხებს ედვათ მებატონე აბაშიძეების სასარგებლოდ საუდიერო (სურსათით გარდასახადი). საფიქრებელია, რომ ასეთივე გარდასახადი ედვა ჯრუჭის ყმებსაც წერეთლების სასარგებლოდ. 1821 წლის ცნობის მიხედვით (იხ. აქვე ქვემოთ) ეს ასეც არის საგულისხმებელი.

მოსახლეობის მოძრაობის დასახასიათებლად საინტერესო იქნებოდა 1821 წლის ცნობა,—ამ დროს მონასტერს ჰყავდა 130 კომლამდის ყმა-ო<sup>1</sup>, რომ დანამდილებით იყოს ცნობილი, ეს რიცხვი მართო ჯრუჭის ყმებს შეეხება, თუ მღვიმევის მონასტრის ყმებიც არის აანმითვლილი<sup>2</sup>. 1811--1812 წლის უამის და სიმშილობის შემდეგ ძნელი საფიქრებელია, რომ 1821 წლისთვის ჯრუჭის ყმათა რიცხვი 130 კომლამდის გაზრდილიყო. უფრო საფიქრებელია, რომ რიცხვი 130 კ. უჩვენებს 1821 წელს ჯრუჭის და მღვიმევის ყმებს ერთად.

ამ 130 კომლის ბეგრების მონაწილე ყოფილა სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი<sup>3</sup>. რაში გამოიხატებოდა ეს მონაწილეობა, არ სჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ კაცხის ანალოგიით წერეთლის სასარგებლოდ ჯრუჭის და მღვიმევის ყმებს ედვათ ცალკე საუდიერო.

<sup>1</sup> AKAK. VI, ყ. I 419.

<sup>2</sup> გენ. ერმოლოვის 1821 წლის რაპორტში სენატისადმი ლაპარაკი არის ერთად ჯრუჭის და მღვიმევის ყმებზე, როგორც წერეთლების კუთვნილებზე (AKAK. VI ყ. I, 421.

<sup>3</sup> დასაქვლ. ადგილას, გვ. 419.

აქვე მოგვყავს ჯრუჭის 1809 წლის სიგელის ტექსტი გლეხების ბეგრების აღნუსხვით. მართლწერა დაკულია, ნაშნებს არ ვიცავთ, წითურით დაწერილი სიტყვების გამოყოფით არის აწყობილი.

### ტ ე ქ ს ტ ი .

ეჰა შენ შვიდ წილ უძლეველო მხედარო, სეხნაო ახოვნებისაო, მოწამეთა მთავარო გიორგი, წმიდაო და ნანდვილ ორთავე სიტყუერთა შორის ბუნებათა, წაო რლი აღმოცენე ბუნებათაგან ნივთიერთა და შორს განიოტენ ნივთიერებნი ყნი სიზრქენი, რლისა სახელი აღეზენავა მიწიერებასა, რლისა სახელსა ღლე-სასწაულობენ ანგსნი და მთავარ-ანგელოსნი, რლისა სახელსა ციითნი სტრფიან და ქყნიითნი აქებენ, რლისა სახელი მიიწია სახელსა მამისასა და განდიდნა, რლნი იესოს შენისა მოსყიდული სძალი წა წათა ეკლესია შეღებე სისხლითა შენითა საუფლოთა, და აღიდე სახელი მისი, ვისა სამართლად გიქადის და დღითი-ღღეუ კსენებასა შენსა აღასრულებს. შენ, ძალო ჯნისაო, მრავალთა შორის ეკალთა აღმოცენე რა, შეამრღვიე და შემუსრე ბასრ მრჩხვლეტელობა და გმერა მრავალ-თაეთა ეკალთა, შენ განაახლე სახელი ელოიკირიე (sic) უნისა, შენმან სიმკენმან აიძულვა მოწყალებასა ღთაებრივსა, რა მოკცეს სიმკენ უძლეველი და მყის გიწყაროა, შენ შეუერთე კრავსა დაკლულსა იესეს სისხლი შენი, და დაჭრასა ნასხამთა შენთასა იტყოდნი: შენთვის მსურის, ღთო ჩემო, და შენთვის მოვჰკჳდდე. ხ უკანასკნელ სიმკენისა შენისა ყვარავან თვით საუკუნო პირმოთა იგი ძე მამისა ქყანად გარდამოიწოდა და მით საუჯლოთა კელითა მისთანა მიგვიწოდა და მკედართ მთავარსა განხრწნადისა სოფლასასა გარწქუნა მთაერობა მოწამეთა გუნდისა. ხ შენ, ახალო მირონო აღმოცენებულო ბუნებისა ჩვენისაო, გვირგვინო ეკლესიისაო, თხემო მოწამეთაო, ანგსთა სიხარულო და სამებისა წისა მოსაგრეო. ვინ ქენეთაგანი არა მოველტას შენდა, ვინ კაცთა ბუნებისაგანი არა გიქადოდეს შენ, ვინ მპყრობელი ქყანისა არა გესკიდეს შენ და უჯროსლა ძენი საქართველომსანი, რ მრავალ-გზის შენისა წინაძლომითა მამა პაპათა ჩემთა მეფეთა საქართველომსათა მრავალნი და დად დიდნი მსოჯლონი დიდებანი დაუპყრესთ. მრავალ-გზის შენისა სათნო ყოფითა აღმაღლებულ-არს სკიპტრა მათი, დაგლახაკებული, დაკნინებული და დაცემული, და ყნი შვილნი საქართველომსანი უსჯულოთა მეზობელთაგან გარემოცულნი შენსა იყტნეს წინამძლომელობასა მომლოდნენი და ჰტდცა შენ მიერ ზესთა ექმნა დიდ დიდთა სამეფოთა სკიპტრა მეფობისა ჩვენისა, და შევაძრწუნენით ძალითა შენ მიერითა გარემონი უსჯულონი და ურჩნი მეზობელნი; ანუ არა შენ ხარა, რლი უძლოდი ღთს მეფესა პაპასა ჩემსა (ზედ

წოდებით აღმაშენებელსა), ვა მოგვითხრობს ისტორია ძეგლი და მოძღვარიცა წა მისი წინაძღომასა შენსა და მხილებასა მისსა ყნისა კეთილობისათვის. შენგანვე განდიდნა სახელი მისი სოფელსა ამას და უკუნ აქცევდა მკედრობასა ძლიერთა მეფეთასა და კდ მუნვე სიმკნითა მისტაცებდა უსჯულოთა მათ მიანგარებლთა სამფლობელოთა. ხ შდ აღსასრულისა მოიხსენებს ეკკლესია წა მეფედ წად. ნანდვილ ჭტდ შენი იყო საქმე ესე, ტკბილო მკნეო მკედარო. კლდ სტუანი მრავალნი მეფენი საქართველოასანი შენნი იყუნენ შემოვედრებულნი და შენ ძლით უკუნ აქცეჳდენ მჩობლ - კეცთა მტერთა მძინეგარეთა (ესე იგი სხეულევანთა და უსხეულოთაგან), რლსა სამართლად მოგველტის მცირე ესე მართლ-მადიდებლობა საქართველორთა და განვძლიერდებით შვილნი მისნი, რლთა შს მრავალ - არს ხსენება სახელისა შენისა სამეფოსა ჩნსა. და მრავალ-არიან ტაძარნი სახელსა ზა შენსა დაშენებულნი და იქები ძალისამებრ ჩნისა, რ მცნობელი მომავალისა ვა წარსრულისა იხილვიდა რა უსჯულოთაგან შეიწრებასა მცირისა სამწყსოასა საქართველოასასა სამართლად ჰშთამოსთესვიდა გულთა შა წინაპართა მეფეთა და ერთა მათთასა განმრავლებასა ტაძრისა შენისასა.

ხ აწ ჩნ იძულებული ამათ მრავალთა მიზეზთაგან ძეგლთა მეფეთა სირათაგან წარმონაშობი იესითა და დავით სოლომონიან პანკრატონი ძე არჩილისა და მეფე მეორე ყნისა იმერეთისა სოლომონ, და თანა მემცხედრე ერთ - კორც სისხლი ჩემი დედუფალთ დედუფალი დადიანის ასული მარია მ, მოვალთ სასოებითა მკურვალითა და, ვა არს ჩვეულება მეფობისა, გტნებავეს განახლება ტაძრისა, რლისა სახელი ქტსმორე მოიხსენების, ვა ზემო აღვჰსწერეთ. არს სამეფოთა შს ჩნთა ტაძარნი სახელსა ზა შენსა დაშენებულნი, რლნიმე საეპისკოპოსონი, რლნიმე საარხიმანდრიტონი, რლნიმე საწინამძღვრონი და რლნიმე სამსოფლონი. ხ მონასტერი ერთი სახელსა ზა გიორგი მკედრისასა არს აღშენებული სამეფოსა შორის ჩვენსა, რლსა ეწოდების ჯრუჭი, რლიცა იყო შფოთის გამო დიდისა, რ დიდ ჟამადმდე დაქვრიებულ ძეგლის ჟამითგან, და ვინცა თავადთაგანი შფოთსა მას შა მიიმძლავრებდენ მონასტერსა ამას, ჰყოუდენ საერისკაცოდ და არა საკრებულოდ. და ჟამსა ესე ვითარსა გამოჰსჩნდა მემკვიდრე მეფედ ღირსი კსოვნისა და ნეტარებით სახსენებელი ბიძაჲ ჩემი მეფე დიდი სოლომონ, რლნ სამეფოათ თვისით განსდევნა მრავლით ჟამითგან მკვიდრნი ბილწნი მახმედიანნი და იწჳადა კრმალი მისი ძლიერი ზურგთა მათთა ზა და შეღება მიწა საძაგითა სისხლითა მათითა. და გარდაადლო ტყვის-სყიდვა იმერეთით სამარადისოთ, განანათლა სამეფო თვისი კეთილად, განაშვენა სამღტდლონი, აღაყტაჳა ეკკლესიანი ყნი. გარნა არცა მონასტე-

რი ესე ჯრუჭისა დაუტევა და იზრუნა მეფეთა მსგავსად მისთვის და დაქვრივებული ესე მონასტერი და საერისკაცო გამოუტყა ორთა თვისთა დიდთა თავადთა, რწნიცა იცილებოდენ ურთიერთარს ესენი და მონასტერსა ამას მისტაცებდენ რა ერთი ერთსა — რაჟის ერისთავი და წერეთელი, და რწნიცა მიიღებდა, განამაგრებდა ციხეთა მსგავსად. ხ მეფემან ამან კეთილ მზრუნველმან თვით მიიღო მონასტერი ესე და დასდტა წერილი, რათა არლარა იქმნეს საერისკაცოდ, ად იყოს უდაბნოდ და ინება შეკრება მას შა მეუდაბნოეთა მამათა და შესწირნა ყმანი და ნივთნი საკმარნი მონასტრისანი. ხ უდაბნო ესე მხოლოდ სასაფლაოდ მიეცა მეფესა მას წერეთლისათვის და არლა საერისკაცოდ. მერმე სოფლისა ქცევამან არლარა დრო სცა მას მეფესა, რათა სდ განეკარგა მონასტერი ესე სივლითა, ვა აწ ჩნ ვიგულს-მოდგინეთ. ჩნ ძმისა ძესა დადისა მის მეფისასა გტარწმუნეს რა მეფობა და აღვედით ტახტსა სამეფოსა, მოვიგე უმკურვალესი სასოება უდაბნოსა ამისადმი და შესწირენ გლახნი უმეტეს ორმოცისა. ხ კანონი მის მეუისანი ვერა დაუტევენ და სასაფლაოდ მიეცით წერეთელს, მაგრა არა საერისკაცოდ. აწ სიმტკიცეთა შორის მეფობისა ჩემისათა ვინებე თვით მე მეფემან სოლომონ და მღჭდელთ-მთავართა ჩნთა და თავადთა სამეფოსა ჩნისათა და ყთა სამღჭდელოთა და საეროთა აღწერა სივლისა მონასტრისა შენისათვის, რლსა შინა დამკვიდრებულ ხარ დიდო მკედარო გიორგი, და მუნ შეგიკრებიან ღირსნი მონაზონნი მეუდაბნოენი. გალობად შენდა. ხ სიგელთა ამას შს დავდებთ მცნებათა ამათ. პდ ამას რლ ვინათგან უდაბნო ესე არს სასაფლაო წერეთლისა, არა ჰგონოს ნათესავმან წერეთლისამან ყმანი უდაბნოსა ამისნი ვა ივით საკუთარი თვისი და არა რლსამე ჟამსა მოინებოს განყოფად ყმანი უდაბნოსანი რაოდენიც იქმნეს, მით რ აჩტსნებს კანონი წა სჯულისა განყოფელსა ეკლესიის მამულისასა და კდ მეფეცა ვახტანგ განაჩინებს წიგნსა შორის სამართლისასა და იტყვის: უმჯობეს არსო განყოფელობა ეკლესიის მამულისაო. და ვინაჯთგან ყნი უმჯობესისადმი მიმართებენ თავთა თვისთა, მაშასადამე ჩნ გონიერთა თანა გტაცს მიმართებად უმჯობესისა ამის და რლთაცა მეფეთა მეფობათა შს განაცხადოს ნათესავმან წერეთლისამან გაყოფა ამის მონასტრის ყმათა, არა თუ ყმა ეკლესიისა განუყოსთ მეფემან მან, ად მრავალი გულისწყრომა მიიღოს მათზედა. და უკეთუ არა ესრეთ ჰყონ, იყოს შეჩტსნებულ. მეორე მცნება ესე სიგელსა ამას შს, რლ უდაბნოსა ამას შა იყოს მამად არხიმანდრიტი მარადის და ზრუნვიდეს არხიმანდრიტი იგი შეკრებისათვის მეუდაბნოეთა მონაზონთასა, მით რ გტსშინის, რათა არლარა იქმნას საერისკაცოდ და იყოს უკანასკნელი საცთური უძვირეს პლისა. მესამე მცნება ესე, რლ ყმანი უდაბნოსა-

ნი მსახურებდენ არხიმანდრიტსა უდაბნოსა ამისა და კრებულსა მის-  
სა და აღასრულებდენ მსახურებასა ეკლესიის საჭიროთასა. ხ<sup>რ</sup> მეო-  
თხე მცნება ესე, რ<sup>ა</sup>ლ ყმანი ანუ მამულნი ანუ საკმარნი, რაჲცა უდა-  
ბნოსანი სამართლიანად შეწირულნი მეფეთაგან ანუ სხუთაგან, არა  
გამოეწიროდეს, არცა სიგელსა ამას შ<sup>ა</sup> მოხსენებულნი და არცა უკე-  
თუ შ<sup>დ</sup> ამათსა შეეწირნეს ვისგანმე და უკეთუ ვინმე კორციელთა-  
განმან ინებოს, კურთხევა მისი ქ<sup>ტ</sup>მორე აღმოიკითხოს.

ხ<sup>რ</sup> უამსა ამის სიგლის აღწერისასა არიან ყმანი უდაბნოსა ამი-  
სანი, რ<sup>ა</sup>ლთა აქა მოვიხსენებთ და მართებთ გარდასაკადნი ესეო-  
დენნი.

ნეტარის ბიძის ჩემისაგან შემოწირული სკინდორს, ქილოანს  
და ითხვისს თორმეტი კომლი გლეხი, ვითა ცხად ჰყოფს დავთარი  
მისივე აღბეჭდული: ფხალაძე თამაზა და მისი ძმები ნასყიდა, ბერიკი  
და ივანიკი. მართებთ: თამაზასა, ბერიკსა და ივანიკს (sic) ოთხი  
კოკა ღვინო, ოთხი კოდი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

ნასყიდა ფხალაძეს მართებს ოთხი კოკა ღვინო, ოთხი კოდი  
პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

გიორგიტა ფხალაძის შეილებს კვირიკსა და გრიგოლას მარ-  
თებს ოთხი კოკა ღვინო, ოთხი კოდი პური, საური, სეფეობა და  
და ცხენის კედნა.

დათიკ ფხალაძეს მართებს ოთხი კოკა ღვინო, ოთხი კოდი პუ-  
რი, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

თევღორიკ ფხალაძეს მართებს ოთხი კოკა ღვინო, ოთხი კო-  
დი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

გოგიტ ფხალაძეს მართებს ოთხი კოკა ღვინო, ოთხი კოდი  
პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

მამუკა ტყემალაძეს მართებს ორი კოკა ღვინო, სამი ფოხალი  
პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

გოგიტ ტყემალაძეს მართებს ორი კოკა ღვინო, სამი ფოხალი  
პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

პავლიკ ტყემალაძეს მართებს ორი კოკა ღვინო, სამი ფოხალი  
პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

სესიკს კაკურს და ლაზრიკს ტყემალაძენს (sic) მართებს ორი  
კოკა ღვინო, სამი ფოხალი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

მამუკსა და სესიკს ყიფშიძენს (sic) მართებთ ოცდაექვსი კო-  
კა ღვინო, ოთხი კოდი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

დათიკა კაპანაძეს მართებს ოცდაექვსი კოკა ღვინო, ოთხი  
კოდი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

უწმიდესის ბიძისა ჩემისა კათოლიკოსის იოსებისაგან არს შე-  
მოწირულნი სამი გლეხი მეფარიძეები შუქრუთს, რ<sup>ა</sup>ლისათვისაც და-

ეწინდებიან თეთრშიდ ჯამუშ ბერის შეილთა ნკ'ს, ზურაბს და დავითს და აღთქვით პაემანი, თუ მოგართვათ თეთრი ესე თქვენი პაემანსა მას, თვარა გლეხნი ესე თქვენი იყოსო. განეელო პაემანსა მას და კ'სს გლეხნი ესე ჯრუჭისათვის შეეწირა. მერმე მრავალთა ჟამთა შ'დ ვედრებოდენ ჯამუშ ბერის შეილები ჯრუჭის არხიმანდრიტს სვიმონს და საწინდარსა მას გლეხებში მორიგებ უღიყუნენ, ვითა აღმოსკვირს წერილსა მათსა და მსახურებენ გლეხნი იგი ეკკლესიასა ამას, რ'ლთა სახელები ესე არს: ხოხონა, პ'ე და კიკოლა.

ხოხონა მეფარიძეს მართებს ოთხი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

პ'ე მეფარიძეს მართებს ოთხი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

კიკოლა მეფარიძეს მართებს ოთხი კოკა ღვინო, :ბ: კოდი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

ბატონიშვილის გიორგისაგან შემოწირული სამი გლეხი ზოდს ყავლაშვილები სვიმონიკი, შაქარიკი და თამაზიკი, ვითა განაცხადებს აღწერილობა მათი. სვიმონიკს ყავლაშვილსა, მის ძმებს მართებსთ ოთხი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, სეფეობა.

შაქარა ყავლაშვილს მართებს ექუსი კოკა ღვინო, სამი კოდი პური, სეფეობა.

თაზიკს ყავლაშვილს (sic) მართებს ექუსი კოკა ღვინო, ოთხი კოდი პური, სეფეობა.

მეფის დავითისაგან უფლისწულობაში შეწირული ორი გლეხნი ზოდს ყავლაშვილები (sic), ვითა აქტებს ქარტა მისი და მართებს: ხუჩუნ ყავლაშვილს ხუთი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, სეფეობა.

მიქელასა და ნასყიდას ყავლაშვილებს მართებსთ: ხუთი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, სეფეობა.

ბატონიშვილის არჩილისაგან შემოწირული ერთი გლეხი საყვარელა ბრეგვაძე, ვითა ასაჩინოებს მათიანე მისი და უკანასკნელ ვიტყვი ჩემ მ'რ შეწირულნი წ'ისა ჯრუჭის უდაბნოსადმი ორმოცი კომლი გლეხნი, ვითა აღმოიმზეების სიგლისაგან ჩვენისა: სხტავას მოსახლე კვარის ძირს ქვათაძე ზაზუნია, ბუჭუკა, მამუკა. ამათ მართებსთ ხაბაზობა. ამ სამთა ძმათა ქვათაძეთა შეწირვისათვის არხიმანდრიტმან კრებულთურთ უნდა გვიწირონ ჟამის-წირვა დღესა ქ'შობისასა.

ამას გარდა მ' კომლი მღვდლის წერეთლისსეული დავითისა, რ'ლთა სახელებსა აქა მოვიხსენებთ:

ქორეთს სასახლე თავისის ზჭრით, ყანით, წისქვილით, საყდრით, სასაფლაოთი, საძებრითა და უძებრითა. კ'ლდ ქორეთს მოსახლენი ესე, ამათ მართებს თითო გლეხს:

გლახუკ დათვიაშვილს მართებს ოცი კოკა ღვინო, სამი კოდი პური, ოთხი ქათამი, საური, ორი დღის კვირეში სეფეობა.

ბიძინა გულაძეს მართებს ცხრა კოკა ღვინო, ორი კოდი პური, ორი ქათამი, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

პაატა გულაძეს მართებს ცხრა კოკა ღვინო, ორი კოდი პური, ორი ქათამი, კვირაში ორი დღის სეფეობა.

გიგილ გულაძეს მართებს ცხრა კოკა ღვინო, ორი კოდი პური, ორი ქათამი, კვირაში ორი დღის სეფეობა და საური.

დათიკ გულაძეს მართებს ცხრა კოკა ღვინო, ორი კოდი პური, საური, ორი ქათამი, კვირაში ორი დღის სეფეობა.

სეხნიკ გულაძეს მართებს ექვსი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, ორი ქათამი, საური, კვირეში ორი დღის სეფეობა.

ივანიკ მეგრელს მართებს ხუთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ორი ქათამი, საური, კვირაში ორის დღის სეფეობა.

გიგილ მეგრელს მართებს ხუთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ორი ქათამი, საური, კვირეში ორი დღის სეფეობა.

დათიკსა და გოგიტს კაპანაძეს მართებს თექვსმეტი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

ბასილიკა კაპანაძეს მართებს რვა კოკა ღვინო, ორი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

ივანიკა ლილუაშვილსა და მის ძმასა მართებსთ თექვსმეტი კოკა ღვინო, ორი კული პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

გოგიტ შარვაძეს მართებს ათი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ორი ქათამი, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა, ზამთარ ხარების შენახვა.

ბუჭუკ შარვაძეს მართებს ათი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ორი ქათამი, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა, ზამთარ საქონლის შენახვა.

ბერიკ შარვაძეს მართებს ათი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ორი ქათამი, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა, ზამთარ საქონლის შენახვა.

ხახუტ ქამუშაძეს მართებს ექვსი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორის დღის მუშაობა.

მჭედელს და მის ძმებს მართებს ექვსი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

შოშიკ ქამუშაძეს მართებს ექვსი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, სეფეობა.

პავლიკ ქამუშაძეს მართებს ექვსი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორის დღის სეფეობა.

პატუკ ქამუშაძეს მართებს ექვსი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

საბა ქამუშაძეს მართებს ექუსი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

ნინიკ ქამუშაძეს მართებს ექესი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

გიორგელა ქამუშაძეს მართებს ექესი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, სეფეობა კვირაში ორი დღისა.

მამუკ ქამუშაძეს მართებს თორმეტი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორის დღის სეფეობა.

პატიკს ქამუშაძეს და მის ძმებს მართებსთ თორმეტი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, სეფეობა კვირაში ორი დღისა.

გაბრიელა ქამუშაძეს მართებს თორმეტი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

ამ ქამუშაძეებს მართებსთ ყველასა ზამთარ საქონლის შენახვა. ითხვისსა მისვე დავით მღვდლის ნაყმევსა მეგრელიშვილს პაპუჩას მართებს ხუთი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

დათიკ მეგრელიშვილს მართებს ხუთი კოკა ღვინო, ორი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

დათიკ მჭელიძეს მართებს ექუსი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

ნინიკ რაზმაძეს მართებს ათი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორის დღის სეფეობა.

ხახუტელა რაზმაძეს მართებს ათი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

ივანიკ რაზმაძეს მართებს ათი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

ბეეია ბიჭაშვილის შვილებს მართებს ნხოლოდ მსახური და სხვა არაფერი.

ბერიკაშვილს გოგიტსა და მის ძმებს მართებს მსახური და ჯერ სხვა არაფერი.

გოგიტ ტაბუცაძეს მართებს ხაბაზობა.

კად მისივე დავით მღვდლის ნაყმევი კურთხეულის მეფის სოლომონის წყალობად ნაბოძები ფარახეთს დემეტრადისსეული სასახლე და ხუთი გლენი თავისი მიწით, ზვრით, ტყით, საყდრით, სასაფლაოთი, მთით და ბარითა, საძებრითა და უძებრითა.

სეხნიკა ნადირაშვილსა და მის ძმებს მართებსთ: ერთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ერთი ქათამი, ერთი მარჩილის კორცი, საური, სეფეობა კვირაში ორის დღისა.

ბერიკა ჩილუნაძეს მართებს ერთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, მარჩილის კორცი, ერთი ქათამი, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.



მახარია ჩილუნაძესა და პაპუნიაშვილებს მართებს: ერთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, მარჩილის კორცი, ერთი ქათამი, საური, სეფეობა—კვირეში ორი დღის მუშაობა.

კაციელა ჩილუნაძის შვილსა და რამაზიკას მართებს ერთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, მარჩილის კორცი, ერთი ქათამი, საური, კვირაში ორი დღის სეფეობა.

თამაზიკა ჩილუნაძის შვილსა და მისს სახლის კაცებს მართებს: ერთი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ერთი ქათამი, მარჩილის კორცი, საური, სეფეობა კვირაში ორი დღისა.

ჭიბრევს მისვე დავით მღვდლის ნაყმევი ომიადე ივანია და ბუჭუკას მართებსთ ექვსი კოკა ღვინო, თორმეტი კოდი პური, მარჩილის კორცი, ორი ქათამი, საური.

ერთ-კორც სისხლისა ჩემისა დედოფალთა დ'ფლის დადიანას ასულის მარიამისგან შემოწირული სხეავას ორი გლეხი რაჭველაშვილები გიორგიტი, დავითიკი და ლ'თისიკი. მართებს მზარეულობა (sic).

კიდევ რაჭველაშვილი რამაზიკა თავისი ცოლ-შვილით, მართებს მზარეულობა.

ამათი შეწირულობა იხილებს გუჯარსა შა დ'ფლისასა, რ'ლისათვისცა მართებსთ არხიმანდრიტსა და კრებულსა მისსა წირვა დ'ფლისათვის დღესა მარიამობისა და ტაძრად მიყუანებისასა.

კ'დ მეფის ლ'თისაგან შემოწირულნი ჭიბრევს ორი გლეხი გლახუნა და თვალიკა ომიადეები, მეორე გოგიტა, ვითა იჭურტიტების სამეფოჲთა ბეჭდითა აღბეჭდული წიგნი მისი. გლახუნასა და თვალიკას მართებს სამნახევარი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ორი კოდი ქერი, ხუთი რუბის კორცი, ორი ქათამი, მსახური, ცხენის კედნა.

გოგიტა ომიადეს მართებს სამნახევარი კოკა ღვინო, ერთი კოდი პური, ორი კოდი ქერი, შვიდი რუბის კორცი, ორი ქათამი, მსახური, ცხენის კედნა.

წერეთლის პაპუნასა და ზურაბისა და ბერისაგან შემონაწირნისასოფლარი მოხუა და ხეთა თავისის მითთა და ბარიტა, შიგ მოსაკლენი ორნი ძმანი პეტრიაშვილები მღვდელი მიქელ და ძმა მისი თომა. ბაჯითს გოგასეული პარტახი ამავე წერეთლებისაგან ლ'თაებში მოცელები სვიმონ წინამძღვრის არხიმანდრიტობასა შა. კ'დ ამავე წერეთელთაგან შეწირული რაჭას ბარს სულაძეები მახარია და პაპუნა.

მახარიაკას მართებს ორი ლიტრა ყუელი, ოთხი კოდი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა, საქონლის შენახვა.

პაპუნა სულაძეს მართებს მარჩილის ღორი და სხვა რაც მოხელებს მართებს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> დედანში სწერია: მახველებს.

კდ ამავე წერეთლებისაგან შეწირული ორი ჰურია, ონს მოსახლე დანიელა ხახუაშვილი და ხახუა ჰარონაშვილი. დანიელას მართებს ოთხი ორაგული, ოცი მარჩილი თეთრი და მეორე წერეთლებისაგან ნასყიდი ჰურია ხახუა არონაშვილი. ამას მართებს ორი ლიტრა სანთელი, ექვსი ორაგული:

კდ მისვე წერეთლებისაგან შემოწირული რაჭას წედისსა შა მოსახლენი ხუთნი გლენი მასურა და კაცუნა და მისნი ძმისწულები. ამათ მართებთ ოთხი თავი ავეჯი რკინა.

ქუთურა მაისურაძეს მართებს ოთხი თავი ავეჯი რკინა.

გოგია მაისურაძეს მართებს ოთხი თავი ავეჯი რკინა. ქიტუნასა და დავითაშვილებს მაისურაძეებს მართებთ ოთხი თავი ავეჯი რკინა.

ირს (sic) მაისურაძე ბუჭუკას მართებს ოთხი თავი ავეჯი რკინა.

ამავე წერეთლებისაგან შემოწირული შქმერს სამი გლეხი დაუშვილი დათიკა, სვიმონიკა და ბერიკა. მართებთ გადასახადი:

დათიკას მართებს ორი ლიტრა ყველი, რვა კოდი ქერი, საური, ცხენის კედნა, ზამთარ ცხენის შენახვა.

სვიმონიკა დაუშვილს და მისს ძმებს მართებთ: ორი ლიტრა ყველი, რვა კოდი ქერი, საური, ცხენის კედნა, ზამთარ ცხენის შენახვა.

ბერიკა დაუშვილს მართებს ორი ლიტრა ყველი, რვა კოდი ქერი, საური, ცხენის კედნა, ცხენის გამოკეცვა.

მისვე წერეთლისაგან შემოწირული მრავალ-ძალს ორი გლენი გლახუკა და სვიმონიკა სხირტლაძეები.

გლახუკას მართებს ორი რუბის კორცი, მსახური, ზამთარ ცხენის შენახვა.

სვიმონიკას მართებს ორი რუბის კორცი, მსახური, ზამთარ ცხენის შენახვა.

წერეთლის ქაიხოსროსაგან შემოწირული ბაჯითს ჩუმაშვილი კაციელა თავისის ადგილ-მამულით, რისაც მქონებელი იყოს.

მაღალ-ღირსის ჯრუჭის არხიმანდრიტის აბაშიძის სვიმონისგან ნაყიდნი მონასტრის თეთრით: კუჭაშვილი შიო თავისის ცოლ-შვილითა, კუჭაშვილი კვირია თავისის ცოლ-შვილით, კუჭაშვილი დათიკი თავისის ცოლ-შვილითა, კუჭაშვილი სვიმონ ხუცესი თავისის ცოლ-შვილითა, კუჭაშვილი პაატელა თავისის ცოლშვილითა, ცერცვაძე გაბრიელ და დავით თავისის ცოლშვილით.

როდესაც ამ წერეთლებს უნებებიათ და მოხვა შეუწირავსთ მონასტრისათვის, ის ქრთამათ მიუერთმევიათ ბაჯითს ჩუნაშვილისოული პარტახი და ამ კუჭაშვილების ადგილ-მამული და რისაც მქონებელნი ყოფილან, დაუსახლებიათ მოხუცას: მემარნიშვილი მამუკა და

მისი ძმისწული გოგიტა. პე ერისთვის დედის აბაშიძის ქალის მარიამისაგან არის შემოწირულნი ეს მემარნიშვილები თავისის ადგილმამულით, ყოფა ცხოვრებით, რისაც მქონებელნი იყვნენ, ად დაუსახლებიათ მოხვას. საყვარელა ბრეგვაძე, მეფის ძის არჩილისაგან შემოწირული. ჩუნაშვილი კაციელა, წერეთლის ქაიხოსროსაგან შემოწირული. ცერცვაძე გაბრიელ და დავით, წინამძღვრისაგან ნასყიდნი. ორი ძმანი ლაცაბიძეები სვიმონ და შიო. ორნი ძმანი პეტრიაშვილები მიქელ და თომა. სულაძე პაპუჩა, ომიადე გოგიტა, რუსი გიორგი, მათის უწმიდესობის კზის მაქსიმესაგან რუსეთს ნასყიდი და შემოწირული. კუჭაშვილი კვირია, კუჭაშვილი დათიკი, კუჭაშვილი ივანიკი, კუჭაშვილი გიგელი, კუჭაშვილი სვიმონიკი და პავლიკი. ამ მოხვაში მოსახლეებს მართებსთ ერთობით ყთა დღე ყლ სეფეობა, ჭურის რეცხა, კარით, ცულითა და წალდით მუშაობა.

ამავე (წ)წინამძღვრისაგან ნასყიდი ჭიბრევს ნინიკი ომიადე თავისის ცოლშვილით, ადგილითა და რისაც მქონებელი იყოს. მართებს ბეგარა მარჩილის კორცი, ორი ქათამი, საური, სეფეობა.

მისვე წინამძღვრისაგან ნასყიდი შქმერს დაუშვილი გოგიტა. მართებს გადასახადი: ორი ლიტრა ყველი, რვა კოდი ქერი, საური, ცხენის კედნა, ცხენის შენახვა.

მისვე წინამძღვრისაგან ნასყიდი კუპრაძე ივანიკი. მართებს ექვსი კოკა ღვინო, სეფეობა.

მოსულნი ბაჯითს მოსახლენი თუშიშვილი ბეჟანა და ხოსია.

ბაჯითს ნასყიდნი მრავალ-ძელნი სხირტლაძე შიო თავისის ცოლშვილით, მართებს მეჯინიბობა.

შქმერს გაგნიძე და მისი ძმა ოთარა მოსულნი, რლნი დავასახლეთ მონასტრის პარტახსა ზედან. მართებსთ ერთი ჩარეჟი ერბო, ორი ლიტრა ყველი, ცხენის კედნა, ცხენის შენახვა.

კდ არს მოსახლე პე ერისთვისაგან შემოწირული ფოჩხიძე კიკოლა, ბუჭუკა, დათიკა მათის ადგილ-მამულითა, ყოფა-ცხოვრებითა, რისაც მქონებელნი იყვნენ. ამათ მართებსთ: სამი კოკა ღვინო, ოთხი კოდი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

კლდ არჩილის ძის მეფის სოლომონისაგან არს შემოწირული ყორნისს პარტახი ვენაკით, მიწით, წყლით, ტყითა და საყანითა, წისქვილითა, საყდრითა და სასაფლაოთი. და სახლობს ამ პარტახზედ წინამძღვრისაგან ნასყიდნი ორნი გლეხნი: კაპანაძე მამუკელა, კუჭაშვილი გიგელი, სვიმონ ხუცისშვილი.

მართებსთ გადასახადი მამუკელას: ხუთი კოკა ღვინო, სამი კოდი პური, სეფეობა. გიგელ კუჭაშვილს მართებს: ხუთი კოკა ღვინო, სამი კოდი პური, სეფეობა.

კ'დ ამავე მეფე სოლომონისაგან შემოწირული: მღვიმის ღრუ-დოს დაბლ(ა) ყვირილაზედ ღრუდო, რ'ლიც მასუკან მეფე დავითსაც შემოწირა და ესეები ჩვენის თავადის სახლთუხუცის ზურაბ წერეთლისაგან არის შემოწირულნი: ქუთაისს ფურნე მოედნის თავზე, კელისუვლისშვილის ხულის გვერდით ხულა თავისის ადგილით სანთლისა და საკლმისათვის (sic), სანაევარდოს და საჯავახოს სასალთხუცო ოცისთავი თევზი, მარილი, რკინა და ფარა. სახლთუხუცისაგან კაცხს ნასყიდი გლეხი კუპატაძე ჩიკვიშვილი (sic) პ'ე და ივანიკა თავისის ადგილ-მამულით და რისაც მქონებელნი იყვნენ ყოვლის ფრითა.

ამ კუპატაძეს მართებს რვა კოკა ღვინო, ორი კოდი პური, ორი ჩარეჩი სანთელი, მსახური და საური, ცხენის კედნა.

წერეთლის ბეჟანის ბოქაულთ უხუცის ვახუშტისა, გიორგისა და ქველისაგან შემოწირულნი კოლბეურს პარტახი თავისის მით, წყლით, ვენახით, საყანით, საყდრით, სასაფლაოთი, საძებრითა და უძებრითა.

ჭილოვანს ბეჟან აბდუშელიშვილისაგან შემოწირული ტყემალაძე გოგიტი და მისი ძმა. მართებს: ოთხი კოკა ღვინო, ოთხი კოდი პური, საური, სეფეობა, ცხენის კედნა.

ლევან გამყრელიძის შემოწირული გლეხი ყიფშიძე ზოდს მოსახლენი ივანიკი და მისი ძმა ყ'ით მათით საცხოვრებელით, ტყით, მიწით, ვენახითა და ყ'ითავე: ამათ მართებს თორმეტი კოკა ღვინო, მსახური.

ქვედს შიომ ფალავანდიშვილისა და ბერისაგან შემოწირული გიორგი ხუცესი და მისი ძმა. მართებს ოთხი თავი ავეჯი რკინა.

ჟამსა ამის სიგლის აღწერისასა ყმანი ამის მონასტრისანი ესენი არიან და ჰქონან განკერძობულნი თვითო თვითოდ წერილნი შეწირულობისა და ნასყიდობისანი. და რ'ლიცა ყმანი გინა მამულნი შეწირულ-არიან, არავინ ჰგონოს ლიტონად კაცნი შეწირულად, ყ'ნი სამზღერის შიგანი სამართლით მათნი მათთანვე შეწირულ-არიან.

მიიღე მზრუნველობა ესე ჩემგან, ეკკლესიისა შენისათვის, მკედარო ზეცისაო და მთავარო მოწამეთა, და მე, მთავარსა და მეფესა ამის სოფლისასა, შენ მთავარმან ზენამან მიზრუნე მრჩობლ-კეცი განსვენება და დიდროად მიწვიმე და მნამე ტკბილი იგი მოწყალეობა იესოს შენისა, რამეთუ სრულითა გულითა შენგან სასოება მამქუს და შენგან ვიქადი დათრგუნვასა მტერისასა, ხ' ჩ'ნთანა აკ'ხენ აღმბეჭდველიცა ამის წერილისა შენისა. ხ' უკეთუ ვინმე განცოფნეს და განლიგნეს და კელ-ჰყოს დაკნინებად ამათ მცნებათა და არა აღასრულებდეს და ინებოს ბრძოლად შენდა, შენცა ნუ ჰრიდებ, მკედარო, ძლიერსა ლახჭარსა შენსა, დაეც თხემსა მისსა და ტვინი მისი განუურიე სისხლსა მისსა, ვითარცა არა ჰრიდე მებრძოლსა შენსა

მძინევარესა ვეშაპსა; ოდეს კელ ჰყოს დარღჷსვა წერილისა ამის, დაარღვივენ ნასხამნი მისნი, ვა გოდოლი ნებროთისა, დაანაძეძენ ძჷალნი მისნი, ვა ლერწამი პურისა ქჷსშე კერძო კევრისასა, მოუკლენ შვილნი პირმშონი, მოუწყვიტენ საცხოვარნი და აღუოკრენ ქყანანი. ხ<sup>რ</sup> ჩ<sup>ნ</sup> ესრეთ ვიტყვით: იყოს წყეულ სამარადისოდ დამრღვეველი ამათ მცნებათა და ნუმცალა იქმნების ნათესავი მისი სოფელსა ამას, ა<sup>ნ</sup>დ შეშჷამოს მყჷარმან მკალმან და ბუზმან ყლი ნაშობი მისი. ხ<sup>რ</sup> აღმასრულებელი ამის მცნებისა იყოს კურთხეულ სამარადისოდ. აღიწერა სიგელი ესე ნებითა ჩ<sup>ნ</sup>ითა მეფობასა და ძლიერებასა შინა ჩ<sup>ნ</sup>სა ქ<sup>ნ</sup>ეს აქეთ ჩყთ თთჷსსა აგვისტოსა.

წით. ჟრად ლამაზი ხვეულით: 1) მეფე იმერთა სოლომონ; 2) დედოფალი მარიამ.

მეორე გვერდზე: ჩჷს<sup>ნ</sup> ყ<sup>ნ</sup>დ სამღჷდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ამა ჩემის კელმწიფის მიერ აღწერილსა სიგელსა ვამტკიცებ ძმათა ჩემთა თ<sup>ა</sup> და დამარღვეველსა ამისა ვჰსწყევ და შევაჩჷსნებ ჩემდა მონიკებულისა კელმწიფებისა მადლითა.

ჩჷს<sup>ნ</sup> ყ<sup>ნ</sup>დ სამღჷდელო გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი ვამტკიცებ ამა ჩემის კელმწიფის წერილსა ძმათა ჩემთა თ<sup>ა</sup> და შლად კელ-მყოფელსა ამისა ვჰსწყევ და ვაჩჷსნებ ჩემ-მიერისა კელმწიფებითა.

ჩჷს<sup>ნ</sup> ყ<sup>ნ</sup>დ სამღჷდელო მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი ვამტკიცებ სჯულიერსა ამას ჩემის კელმწიფის მცნებათა ძმათა ჩემთა თანა. უარის მყოფელსა ამის წერილისასა ვჰსწყევ და შევაჩჷსნებ ჩემდა მოცემულისა სულისაგან წ<sup>ნ</sup>ისა.

ჩჷს<sup>ნ</sup> ყ<sup>ნ</sup>დ სამღჷდელო ნიკოლაოს წმიდელ არხიეპისკოპოსი სოფრონიოს, აღმბეჷტდელი ამა ჩემის კელმწიფის წერილისა, ძმათა ჩემთა თანა მეცა შევჷკრავ და შევაჩჷსნებ კელმწიფებისაგან საღ<sup>ნ</sup>თოსა დამაკნინებელსა ამის მართლისა წერილისასა.

ჩჷს<sup>ნ</sup> ყ<sup>ნ</sup>დ სამღჷდელო ჯუმათელ მიტროპოლიტი მაქსიმე აღებეჷდავ ამას მართალსა განჩინებასა. მეცა ამათ ძმათა თანა შეურაცხის მყოფელსა ამის წერილისასა ვეჷკრავ სამარადისოდ მადლისაგან ყ<sup>ნ</sup>დ წ<sup>ნ</sup>ისა სულისა.

## VIII

### საქუთათლო და საკათალიკოზო ხმები ქუთაისის ოლქში 1819 წელს.

საქართვ. ცენტრარქივში დაცულია. ქუთაისის ოლქის საეკლესიო ყმების ნუსხა, რომელიც წარმოდგენილია ლურჯ თაბახის ზომის ქალაღზე დაწერილ წიგნ-საქმეში. საქმე (ეხლა განსაკუთრებულ ფონდის № 237) შეიცავს აღრიცხვით 158 ფურცელს, ყდა დაზიანე-

ბული აქვს ჩრჩილისაგან. ეს საქმე ამოღებულია 1924 წ. სინოდალურ კანტორის საარქივო ფონდიდან და წინად ამ ფონდში ირიცხებოდა. ის წარმოგვიდგენს მხოლოდ ქუთაისის ოლქის საეკლესიო ყმების ნუსხას. იმერეთის დანარჩენ (შორაპნის, ვაკის და რაჭის) ოლქების ანალოგიურივე ნუსხები სინოდ. კანტორის ფონდში მაშინ არ აღმოჩნდა, თუმცა ცალ-ცალკე მათი მოძებნის მიზნით მაშინ მე და, ჩემი თხოვნით, დ. გორდევმა ეს ფონდი საგანგებოდ გადავათვალიერეთ. მაგრამ ვინაიდან მაშინ ეს ფონდი წესრიგში არ იყო მოყვანილი, ამიტომ შესაძლებელია მომავალში, ფონდის საბოლოოდ მოწესრიგებისას, ანალოგიური მასალა იმერეთის სხვა ოლქების შესახებაც იქნეს აღმოჩენილი.

საქმე იწყება პირდაპირ ქუთაისის ოლქის საქუთათლო ყმების-დასახელებით ამ სათაურით (მართლწერას ი, ზ და ზ გარდა ვიცავთ): Поименная ведомость безспорных крестьян Кутанскаго округа и епархии с детьми и родственниками мужеска пола, одно семейство составляющими. ანალოგიურივე სათაური აქვს სხვა მონასტრების ყმების აღწერასაც. თვით ნუსხა შედგენილია ტაბულების დაგვარად, რომელის ცალკე ცხრილებს შეადგენს: число дымов (მეკომურებია აღნიშნული რიგის რიცხვით 1, 2, 3 და სხ.); крестьяне, имеющие сады и пахотные земли (ჩამოთვლილია გლეხები სახელდებით—გვარი, სახელი—და ოჯახის წევრნი მამობრივი სქესის, აგრეთვე სახელდებით); число душ мужеска пола (აღნიშნულია თითო-თითო და ზოგან ჯამიც); лет от рождения (აღნიშნულია), доход, получаемый с садов вином, чапы (ნაჩვენებია რიცხვი), сколько кцев или дневнаго паханья земли,—садовой (ნაჩვენებია რიცხვი), хлебопахатной (ნაჩვენებია აგრეთვე რიცხვი). თვით ტექსტში ამასთანავე მოყვანილია ყოველი კომლის ბეგარა. ყველა ეს ცნობები ჩვენ ქვემოთ დაბეჭდილი გვაქვს, ადგილის ეკონომიის გათვალისწინებით, სუმმარულად ყოველ ცალკე სოფლის შესახებ.

ნუსხის ბოლოში მოყვანილია ჯამი ქუთაისის ოლქის ყველა საეკლესიო ყმებისა სოფლებად, ცალკე—გლეხებისა და ცალკე—აზნაურთა და მათ ყმებისა (ფ. 149—158).

ქვემოთ, ქუთაისის ოლქის საეკლესიო ყმების ნუსხის გარდა, დაბეჭდილია სუმმარული ცნობები ნაწილობრივ ვაკის ოლქის საეკლესიო ყმების შესახებ. ვაკის ოლქის საეკლესიო ყმების ნუსხა ნაწილობრივ მოთავსებულია 1819 წლის აჯანყების საქმეში, რომელშიდაც ის მოპყოლია შემთხვევით. ამ საქმედან ამოკრეფილი ცნობები აგრეთვე ქვემოთ (გვ. 91—94) არის მოყვანილი, გარდა ხონელის ყმებისა, რომლის შესახებ სუმმარული ცნობები ზემოდ (გვ. 28—32) იყო დაბეჭდილი. ეს ნუსხა საქმეში არაა სრულად წარმოდგენილი. კერძოდ, მაგ., სა-

ქუთათლო (და საქათალიკოზო) ყმების შესახებ აქ არ არის წარმოდგენილი თვით მასალის დეფექტიანობის გამო, შედარებით იმერეთის 1825 წლის ნუსხასთან, შემდეგი სოფლები: ბანოჯა, საჩინო, ქარეთის-უბანი, სანავარდო, ჯიქთუბანი, სალომინაო. ასევე არ არის სრულად წარმოდგენილი ცნობები სხვა საეკლესიო ყმების შესახებაც. მიუხედავად ამისა, ვაკის ოლქის ამ ნაწილობრივ ნუსხასაც აგრეთვე აქვს თვალსაჩინო მნიშვნელობა.

აღნიშნული ნუსხები (უმთავრესად აქ სახეში გვაქვს ქუთაისის ოლქის ნუსხა) წარმოადგენენ საეკლესიო გლეხების დაბეგვრას 1819 წელს რუსულ საეკლესიო მართველობის მიერ მოხდენილ რეფორმადის და აგრეთვე წარმოაჩენენ თვით 1819 წლიდან შემოღებულ დაბეგვრის ხასიათს. 1819 წლამდე არსებული დაბეგვრა იყო ნატურით და ფულადაც. ფულადი დაბეგვრა ნუსხაში ნაჩვენებია რუსული ანგარიშით (მან. და კაპ.), მაგრამ ნუსხა ცხადად გვიჩვენებს, რომ აქ რუსული საფასეს ქვეშ იგულისხმება წინად (და ნაწილობრივ ამ დროსაც) იმერეთში ხმარებული ოსმალური საფას ნუსხა, მაგ., ხშირად უჩვენებს ფულად გარდასახადს 52 კაპ., რომელიც არის იგივე მარჩილი ნომინალური კურსის მიხედვით. მარჩილი შეიცავს 52 ფარას, ფარა მაშასადამე აქ იგულისხმება კაპიკის ფარად. ნუსხაში ხშირად მოხსენებული 13 კაპ. კი, ცხადია, არის რუბი (მარჩილის მეოთხედი)<sup>1</sup>. ხოლო ნუსხაშივე ხმარებული 10 კაპ. და 20 კაპ. არის ქართული ორი შაური და აბაზი. ზოგიერთ გამონაკლისის გარდა ნუსხაში ნაჩვენები ფულადი გარდასახადი ასეთ ნორმას ემორჩილება.

საყურადღებოა, რომ ნუსხა უჩვენებს მხოლოდ გარდასახადებს; მაგრამ არ აღნიშნავს მუშაობას და სხვა ვალდებულებათ. როგორც სჩანს, მუშაობითი ვალდებულებას ნუსხა თავისთავად საგულისხმებლად სთვლიდა.

რუსულ მართველობას 1819 წ. მოუხდენია იმერეთში საეკლესიო გარდასახადების ერთგვარი უნიფიკაცია მათი ფულზე გადატანით და ამასთანავე გარდასახადებიც გაუდიდება, როგორც თვით ნუსხის ცნობებიდან სჩანს, — დაახლოვებით ერთი ორად. თავის თავად იგულისხმება, რომ ნატურალურ გარდასახადის ერთბაშად ფულზე და ისიც ორმაგად გადატანით გლეხობის მდგომარეობა თვალსაჩინოდ უნდა გაუარესებულიყო.

ნუსხის ხასიათი ამტკიცებს, რომ რუსული მართებლობა 1819 წლის აღწერისას სარგებლობდა ქართული საბეგრო მასალებით, — წინად

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ 1814 წ. იმერეთში ოფიციალური კურსით რუს. მანეთი 130 ფარას შეიცავდა (AKAR. V, 475), მარჩილი მაშასადამე უდრიდა 40 კაპ., ხოლო 1816 წ. ქუთაისში რუს. მანეთი ღირდა 182 ფარა (იქვე, გვ. 488).

არსებულ ასეთი მასალებით, ანდა ამ დროს ქართულ საეკლესიო უწყების მიერ რუსეთის საეკლესიო მართველობის მოთხოვნით შედგენილ ცალკე ქართული ნუსხებით. კაცხის მონასტრის ყმების ნუსხის მაგალითზე—ამ ნუსხის ქართულმა აღწერამ, აგრეთვე 1819 წ. შედგენილმა, ჩვენამდის მოაღწია,—ეს, მაგალითად, ცხადად სჩანს<sup>1</sup>.

საზოგადოდ 1819 წლის რუსული ნუსხა წარმოგვიდგენს წინად არსებულ ბეგრების სურათს და ზოგიერთ შემთხვევაში იმეორებს რამოდენიმე ათეული წლის წინად არსებულ ცნობებსაც, რასაც, რასაკვირველია, ამტკიცებს საბეგრო გარდასახადების ერთგვარ (თუმცა, როგორც დავინახავთ, არა აბსოლუტურ) მუდმივობას. ეს ცხადად სჩანს ნუსხის ზოგიერთი ცალკე ფაქტების შედარებიდან XVIII ს-ნის შესახებ არსებულ ცნობებთან.

სორმონში 1778 წ. გლეს ფუტუხანიძეს მართებს ერთი შამახური სანთელი, იამანიძეს 2 ჩარეჩი სანთ<sup>1</sup>, resp. 1819 წ. 2კ. ფურცხვანიძეს მართებს კომლზე 4 გირვ. სანთ., 1 კ. ფურცხვანიძეს — 2 გირვ. სანთ. ასევე, ხრესილში 1778 წ. 7 კომლს გელათის წმ. გიორგის ყმებს ობოლადებს მართებთ კომლზე შამახური სანთელი. 1819 წ. აქ ნაჩვენებია 5 კ. ობოლადე (რუსულად შეცდომით Абуладзе), რომელთაც სანთელი მართებთ კომლზე 4 გირვ., მაგრამ გარდა ამისა კომლზე 6 ბათმ. პური, 1 ცხვარი, 1 მარჩილი. აქედან ამასთანავე ცხადია ისიც, რომ შამახური (ლიტრა) სანთელი იანგარიშებოდა 4 გირვ. ამასთანავე ხრესილის ამ გლესებს ბევრა მომატებითა შესაძლებელია იმის გამოც, რომ 1811—1812 წლის ჟამის შემდეგ კომლთა რიცხვი შემცირებულა, რის გამო გლესებზე შეიძლება პარტახებიც გადასულიყო.

რონში გელათის წმ. გიორგის ყმა 1545 წ. 3 კომლი ითვლებოდა, მათ შორის 1 მსახური (ემართა 20 თეთრი, 20 კოკა ღვ., 1 კოდი ღომი, ცხენით სამსახური), 2 კ. მოინალე (ერთს ემართა 20 თეთრი, 1 კოდი ღომი, მეორეს—3 თეთრი, 3 კოკა ღვ., 2 ძღვენი, 1 ნაოთხალი ღომი, მუშაობა). 1778 წ. აქ არის მხოლოდ 1 კ. გლესი კვანტრეშვილი (მართებდა 6 თორმეტანი ღვინო, 1 კოდი ღომი, 5 რუბი თეთრი)<sup>2</sup>.

1819 წ. კი აქ იხსენიება იმავე გვარის (Квантре) აგრეთვე 1 კ., რომელსაც მართებდა 12 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი, 1 მარჩილი.

1545 და 1778 წლების ცნობების შედარება ძნელია, რადგან არ სჩანს საკომლოების ოდენობა. 1778 და 1819 წ. კი გარდასახა-

<sup>1</sup> კაცხის მონასტრის ყმების ნუსხა, ქართული და რუსული (უკანასკნელი ამ ჩვენი აღწერის საქმიდან ამოღებული), შესადარებლად ცალკე იბეჭდება (საისტ. კრებ. წ. III).

<sup>2</sup> ს. კაკაბ., დასავლ. საქ. საეკლ. საბ. II, 64.

<sup>3</sup> აფხაზ. საკათ. დავთ. 7 და 62; დას. საქარ. საეკლ. საბ. II, 64.



დი საკომლოზე თითქმის იგივეა (ფულად 5 რუბის მაგივრად 1 მარჩილი). ამასთანავე ირკვევა, რომ იმერეთში ჩაფი 1778—1819 წლებში იანგარიშებოდა თორმეტ-ლიტრიან კოკის ნახევრად, კოდი კიდევ სამ ბათმანად, ხოლო ბათმანი 1814 წ. იმერეთში იანგარიშებოდა 18 რუს. გირვანქის ფარდად<sup>1</sup>.

თუმცა ამგვარად 1819 წლის აღწერაში მოხსენებული ბეგრები წინანდელ დროიდან მომდინარეობს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში აღწერა წარმოვიდგენს 1819 წელთან შედარებით უახლოეს ხანაში შეტანილ ზოგ ცვლილებასაც. მაგ., 1778 წ. სორმონის გლეხებს ფურცხვანიძეებს (გელათის წმ. გიორგისას) ემართათ 1 კომლს—4 თორმეტნიანი ღვინო, 6 ფოხალი ღომი, 3 რუბი, მეორეს 5 12-იანი ღვინო, 1 კოდი ღომი, 1 მარჩილი, მესამეს—5 მენახევრე ღვინო, 2 ფოხალი ღომი, 2 რუბი<sup>2</sup>. 1819 წლის ნუსხაში, რომლის მახედვით სორმონში აგრეთვე ფურცხვანიძეები არიან, ეს ბეგრები ცოტათი შეცვლილია (ქვემოთ, გვ. 73).

სოფ. ოხომირაში 1545 წ. იხსენიება გელათის წმ. გიორგის კუთვნილი 4 კ. გლეხი (1 კ. იბრიალიძე და 3 კ. ვირსალაძე). ამაზე წინად კიდევ ოხომირას ყოფილიყო ვირსალაძე 4 კომლი, იბრიალიძე 2 კ. და იბრიალიძის პარტახტი ორი<sup>3</sup>. დასახელებულ 4 კომლს 1545 წ. ემართა კომლზე 10 თეთრი, 10 კოკა ღვ., 1 კოდი ღომი, 2 ძღვენი, 1 ქათამი.

1778 წ. იმავე ოხომირაში იხსენიება 6 კ. ვირსალაძე, 2 კ. ცირეკიძე, 2 კ. შავიანიძე. ამათ ედვათ სხვადასხვა გარდასახადი ღვინით, ღომით, ფულად, ძღვენი, ქათამი, ყველი, კვერცხი, 2 კომლს მარტო სანთელი<sup>4</sup>.

1819 წ. ოხომირას არის მხოლოდ 6 კომლი, რომელთაც შედარებით 1778 წელთან, ედვათ განსხვავებული გარდასახადი (ქვემოთ, გვ. 73). ეს კომლები იყო: 1 კ. შავიანიძე, ემართა 2 გირვ. სანთელი და 52 კაპ. (1778 წ. შავიანიძეებს ემართათ კომლს თითო შამახური სანთელი), 1 კ. ცირეკიძე, ემართა 16 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური, 52 კაპ. (1778 წ. თითო კომლს ცირეკიძეს ემართა 6 თორმეტნიანი ღვ., 6 ფოხ. ღომი, შობის ძღვენი—1 დედალი, 1 ჩარ. ყველი, 20 კვერცხი, 1 ფოხ. ღომი, ფულად ერთს კომლს—აბაზი, მეორეს—2 შაური), დანარჩენი ოთხი კომლი ოხომირას 1819 წ. იყვნენ ვირსალაძეები, 1778 წ. ვირსალაძეები იყვნენ იქვე 6კ., რომელთაც კომლზე ემართათ: 1 კ.—7 თორმეტნიანი ღვინო, 1 კოდი ღომი,

<sup>1</sup> АРАК. V, 475.

<sup>2</sup> დას. საქართვე. საეკლ. საბ. II, 64;

<sup>3</sup> აფშ. საქათალ. დავთ. 7 და 61—62;

<sup>4</sup> დას. საქართ. საეკლ. საბ. II, 63—64.

2 აბაზი, შობის ძღვენი (ჩარეკი ყველი, 1 დედალი, 20 კვერცხი, 1 ფობ. ღომი, 1 დოქი ღვინო); 1 კ.—6 თორმეტნიანი ღვინო და დანარჩენი ისევე); 1 კომლი—სამი მენახვერე ღვინო, 1 ფოხალი ღომი, 5 ფარა, შობის ძღვენი (ისეთივე); 1 კ.—ორი თორმეტნიანი ღვინო, 2 ფობ. ღომი, 10 ფარა, შობის ძღვენი ისეთივე; 1 კ.—4 თორმეტნიანი ღვ., 2 ფობ. ღომი, 5 ფარა, შობის ძღვენი ისეთივე.

1819 წლის ნუსხაში, გარდა სხვა სხვაობათა, არაა მოხსენებული ძღვენი, მაგრამ არის ცხვარის ბეგარა. როგორც სჩანს, ვირსალადების ბეგარას 1778 წლის შემდეგ ცვლილება გამოუვლია.

ნუსხას, წინა საუკუნეების ცალკე ცნობებთან შედარებით, აქვს მნიშვნელობა მოსახლეობის მოძრაობის პროცესის გასაგებადაც.

სორმონს 1545 წ. იყო 9 კ. გლეხი, მათში: 2 კ. სილაკაძე, 1 კ. დემეტრისშვილი, 1 კ. ქათამაძე, 4 კომლი ფუცქანძე, 1 კ. კებალე<sup>2</sup>. 1622 წლის საკათალიკოზო დავთარში სორმონის გლეხების ნუსხა გადმოწერილია ამ სიგელიდან, მხოლოდ ერთი გლეხის სილაკაძის შესახებ მუშაობის მაგივრად მოხსენებულია სამსახურის ბეგარა, რაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ სილაკაძე 1622 წლისთვის უკვე მსახურად ითვლებოდა.

1819 წლის ნუსხა სორმონში უჩვენებს მხოლოდ ფურცხვანიძეებს (8 კომლს).

ქოლევს 1545 წ. ნაჩვენებია 1 კ. უყურშლიძე<sup>3</sup>, 1819 წ. კი—2 კ. იმავე გვარისა ახალი გამოთქმით (Укрышидзе).

მუჯირეთ-უბანს 1578 წ. 9 პარტახტი იყო. სოფელი, როგორც სჩანს, მთლად გადაშენებულა. 1819 წელს აქ ნაჩვენებია: 1 კ. აზნაური მოსიძე, მისი ყმა ნეფსაძე 1 კ.; საკუთრივ საეკლესიო გლეხები თითო კომლი მაგრეკველიძე, გოგნაძე.

ჯვარისას 1578 წ. ნაჩვენებია 2 კ. ლევიძე, 1 კ. გიორგაძე, ერთი კიდევ ჯანგიაური პარტახტი. 1819 წ. კი ნაჩვენებია 1 კ. გლეხი სირბილაძე, 3 კ. აზნაური ყიფიანი და ამ აზნაურების ყმები—2 კ. სირბილაძე, 2 კ. დედაბერიძე (Дедбаридзе).

ობჩაში XVII ს-ნის ნახევრის ახლოს იყო 9 კვამლი ბურჯანაძე<sup>4</sup>. 1819 წელს არის 11 კ. ბურჯანაძე, 2 კ. ჩირგენაძე (Чиргениძე).

<sup>1</sup> დაბეჭდილ ტექსტში ამ კომლის გამოსავალი (გვ. 63) შესწორებით უნდა იკითხებოდეს ამგვარად: ექვთი თორმეტნიანი ღვინო, ერთი კოდრ ღომი [ორი აბაზი, შობის ძღვენი] ერთი ჩარეკი ყველი, ერთი დედალი, ოცი კვერცხი, ერთი ფოხალი ღომი, ერთი დოქი ღვინო.

<sup>2</sup> 1545 წ. სიგელი გელათის წმ. გიორგისა. საკათალიკოზო დავთარში სორმონის გლეხების ნუსხა შეტანილია ერთი კომლის ოქრობირ სილაკაძის გამოკლებით (საკათ. დავთარი, გვ. 8 და 63).

<sup>3</sup> აფხ. საკათალ. დავთ., 7. დავთარის ეს ნაწილი, დაწყებული მასუტა იბრალიძედან, ამოღებულია 1545 წლის სიგელიდან.

книгадзе), 2 კ. ხაჭუბერაძე, 2 კ. დათვიაშვილი, თითო კომლი ბურ-  
ქულაძე, აბუნაძე, ჟორჟოლიანი და Шикваძე:

სამაგიეროდ ნავენახევეში 1545 წ. იყო 14 კომლი გლეხი, ამათგან ხაჭუბერაძე 6 კ., ბაზაძე 5 კ., სალაძე 2 კ. და ბრეგაძე 1 კ., ხოლო ამაზე წინად „ძველად-ო, ვკითხულობო 1545 წლის სიგელში, ნავენახევი ორი ფუზე ყოფილიყო..., აწე აშენდა, ისინიცა დამრავლდეს, სხუა გუარნი კაცნიცა ბევრი დავასახლეთ“-ო. მე-XVII ს-ნის ნახევრის ახლოს ნავენახევეში უკვე 16 კომლი კაცი იყო აზნაურის-შვილებიანათ და 4 პარტახტი<sup>1</sup>. ერთი საუკუნის სიგრძეზე ნავენახევეს აზნაურიც ვაჩენილა და მომატებულ მცხოვრებთ ისევ დაკლება დაუწყიათ (პარტახტები). 1819 წელს კი ნავენახევეში იხსენიება მხოლოდ 2 კ. (ბრეგაძე და Сваниძაძე) და ისინიც ბევრად არ იხდიდნენ. შესაძლებელია ნავენახევი განსაკუთრებით დაზარალებულიყოს 1811—1812 წლის ყამის დროს, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რომ ხაჭუბერაძეებმა 1819 წლის აღწერით ნავენახევის მაგივრად ობჩაში იხსენიებიან. საფიქრებელია, რომ როგორც XVI ს-ნის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონდა ნავენახევეში „სხვა გუარის კაცთა“ ჩასახლება, სწორედ ასევე შემდეგ საუკუნეებში ადგილი ჰქონდა ნავენახევიდან ზოგიერთ გუარის გადასახლებას სხვა რაიონში, მაგ., ხაჭუბერაძეების ერთი ნაწილისას ობჩაში.

რომ გლეხობის ამგვარი მობილიზაციას საკმაოდ ხშირად ჰქონდა ადგილი და გლეხები ნებაყოფლობით თუ იძულებით თავისი ადგილ-სამყოფელს იცვლიდნენ, ამას ყველაზე უფრო ნათლად ამტკიცებს ისეთი სოფლების სხვადასხვა დროის სურათის შედარება, რომელნიც შედარებით მძლავრად წარმოგვიდგენენ წვრილ მებატონე-აზნაურებს, რადგანაც აზნაურნი ყმების მობილიზაციას (ყიდვა-გაყიდვის, გამზითების და სხ. საშუალებით), განსაკუთრებით პოლიტიკურ არევ-დარევის და ეკონომიურ გაჭირვების დროს, ძალიან უწყობდნენ ხელს. შესაძარებლად ავიღოთ სამი სოფლის როკითის, მალლაკის და ფერსათის ყმები XVI ს-ნეში და 1819 წ.

როკითში 1560 წ. ახლ. საქუთაოლო ყმები გვარებად წარმოადგენენ შემდეგს სურათს. აზნაურნი: 1 კ. ჭუმბურიძე, 1 კ. სანიკაძე (1578 წ. პარტახტი), 1 კ. ბასილაშვილი 1 კ. ბერძენაძე, 1 კ. გელხვადაძე, 2 კ. მოსიძე; 1 კ. კარგარეთელი. აზატნი: 2 კ. შალაბერიძე და კიდევ ერთი კომლი, რომლის გვარი არაა დასახელებული (§ 234); მსახურნი: 2 კ. ჯიხვაძე, 6 კ. დოღურაძე, 1 კ. მჭედლიძე, 1 კ. ჯანიაშვილი, 1 კ. სირდაძე და კიდევ 3 კ., რომელთა გვარები არაა დასახელებული; მოინალეები: 4 კ. შალაბერიძე, 2 კ.

<sup>1</sup> აუხ. საკათალ. დავთ, 58

<sup>2</sup> ნავენახევის შესახებ ჩხ. აუხ. საკათალ. დავთ, 63—64, 4—6, 58.

ქვარიანიძე, 2 კ. გოგნაძე, 2 კ. თედორეაშვილი, 2 კ. ლალატაშვილი, 3 კ. მეფარიძე, 2 კ. ნიკოლაძე, 2 კ. გელხეადაძე. 3 კ. შალვაშვილი და თითო კომლი—ვახტანგისაიშვილი, ხარებაძე, ხორბელაძე, დედაბრიშვილი, ხურციძე, გუბელაძე, თაფლაძე, წიქვაძე, კოპაურიძე, მზარეულიშვილი, ვიშნარაძე, იოსებაშვილი, ცირიკიძე, სოლომონიძე, ცქვინაძე, ზენიაშვილი, ნიკოლაიშვილი, გოგიტაშვილი, გაბრელაიშვილი, ჯანელიძე, მეკურტუშაშვილი, ჩიჩხაიშვილი, ფალუა, სულამანიძე, ბაშელაიშვილი; ორი კომლის გვარი არაა დასახელებული, 3 კ. (წიქვაძე, შალვაშვილი, მეფარიძე) არიან აზნაურთა და ჯვარისმტვირთველის ყმები.

სია გვიჩვენებს სოციალურ დიფერენციაციის განვითარების ეტაპებს ცალკე გვარებში: გელხეადაძე 2 კ. მოინალეა და 1 კ. უკვე აზნაური; შალაპერიძე 4 კ. მოინალეა და 2 კ. აზნატი, ქუმბურიძე 2 კ. მოინალეა და 1 კ. აზნაური.

1819 წ. როკითში ვხედავთ შემდეგს სურათს. აზნაურნი: აბულაძე 3 კ., ხოცაძე 1 კ., კარგარეთელი 1 კ., მათი გლეხები: 2 კ. მემენიშვილი, თითო კომლი ჩენჯაძვე, ახალაძვე, ქ(სმ)ყაიშვილი (ფერსათში), შიძელაძვე (ფერსათში), ზანუკიძვე, კიდექ მელუაიშვილი).

როკითში ამგვარად ამ დროს, შედარებით XVI ს-ნესთან, ვხედავთ ბევრად ნაკლებ მოსახლეობას. შესაძლებელია ეს იმიტომ იყოს, რომ 1578 წლის დაეთარში როკითი უფრო ფართო მნიშვნელობითაც იყოს ხმარებული.

ფერსათში ქუთაისის საყდრის ყმები 1560 წლ. ახლ. იყვნენ შემდეგი გვარების: აზნაურშვილი გიორგი (გვარი არაა ცნობილი), 1 კ. შინაყა (§ 335); აზნატი: 2 კ. თათელიშვილი, 1 კ. ლიხვიტაშვილი, 1 კ. ხასაშვილი, 1 კ. დემეტრიძე; მსახურნი: 1 კ. დოლაბარჯიძე, 1 კ. ქუმბურიძე, 1 კ. დემეტრიძე. 2 კ. კიბაბიძე, 1 კ. თათელიშვილი, 1 კ. ახალაძე, 1 კ. ლომიძე, 1 კ. თუთუბერაძე, 1 კ. ენდელაძე, 1 კ. ყულაშვილი, 1 კ. ფურცელაძე, 1 კ. ჯუმაძე (ჯუმაური პარტახტი), 1 კ. საკმარაშვილი, 1 კ. სირბილაძე, 1 კ. მეფისაძე, 1 კ. შაქარაიშვილი, 1 კ. კვეციტაძე, 1 კ. კახაბერაშვილი; მოინალენი: 6 კ. რაზმაძე, 1 კ. დოლაბარჯიძე, 2 კ. წიქარიძე, 4 კ. კოვზაძე<sup>1</sup>, 2 კ. ოქრომჭედლიძე, 5 კ. ახალაძე, 2 კ. იმანჩიტაძე და თითო კომლი ლომიძე, ლიხვიტაშვილი, ღვანჩიტაძე, ჯავრაშვილი, თაფლაძე, გულისაძე, არწივიძე, თაფლაძე, ვაშაყმაძე, ტანტრაძე, მახარა, ქუბაიშვილი, კახაბერიძე, კვეციტაძე. შინაყმის და აზნაურთა ყმები: კოკელაძე, ბერაძე, ფათლაძე.

<sup>1</sup> კოვზაძე აგრეთვე უნდა იყოს შეცდომით ხუტურ დამწერლობის ნიადაგზე წაკითხული სიტუბა კოვზარა (§ 320).

სია საკმაოდ გარკვევით აღნიშნავს სოციალურ დიფერენციაციის პროცესს. თათელიშვილები 2 კ. გამხდარა აზატი, 1 კ. კი დარჩენილა ისევ მსახური; დემეტრიძე 1 კ. აზატია, 1 კ. მსახური; ახალაძე 5 კ. მოინალეა და 1 კ. მსახური. ასევე ლომიძე 1 კ. მოინალეა და 1 კ. მსახურა. ლიხვიტაშვილი 1 კომლი აზატია და 1 კ. მოინალე. თუმცა ნელად, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირად სწარმოებდა მეკომურების გადასვლა უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე.

ეხლა თუ 1819 წლის ნუსხას მოვმართავთ, იქ ვნახავთ შემდეგს სურათს. ფერსათში არის საკუთრივ საეკლესიო გლეხი 2 კ. ჯიქვაძე (Джиквадзе), 1 კ. ბერძენაძე, 1 კ. ყულაშვილი (Гулашвили), 1 კ. არწივიძე (Арцвидзе). აზნაურნი: 1 კ. აბულაძე, 2 კ. მოსიძე, 3 კ. ყიფიანი, 1 კ. ბარალიშვილი, 1 კ. ავალიანი, 2 კ. კოპაძე, 1 კ. ბურჭულაძე (Бурчуладзе), 1 კ. ჟორჟოლიანი, დანარჩენები თითო კომლი არიან შემდეგი გვარების; Мамистов, Мамукин, Георгиев, Насихидов, Палунов, Бухулапители (ზოგიერთი ამ სახელთაგანი, ცხადია, გვარი არ არის, არამედ მამის სახელი).

ამ აზნაურებს ყმად ყავდათ შემდეგი გვარის გლეხები: 2 კ. წიქარიძე, 2 კ. ენდელაძე, 4 კ. კაციტაძე, 4 კ. ლოლონაძე (Лолонадзе), 3 კ. Качахუდაшвили და შემდეგ თითო კომლი—Телაძე, Евсеев, Известнизе, Непсаძე, Кохиანი, Колдакиანი, Енуაძე, Свани, Пашкуიძე, Цереკიძე, Нирგაძე, Санаძე, Гური, Чхонია, Кобვენაძე და კიდევ 1 კ. ნაყიდი გვარად მაჩიტაძე.

აზნაურთა წარმოჩენას აქაც მოჰყოლია ახალი გვარის გლეხთა მოსახლეობა.

მაღლაკს 1560 წ. არის სულ მოინალეები: 6 კ. ივანჯანის-შვილი, 2 კ. აღოძე, 14 კ. ჟორჟოლიანი, 1 კ. სარიდასშვილი, 5 კ. ხაზარაძე, 8 კ. შალაბერიძე და კიდევ 5 საკომლო, რომელთა გვარი არაა დასახელებული. 1819 წ. კი იმავე სოფელში ვხედავთ შემდეგს სურათს: საკუთრივ საეკლესიო გლეხები: 3 კ. კვერნაძე, 3 კ. იმანჯანიშვილი, 1 კ. შალაბერიძე, 12 კ. ჟორჟოლიანი; 4 კ. ხაზარაძე, 3 კ. მარდალეიშვილი. აზნაურნი: 3 კ. კვერნაძე, 2 კ. მარჯანიშვილი, 1 კ. ჭითავა. ამათ ჰყავთ ყმები: 2 კ. კვერნაძე და თითო კომლი იმარჯანიშვილი (sic), ნიკლიკაძე, ჟორჟოლიანი და გარდა ამისა შინა მსახურნი თითო მამრი: კილაძე, კაჭარაძე, ხუციშვილი, კვერნაძე, Кегучაძე, Морисიძე და კიდევ ორი გვარ-დაუსახელებელი.

აზნ. მარჯანიშვილი არის იგივე XVI ს-ნის ივანჯანისშვილი. ეს ცხადად სჩანს იმ გარემოებიდანაც, რომ 1819 წლის ნუსხაში მოხსენებული გლეხი ნიკოლოზ იმანჯანიშვილი 1825 წლის რუსულსავე ნუსხაში მოხსენებულია, ისე როგორც სხვა ამავე გვარის გლეხები, მარჯანიშვილად (sic), რაც არის იგივე მარჯანიშვილი. როგორც ამ

მაგალითიდან სჩანს, გლეხი აზნაურობის მოპოების შემდეგ ცდილობდა გვარის მხრივაც თავისთვის განსხვავების მოპოებას.

მალაკის საბეგრო ნუსხათა მაგალითი საყურადღებოა იმით, რომ ცხადად წარმოგვიჩენს გლეხების გადასვლის მაგალითს აზნაურთა წოდებაში. 1819 წლის ნუსხაში აზნაურებად დასახელებული როგორც კვერნაძე, ისე მარჯანიშვილი, ცხადია, გლეხთა წოდებიდან არიან გამოსულნი<sup>1</sup>.

საყურადღებოა ამასთანავე, რომ თუმცა მალაკის ძირითად ყმათა ვინაობა გვარის მხრივ XVI—XIX ს-ნის დასაწყ. სივრცეზე ერთგვარ მუდმივობას წარმოგვიჩენს, მაინც აზნაურთა მფლობელობის გაჩენას თან მოყოლია მალაკში ახალი გვარების გლეხთა მომატებაც.

რაც შეეხება თვით აზნაურთა გამრავლების ანდა ზოგ ადგილას ახლად წარმოჩენის საკითხს, აქ რასაკვირველია, მოქმედებდა არა მარტო დაბლა მდგარ სოციალურ ფენათა დაწინაურების პროცესი, როგორც ეს ზემოდ მოყვანილ მაგალითებიდან საკმარისად ცხად იყო, არამედ ზოგ ცალკე შემთხვევებში ამას ხელს უწყობდა აზნაურთა ემიგრაცია საქართველოს სხვა კუთხეებიდან, უფრო მესხეთიდან. როკითში XVI ს ნეში მოხსენებული აზნ. კარგარეთელი, მაგ., მესხეთიდან იყო მოსული<sup>2</sup>. ასევე საფიქრებელია მესხეთიდან უნდა ყოფილიყო შემდეგ ფერსათელ აზნაურად მოხსენებული კოპაძე.

დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს ამ ცნობების შეფარდებიდან, არის შემდეგი. საეკლესიო გლეხების მოსახლეობას იმ ადგილებში, სადაც აზნაურების მფლობელობა გაჩენილა, ეტყობა ნაკლები მუდმივობა, ხოლო ისეთ სოფლებში, სადაც აზნაურთა მფლობელობა არ იყო, ერთი და იგივე გვარი XVI—XIX ს. დასაწყ. სივრცეზე

<sup>1</sup> 1825 წლის ნუსხაში (აგრეთვე სინოდ კანტორის საარქივო ფონდიდან, ეხლა განსაკუთრებულ ფონდის № 218) მოხსენებულია მალაკში ვ. კ. კვერნაძე, I კ. მარჯანიშვილი, 2 კ. ჭითავა (Читав), რომელთაც საეკლესიო უწყებაც აზნაურებად აცხადებდა, მაგრამ რუსის ხელისუფლებამ ეს საეკლესიო ჩასთვალა და სათანადო ძიებაც დანიშნა (ფ. 37ა). ეს გარემოება ამტკიცებს, რომ დასახელებულ მეკომუნიების აზნაურობა ხალხის თვალში ჯერ კიდევ სათანადოდ განმტკიცებული არ ყოფილა. უდავო აზნაურად მალაკში 1825 წლის ნუსხა ასახელებს პეტრე მურვანიშვილს (Мурванов), რომელსაც ჰყავს ყმა 2 კ. ყორჯოლიანი და I კ. კვერნაძე. ამავე სოფელში აქვე დასახელებულია დეკანოზის აზნაურის ნიკოლოზ გაბაშვილის გლეხები—3 კ. ყორჯოლიანი და I კ. მარდალეიშვილი. როგორც სჩანს, 1819—1825 წლებში მალაკში ადგილი ჰქონდა აზნაურთა მფლობელობის შეცვლას, ალბად ყმების გაყიდვის გზით.

<sup>2</sup> თ. ყორღ., ქრონიკ. II, გვ. 372; შეად. ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი 7—11; მესხეთიდან მალალ წოდების წარმოადგენელთა იმიგრაციას ადგილი. ჰქონდა XVI—XVII საუკუნეში განსაკუთრებით ქართლ-კახეთში (ავალიშვილი თათქარიძე, ხერხეულიძე, შალიკაშვილი და სხვ.).

საერთოდ რჩება თავის ადგილას. ზემოდ მოყვანილ (გვ.61—62) მაგალითების გარდა ეს ცხადად სჩანს კიდევ შემდეგი ფაქტებიდანაც.

ბუეთში 1622 წლის საკათალიკოზო დაეთრით (გვ. 6—7) არის 8 კ. ბრეგვაძე, ერთი, როგორც სჩანს, ამავე გვარის პარტახტი და 1 კ. დევიძე. 1819 წლის ნუსხით ბუეთში არის 9 კომლი, ყველა ბრეგვაძე. ჩხარს 1586 წ. არის საკათალიკოზო (გელათის წმ. გიორგის) ყმა 3 კ. აბულაძე, 2 კ. ლივლივაშვილი, 3 კ. აფხანდაძე, 1 კ. დავითაშვილი, 1 კ. სახეჩიძე, 1 კ. ყივჩაყიძე, 1 კ. მარგველაშვილი, 1 კ. ზაბუქიძე<sup>1</sup>. 1819 წელს იქვე არის 3 კ. აბულაძე, 2 კ. აბუანდაძე, 1 კ. დათუაშვილი, 1 კ. გაბრიჩიძე.

სამაგიეროდ თუ ავიღებთ, მაგ., სოფ. ბაშს, სადაც შემდეგ გაჩნდნენ აზნაურები (მემძარიაშვილები), მივიღებთ შემდეგს სურათს. 1578 წ. აქ არის 1 კ. ცეტიძე, 2 კ. სვანიძე, 1 კ. ნონიასშვილი, 9 კ. გერაძე, 3 კ. კაშმაძე, 2 კ. ნაცვლისშვილი, 4 კ. მუხლუხიძე, 2 კ. ხელბაკიძე, 1 კ. თევდორე მეგრელი, 1 კ. ლანდურიძე, 1 ქოროზანიძისეული პარტახტი და კიდევ 1 გლეხი, რომლის გვარი არაა დასახელებული.

1819 წ. კი ბაშში იყვნენ 8 კ. აზნაური მემძარიაშვილი, ამათი ყმები: 2 კ. კვერნაძე, 2 კ. Тадымаძე, 2 კ. გერაძე, 2 კ. ლაშქარაშვილი, 2 კ. მანანია, 3 კ. ჟორჯოლიანი; 2 კ. მაცაბერაძე და თითო კომლი—კეკელია, გოგვაძე, ბერძენაძე. ამას გარდა ბაშში იყვნენ საკუთრივ საეკლესიო გლეხები: 8 კ. ნაცვლიშვილი, 3 კ. გერაძე, 7 კ. ბაშელეიშვილი, 2 კ. კვერნაძე, 3 კ. კაშმაძე, 2 კ. ნარჩომაშვილი და თითო კომლი ჟორჯოლიანი, Твалავიძე, Цикунталиძე, თევდორაძე (ალბად ზემოდ დასახელებულ მეგრელ თევდორესაგან წარმომდინარე), ივანიაძე.

გლეხთა მოსახლეობა, გვარების მხრივ, არის თვალსაჩინოდ შეცვლილი. ამასთანავე ერთი და იმავე გვარიდან ზოგი კომლი (გერაძეების მაგალითის მიხედვით) მიცემული ჰყავდა ახლად გაჩენილ აზნაურებს.

თუმცა საერთოდ მოსახლეობა იმერეთში XVI—XVIII ს-ნეში მეტად არა ხელსაყრელ საერთო პირობების გამო დიდს შევიწროებას განიცდიდა, რის გამო, როგორც ეს ცხადად სჩანს დაეთრების ცნობათა შედარებებიდან, ზოგი გლეხთა გვარი სრულიად ნიავედებოდა, მაგრამ ცალკე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ზოგ გვარის მეტს გამძლეობას. მაგ., XVI ს-ნეში გლეხს ენდელაძეს (1 კ.) ვხვდებით მხოლოდ ფერსათში, 1819 წ. კი ეს გვარი იხსენიება ფერსათში (2 კ.) და ალისიმერეთშიც (5 კ., სადაც ისინი ალბად გადასახლებულან საქუთათლოსავე მიწაზე. თვით ალისიმერეთში 1578 წ. იხსენიება თი-

<sup>1</sup> დას. საქართ. საეკლ. საბ. I, 33.

თო კომლი გრძელიძე, ლომსიანიძე, თედორაძე, ნიყვაშვილი, გუნცაძე, დავითაშვილი და კიდევ ერთი უცნობი გვარის. 1819 წ. კი აქ არის 2 კ. ლოქსანიძე (Локсанидзе), 2 კ. გძელიძე (Гцелидзе), 2 კ. მაჩიტაძე, 5 კ. ენდელაძე.

ასევე, ბაშში მოხსენებულ მეძმარიაშვილის გვარისავე საეკლ-აზნაური 5 კ. ცხოვრობს სოფ. ქვემო-ქვიტირში, სადაც მათ ჰყავთ გლეხები—1 კ. ლაშქარაშვილი, 1 კ. ჟორჟოლიანი, 1 კ. კილაძე. ლაშქარაშვილები და ჟორჟოლიანები ყავდათ ყმებად ბაშელ მეძმარიაშვილებსაც. აქაც, ცხადია, ადგილი ჰქონია გლეხთა (და თვით აზნაურთა) გადასახლებას და ახალს ადგილებზე დამკვიდრებას.

ყველა ამ, საილიუსტრაციოდ მოყვანილ, მაგალითებიდანაც ცხადად სჩანს, რომ საეკლესიო ყმების 1819 წლის თუნდაც მხოლოდ ქუთაისის ოლქის და ნაწილობრივ ვაკის ოლქის აღწერის მიხედვით შესაძლებელია, წინა საუკუნეების ანალოგიური ხასიათის მასალებთან შედარებით, ფრიად საყურადღებო დასკვნების მიღება როგორც მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციის განვითარების (კერძოდ აზნაურთა წოდების ზრდის) შესახებ, ისე აგრეთვე მოსახლეობის სხვადასხვა ხანებში რიცხვობრივ დონეს შესახებ. დამოუკიდებელივ ამისა 1819 წლის ნუსხები გვაძლევს ნათელს სურათს ქუთ. ვაკის ოლქის საეკლესიო გლეხობის ამ დრომდის არსებულ დაბეგვრის შესახებ. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ნუსხა რუსეთის (აგრეთვე ამ დროს აღმ. საქართველოს) ნორმების მიხედვით არ აღნიშნავს გლეხობის შინაგან ფენებს (აზატებს, მებეგრე ანუ მესეფე გლეხებს და მოჯალაბეთ) არამედ ყველა გლეხები აქ ერთნაირად არიან აღნიშნული. ეს იყო უკვე ერთი ნაბიჯი გლეხობის უნიფიკაციისაკენ. 1819 წ. ახალი (ფულადი) დაბეგვრის შემოღებით რუსის ხელისუფლებამ მოახდინა საეკლესიო გლეხობის დაბეგვრის უნიფიკაციაც ყოველს შემთხვევაში ერთი და იმავე სოფლის ფარგლებში.

მართლაც, 1819 წლიდან ერთი სოფლის საეკლესიო გლეხები ქუთ. ოლქში იხდიდნენ უკვე ერთნაირ ფულად გარდასახადს, მაშინ როდესაც 1819 წლამდის არსებული გარდასახადი ერთსა და იმავე სოფელში ერთნაირი არ იყო. როგორც ცალკე ცნობების შედარებით სჩანს, ეს ბეგრები, 1819 წლამდის არსებული, საცესებით დამოკიდებული იყო ძველი საბეგრო დებულებაზე, რომელიც ცალკე კომლისთვის ცალკე იყო განსაზღვრული. დროთა განმავლობაში ეს დებულება განიცდიდა მკირეოდენ ცვლილებასაც (ზემოდ, გვ. 60—61), მაგრამ საერთოდ გლეხის დაბეგვრის ის წესი, რომელიც მოწვენილი იყო XIX ს-ნის დასაწყისისთვის, ძლიერ ხშირად არ იყო დამოკიდებული არც გლეხის განკარგულებაში მყოფ მიწის რაოდენობაზე და არც ამ მიწის მოსავლიანობაზე. ეს ცხადად სჩანს ქვემოლ მოყვა-



ნილ აღწერის ცალკე საკომლოების ცნობების ერთმანერთთან შედარებიდანაც. სამწუხაროდ, სიმოკლისთვის ყველა ცალკე საკომლოების მიწის რაოდენობა არ მოგვეყავს, მაგრამ სუმმარულ ცნობებიდან და აგრეთვე ცალკე შემთხვევებში მაინც მოყვანილ საკომლოების შესახებ ცნობებიდან ეს საკმაოდ ნათლად სჩანს.

აღწერა აგრეთვე ცხად ყოფს ქუთ. ოლქის საეკლესიო აზნაურების ეკონომიურ ვითარებას. ეს აზნაურები იყვნენ უმეტეს შემთხვევაში წვრილი მიწის-მფლობელები, თითო-ოროლა ყმის მყოფნი, ხშირად უემონიც. კულტურული მიწის (ვენახის რაოდენობითაც) ისინი ძლიერ ცოტად განსხვავდებოდნენ საეკლესიო გლეხთაგან. აიხსნება ეს გარემოება იმითაც, რომ საეკლესიო აზნაურნი ძლიერ ხშირად და ისიც შედარებით ახალს დროში გამოსული იყვნენ გლეხთაგან, კულტურულადაც მათგან ბევრით არ განსხვავდებოდნენ და არც ინტენსიურ მეურნეობის მოწყობაზე ფიქრობდნენ. იმერეთის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების საერთო პირობებიც ინტენსიურ მეურნეობის მოწყობას ხელს არ უწყობდნენ.

ასეთია ზოგადად 1819 წლის კამერალურ აღწერილობიდან ქუთ. ოლქის და ნაწილობრივ ვაკის ოლქის საეკლესიო ყმების ვითარების შესახებ მიღებული სურათი. ქუთაისის ოლქის დასახელებული აღწერა ერთს ადგილას, სახელდობრ საქუთათლო გლეხების და მათი ბევრების ჩამოთვლის შემდეგ, შეიცავს ერთს საყურადღებო ცნობას — ბაღდადის მიმართულებით კაკას-ხიდზე საბაჟოს არსებობის შესახებ. ეს ცნობა იკითხება შემდეგ ნაირად:

„В селении Багдаде учрежден сбор под названием Сбажи за проезд через мост, построенной на реке Хаши, при селении Какасида. С провозимых из Ахальциха выюков взывается с каждого: с выюка с солью по 6<sup>1</sup>/<sub>2</sub> ко(п). сереб.; с рыбою по 8 фунт. натурою; с оливками по 8 ф. натурою, с прочих товаров по 35 ко(п). сереб. с каждого выюка; с прогоняемого скота с 30-ти штук рогатого по 1-й штуке натурою; с 20-ти баранов по 1-му барану натурою; за прогоняемой из Имеретии в Ахальсик разнаго рода скот по 10 ко(п). со штуки. Примерно получается годового доходу до 100 ру(б). серебром. Сим сбором заведывает мурав майор Чхейдзе, которой за труды свои из доходов получает пятую часть.

При нынешнем описании збор сей оставлен на прежнем положении“.

ცნობა ამგვარად ფრიად საყურადღებოა და ფრიად დამახასიათებელი. ეს საბაჟო არის იმერეთში წინად არსებულ შინაგან საბაჟოების ნაშთი. საყურადღებოა ისიც, რომ ასეთი ერთი საბაჟო ქუთათელს ეკუთვნოდა. ცნობა რამოდენამდე იძლევა წარმოდგენას ახალციხესთან ამ დროს იმერეთის მხრივ საქონლის ბრუნვის შესახებ.

მოგვეყვას ქუთაისის ოლქის საეკლ. ყმების 1819 წლის კამერალური აღწერილობის ცნობები.

### ქუთაისის საყდრის.

**ზემო-მესხეთი.** არის 12 კომლი, მათ შორის ერთს კომლს, სოფლის ხელოსანს შოშიტა შალამბერაძეს, ყავდა მის მიერ ყმად ნაყიდი ბავშვი გიორგი ნაბიჭვრიშვილი ორი წლისა. 12 კომლში ითვლებოდა 44 სული მამრი. მათში ერთი კომლის შესახებ სხვა ცნობები ნაჩვენებია არ არის, რადგან კომლის მეთაური გაქცეული იყო და მას დარჩენოდა 10 წლის ვაჟი. დანარჩენ 11 კომლს ჰქონდა  $15\frac{1}{2}$  ქც. ვენახი და  $30\frac{1}{2}$  ქცევა სახნავი მიწა. 14 ქცევა ვენახიდან ( $1\frac{1}{2}$  ქც. ვენახი ახლად შენდებოდა) შემოდიოდა 653 ჩაფი ღვინო.

ბეგარა კომლზე: 8 კომლი იხდიდა კომლზე საუდიეროს მოსავლიანობისას 20 ჩაფი ღვინოს და 12 ფოხალ ღომს, ხოლო ცუდ მოსავლიანობისას იხდიდნენ ნაკლებს, მაგრამ არა ნაკლებ აღნიშნულ გარდასახადის ნახევრისას. გარდა ამისა 4 კომლი იხდიდა 20 კაპ. კომლზე წელიწადში და 7 კომლი—40 კაპ.

1819 წლიდან ამ გარდასახადის მაგივრად გლეხები დათანხმდნენ წელიწადში 60 მან. ვერცხ. გარდახდას.

**ქვემო-მესხეთი.** არის 4 კომლი, 19 მამრი. აქვთ  $4\frac{1}{2}$  ქცევა ვენახი,  $21\frac{1}{2}$  ქცევა სახნავი მიწა. ვენახების მოსავალი—260 ჩაფი ღვინო.

ბეგარა კომლზე: 1 კომლს—12 ჩაფი ღვინო, 2 კომლს—9 ჩაფი და 1 კომლს—18 ჩაფი; 2 კომლს—6 ბათმ. ღომი, 1 ქათამი, 12 კაპ.; 2 კომლს—2 ქათამი, 24 კაპ..

1819 წლიდან გლეხები ამ გარდასახადის მაგივრად დათანხმდნენ 60 მან. ვერცხ. გარდახდას.

**ზემო-ქვიტირი.** არის 7 კომლი, 36 მამრი. გარდა ამისა ორს გლეხს ყავს ყმად ერთს 20 წლის კაცი და მეორეს 10 წლის ბიჭი. აქვთ 5 ქცევა ვენახი, 37 ქცევა სახნავი მიწა. ვენახების მოსავალი—480 ჩაფი ღვინო.

ბეგარა კომლზე: 1 კ. არ იხდის გარდასახადს ხელოსანის თანამდებობის გამო, მეორე—განთავისუფლებულია გარდასახადისაგან შიტროპოლიტის მიერ. 1 კ. იხდის 4 გირვანქა სანთელს, 1 კ.—3 წელიწადში ერთხელ 18 გირვ. ლურსმანს. დანარჩენი 3 კომლი—1 ბათმ. ღომს, 4 ქათამს, ხოლო ღვინოს 1 კომლი—7 ჩაფს და 2 კ.—5 ჩაფს.

ამ გარდასახადის მაგივრად 1819 წლიდან დაეკისრათ 28 მან.

**ბაკისუბანი.** არის 11 კ., მამრი 42 სული. აქვს 9 კომლს (2

კომლი გადასახლებულია ვაკის მაზრის სოფ. ისრითში და მათი მიწის რაოდენობა არაა ნაჩვენები) 40 ქცევა სახნავი მიწა. 8 კომლს (9 კომლიდან ერთი კომლი ვენახს ახლად აშენებდა) აქვს  $4\frac{3}{4}$  ქც-ვენახი, რომლის მოსავალია 390 ჩაფი ღვინო.

ბეგარა: 1 კომლი იხდის 10 ჩაფ ღვინოს, დანარჩენი 10 კ.—10 ჩაფ ღვინოს, 10 ფოხალი ღომს და 10 კაპ. კომლზე.

საუდიერო ადევს 7 კომლს ისე, როგორც ზემო-მესხეთის გლეხებს.

1819 წლიდან ყველაფერ ამის მაგივრად დაედვათ 50 მან. ვერც-პატრიკეთი. არის 4 კ., მამრი 8 სული. აქვთ 4 ქც. ვენახი (მოსავალი 230 ჩაფი ღვ.) და 21 ქც. სახნავი.

ბეგარა. მთელი სოფელი ერთად იხდიდა 64 ჩაფ ღვინოს, 9 კოდ ღომს, 7 ქათამს და 104 კაპ. ვერცხ. 1 კომლი ამას გარდა იხდიდა საუდიეროს 16 ჩაფ ღვინოს.

ამის მაგივრად 1819 წლიდან გლეხებმა იკისრეს 30 მან. ვერცხ. გარდახდა.

**ფერსათი.** არის 6 კ., მამრი 28 ს. სარგებლობენ საეკლესიო სავენახე მიწით, ტყით და უვარგისი მიწითაც. რაოდენობა არაა ცნობილი. სახნავი მიწა აქვთ სახაზინო, რისთვისაც იხდიან მოდს ან ლალას. ვენახების მოსავალი 1,100 ჩაფი ღვინო. გარდა ამისა სოფელს აქვს ვენახი ნაგოჩავა-ში ზომით 4 ქც., მოსავალი 160 ჩაფი. ეს ვენახი მოურავის ხელშია, მაგრამ მოსავალით მიტროპოლიტი სარგებლობს.

ბეგარა. 1 კომლი (ხელოსანი) არაფერს იხდის. 2 კომლიც არაფერს იხდის (მუშაობენ საეკლესიო ვენახში ეკლესიის ხარჯსა—პურსა და ღვინოზე), 1 კ.—6 ჩაფი ღვ.,  $5\frac{1}{2}$  კაპ., 1 კ.—26 ჩაფი ღვ., 26 კაპ., 1 კ.—13 ჩაფი ღვ.,  $8\frac{1}{2}$  კაპ.

1819 წლიდან ამ ბეგრის მაგივრად დაედვათ 36 მან. ვერცხ.

**ხადემეტრეო.** არის 9 კ., მამრი 53 ს., აქვთ 36 ქც. ვენახი (მოსავალი 1695 ჩაფი). ტყე და უვარგისი მიწა აქვთ საეკლესიო 120 ქცევა, სახნავი მიწა კი აქვთ სახაზინო, რისთვისაც იხდიან მოდს ან ლალას. სოფელში არის ვენახი, სახელით ზვარი (Звара)—2 ქცევა (მოსავალი 60 ჩაფი მიდის მიტროპოლიტის სასარგებლოდ).

ბეგარა კომლზე: 4 კ.—20 ჩაფი ღვინო, 1 კ.—15 ჩაფი, 1 კ.—30 ჩაფი ღვ., 1 კ.—9 ჩაფი ღვ., 26 კაპ. ვერცხ.

1819 წლიდან ბეგრის მაგივრად ამათ დაეკისრათ 56 მან. ვერცხლით.

გარდა ამისა 2 კომლს, მიტროპოლიტი დოსითეოსის მიერ ნაყიდს, ედვა ერთს 60 ჩაფი ღვ. პირადად მიტროპოლიტის სასარგებლოდ და მეორეს—6 გირვ. სანთელი. ამათი გარდასახადი 1819 წლიდანაც დარჩა წინანდელი.

**აღის-იმერეთი.** არის 12 კ., მამრი 60 ს., აქეთ 17 ქც. ვენახი (მოსავალი 930 ჩაფი) და 43 ქც. სახნავი.

ბეგარა: 5 კომლი ერთად—13 კაბ. ვერცხ., 1 კ.— $6\frac{1}{2}$  კაბ., 1 კაბ.—13 კაბ. 2 კ.—თითო 2 კაბ., 3 კ. ერთად—26 კაბ. მთელი სოფელი ამის გარდა იხდიდა 1 ძროხას.

1819 წლიდან კომლზე დაედვათ 1 მან. 50 კაბ.

**ხალასკული.** არის 6 კ., მამრი 17 ს., აქეთ 8 ქც. ვენახი (მოსავალი 250 ჩაფი ღვ.), 35 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 2 კ.—10 კაბ. თითო, 3 კ.—2 კაბ. თითო, 1 კ.—8 კ., სოფელზე—ძროხა. 1819 წლიდან ამის მაგივრად დაეკისრათ კომლზე 1 მ. 50 კ.

**ზეკარი.** არის 8 კ., მამრი 35 ს.. აქეთ  $7\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 234 ჩაფი ღვ.), 36 ქც. სახნავი.

ბეგარა: 5 კომლი ერთად—26 კაბ., 2 კ. ერთად—30 კაბ., 1 კ.—20 კაბ.; სოფელზე—ძროხა. 1819 წლიდან ყველაფერ ამის მაგივრად დაეკისრათ 1 მ. 50 კაბ. კომლზე.

**ნებ(ი)ერეთი ანუ ზეგანი.** არის 19 კომლი (მათგან 6 კომლი ნაყიდი იყო თვით დოსითეოს მიტროპოლიტის მიერ), მამრი 92 სული. აქეთ 33 ქც. ვენახი (მოსავალი 2360 ჩაფი ღვინო) და 57 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კომლი არაფერს იხდიდა, 1 კ.—2 გირვ. სანთელი, 1 კ.—4 კაბ. 2 კ.— $6\frac{1}{2}$  კაბ., 1 კ.—1 გირ. სანთ., 4 კ.— $\frac{1}{2}$  გირ. სანთ., 1 კ.—4 კაბ., 3 კ.—2 კაბ., 3 კ.—5 კაბ. გარდა ამისა ამ გლეხებს ედვათ უფასოთ ეკლესიისთვის საღურგლო სამუშაოს შესრულება.

ამ ვალდებულებათა მაგივრად ყველა 19 კომლმა იკისრა 1819 წლიდან წლიურად 57 მანეთის გარდახდა.

**ობჩა.** არის 21 კომლი, მამრი 66 ს.. 1 კომლს ხელოსანს გარდა ამისა ყავს ყმად დოსითეოს მიტროპოლიტის მიერ ნაბოძები 2 ბიჭი (15 და 12 წლის). აქეთ 26 ქც. ვენახი (მოსავალი 1420 ჩაფი ღვ.) და 72 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 2 კ. (ხელოსანი და ნაცვალი) და კიდევ 1 კომლი ბეგარას არ იხდის. დანარჩენთაგან ეკლესიის სასარგებლოდ ადევთ: 2 კ.—3 ჩაფი ღვ., 2 ფობ. ლომი, 3 გირვ. მარილი,  $19\frac{1}{2}$  კაბ. ვერცხ. თითოს, 1 კ.—6 ჩაფი ღვ., 3 ფობ. ლომი, 5 გირვ. მარილი და 25 კაბ.; 1 კ.—13 კაბ.; 2 კ.— $\frac{1}{2}$  ფობ. ლომი,  $\frac{1}{2}$  გირვ. მარილი, 1 თუნგი ღვ., 5 კაბ. თითო; 2 კ. ერთად—1 ჩაფი ღვ., 1 ფობ. ლომი, 2 გირვ. მარილი,  $8\frac{1}{2}$  კაბ.; 2 კ. ერთად—2 ჩაფი ღვ., 2 ფობ. ლომი, 4 გირვ. მარილი, 17 კაბ.; 1 კ.—1 თუნგი ღვ., 6 გირვ. (sic) ლომი,  $\frac{1}{4}$  გირვ. მარილი,  $2\frac{1}{2}$  კაბ.; 1 კ.— $8\frac{1}{2}$  კაბ.; 1 კ.

—2 ჩაფი ღვ., 1 ფობ. ღომი,  $1\frac{1}{2}$  გირ. მარილი, 6 კაპ.; 2 კ.—13 კაპ.; 3 კომლი, მიტროპოლიტის მიერ ნაყიდი, იხდის მიტროპოლიტის სასარგებლოდ: 2 კ.—7 ბათმან პურს თითო და 1 კომლი—13 კაპ.

ამას გარდა ხაზინის სასარგებლოდ იხდიდნენ: 1 კ.—60 ჩაფს, 2 კ.—20 ჩაფს, 1 კ.—32 ჩაფს ღვ., 1 კ.—13 კაპ., 1 კ.—14 ჩაფ ღვ., 1 კ.—5 ჩაფს ღვ., 1 კ.—10 ჩაფს ღვ., 1 კ.—14 ჩაფს ღვინოს.

საეკლესიო ამ გარდასახადების მაგივრად სოფ ობჩის გლეხებმა იკისრეს 1819 წლიდან ერთად წლიურად 126 მან. ვერცხ. გარდახდა. სახაზინო გარდასახადები კი დარჩა წინანდებურად.

**ღიმი.** არის 1 კომლი, ნაყიდი ქუთათელ მიტროპოლიტის მიერ, მამრი 7 ს., აქვს 1 ქც. ვენახი (მოსავალი 40 ჩაფი ღვ.) და 4 ქც. სახნავი. ბეგარას არ იხდიდა, 1819 წლიდან კი დაედვა 6 კაპ.

**მუჯირეთი** (Мушкетри). არის 2 კ., მამრი 8 ს., აქვთ 5 ქც. ვენახი (მოსავალი 200 ჩაფი ღვ.) და 17 ქც. სახნავი.

ბეგარა ადევთ თითო კომლს ყოველს ორ წელიწადში ერთხელ 1 ცხვარი, 8 ჩაფი ღვინო, 6 ბათმანი პური და 50 კაპ. ფულად. ამის მაგივრად 1819 წლიდან დაედვათ წლიურად 10 მან. კომლზე.

**ჩხარი.** არის 7 კომლი (მათში 2 კ. ნაყიდა დოსითეოს მიტროპოლიტის მიერ), მამრი 27 სული. აქვთ  $6\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 404 ჩაფი ღვ.) და 22 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კ. (ხელოსანი) არაფერს იხდის, 1 კ.—12 ჩაფი ღვ.; 1 კ.—40 ჩაფი ღვ., 48 ბათმ. პური, 4 ქათამი, 40 კაპ.; 1 კ.—20 ჩაფი ღვ., 24 ბათმ. პური, 2 ქათ., 20 კაპ.; 1 კ.—40 ჩაფი ღვ., 30 ბათმ. პური, 4 ქათ., 20 კაპ.; 1 კ.—12 ბათმ. პური; 1 კ.—12 ჩაფი ღვ., 9 ბათ. პური, 2 ქათ.

ამის მაგივრად ხსენებულ 7 კომლმა იკისრა 1819 წლიდან მთლიანად 45 მან. გადახდა.

**ეწერი.** არის 2 კ., მამრი 11 სული, აქვთ  $1\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (240 ჩაფი ღვ.) და 7 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—4 გირ. სანთელი და 50 კაპ.; 1 კ.—24 ბათმ. პური, 1 ცხვარი და 50 კაპ.

1819 წლიდან ეწერის გლეხებმა ამის მაგივრად იკისრეს ერთად 24 მან. გარდახდა წლიურად.

**ნავენახევი.** არის 2 კ., მამრი 9 ს., აქვთ  $1\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 40 ჩაფი ღვ.) და 6 ქც. სახნავი.

ბეგარას არ იხდიდნენ. ერთს ედვა დღესასწაულებზე ძღვენის მიტანა და მეორე განთავისუფლებული იყო ბეგარისაგან, რადგან ოჯახის თავი მზარეულად იყო მიტროპოლიტთან.

1819 წლიდან ამ გლეხებმა იკისრეს წლიურად ერთად 24 მან. გარდახდა.

**ბუეთი.** არის 9 კომლი, მამრი 34 ს., აქეთ 10 ქც. ვენახი (მოსავალი 305 ჩაფი ღვ.) და 19 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: ღვინო 4 კომლს—4 ჩაფი, 3 კ.—6 ჩაფი, 1 კ.—2 ჩაფი. 1 კ.—1 ჩაფი. გარდა ამისა კომლზე 12 ბათმანი პური, 1 ცხვარი, 25 კაპ.

ამის მაგივრად 1819 წლიდან სოფელს დაეკისრა 36 მანეთი წლიურად.

**საწირე.** არის 22 კომლი, მამრი 97 სული. აქეთ 19<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქცევა ვენახი (მოსავალი 780 ჩაფი ღვ.) და 50 ქც. სახნავი.

ბეგარა: 1 კომლს ედვა 13 კაპ.; დანარჩენთ კომლზე 3 გირვ. სანთელი, 9 ბათმანი ღომი, 1 ცხვარი, 52 კაპ.

ამის მაგივრად 1819 წლიდან დაედვა ყველა ამ გლეხებს მთლიანად 88 მან.

**ოხომირა.** არის 6 კომლი, მამრი 16 ს.; აქეთ 11 ქც. სახნავი მიწა. 5 კომლს აქვს (ერთი კ. ვენახს ახლად აშენებდა) 5<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. ვენახი (მოსავალი 106 ჩაფი ღვ.)

ბეგარა კომლზე 16 ჩაფი ღვინო, 3 ბათმანი პური და 52 კაპ. ფულად.

1819 წლიდან ამის მაგივრად ყველას დაეკისრა 24 მან. წელიწადში.

**ჯვარისა.** არის 1 კომლი, მამრი 4 ს., აქვს 3 ქც. ვენახი (მოსავალი 120 ჩაფი ღვ.) და 10 ქც. სახნავი.

ბეგარა: 4 გირ. სანთელი, რომლის მაგივრად 1819 წლიდან დაეკისრა 4 მან. წელიწადში.

**სორმონი.** არის 8 კომლი, მამრი 35 სული. აქეთ 8 ქც. ვენახი (მოსავალი 600 ჩაფი ღვ.) და 48 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კომლს—2 გირვ. სანთელი, 2 კ.—4 გირვ. სანთელი, 4 კ.—5 ჩაფი ღვ., 2 ბათმ. ღომი, 52 კაპ., 1 კ.—8 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი, 52 კაპ.; გარდა ამისა ყველას ერთად ედვათ 4 ცხვარი წელიწადში.

1819 წლიდან ამის მაგივრად ყველას დაეკისრა წელიწადში 32 მან. გარდახდა.

**ქოლევი.** არის 2 კომლი, მამრი 5 ს., აქეთ 4 ქც. ვენახი (მოსავალი 200 ჩაფი ღვ.) და 10 ქც. სახნავი.

ბეგარას არ იხდიდნენ, მიტროპოლიტის გავლისას მართებდათ მისთვის და მისი ამაღლისთვის გამასპინძლება.

1819 წლიდან ამის მაგივრად დაეკისრათ 8 მან. წელიწადში (ორივეს).

**რიონი.** არის 1 კომლი, მამრი 2 ს.. მიწის რაოდენობა არაა ნაჩვენები. ბეგარა მართებს 12 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი და 52 კაპ.

ამის მაგივრად 1819 წლიდან დაეკისრა 4 მან. წელიწადში.

ხოლო სულ ქუთაისის საყდრის კუთვნილი ქუთაისის ოლქში 759 სული მამრი. მათ შორის გლეხების გლეხები (ყმები) არიან: ნაყიდი მემამულეებიდან 9 სული მამრი, დოსითეოს მიტროპოლიტის მიერ ნაბოძები 2 სული მამრი, სულ 11 სული მამრი.

ამას მიუბა კაცხის მონასტრის ქუთაისის ოლქში კუთვნილ ყმათა ნუსხა, რომელიც იბეჭდება ცალკე (საისტ. კრებ., წ. III).

### სვიმეონ მესვეტის ეკლესიის.

**კაცხი.** არის 1 კომლი, მამრი 4 ს., აქვს 1 ქც. ვენახი (მოსავალი 20 ჩაფი ღვ.), 1 ქც. სახნავი.

ბეგარა: 10 ჩაფი ღვ., 5 ბათმ. პური, 8 ქათამი, 26 კაპ.

1819 წლიდან დაედვა 5 მან.

### სვირის წმ. გიორგის ეკლესიის.

**სვირი.** არის 7 კომლი, მამრი 14 ს. აქვთ 16 ქც. ვენახი (მოსავალი 950 ჩაფი ღვ.)

ბეგარა კომლზე: 2 კომლს—8 გირ. სანთელი,  $\frac{1}{2}$  გირ. საკმელი, 65 კაპ., 1 კომლს—8 გირვ. სანთელი,  $\frac{1}{2}$  გირ. საკმელი, 65 კაპ., 1 კომლს—10 ჩაფი ღვ., 2 გირ. სანთ., 65 კაპ., 1 კომლს—6 ჩაფი ღვ., 65 კაპ., 1 კომლს—4 გირვ. სანთელი, 1 კომლს—2 გირვ. სანთელი, 65 კაპ. ამის გარდა მათ ედვათ საეკლესიო სახნავი მიწის დამუშავება და პურის მოწევა.

1819 წლიდან დაედვათ 45 მან. 50 კაპ.

ამავე სოფელში საეკლესიო მიწაზე ცხოვრობდა სამი კომლი სახაზინო გლეხი, რომელთაც დაედვათ 1819 წლიდან 18 მან.

### გელათის წმ. გიორგის.

**ხრესილი.** არის 5 კომლი, მამრი 21 სული. აქვთ  $7\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 190 ჩაფი ღვ.), 12 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 4 გირვ. სანთელი, 6 ბათმ. პური, 1 ცხვარი, 52 კაპ.

1819 წლიდან დაედვათ 20 მან.

**წყალწითელა.** არის 4 კ., მამრი 23 ს., აქვთ  $3\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 140 ჩაფი ღვ.), 8 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 4 გირვ. სანთელი, 12 ბათმ. პური, 1 ცხვარი, 52 კაპ.

1819 წლიდან დაედვათ 16 მან.

### გელათის მონასტრის (საგენათლო).

**შუა-ქვიტირი.** არის 7 კ., მამრი 17 ს., აქვთ 3 ქც. ვენახი (მოსავალი 220 ჩაფი ღვ.),  $16\frac{1}{2}$  ქც. სახნავი.

ბეგარა: 1 კომლს არაფერი მართებს, 1 კომლს—3 ჩაფი ღვ., 2 ფოხალი ღომი, 6<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაპ. და 2 ქათამი; დანარჩენ 4 კომლს თითოს—4 ჩაფი ღვ., 2 ფოხალი ღომი, 6<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაპ., 2 ქათამი.

**ქვემო-ქვიტირი.** არის 4 კ., მამრი 17 ს., აქვთ 3 ქცევა ვენახი (მოსავალი 145 ჩაფი ღვ.), 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1<sup>1</sup>/<sub>4</sub> ჩაფი ღვ., 1 გირვ. სანთ., 1 ქათამი, 3 კაპ. 1819 წლიდან შუა-ქვიტირის და ქვემო ქვიტირის გლეხებს დაედვათ თითო სოფლისას 44 მან.

**ბაკისუბანი.** არის 3 კ., მამრი 13 ს., აქვთ 1<sup>3</sup>/<sub>4</sub> ქც. ვენახი (მოსავალი 100 ჩაფი ღვ.), 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 2 კომლს—6 ჩაფი ღვ., 1 ქათამი, 1 კომლს—6 ჩაფი ღვინო, 1 გირვ. სანთ.

1819 წლიდან დაედვათ 12 მან.

**პატრიკეთი.** არის 8 კ., მამრი 27 ს., აქვთ 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. ვენახი (მოსავალი 440 ჩაფი ღვ.), 30 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კომლს—10 ჩაფი ღვ., 5 კოდი ღომი, 3 ქათამი, 20 კაპ., 3 კომლს—16 ჩაფი ღვ., 3 კოდი ღომი, 20 კაპ., 3 კომლს—16 ჩაფი ღვ., 5 კოდი ღომი, 1 ქათამი, 26 კაპ., 1 კომლს—10 ჩაფი ღვ., 20 კაპ.

1819 წლიდან დაედვათ 50 მან.

При сем селении имеется церковный сад, принадлежащий гелатскому монастырю, которого настоятель игумен Григорий. Оный сад полдневного пахания, приносит доходу 80 чап вина и находится в хозяйственном распоряжении помянутого настоятеля.

Еще имеется пахатная церковная земля 10 дневного пахания и сад <sup>1</sup>/<sub>2</sub> днев. пахания, коими пользуется церковный крестьянин кутайского собора Иван Нарчомашвили. За землю платит церкви 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> коды гоми, за сад 11 чап вина, деньгами 20 коп. серебр. и 2 курицы. Отныне сад сей и земля отданы на откуп губернскому секретарю Мурванову по 10 рублей и серебром в год.

**ოდილაური.** არის 6 კ., მამრი 19 ს., ვენახები ახლად შენდებოდა, სახნავი მიწა ჰქონდათ 36 ქცევა.

ბეგარა კომლზე: 4 კომლს—7 ჩაფი ღვ., 20 კვერცი, 50 კაპ. 1 კომლს—1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ჩაფი ღვ., 2 გირვ. სანთელი, 50 კაპ., 1 კომლს—7 ჩაფი ღვ., 20 კვერცი, 50 კაპ.

1819 წლიდან დაედვათ 24 მან.

**პოგნარი.** არის 6 კომლი, მამრი 26 ს., 4 კომლს აქვთ 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. ვენახი (მოსავალი 144 ჩაფი ღვ.), ამას გარდა ორი კომლი ვენახს ახლად აშენებდა. ყველას ჰქონდა 53 ქც. სახნავი.



ბეგარა კომლზე: 1 კ.—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი, 1 გირვ. სანთელი და ხანგამოშვებით მოსამსახურე მიტროპოლიტის სახლისთვის, 1 კომლს—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი, 2 ჩარეჭი სანთელი და 1 სული მოსამსახურედ უნდა ყოფილიყო მიტროპოლიტთან; 2 კომლს—15 ჩაფი ღვ., 3 ბათმანი ღომი, 1 ცხვარი, მოსამსახურის მიცემა, 2 კომლს—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი, 2 გირვ. სანთელი, მოსამსახურის მიცემა.

1819 წლიდან დაედვათ 30 მან.

**კორიში.** არის 3 კ., მამრი 12 ს., აქვთ 3 ქც. ვენახი (მოსავალი 280 ჩაფი ღვ.), 6 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 12 ბათმანი მარილი, 6 გირვ. სანთელი. 1819 წლიდან დაედვათ (ორივეს) 9 მან.

**ღიმი.** არის 2 კ., მამრი 8 ს., აქვთ 4 ქც. ვენახი (მოსავ. 200 ჩაფი ღვ.); ბეგარა 1 კომლს 2 ბათმ. მარილი, 1 გირვ. სანთელი; 1 კ.—2 გირვ. სანთელი. 1819 წლიდან დაედვა 6 მან.

**საჯანო.** არის 6 კ., მამრი 14 ს., აქვთ 7 ქც. ვენახი (მოსავალი 360 ჩაფი ღვ.), 24 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 2 კ.—22 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი და 50 კაპ.; 1 კ.—42 ჩაფი ღვ., 12 ბათმ. პური, 1 ცხვარი, 50 კაპ.; 2 კ.—48 ჩაფი ღვ., 16 ბათმ. ღომი, 16 ბათმ. პური, 1 ცხვარი, 50 კაპ.

1819 წლიდან დაედვათ 60 მან.

**ბოსლევი.** არის 24 კომლი, მამრი 98 ს. აქვთ 24 ქც. ვენახი (მოსავალი 1440 ჩაფი ღვ.), 72 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 20 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 50 კაპ.

1819 წლიდან დაედვათ 120 მან.

**ზოვრეთი.** არის 2 კ., მამრი 7 ს., აქვთ 1 ქც. ვენახი (მოსავ. 60 ჩაფი ღვ.), 5 ქც. სახნავი.

ბეგარა ორივე კომლის ერთად—8 გირვ. სანთელი, 6<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაპ. საკმევლის ფასად.

**აღისუბანი.** არის 36 კ., მამრი 131 ს., აქვთ 38<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. ვენახი (მოსავ. 2260 ჩაფი ღვ.), 120 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—40 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი და საური 52 კაპ.; 1 კ.—20 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური, 1 ცხვარი, საური 76 კაპ.; 2 კ.—40 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, საური 60 კაპ.; 1 კ.—12 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, საური 59 კაპ.; 1 კ.—12 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 54 კაპ.; 2 კ.—35 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. ღომი, 1 ცხვარი, საკმევლის 8<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაპ. და საური 54 კაპ.; 1 კ.—50 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, საური 54 კაპ.; 1 კ.—40 ჩაფი ღვ. 1 ცხვარი, 9 ბათმ. ღომი, საური 54 კაპ.; 2 კ.—20 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 54 კაპ.; 1 კ.—35 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 6 ბათმ. ღომი, 54 კაპ.; 1 კ.—40 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. პური, 1 ცხვა-

რი, 60 კაპ.; 1 კ.—40 ჩაფი ღვ., 52 კაპ.; 3 კ.—35 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. პური, 1 ცხვარი, 61 კაპ.; 1 კ.—26 ჩაფი ღვ., 8<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაპ.; 1 კ.—12 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 61 კაპ.; 1 კ.—40 ჩაფი ღვ. 1 ცხვარი, 6 ბათმ. პური, 61 კაპ.; 2 კ.—40 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 6 ბათმ. პური, 61 კაპ.; 1 კ.—40 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი; 1 კ.—17 ჩაფი ღვ. (ცხოვრობს მემამულისაგან თავის ნასყიდ მიწაზე, საეკლესიო მიწა არ აქვს), 2 კ.—40 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 54 კაპ.; 2 კ.—20 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 54 კაპ.; 1 კ.—40 ჩაფი ღვ. 1 ცხვარი, 54 კაპ.; 2 კ.—20 ჩაფი ღვ., 54 კაპ.; 1 კ.—24 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 54 კაპ.; 2 კ.—12 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 54 კაპ.

1819 წლიდან ყველას დაედვათ 288 მან.

**თხილთაწყარო.** არის 13 კომლი, მამრი 53 ს., აქვთ 11<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. ვენახი (მოსავალი 490 ჩაფი ღვ.), 40 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 2 კ.—28 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. ლომი, 1 ცხვარი, 60 კაპ.; 2 კ.—33 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. ლომი, 1 ცხვარი, 60 კაპ.; 5 კ.—4 ჩაფი ღვ.; 1 კ.—28 ჩაფი ღვ., 2 კ.—34 ჩაფი ღვ., კომლზე ყველას 6 ბათმ. ლომი, 1 ცხვარი, 60 კაპ., 1 კომლი ბეგარას არ იხდის, მსახურობს მიტროპოლიტთან, ვენახს და სახნავ მიწას იმზადებს ტყის გაწმენდით.

1819 წლიდან ყველას დაედვათ 104 მან.

**მუხურაი.** არის 4 კ., მამრი 12 ს., აქვთ 4 ქც. ვენახი (მოსავალი 800 ჩაფი ღვ.), 12 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—20 ჩაფი ღვ., 3 კ.—20 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ლომი, 1 ცხვარი, 52 კაპ.

1819 წლიდან დაედვათ 20 მან.

**თელეფა (Телѣпа).** არის 2 კ., მამრი 11 ს., აქვთ 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. ვენახი (მოსავალი 160 ჩაფი ღვ.), 12 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 16 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 1 გირვ. ბამბა, 52 კაპ.

**ღვანკითი.** არის 2 კ., მამრი 6 ს., აქვთ 2 ქც. ვენახი (მოსავალი 120 ჩაფი ღვ.), 7 ქც. სახნავი.

ბეგარა: 1 კ.—20 ჩაფი ღვ., 52 კაპ., 1 კ.—8 ჩაფი ღვ., 2 გირვ. სანთელი.

1819 წლიდან თელეფას და ღვანკითის გლეხებს დაედვათ ერთად 20 მან.

**ჩხარი.** არის 14 კ., მამრი 52 ს., აქვთ 14<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. ვენახი (ღვინის მოსავალი 740 ჩაფი), 47 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 2 კ.—10 ჩაფი ღვ., 4 ბათმ. ლომი; 11 კ.—20 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. პური, 50 კაპ.; 1 კ.—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური, 1 ცხვარი, <sup>1</sup>/<sub>2</sub> გირვ. სანთელი.

1819 წლიდან დაედვათ 75 მან.

**ძვერი.** არის 9 კ., მამრი 37 ს., აქვთ 10 ქც. ვენახი (მოსავალი 380 ჩაფი ღვ.), 28 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—10 ჩაფი ღვ., 2 გირვ. ბამბა; 1 კ.—10 ჩაფი ღვ., 50 კაბ.; 1 კ.—20 ჩაფი ღვ., 2 გირვ. ბამბა, 50 კაბ.; 1 კ.—10 ჩაფი ღვ., 4 ბათმ. პური, 50 კაბ.; 3 კ.—20 ჩაფი ღვ., 50 კაბ., 2 კომლს ერთად—1 ძროხა, 4 გირვ. ბამბა.

1819 წლიდან დაედვათ 65 მან.

**ენჭერი.** არის 11 კ., მამრი 27 ს., აქვთ  $8\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 710 ჩაფი ღვ.),  $29\frac{1}{2}$  ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—40 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. პური, 1 ცხვარი, 60 კაბ.; 1 კ.—12 ბათმ. პური, 1 ცხვარი; 3 კ.—16 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 50 კაბ.; 1 კ.—30 ჩაფი ღვ., 1 ცხვარი, 50 კაბ.; 2 კ.—8 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. პური, 4 გირვ. სანთელი, 50 კაბ.; 3 კ.—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური, 4 გირვ. სანთელი, 50 კაბ.

1819 წლიდან დაედვათ 30 მან.

**სიმონეთი.** არის 31 კ., მამრი 107 ს., აქვთ  $22\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 1484 ჩაფი ღვ.), სახნავი 69 ქც.

ბეგარა კომლზე: 13 კ.—22 ჩაფი ღვ.,  $56\frac{1}{2}$  კაბ.; 4 კ.—22 ჩაფი ღვ., 12 ბათმ. პური,  $56\frac{1}{2}$  კაბ.; 1 კ.—6 ჩაფი ღვ., 2 გირვ. ბამბა; 1 კ.—24 ჩაფი ღვ., 1 კაბ.; 1 კ.—12 ჩაფი ღვ., 16 ბათმანი ლომი, 1 კაბ.; 2 კ.—24 ჩაფი ღვ. 15 ბათმ. ლომი,  $\frac{1}{2}$  გირვ. ბამბა,  $\frac{1}{2}$  გირვ. სანთელი; 1 კ.—1 მან.  $20\frac{1}{2}$  კაბ.; 1 კ.—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ლომი, 4 გირვ. სანთელი; 1 კ.—2 ჩაფი ღვ., 18 ბათმ. პური, 1 ცხვარი; 1 კ.—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ლომი, 4 გირვ. სანთელი; 1 კ.—20 ჩაფი ღვ.,  $\frac{1}{2}$  კაბ.; 1 კ.—24 ჩაფი ღვ.,  $\frac{1}{2}$  გირვ. ბამბა, 1 ცხვარი; 1 კ.—12 ჩაფი ღვ., 12 ბათმ. ლომი; 1 კ.—1 ცხვარი, 6 ბათმ. პური. 1 კომლი არაფერს იხდიდა.

1819 წლიდან დაედვათ 155 მან.

**საწირე.** არის 15 კ., მამრი 79 ს., აქვთ 11 ქც. ვენახი (მოსავალი 512 ჩაფი ღვ.), 45 ქც. სახნავი.

ბეგარა: 1 კ.—12 ბათმ. ლომი, დანარჩენი 14 კ. კომლზე 4 ჩაფი ღვინო, 9 ბათმ. ლომი,  $6\frac{1}{2}$  კაბ.

1819 წლიდან დაედვათ 60 მან.

**ძიროვანი (Дзируаны).** არის 5 კ., მამრი 30 ს., აქვთ  $5\frac{1}{2}$  ქც. სახნავი (მოსავალი 340 ჩაფი ღვ.), 19 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ლომი, 2 ჩარეკი სანთელი, 25 კაბ., 1 ცხვარი.

1819 წლიდან დაედვათ 20 მან.

**ტყიბული.** არის 1 კ., 2 ს. მამრი. ვენახი ახლად შენდებოდა, სახნავი მიწა აქვს 4 ქც.

1819 წლიდან დაედვა 3 მან.

**გურნა.** არის 11 კ., მამრი 42 ს., აქვთ 14 ქც. ვენახი (მოსავალი 410 ჩაფი ღვ.), 26 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 ჩაფი ღვ., 9 ბათმ. ღომი, 60 ლურსმანი, 1 ცხვარი, 1 ქათამი.

1819 წლიდან დაედვათ 44 მან.

**კისორეთი (Кисореты).** 5 კ., მამრი 33 სული, აქვთ 11 ქც. ვენახი (მოსავ. 1000 ჩაფი ღვ.), 28 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 3 ჩაფი ღვ., 4 ბათმ. პური, 6 გირვ სანთელი, 1 ცხვარი, 1 ქათამი.

1819 წლიდან დაედვათ 20 მან.

**სოჩხეთი.** არის 7 კ., მამრი 43 ს., აქვთ 4 ქც. ვენახი (მოსავალი 300 ჩაფი ღვ.), 29 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—4 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. პური, 6 $\frac{1}{2}$  გირვ. სანთელი, 1 ცხვარი, 1 ქათამი; 3 კ.—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური, 33 კაპ., 1 ცხვარი, 2 $\frac{1}{2}$  გირვ. სანთელი; 3 კ.—4 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. პური, 66 კაპ., 1 ცხვარი,  $\frac{1}{2}$  გირვ. სანთელი, 1 ქათამი.

1819 წლიდან დაედვათ 28 მან.

**ციხია.** არის 6 კ., მამრი 34 ს., აქვთ 4 ქც. ვენახი (მოსავალი 400 ჩაფი ღვ.), 25 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—12 ჩაფი ღვ., 12 ბათმ. პური, 1 ცხვარი,  $\frac{1}{2}$  გირვ. სანთელი. 1 კომლი არაფერს იხდიდა.

1819 წლიდან დაედვათ 24 მან.

**ლაფეთი.** არის 4 კ., მამრი 19 ს., აქვთ 3 ქც. ვენახი (მოსავალი 160 ჩაფი ღვ.), 15 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—8 ჩაფი ღვინო,  $\frac{1}{2}$  გირვ. სანთელი; 3 კ.—16 ჩაფი ღვ., 1 გირვ. სანთელი, 1 ცხვარი, 6 $\frac{1}{2}$  კაპ. და გარდა ამისა 1 კომლს—6 ბათმ. ღომი და მეორეს—24 ჩაფი ღვ.

1819 წლიდან დაედვათ 16 მან.

**ჯვარისა.** არის 11 კ., მამრი 45 ს., აქვთ 11 ქც. ვენახი (მოსავალი 440 ჩაფი ღვ.), 22 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: ამალღებზე 1 ძროხა, 1 ცხვარი, 12 ჩაფი ღვ., 9 ბათმ. პური; საუდიერო მთლად—11 ცხვარი, 33 ბათმ. პური, 24 ჩაფი ღვ.

1819 წლიდან დაედვათ 44 მან.

**მანდიკორი.** არის 2 კ., მამრი 5 ს., აქვთ 2 ქც. სახნავი მიწა, ვენახი ახლად შენდებოდა.

ბეგარა: 1 კ.—8 ჩაფი ღვ., 2 გირვ. სანთელი, 3 ბათმ. პური; 1 კ.—14 ჩაფი ღვ.

1819 წლიდან დაედვათ 8 მან. (ორივეს).

**ნაგორევი.** არის 9 კ., მამრი 37 ს., აქვა  $7\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 360 ჩაფი ღვ.), 34 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 3 კ.—1 ცხვარი, 1 კ.—12 ჩაფი ღვ., 21 ბათმ. პური; 5 კ.—24 ჩაფი ღვ., 21 ბათმ. პური.

1819 წლიდან დაედვათ 36 მან.

**გოდოგანი** არის 22 კ., მამრი 72 ს., აქვთ 17 ქც. ვენახი (მოსავალი 362 ჩაფი ღვ.), 57 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 20 კ.—6 ჩაფი ღვ., 1 კ.—26 ჩაფი ღვ., 1 კომლი 1811 წ. გენათელ მიტროპოლიტს უჩუქებია თ-დ თალაგან-ღიშვილისთვის.

1819 წლიდან დაედვათ 32 მან.

**ნაზოსლევი.** არის 19 კ., მამრი 62 ს., აქვთ 9 ქც. ვენახი (მოსავალი 360 ჩაფი ღვ.), 22 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—14 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური; 2 კ.—8 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური; 12 კ.—14 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური, 1 გირვ. სანთელი (მათ შორის 1 კომლს გარდა ამისა 1 ცხვარი). 4 კომლი ბეგარას არ იხდიდა (სამი კ. მათში ხელოსანის თანამდებობის ასრულებების გამო).

ყველა ამ კომლებს შორის 3 კ. გადარიცხული ყოფილა ნაგორევიდან. 1819 წლიდან 16 კომლს (გარდა 3 კომლ ხელოსანისა) დაედვათ 80 მან.

**კოკა.** არის 13 კ., მამრი 57 სული, 2 კომლს აქვს 2 ქცევა ვენახი (მოსავალი 40 ჩაფი ღვ.) და 6 ქც. სახნავი. დანარჩენთა მიწის რაოდენობა არაა ნაჩვენები.

ბეგარა კომლზე: 14 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური, 4 გირვ. სანთელი, 1 ცხვარი, 1 ქათამი (ერთი კომლი არაფერს იხდიდა).

1819 წლიდან დაედვათ 65 მან.

**კურსები.** არის 34 კომლი, მამრი 123 ს., 1 კომლს აქვს 1 ქც. ვენახი (მოსავალი 60 ჩაფი ღვ.), 3 ქც. სახნავი. დანარჩენთა მიწის რაოდენობა არაა ნაჩვენები.

ბეგარა კომლზე: 4 კ.—12 ჩაფი ღვ., 6 ბათმანი ღომი, 4 გირვ. სანთელი; 3 კ.—5 ჩაფი ღვ., 3 გირვ. სანთელი, 3 ბათმ. პური. 25 კ.—16 ჩაფი ღვ., 3 გირვ. სანთელი, 3 ბათმ. პური (ამას გარდა ამ 25 კომლში ერთს კომლს—1 ცხვარი, 1 კ. კიდევ—6 ჩაფი ღვ., 1 კ. კიდევ—20 ჩაფი ღვ., 1 კ.—კიდევ 16 ჩაფი ღვ.). 2 კომლი არაფერს იხდიდა (მათში 1 კომლი იძლეოდა მოსამსახურეს).

1819 წლიდან დაედვათ 170 მან.

**გელათი.** არის 16 კ., მამრი 43 ს., 5 კომლს აქვს  $2\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 80 ჩაფი ღვ.), 9 ქც. სახნავი. დანარჩენთა მიწის რაოდენობა არაა ნაჩვენები.

ბეგარა კომლზე: 6 კ. არაფერს იხდიდა, ედვა მოსამსახურე, 3 კ.—7 ჩაფი ღვ., 1 კ.—12 ჩაფი ღვ., 2 კ.—8 ჩაფი ღვ., 1 კ.—3 ჩაფი ღვ., 2 კ.—6 ჩაფი ღვ.,  $\frac{1}{2}$  გირვ. სანთელი, 1 კ.—7 ჩაფი ღვ.; ყველას ადევს მოსამსახურე.

1819 წლიდანაც დატოვებულ იქმნენ წინანდელ წესზე

**რიონი.** არის 10 კ., მამრი 27 ს., 1 კომლს აქვს 17 ქც. ვენახი (მოსავალი 40 ჩაფი ღვ.), 2 ქც. სახნავი, დანარჩენთა მიწა არაა ნაჩვენები.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—3 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი, სამსახური; 2 კ.—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი; 1 კ.—7 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი, 1 გირვ. სანთელი; 2 კ.—7 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური. 1 კ. იყო ხელოსანი და არაფერს იხდიდა, დანარჩენ 3 კომლს ედვა მხოლოდ სამსახური.

1819 წლიდან დაედვათ 30 მან.

**ნოღა (Ногы).** არის 2 კ., მამრი 6 ს., 1 კომლს აქვს 1 ქც. ვენახი (მოსავალი 60 ჩაფი ღვ.), 2 ქც. სახნავი. მეორე კომლის მიწა არაა ნაჩვენები.

ბეგარა კომლზე 5 ჩაფი ღვ., 1 გირვ. სანთელი, სამსახური<sup>1</sup>.

1819 წლიდან ორივეს (ერთად) დაედვა 6 მან.

**სორმონი.** არის 5 კ., მამრი 17 ს., 1 კომლს აქვს 1 ქც. ვენახი (მოსავალი 100 ჩაფი ღვ.), 4 ქც. სახნავი, დანარჩენთა მიწა არაა ნაჩვენები.

ბეგარა კომლზე: 4 კ.—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი, 1 კ.—6 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი.

1819 წლიდან დაედვათ 15 მან.

**ქოლა.** არის 1 კ., მამრი 3 ს.,

ბეგარა: 10 ჩაფი ღვ., 2 ბათმ. ღომი, 2 ქათამი. 1819 წლიდან დაედვა 3 მან.

სულ გელათის მონასტრის კუთვნილი ყმები მამრი 1476 სული.

სოფ. პატრიკეთში იყო საეკლესიო ვენახი, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული გუბ. სეკრეტარს მურვანოვს 10 მანეთად.

### გოგნის უდაბნოსი

**სოჩხეთი.** არის 9 კ., მამრ. 35 ს., აქვთ 9 ქც. ვენახი (მოსავალი 180 ჩაფი ღვ.), 18 ქც. სახნავი.

ბეგარა ყველასი: 18 ჩაფი ღვ., 18 ბათმ. ღომი, 18 ქათამი.

1819 წლიდან დაედვათ 36 მან.

**გოგნი.** არის 3 კ., მამრი 11 ს., აქვთ  $1\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 90 ჩაფი ღვ.), 6 ქც. სახნავი.

<sup>1</sup> სამსახური აქ ყველგან ნაგულისხმევია მღვდელთ-მთავრის სახლში მოსამსახურეობა.

ბეგარა ყველასი 24 ჩაფი ღვ., 4 ბათმ. პური, 3 ქათამი, 6 გირვ. სანთელი. 1819 წლიდან დაედვათ 12 მან.

საწირი. არის 4 კ., მამრი 20 ს., აქვთ 3 $\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 72 ჩაფი ღვ.), 7 ქც. სახნავი.

ბეგარა ყველასი: 8 ჩაფი ღვ., 8 ბათმ. პური. 1819 წლიდან დაედვათ 16 მან.

ტყიბული. არის 1 კ., მამრი 6 ს., აქვს 5 ქც. სახნავი მიწა.

ბეგარა ნაჩვენებია 8 $\frac{1}{2}$  კაპ. (ამას გარდა ალბად ედვა მასპინლობა ან სამსახური). 1819 წლიდან დაედვა 4 მან.

საზანო. არის 1 კ., მამრი 2 ს., აქვს 10 ქც. სახნავი (ვენახი ახლად შენდებოდა).

ბეგარა—20 ჩაფი ღვ. 26 კაპ.; 1819 წლიდან კი—4 მან.

### ქალატყის მონასტრის.

ქალატყე. არის 2 კ., მამრი 6 ს., აქვთ 4 $\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 110 ჩაფი ღვ.), 14 ქც. სახნავი.

ბეგარა: 1 კ.—36 ჩაფი ღვ., 8 ბათმანი პური; 1 კ.—2 გირვ. სანთელი. 1819 წლიდან ორივეს დაედვა 12 მან.

აქვე არის 200 ქც. საეკლესიო მიწა, რომლითაც უფასოდ სარგებლობს სამღვდელთაგან.

### სოხასტრის მონასტრის.

სიხტაურა. არის 9 კ., მამრი 23 ს., აქვთ 9 $\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 375 ჩაფი ღვ.), 31 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 12 ჩაფი ღვ., 9 ბათმ. პური, 2 გირვ. ყველი, 2 გირვ. სანთელი, 13 კაპ.. 1819 წლიდან დაედვათ 54 მან.

ბუეთი. არის 9 კ., მამრი 40 ს., აქვთ 10 ქც. ვენახი (774 ჩაფი ღვ.), 40 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 12 ჩაფი ღვ., 2 გირვ. სანთელი, 9 ბათმ. ღომი, 26 ფარა, ჩარეჩი ყველი. 1819 წლიდან დაედვათ 36 მან.

ძუყნური<sup>1</sup>. არის 9 კ., მამრი 34 ს., აქვთ 8 ქც. ვენახი (394 ჩაფი ღვ.), სახნავი 33 ქც.

ბეგარა კომლზე—იგივე რაც ბუეთში. 1819 წლიდან დაედვათ 36 მან.

საწირი. არის 6 კ. მამრი 24 ს., აქვთ 6 $\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (350 ჩაფი ღვ.), 21 ქც. სახნავი.

ბეგარა იგივე რაც ბუეთში. 1819 წლიდან დაედვათ 24 მან.

<sup>1</sup> სოფლის სახელი რუსულად ნუსხაში დასახელებულია Ицурра.

**გოდოვანი.** არის 1 კ., მამრი 2 ს., აქვს 1 ქც. ვენახი (მოსავალი ნაჩვენებია 2 ჩაფი ღვ.), 3 ქც. სახნავი.

ბეგარა 26 კაპ., 1819 წლიდან—4 მან.

სულ სოხასტრის მონასტრის კუთვნილი მამრი—123 ს.

### მოწამეთის მონასტრის.

**ტყიბული.** არის 7 კ., მამრი 20 ს., აქვთ 28 ქც. სახნავი (ვენახს 3 კ. ახლად აშენებდა).

ბეგარა კომლზე: 2 გირვ. სანთელი, 14 კაპ., 1 ბათმ. ღომი, 1 ქათამი.

1819 წლიდან დაედვით 21 მან.

**მანდიკორი.** არის 3 კ., მამრი 5 ს., აქვთ 3 ქც. ვენახი (400 ჩაფი ღვ.), 18 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 9 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. პური, 10 კაპ.

1819 წლიდან დაედვით 12 მან.

**მოწამეთი.** არის 10 კ., მამრი 27 ს., 1 კომლს აქვს 1 ქც. ვენახი (120 ჩაფი ღვინო), 2 ქცევა სახნავი, დანარჩენთა არაა ნაჩვენები.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—8 ჩაფი ღვ., 4 გირვ. სანთ., 3 ბათმ. ღომი; 1 კ.—18 ჩაფი ღვ., 7 ბათმ. პური; 5 კ.—6 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური, 10 კაპ.; 1 კ.—18 ჩაფი ღვ., 4 ბათმ. პური; 1 კ.—10 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური; 1 კ.—19 ჩაფი ღვ., 4 ბათმ. პური.

1819 წლიდან დაედვით 40 მან.

**ჭოლევი.** არის 1 კ., მამრი 3 ს.

ბეგარა 12 ჩაფი ღვ., 2 გარვ. სანთელი, 3 ბათმ. ღომი. 1819 წლიდან—3 მან.

სულ მოწამეთის მონასტრის—55 ს. მამრი.

### გელათის მონასტრის მაცხოვრის ეკვდრის.

**ლეჟერეთი (Ленареты).** არის 6 კ., მამრი 23 ს., 1 კომლს აქვს 1/2 ქც. ვენახი (60 ჩაფი ღვ.), 3 ქც. სახნავი.

ბეგარა ყველასი ერთად—36 ჩაფი ღვ., 72 ბათმ. პური, 24 გირვ. სანთელი. 1819 წლიდან დაედვით 24 მან.

**მანდიკორი.** არის 3 კ., მამრი 12 ს., აქვთ (1 კომლის მამრი გაქცეული არიან) 2 კომლს 2 ქც. ვენახი (160 ჩაფი ღვ.), 6 ქც. სახნავი.

ბეგარა ყველასი—28 ჩაფი ღვ., 6 ბათმ. პური, 4 ქათამი (ცხაღია, იგულისხმება 2 კომლი), 1819 წლიდან—12 მან.

სულ მაცხოვრის ეკვდრის კუთვნილი—35 ს. მამრი.



### გელათის წმ. ანდრიას ეკვდრის.

**გოდოგანი.** არის 2 კ., მამრი 9 ს., აქვს 1 კომლს 1 ქც. ვენახი (40 ჩაფი ღვ.), 3 ქც. სახნავი (მეორე კომლის მიწა არაა ნაჩვენები).

ბეგარა კომლზე: 10 ჩაფი ღვ., 16 ბათმ. პური. 1819 წლიდან დაედვათ 12 მან.

### გელათის წმ. მარინეს ეკვდრის.

**გურნა.** არის 6 კ., მამრი 32 ს., აქვთ 6 ქც. ვენახი (560 ჩაფი ღვ.), 21 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 6 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ლომი, 13 კაპ. 1819 წლიდან დაედვათ 24 მან.

**გოდოგანი.** არის 1 კ., მამრი 4 ს., აქვს 1 ქც. ვენახი (20 ჩაფი ღვ.), 3 ქც. სახნავი.

ბეგარა: 8 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ლომი, 4 გირვ. სანთელი, 1 ქათამი. 1819 წლიდან — 4 მან.

**მანდიკორი.** არის 3 კ., მამრი 13 ს., 1 კომლს აქვს 1 ქც. ვენახი (80 ჩაფი ღვ.), 3 ქც. სახნავი, დანარჩენთა მიწა არაა ნაჩვენები.

ბეგარა ყველასი: 24 ჩაფი ღვ., 9 ბათმ. პური, 3 ქათამი, 9 კაპ. 1819 წლიდან — 12 მან.

**შუქერი (Шукеры).** არის 4 კ., მამრი 17 ს., 1 კომლს აქვს 1 ქც. ვენახი (80 ჩაფი ღვ.), 3 ქც. სახნავი. დანარჩენთა არაა ნაჩვენები.

ბეგარა ყველასი: 32 ჩაფი ღვინო, 12 ბათმ. პური, 4 ქათამი, 12 კაპ. 1819 წლიდან — 16 მან.

**ჯონია.** არის 3 კ., მამრი 8 ს., 1 კომლს აქვს 3 ქც. ვენახი (40 ჩაფი ღვ.), 3 ქც. სახნავი.

ბეგარა ყველასი: 24 ჩაფი ღვ., 9 ბათმ. პური, 3 ქათამი და 9 კაპ., 1819 წლიდან — 12 მან.

სულ მარინეს ეკლესიის (ეკვდრის) არის 74 ს. მამრი.

### ნიკოკრწმინდის ეპარქიის.

**რცხილათი.** არის 24 კ., მამრი 90 ს., აქვთ 42 ქც. ვენახი (მოსავალი 1604 ჩაფი ღვ.), 106 ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 1 კომლს ედვა მხოლოდ მოსამსახურის მიცემა, დანარჩენთ ყველას კომლზე 2 გირ. სანთელი და ამას გარდა 2 კ.— 2 ფოხალი ლომი და 2 ქათამი; 4 კ.— 2 ფოხალი ლომი, 2 ქათამი, 6 ჩაფი ღვინო; 2 კ.— 2 ფოხ. ლომი, 2 ქათამი, 8 ჩაფი ღვინო; 1 კ.— 3 კოდი ლომი, 3 ქათამი, 5 ჩაფი ღვინო; 2 კ.— 3 კოდი ლომი, 3

ქათამი, 6 ჩაფი ღვინო; 1 კ.—3 კოდი ღომი, 3 ქათამი, 8 ჩაფი ღვინო; 2 კ.—3 კოდი ღომი, 3 ქათამი, 3 ჩაფი ღვ.; 1 კ.—2 ფოხალი ღომი, 3 ქათამი, 6 ჩაფი ღვინო.

1819 წლიდან დაედვათ 100 მან.

**ჩხარი.** არის 2 კ., მამრი 3 ს., აქვთ 3 ქცევა ვენახი (მოსავალი 80 ჩაფი ღვინო), 5 ქცევა სახნავი.

ბეგარა ორივესი ერთად 40 ჩაფი ღვინო და 1 ცხვარი. 1819 წლიდან დაედვათ 10 მან.

**ცხონორი (Цхоноры).** არის 17 კ., მამრი 85 სული. აქვთ 17 ქც. ვენახი (მოსავალი 680 ჩაფი ღვ.), 165 ქც. სახნავი (ამაში 120 ქც. სახნავი ეკუთვნის 3 კომლს).

ბეგარა კომლზე: 1 კომლი—მასპინძლობა („Бегара не плотит, а обязан в проезд духовных лиц делать угощение“), დანარჩენთ —კომლზე: 6 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. ღომი 2 ქათამი.

1819 წლიდან დაედვათ 68 მან.

**ძმუისი.** არის 10 კ., მამრი 56 ს., აქვთ 13 ქც. ვენახი (მოსავალი 760 ჩაფი ღვ.), 30 ქც. სახნავი.

ბეგარას 1 კომლი არ იხდიდა, დანარჩენთ ედვათ კომლზე: 5 ჩაფი ღვ., 2 ბათმ. ღომი.

1819 წლიდან დაედვათ 40 მან.

### ხონის საქარის.

**ბაკისუბანი.** არის 8 კ., მამრი 37 სული. ერთს კომლს მიწა სრულებით არ ჰქონდა. დანარჩენთ აქვთ  $3\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 290 ჩაფი ღვ.),  $24\frac{1}{2}$  ქც. სახნავი.

ბეგარა კომლზე: 3 კ.—12 ჩაფი ღვ., 20 კაბ.; 2 კ.—6 ჩაფი ღვ., 10 კაბ.; 2 კ.—3 ჩაფი ღვ., 5 კაბ.; უმიწაწყლო კომლის ბეგარა არაა ნაჩვენები.

დასახელებულნი გლეხნი ამას გარდა იხდიდნენ ხაზინის სასარგებლოდ საუდიეროს.

1819 წლიდან დაედვათ ეკლესიის სასარგებლოდ 16 მან.

**კვახჭირი.** არის 4 კ., მამრი 12 ს., მიწის რაოდენობა არაა ნაჩვენები. ისინი ცხოვრობენ სახაზინო მიწებზე.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—1 ლიტრა სანთელი, 1 კ.—7 ჩაფი ღვ., 2 ბათმ. პური, 1 ქათამი, 20 კაბ.; 2 კ.—5 ჩაფი ღვ., 2 ბათმ. პური, 2 ქათამი, 26 კაბ.

1819 წლიდან დაედვათ 12 მან.

სახაზინო და საბატონო გლეხები, რომელნიც ცხოვრობენ თავიანთ მიწაზე, მაგრამ ეკლესიის სასარგებლოდ იხდიან ბეგარას.

**გელათის მონასტრისთვის;**

**შუა-ქვიტირი.** არის სახაზინო 12 კ., მამრი 45 ს., ბეგარა კომლზე 10 ჩაფი ღვ., 6<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაპ.; 1819 წლიდან დაედვათ 26 მან.

**სიმონეთი.** არის სახაზინო 13 კ., მამრი 46 ს. ბეგარა კომლზე: 3 კ.—2 ჩაფი ღვ.; 1 კ.—24 ჩაფი ღვ.; 1 კ.—24 გირვ. ყველი, 1 გირვ. ბამბა, 3 ბათმ. პური; 1 კ.—90 მისხალი ბამბა; დანარჩენნი კომლზე—2 გირვ. ბამბა. 1819 წლიდანაც დარჩნენ წინანდელ წესზე.

**იქვე:** არის საბატონო 3 კ., მამრი 12 ს., ბეგარა კომლზე: 2 კ.—<sup>1</sup>/<sub>2</sub> გირვ. ბამბა (1819 წლიდან დარჩა ასევე), 1 კ.—24 ჩაფი ღვ., 15 ბათმ. პური (1819 წლიდან დაედვა 5 მან.).

**სვირის წმ. გიორგის ეკლესიისთვის.**

**სვირი.** არის სახაზინო 3 კ., მამრი 18 ს. ბეგარა: 1 კ.—8 ჩაფი ღვ.; 1 კ.—20 ჩაფი ღვ., 91 კაპ.; 1 კ.—40 ჩაფი ღვ., 65 კაპ.; 1819 წლიდან ყველას—18 მან.

**ქუთაისის საყდრისთვის:**

**ქ. ქუთაისი.** სახაზინო აზნაურნი 7 კ., გლეხები 4 კ. ბეგარა კომლზე 25 კაპ. (1819 წლიდანაც ასევე).

**ქალა.** სახაზინო 1 კ. აზნაური და 2 კ. გლეხი. ბეგარა კომლზე 25 კაპ. (1819 წლიდანაც ასევე).

**ქალაქებში მცხოვრები მებავრე გლეხები.**

**ქუთაისის საყდრის კუთვნილი გლეხები.**

**ქალაქ ჩხარში** (в городке Чхарах). სომხები 5 კ., მამრი 16 ს. ბეგარა კომლზე: 4 კ.—3 გირ. საკმეველი, 1 კ.—8 გირვ. სანთელი. 1819 წლიდან დაედვათ 20 მან.

**გელათის საყდრის**

**ჩხარი.** სომხები 4 კ., მამრი 7 ს.

ბეგარა კომლზე: 1 კ.—1 გირ. საკმეველი და 3 გირვანქა სანთელი; 2 კ.—1 გირ. საკმეველი; 1 კ.—2 გირვ. საკმეველი. 1819 წლიდან დაედვათ 16 მან.

**ჩხარის წმ. გიორგის ეკლესიის.**

**ჩხარი.** სომხები 6 კ.

ბეგარა კომლზე: 5 კ.—2 გირვ. სანთელი, 1 კ.—1 გირვ. საკმეველი და 8 გირვ. სანთელი. 1819 წლიდანაც ასევე დარჩნენ.

ჩხარის ყველა სომხები სარგებლობენ საეკლესიო მიწით.

ჩხარში წმ. გიორგის ეკლესიასთან არის 3 სამღებრო საერთო მფლობელობაში ხაზინასთან. ეს სამღებროები 1 ივნ. 1818 წ. გაცემული იყვნენ იჯარით ერთი წლით 950 მანეთად, რომელთაგან ნახევარი ეკლესიის იყო.

### გოგნის უდაბნოსი.

ქუთაისში მოვაჭრე 2 კ. ისრაელი და სამეგრელოში სუჯუნაში 1 კ. მოვაჭრე ისრაელი.

თითო კომლი იხდიდა უდაბნოს სასარგებლოდ 8 მანეთს.

ქუთაისში კიდევ—3 კ. აზნაური, იხდიდნენ უდაბნოს სასარგებლოდ ყველანი ერთად 5 მანეთს წელიწადში.

### საეკლესიო აზნაურნი და მათი გლეხები ქუთაისის ოლქში<sup>1</sup>.

#### ქუთაისის საყდრის:

ზემო-ქვიტირი. აზნაური 1 კ. (მამრი 1 ს.), მისი ყმა 11 კ. გლეხი (მამრი 25 ს.).

შუა-ქვიტირი. აზნაური 2 კ. (მამრი 7 ს.), მათი ყმა 3 კ. გლეხი (მამრი 13 ს.) და 2 სული მამრი შინა-მსახური (дворовые).

ქვემო-ქვიტირი. აზნ. 5 კ. (მამრი 23 ს.), 1 კომლის ყმა—3 კ. გლეხი (4 ს. მამრი), დანარჩენთ ყმა არ ყავთ. მიწა 1 კომლს უყმა აზნაურს ჰქონია საკუთარი 11 ქცევა ვენახი და სახნავი, მეორეს—4 ქც. და მესამეს—2 ქც. ასეთივე მიწა.

ზემო-მესხეთი. აზნ. 1 კ. (მამრი 7 ს.), ყავს 1 კ. (4 ს. მამრი) გლეხი. ვენახი აქვს 2 ქც., სახნავი მიწა—80 ქც. (ორივე საეკლესიო მიწა.)

ბაკისუბანი. აზნ. 1 კ. (მამრი 3 ს.). საეკლესიო მიწა აქვს 1/2 ქც. ვენახი, 4 ქც. სახნავი.

გეგუთი. აზნ. 2 კ. (მამრი 4 ს.), ყავთ 1 კ. გლეხი (1 ს. მამრი) და 3 ს. მამრი შინა-მსახური (дворовые). საეკლესიო მიწა აქვს 1 კომლს 2 ქც. ვენახი (მოსავალი 200 ჩაფი), 15 ქც. სახნავი და მეორეს—1 ქც. ვენახი, 15 ქც. სახნავი.

როკითი. აზნ. 5 კ. (მამრი 11 ს.). ყავთ 8 კ. გლეხი (მამრი 14 ს.). შინა-მსახური 4 ს. მამრი. მოსავალი აქვთ ყველას 1100 ჩაფი ღვინო. ეს აზნაურები ცხოვრობენ საეკლესიო მიწაზე, ვენახები არ

<sup>1</sup> აქ ნახვენები შინა-მსახურნი თითქმის ყველა არიან მცირეწლოვანნი და შექმნილი უნდა იყვნენ მებატონეების მიერ 1811—1812 წლის საშინელ სიმშობის დროს, როდესაც ხშირად ჰქონდა ადგილი მცირეწლოვან ბავშვების გაყიდვას თვით დედამამის მიერ მათი სიკვდილისაგან გადარჩენის მიზნით.

ჰქონდათ, ღვინოს აკეთებდნენ ტყის ვაზიდან (მაღლარიდან). სახნავი, სათიბი და ტყე არის 700 ჰექტეა.

ფერსათი. აზნ. 18 კ. (მამრი 57 ს.). ამათში 7 კომლს ყმა არ ყავს, დანარჩენს 9 კომლს ყავს 24 კ. გლეხი (მამრი 55 ს.) და გარდა ამისა შინა-მსახური 13 ს. მამრი (ამათში 3 ს. არის ერთ კომლად, დანარჩენები ცალ-ცალკეა ნაჩვენები). 1 შინა-მსახური არის 30 წლის და მას ყავს თავისი ყმა შინა-მსახური<sup>1</sup>. ამ აზნაურებს აქვთ 2480 ჰექტეა სამკვიდრო მიწა (მემკვიდრეობით), 204 ჰქც. მიტროპოლიტ დოსითეოსის მიერ 1813 წ. ნაჩუქარი, 66 ჰქც. (2 კომლს) ნაყიდი (62 ჰქც. ნაყიდი აზნაურისაგან, 4 ჰქც. საეკლესიო გლეხისაგან). ღვინის მოსავალი 3915 ჩაფი. გარდა ამისა 1 კომლი აზნაური ცხოვრობს თავად ჩხეიძის მიწაზე (თუმცა სარგებლობს 60 ჰქც. საეკლესიო მიწით). ამას აქვს ღვინის მოსავალი 100 ჩაფი.

ბაღდადი. არის აზნ. 2 კ. (მამრი 6 ს.). ერთს კომლს ყავს შინა-მსახური 1 ს. მამრი. ორივეს აქვთ სამკვიდრო მიწა 68 ჰქც., ღვინის მოსავალი 300 ჩაფი.

ობჩა. არის 4 კ. აზნ. (მამრი 16 ს.). ყავთ 2 კ. გლეხი (მამრი 4 ს.) და კიდევ შინა-მსახური 6 ს. მამრი. აქვთ 6<sup>1</sup>/<sub>4</sub> ჰქც. ვენახი (მოსავალი 780 ჩაფი), 16 ჰქც. სახნავი.

ჯვარისა. არის 2 კ. აზნაური (5 ს. მამრი) და კიდევ 1 აზნ. საკომლო (საეკლესიო აზნაური მომკვდარა და მამული გადასულა მემკვიდრეობით სახაზინო აზნაურზე). ყავთ ყველას 4 კ. გლეხი (22 ს. მამრი) და კიდევ 2 ს. მამრი შინა-მსახური. აქვთ საეკლ. მიწა 4 ჰქც. ვენახი (მოსავალი 320 ჩაფი), სახნავი 27 ჰქც.

მუჯირეთი (Мучереты). არის 1 კ. აზნ., რომელსაც ყავს 1 კ. გლეხი (5 ს. მამრი). აქვს 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ჰქც. ვენახი (მოსავალი 60 ჩაფი), 4 ჰქც. სახნავი.

სულ ქუთაისის საყდრის კუთვნილი (ქუთ. ოლქში) საეკლესიო აზნაური 140 ს. მამრი, მათი გლეხები 147 ს. მამრი, გლეხთა კუთვნილი გლეხები 3 ს. მამრი, შინა-მსახური (дворовые люди) 31 ს. მამრი.

ქუთაისის საყდრის ზემოთ მოხსენებული აზნაურნი ეკლესიის სასარგებლოდ არაფერს იხდიდნენ.

### გელათის ეპარქიის კუთვნილნი.

ქვემო-ქვიტირი. არის 2 კ. აზნ. (2 ს. მამრი), ყავთ 8 კ. გლეხი (29 ს. მამრი). აქვთ სამკვიდრო მიწა 5<sup>1</sup>/<sub>2</sub> ჰქც. ვენახი (450 ჩაფი), 80 ჰქც. სახნავი.

<sup>1</sup> „Дворовый человек, купленной у Давыда Колдмашвили Датика Колдмашвили. (Этого) дворового человека Датика крестьянин Иван Кверикашвили“.

ბეგარა: 1 კ. აზნ. იხდის 2 გირვ. სანთელს და მეორე — 1 გირვ. სანთ.

ოდოლაური. არის 1 კ. აზნ. (3 ს. მამრი), ყავს 1 კ. გლეხი (2 ს. მამრი). მიწა—1 ქც. გაშენებაში მყოფი ვენახი, 6 ქც. სახნავი. ბეგარა არ ეღვა, 1819 წლიდან დაედვა 3 მან.

ალისუბანი. არის 5 კ. აზნ. (12 ს. მამრი), ყავთ 11 კ. გლეხი (8 კომლში იყო 24 ს. მამრი). მიწა სამკვიდრო და მემამულეებისაგან შეძენილი 11 ქცევა ვენახი (მოსავალი 330 ჩაფი), სახნავი 169 ქც., ბეგარა არ ეღვათ.

ჩხარი. არის 2 კ. აზნ. (4 ს. მამრი). ყავთ 2 კ. გლეხი (მამრი 10 ს.) და მოჯალაბე (дворовые) 4 კომლად (11 ს. მამრი). აქვთ საეკლ. მიწა 2 ქც. ვენახი (მოსავალი 84 ჩაფი ღვ.), 9 ქც. სახნავი, ბეგარა არ ადევთ.

ტყიბული. არის 1 კ. აზნ. (3 ს. მამრი), ყავს 4 კ. გლეხი (14 ს. მამრი). მიწა საეკლ. 16 ქც. სახნავი (ვენახი არ აქვს).

ბეგარა: 8 ჩაფი ღვ., 12 ბათმ. ლომი. 1819 წლიდან დაედვათ 4 მან.

იქვე დეკანოზის გლეხი 1 კ. (1 ს. მამრი), საკუთარ მიწაზე, ბეგარას არ იხდიდა.

ნაძევა. არის 1 კ. აზნ. (4 ს. მამრი), ყავს მოჯალაბე სამკვიდრო 3 ს. მამრი ერთ კომლად. მიწა საკუთარი—6 ქცევა სხვადასხვა დარგის. ბეგარას არ იხდის.

მანდიკორი. არის 1 კ. აზნ., ყავს 1 კ. გლეხი (7 ს. მამრი). მიწა საეკლ.  $\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 100 ჩაფი). 4 ქც. სახნავი. ბეგარა—2 გირვ. სანთელი.

ამავე აზნაურს ეკუთვნის ტყიბულში ერთი გლეხი.

1819 წლიდან დაედვა ორივე კომლს გადასახადი ერთი მან. 50 კაპ.

გოდოგანი. არის 9 კ. აზნ., (21 ს. მამრი), ყავთ 5 კომლს 6 კ. გლეხი (27 ს. მამრი) და 6 ს. მამრი შინა-მსახური. აქვთ 871 ქც. სამკვიდრო მიწა (ღვინის მოსავალი 590 ჩაფი). ბეგარა არ ადევთ.

ნაგორევი. არის 9 კ. აზნ. (28 ს. მამრი), ყავთ 6 კომლს 4 კ. გლეხი (15 ს. მამრი) და 3 ს. შინა-მსახური. აქვთ 323 ქც. სამკვიდრო და 40 ქც. საეკლესიო მიწა, ღვინის მოსავალი 420 ჩაფი. ეკლესიის ბეგარა: 1 აზნაურის, რომელსაც 2 კ. გლეხი ყავს—4 გირვ. სანთელი, 2 ჩაფი ღვ., 8 ბათმ. ლომი, 1819 წლიდან ამ გლეხებს დაედვათ 2 მან.; 1 აზნაურის (ყავს 1 კ. გლეხი)—2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური, 1819 წლიდან—1 მან. 50 კაპ.; დანარჩენთ ბეგარა არ ეღვათ.

კურსები. არის 12 კ. აზნ. (15 ს. მამრი). ყავთ (5 კომლს) 5 კ. გლეხი (13 მამრი) და 3 ს. მამრი შინა-მსახური. აქვთ სამკვიდრო

მიწა 68<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქვ. სახნავი. 2 ქვ. ვენახი (მოსავალი ღვინისა ამ ორ ქვე-  
ვაზე და სხვა მიწაზე—182 ჩაფი). ორ კომლს აზნაურს მიწა არ  
ჰქონდა.

ბეგარა 3 კომლს გლეხს კომლზე 2 ჩაფი ღვ., 3 ბათმ. პური.

1819 წლიდან ამ გლეხებს დაედათ 1 მან. კომლზე (სულ 3 მან.)

გელათი. არის 5 კ. აზნ. (მამრი 11 ს.), 4 კომლს ყავს 4 კ.  
გლეხი (10 ს. მამრი) და 1 შინა-მსახური; აქეთ საეკლესიო მიწა ვე-  
ნახი 1 ქვ., სხვადასხვა 15 ქვ., ღვინის მოსავალი 260 ჩაფი. ბეგა-  
რა არ ადევთ.

აქვე არის საკუთარ მიწაზე დეკანოზის კუთვნილი გლეხი 1 კ.  
(2 ს. მამრი).

რიონი. არის 4 კ. აზნ. (6 ს. მამრი), ყავთ 5 კ. გლეხი (15 ს.  
მამრი).

ჭოლვევი. არის 3 კ. აზნ. (8 ს. მამრი), 2 კომლს ყავს 2 კ.  
გლეხი (9 ს. მამრი).

რიონის და ჭოლვევის ეს გლეხები და აზნაურები სარგებლობ-  
დნენ საეკლესიო მიწით.

მოწამეთა. არის 2 კ. აზნ. (2 ს. მამრი). აქეთ თითოს 1 ქვ.  
ვენახი (მოსავალი 60 ჩაფი ღვ.) და 3 ქვ. სახნავი. ბეგარას არ  
იხდიან.

სულ გელათის საყდრის კუთვნილი (ქუთ. ოლქში) საეკლესიო  
აზნ. 132 ს. მამრი, მათი გლეხი 183 ს. მამრი, შინა-მსახური (дворо-  
вые люди) 27.

### ნიკორწმინდის საქარის.

რცხილათი. არის 2 კ. აზნ. (მამრი 10 ს.), 1 კომლს ყავს  
2 ს. მამრი შინა-მსახური, მიწა აქეთ საეკლესიო: 9 ქვ. ვენახი (280  
ჩაფი ღვ.), 22 ქვ. სახნავი.

ძმუისი. არის 6 კომლი აზნაური (16 ს. მამრი), 2 კომლს ყავს 3 კ.  
გლეხი (10 მამრი) და 1 ს. მამრი შინა-მსახური. 3 კომლს აზნაურს მიწა არა  
აქვს. დანარჩენთ აქეთ საეკლ. მიწა 2 კომლს 3 ქვ. ვენახი (320 ჩა-  
ფი ღვ.) და 30 ქვ. ვენახი, 1 კომლს—1 ქვევა ვენახი და 2 ქვ. სა-  
ხნავი. ბეგარას არ იხდიდნენ.

სულ ნიკორწმინდის საყდრის ქუთ. ოლქში—საეკლ. აზნ. 26 ს.  
მამრი, მათი გლეხები 10 ს. მამრი, შინა-მსახური 3 ს. მამრი.

სულ ქუთ. ოლქში საეკლ. აზნაურები 110 კ., 298 სული მამრი,  
მათი გლეხები 115 კ., 340 ს. მამრი, შინა-მსახური 61 ს. მამრი,  
გლეხთა კუთვნილი გლეხები 3 ს. მამრი.

## საქუთათლო უმეზი ვაკის ოლქში

(საქმე 1819 წლის აჯანყებისა).

**სოფ. ივანდიდი.** არის 3 კომლი (22 ს. მამრი). აქეთ: 1 კომლს 3 ქც. ვენახი (მოსავალი 60 კოკა ღვ.), 2 კომლს—2 ქც. გაშენებაში მყოფი ვენახი. სახნავი მიწა 35 ქც.; 1819 წლიდან დაედვა ყოველწლიურად 3 კომლს ერთად 12 მან.

**გვაზაური.** არის 3 კ. აზნაური (8 ს. მამრი), მათში 1 კომლს ჰყავს 1 ს. მამრი ყმა, აქვს 40 ქც. სახნავი. 1 კომლს ყავს კომლი ყმა (6 ს. მამრი) და 4 ს. მამრი მოჯალაბე (ДВОРОВЫЕ ЛЮДИ). აქვს 2 ქც. ვენახი (მოსავალი 100 კოკა ღვინო), სახნავი 100 ქც.. 1 კომლს აზნაურს გლეხი არ ჰყავს, აქვს 40 ქც. სახნავი მიწა. ეს აზნაურები არაფერს იხდიდნენ და 1819 წლიდანაც ასეთს მდგომარეობაში დარჩნენ.

იმავე სოფელში არის საქუთათლო 2 კ. (10 ს. მამრი), მათში 1 კომლს აქვს 2 ქც. ვენახი (მოსავალი 20 კოკა ღვ.) და 15 ქც. სახნავი, გარდასახადი დაედვა 1819 წლიდან 4 მან.. მეორე კომლს მიწა არა აქვს და არც არაფერი დაედვა.

**იანეთი.** არის 1 კ. (3 ს. მამრი) ცხოვრობს თავად მაჩაბლის მიწაზე<sup>1</sup>.

**მანთხოჯი.** არის 1 კომლი აზნაური (4 ს. მამრი), რომელსაც აქვს 2 ქც. ვენახი (მოსავალი 40 კოკა ღვ.) და 12 ქც. სახნავი. მას ჰყავს 1 კომლი გლეხი (3 ს. მამრი).

იმავე სოფელში არის ქუთათელის ხელქვეითი ყმა (გლეხი) 28 კომლი (156 ს. მამრი), რომელთაც აქეთ ვენახი 79 ქცევა (მოსავალი 978 კოკა ღვ.) და 253 ქც. სახნავი.

გარდასახადი აზნაურს არაფერი ედვა. 28 კომლ გლეხებს კი ედვათ ღვინო, ღომი, სანთელი, ქათამი და წვრილფეხა საკლავი (ЖИВНОСТЬ), მღვდელმთავრის გამასპინძლება, როდესაც სოფელში მოვიდოდა და მოურავისთვის ცალკე გარდასახადი. ყველაფერი ეს ფულზე გადატანით გამოდიოდა კომლზე 3—4 მან., ხოლო სულ 94 მან., 1819 წლიდან კი მათ დაედვათ 168 მან.. გარდა ამისა ამოწყვეტილ საეკლესიო გლეხების მამულში იკრიბებოდა ხეებიდან ყურძენი ეკლესიის სასარგებლოდ რამოდენიმე კოკა წელიწადში. ამისი შემოსავალი განსაზღვრული არ ყოფილა, მაგრამ კარგი მოსავლიანობისას შემოდიოდა 10 მანეთამდის.

საბალახო გარდასახადი აქ არ იყო.

**ვანი.** აზნაური 1 კ. (4 ს. მამრი), მასთან მოჯალაბენი (ДВОРОВЫЕ ЛЮДИ) 5 ს. მამრი. აზნაურის ყმები—4 კომლი (6 ს. მამრი).

<sup>1</sup> ნუსხაში ცნობა ამ კომლის შესახებ ხაზ-გმადასულია.



აქვთ: აზნაურს 5 ქც. ვენახი (მოსავალი 200 კოკა ღვ.) და 3 ქც. სახნავი; მისი ყმებს (4 კომლს)—7 ქც. ვენახი (მოსავალი 70 კოკა ღვ.) და 17 ქც. სახნავი. ყმები ნაყილია აზნაურის მიერ, საკლესიო მიწა მათ საოგებლობაში არ არის და ამიტომ არც არაფერი გარდასახადი ედვათ.

იმავე სოფელშია საქუთათლო 2 კ. გლეხი (14 ს. მამრი). აქვთ 6 ქც. ვენახი (მოსავალი 100 კოკა ღვ.) და 13 ქც. სახნავი. 1819 წლიდან თითოს დაედვა 2 მან.

**ბაში.** საქუთათლო აზნაურები არის 8 კომლი (38 ს. მამრი), რომელთაგან 3 კომლს ყავს თითო კომლი გლეხი (სულ 3 კ., 12 ს. მამრი), 1 კომლს—1 ბიჭი ყმა. ამათგან 7 კომლს აზნაურს ჰქონდა  $8\frac{1}{2}$  ქც. ვენახი და 148 ქც. სახნავი საკუთარი მიწა. საეკლესიო მიწა მათ სარგებლობაში იყო 308 ქცევა ტყიანად. 1 კომლს აზნაურს საკუთარი მიწა არ ჰქონდა და საეკლესიო მიწით სარგებლობდა (80 ქც. ტყიანად და  $1\frac{1}{2}$  ქც. ვენახი). ეკლესიის სასარგებლოდ ეს აზნაურნი და მათი ყმები არაფერს იხდიდნენ.

ამავე სოფელში ნახევრებია საქუთათლო 27 კ. გლეხი (132 ს. მამრი), რომელთაგან 24 კომლს ჰქონდა 23 ქც. ვენახი (მოსავალი 381 კოკა), დანარჩენი 3 კ. ვენახს ახლად აშენებდა. სახნავი მიწა ყველას ჰქონდა 127 ქცევა. ამას გარდა აქვე იყო 3 კ. მღვდელი (გლეხთაგან, ქუთათლის ყმები), 9 ს. მამრი. მათ ჰქონდათ  $3\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 72 კოკა ღვ.) და 37 ქც. სახნავი.

გლეხებს (გარდა მღვდლებისა) ედვათ გარდასახადი ღვინით, პურით, სანალით, ქათმით (живность) და სხ. წვრილმანით, ფულზე გადატანით სულ 90 მანეთამდის. 1820 წლიდან ყველა 30 კომლს (მღვდლებითურთ) დაედვა 150 მანეთი.

**ფარცხანაყანევი.** არის 2 კ. აზნაური (მხატვარი დავით დიასამიძე და დეკანოზი ნიკოლოზ გაბაშვილი). დიასამიძეს (1 ს. მამრი) ყავს 3 კ. ყმა (13 ს. მამრი), რომელთაც აქვთ საკუთარი მიწა, ვენახი  $3\frac{1}{2}$  ქც. (მოსავალი 35 კოკა ღვ.) და 7 ქც. სახნავი. დეკანოზს ყავს 6 კ. გლეხი (19 ს. მამრი), რომელთაც აქვთ 4 ქც. ვენახი (მოსავალი 37 კოკა ღვ.), 1 ქც. გაშენებაში მყოფი ვენახი და 19 ქც. სახნავი. გარდა ამისა ამავე გლეხების განკარგულებაში იყო 90 ქც. საეკლესიო მიწა, რომლითაც ისინი ფაქტიურად არ სარგებლობდნენ (ეს მიწა და გლეხები დეკანოზისთვის ნაბოძები იყო დოსითეოს ქუთელის მიერ).

საეკლესიო გარდასახადს ეს აზნაურნი და მათი ყმები არ იხდიდნენ.

ამავე სოფელში იყო 9 კ. გლეხი საქუთათლო (30 ს. მამრი). მათ ჰქონდათ 8 კომლს  $10\frac{1}{2}$  ქცევა ვენახი (მოსავალი 132 კოკა ღვ.).

1 კომლს კიდევ ვენახი ( $1\frac{1}{2}$  ქც.) ახლად აშენებული ჰქონდა. სახნავი მიწა ჰქონდათ სულ 50 ქცევა.

გარდასახადი ედვით ღვინო და ღომი, ფულზე გადატანით, ყველას არა უმეტეს 8 მანეთისა. 1819 წლიდან დაედვით 24 მან.

ამავე სოფელში იყო 1 პარტახტი, რომელიც არ მუშავდებოდა.

**მალაკი.** არის 26 კ. გლეხი (119 ს. მამრი) და კიდევ 4 ს. მამრი ობოლი, რომელთაგან ორი 1812 წლიდან ცხოვრობდა აღმ. საქართველოში და 1 გურიაში.

26 კომლს აქვს  $19\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 262 კოკა ღვ.) და კიდევ 4 ქც. გაშენებაში მყოფი, სახნავი 146 ქცევა. 4 ს. ობოლს (ორ კომლად) აქვთ 12 ქც. სახნავი.

დასახელებულ 26 კომლს ედვა გარდასახადი ღვინით, პურით, ღომით, რაც ფულზე გადატანით შეადგენდა 70 მანეთამდრს. 1819 წლიდან დაედვით 104 მანეთი.

ამავე სოფელში საქუთათლო აზნაურნი—6 კომლი (26 ს. მამრი), რომელთაგან ორ კომლს სრულებით არ ყავს ყმა, დანარჩენებს კი ჰყავთ ყმები: გლეხები 4 კ. (15 ს. მამრი), ამ გლეხებს აქვთ  $3\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 69 კოკა ღვ.) და 13 ქც. სახნავი. მათვე ყავთ კიდევ 8 ს. მამრი მოჯალაბე (ДВОИОНЬЕ ПОДЪ). აზნაურთაგან 1 კ. ცხოვრობდა თავად მიქელაძეების მიწაზე სოფ. გულახეთში და იქიდან აპირებდა მალაკში გადმოსახლებას. მას ჰქონდა 20 ქც. სახნავი მიწა. დანარჩენ 5 კომლს აზნაურთ ჰქონდათ 11 ქცევა ვენახი (მოსავალი 282 კოკა ღვინო) და 172 ქც. სახნავი. ეს მიწები შეადგენდა თვით აზნაურების საკუთრებას, როგორც შენასყიდი. ერთს აზნაურს ჰქონდა გარდა ამისა სარგებლობაში მიცემული 80 ქც. სახნავი საეკლ. მიწა.

ეკლესიის სასარგებლოდ აზნაურნი არაფერს არ იხდიდნენ.

**ხომური.** ნაჩვენებია 1 კომლი გლეხი (3 ს. მამრი), მასთან ცხოვრობს 2 ს. მამრი ობოლი. ყავს 2 შინა-მსახური (8 და 13 წლის), აქვს  $1\frac{1}{2}$  ქც. ვენახი (მოსავალი 70 კოკა ღვ.) და 2 ქც. სახნავი. დაედვა გარდასახადი 1 მან.

(ამის შემდეგ ნუსხას აკლია).

### საგენათლო ყმები ვაკის ოლქში.

(1819 წლ. აჯანყების საქმე).

**სამტრედია.** არის 16 კ. (მამრი 82 სული), ამათში 1 კ. (6 ს. მამრი) ეკუთვნის საეკლ. აზნაურს. 15 კომლს აქვს 28 ქც. ვენახი (მოსავალი 522 კოკა ღვ.), სახნავი 62 ქც.

ბეგარა: თითო კომლი (გარდა აზნაურის კომლისა) იხდიდა წლიურად რამოდენიმე ზუთხს (2—5 ცალს), სულ ყველანი 49 ზუთხს, რაც მაშინდელი ფასით უდრიდა (თითო 78 კაპ.) 37 მან. 40 კაპ. 1820 წლიდან (1819 წლის ბეგარა უკვე გარდახდილი ჰქონდათ) დაეღვათ 60 მან.

სამტრედიის ეს გლეხები უმთავრესად ცხოვრობდნენ მეთევზეობით (მდ. რიონზე).

**მუხაყრუა.** არის 17 კ., მამრი 66 ს. აქეთ 37 ქც. ვენახი, მათ შორის 4 ქც. ახლად გაშენებაში მყოფი, დანარჩენების გამოსავალი 193 კოკა ღვ., სახნავი 109 ქც.

ამას გარდა არის 2 კ. (7 ს. მამრი)—ერთი ძლიერ ღარიბი, მეორე მღვდლის შვილია, მაგრამ არა სასულიერო უწყების კუთვნილება.

ბეგარა კომლზე 5—7 კოკა, ღომი 4—6 ბათმანი, სანთელი 2—4 გირვ., ზოგი კომლი იხდიდა 1 მან. ცხვრის სამაგიეროდ. ყველაფერი ეს ფულად შეადგენდა 38 მან., მაგრამ გლეხების სიღარიბის გამო უკვე 12 წელიწადი მათ ბეგარა არ ხდებოდათ.

1819 წლიდან 17 კომლს დაედვა 51 მან.; ერთი კომლი, როგორც არავითარი საკუთრების მქონე, განთავისუფლებული იყო გარდასახადისაგან და მეორეს ჰქონდა მეფის სიგელი სითარხნისა.

**უძლური.** არის 11 კ., 31 ს. მამრი, აქეთ 9<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. ვენახი (მათ შორის 2 ქც. ახლად გაშენებაში მყოფი, დანარჩენის გამოსავალი 10 კოკა ღვ.). სახნავი მიწა არაა ნაჩვენები.

ბეგარა წინანდელი — 19 მანეთამდის ღირებულობის, 1819 წლიდან დაედვათ 27 მან. 50 კაპ.

**გუმისთავი.** არის 6 კ., 16 ს. მამრი, აქეთ 7 ქც. ვენახი (მოსავალი 104 კოკა ღვ.), სახნავი 10 ქც.

წინანდელი ბეგარა უდრიდა 9 მანეთს, 1819 წლიდან დაედვათ 15 მან. (კომლზე 2 მ. 50 კაპ.).

**ბანოჯა.** არის 5 კ., მამრი 21 ს., აქეთ 4<sup>1</sup>/<sub>2</sub> ქც. ვენახი (მოსავალი 55 კოკა ღვ.). 15 ქც. სახნავი. წინანდელი ბეგარა უდრიდა 7 მან., 1819 წლიდან დაედვათ 11 მან. (ორ კომლს თითოს 2 მან., დანარჩენთ თითოს—2 მან. 50 კაპ.).

## ს. კაკაბაძე

## როდის არის აშენებული სვეტი-ცხოველის ტაძარი\*.

მცხეთის სვეტი-ცხოველი, ძველი ქართული ხელოვნების ეს გრანდიოზული ნაშთი, წარმოადგენს იმდენად მნიშვნელოვან ძეგლს, რომ მისი წარმოჩენის თარიღში გარკვევა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ თვით შენობა თავისი გეგმით და ავებულებით, აგრეთვე წარწერებით, დაკავშირებით სხვა ისტორიულ ხასიათის ცნობებთან, იძლევა ამისთვის საკმაო და საყრდნობ საფუძველს. მაგრამ სვეტი-ცხოველის აშენების თარიღის გამოსარკვევად, რასაც არა მარტო ქართულ ხელოვნების ისტორიისათვის, არამედ ქართულ კულტურის ისტორიისთვისაც თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა საჭიროა ისტორიული ხასიათის ცნობების ჯეროვნად გარკვევა.

ქრისტიანობის ქართლში დამკვიდრებისას მცხეთაში აგებულ იქმნა პირველი ეკლესიები, ეს იყო ქვემო და ზემო ეკლესია, ზემო ეკლესია—ეხლანდელ სამთავროს მონასტრის ადგილას და ქვემო ეკლესია—სვეტი-ცხოველის ადგილას. როდესაც წინომ თავისი ქართლის მოსვლის მე-7 წელს (311 წ.) „არწმუნა“ მირიან მეფეს, მაშინ მირიანმა „მსწრაფლ აღაშენა ეკლესიაჲ ქუემო სამოთხესა შინა“<sup>1</sup>. ეს ეკლესია იყო ხის. ამის შემდეგ, როდესაც საბერძნეთიდან მოვიდნენ მირიანის მიერ გამოთხოვნილი „ქვისა მთლელნი და კირით ხურორონი“, „იწყო მეფემან შენებად ქვითა ეკლესიისა გარეუბნისასა“ (მ. ქ-საჲ). ეს იყო ზემო ეკლესია, რომელიც აშენეს 20 წელს. აქ დაიმარხა მირიან მეფე „საშუალსა ეკლესიისასა, სუეტისა კერძოსა მის სამხრეთისასა, ხოლო ჩრდილოთ კერძოსა მას სუეტსა შინა არს ნაწილი სუეტისა მის ნათლისა ცხოელისა“ (მ. ქ-საჲ).

„ქვემო ეკლესია“ დაიქცა არჩილ მეფის დროს (430 წ. ახლ.). „დაეცა ქუემოჲ ეკლესიაჲ და იონა (მთაწარეპისკოპოსი) მოიცვალა გარეუბნისა ეკლესიასა და სუეტი იგი ცხოველი თანა წარმოიღო“. ხოლო ვახტანგ გორგასალმა „აღაშენა ქუემოჲ ეკლესიაჲ“ და დასვა კათალიკოზად პეტრე.

\* მოხსენდა საკავშ. სამეუნ. აკად. კავკ. საისტ. საარქ. ინსტიტუტს 12 ივლისს 1927 წ.

<sup>1</sup> მ. ქ-საჲ; სამოთხე არის იგივე ბაღი. მოთხე ნიშნავს ხეს (ამის შესახებ) Н. Марр, К палеонтологич. речн. по груз. лексике, Доклады АН № 4, 1927 г. стр. 79—81.

ასეთია მ. ქ.-ს ცნობები სვეტი-ცხოვლის ადგილას არსებულ ეკლესიის შესახებ უძველეს ხანაში.

უნდა ითქვას, რომ მცხეთაში პირველი ეკლესიის აშენების შესახებ ცნობა მოეპოვება რუფინს და გელასი კვიზიკელსაც. რომელიც თავისი მხრივ გელასი კესარიელის († 395 წ.) შრომით სარგებლობდნენ. რუფინუსის სიტყვით, ტყვე-ქალი (ნინო) ურჩევდა ახლად მოქცეულ მეფეს (მირიანს) ეკლესიის აგებას და აღუწერდა მისი გარეგნულ სახეს. ხოლო გელასი კვიზიკელის სიტყვით, „როდესაც (ამ ეკლესიის) სახლის სტოას აშენებდნენ, საჭირო იყო შუაში სვეტების აღმართვაც მამაკაცებისა და დედაკაცების შესაკრებლთა გასაყოფად“. სულ დასადგმელი იყო სამი სვეტი, რომელთაგან შუა-სვეტი დადგმულ იქნა სასწაულებრივ, ნინოს ლოცვის შემდეგ<sup>1</sup>.

ეს ცნობა ადასტურებს მ. ქ.-ს ცნობას, რომ პირველი ეკლესია აშენებული იყო ხისაგან. უფრო გვიანდელი ცნობით, რომელიც ლეონტი მროველს მოეპოვება<sup>2</sup> და რომელიც შესაძლებელია მომდინარეობდეს უფრო ძველი წყაროდან, ეკლესიის ასაშენებლად ნაძვის ხისაგან დამზადებული იყო 7 სვეტი. „და ვითარ აღაშენეს კედელი იგი ძელითა და ამართნეს ექვსნი იგი სუეტნი თვს თვსად, ხოლო სუეტნი იგი უდიდესი, რომელი საკვრველ იყო ხილვითა საშუალ ეკლესიისა შესაგდებლად განმზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისსა“<sup>2</sup>... ეს იყო ცხოველი სვეტი.

თუმცა ეკლესიის გეგმა არა სჩანს (შეიძლება ის იყო გრძელი ოთხკუთხედიანი გეგმის ანდა ექვს კუთხიანი შენობა), მაგრამ ცხადია, რომ ექვსი სვეტი იყო კედლების შესამაგრებელი, მეშვიდე კი, უფრო დიდი, ამაგრებდა შენობის შუაში სახურავს, რომელიც ყოფილა ორ ფრთიანი (თუ შენობა გრძელი ოთხკუთხედიანი იყო), ანდა კარვისებური. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მეშვიდე სვეტის დადგმა ძლიერ გაძნელდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს პირველი საეკლესიო შენობა აგებული იყო ექვს-კუთხიან შენობის გეგმაზე კარვისებური მაღალი სახურავით<sup>3</sup>.

ამ ცნობით საბოლოოდ დასტურდება, რომ პირველი ეკლესია („ქუემოჲ“) აშენებული იყო მირიანის დროს ხისაგან, და ცხოველი

<sup>1</sup> ს. ყაუხჩიშვილი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ, მიშომხილველი I, 60-61.

<sup>2</sup> წმ. ნინოს ცხოვრება არსებული რედაქციით შეტანილია მეფეთა ცხოვრებაში ლეონტი მროველის მიერ X ს.; ამის შესახებ - ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, გვ. 154-180.

<sup>3</sup> ექვს-კონქიანი შენობის გეგმაზე არის აშენებული კუმურდოს ცნობილი ტაძარი (X ს-ნე). შეიძლება კუმურდოს ტაძარი თავისი გეგმის ამ ძირითადი თვისებით წარმოადგენდეს ძველი დროის ხუროთ-მოძღვრულ ნამოგონართა განსახიერებას ახალს პირობებში.

სვეტი იყო ეკლესიის შუაში, ხოლო თვით შენობას, შემდეგ როინ-დელი წარმოდგენით, ჰქონდა გრძელი ოთხკუთხოვანი სახე და სიგანესთან შედარებით ორჯერ მეტი სიგრძის იყო. ზომა ასეთი შენობის თვალსაჩინოდ დიდი არ იქნებოდა.

მირდატ მეფემ (418—425 წ. ახლოს) „მისვე სუეტისაგან შექმნა ჯუარნი და ერთი წარგზავნა ერუშეთს და რომელი დარჩა სუეტისაგან მის ცხოველისა, მას გარე მოადგა, ქმნა ქუთუბირითა პირველ სუეტის ოდნად და თავსა ზედა მის სუეტისასა აღმართა იგი ძელი განმაცხოველებელი“<sup>1</sup>; როგორც სჩანს—ჯვარის სახედ.

ეს პირვანდელი ეკლესია, მ. ქ.-ს ზემოდ მოყვანილ ცნობის მიხედვით, დაიქცა არჩილ მეფის დროს (430 წლ. ახლ.). შენობის დაქცევის მიზეზი, ხის შენობის ნაკლებ გამძლეობის გარდა, უნდა ყოფილიყო სახურავის შემამაგრებელ მეშვიდე სვეტის გამოცლა სახურავისათვის მირდატ მეფის დროს. ამის შემდეგ, ცხადია, სახურავმა დიდ ხანს ვერ გასძლო და შენობა დაიქცა, ხოლო მის მაგივრად ვახტანგ გორგასალმა „აღაშენა ეკლესია მოციქულთა სუეტი ცხოველი—და უპყრა სუეტსა ზინა სამხრით ადგილსა მას, სადაცა დაცემულ იყო ეკლესია—რომელ არს სიონი დიდი“<sup>2</sup>. ვახტანგის მიერ აშენებული დიდი სიონი სვეტი-ცხოველი უკვე იმდენად მოზრდილი ყოფილა, რომ სვეტი ეკლესიის სამხრეთ ნაწილში მოყოლია. როგორც სჩანს, ეკლესიის შენობის გადიდებას, შედარებით წინანდელ ნაშენებთან, ადგილი ჰქონია ჩრდილოეთით და საფიქრებელია აღმ. და დასავლეთითაც, მაშინ როდესაც სამხრეთი ნაწილი (თუ კედელი) დაახლოებით მოყოლია პირვანდელი ეკლესიის ადგილას („მუნ, სადაცა დაცემულ იყო ეკლესია“). ეკლესია ყოფილა უკვე ფრიად დიდი ზომის, ჯუანშერისავე მოწმობით „სიონი დიდი“. ახალს ტაძარს ეწოდებოდა სიონიც, რომელიც საერთოდ იხმარებოდა ალევორიულად ღვთიურ ეკლესიის მცნების გამოსახატავად. გამოთქმა სვეტი-ცხოველის შესახებ—„რომელ არს სიონი დიდი“—ცხადად ამტკიცებს, რომ ჯუანშერი ამ სიტყვას აქალევორიული მნიშვნელობით ხმარობს.

ლეონტი მროველიც არჩილის ცხოვრებაში იხსენიებს მცხეთის დიდ სიონს<sup>3</sup>. სვეტი-ცხოველს, ჯუანშერის მიხედვით, ეძახდნენ პირდაპირ საკათალიკოზოსაც. ვახტანგ გორგასალი „დაეფლა მცხეთას საქათალიკოზოსა სუეტსა თანა“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ქ. ცხ-ბა, მარ. ვარ., 113.

<sup>2</sup> ქ. ცხ-ბა, მარ. ვარ., 179; ტექსტში არის „უპყრა სუეტსა შინაჲ. უკანასკნელს სიტყვას ჩვენ ვასწორებთ: „ზინა“ (ნუსხა ხუტურის ბ და შ-ს მსგავსების გამო). ბინა არის არაბ.-სპარს. სიტყვა.

<sup>3</sup> ქ. ცხ-ბა, მარ. ვარ., 200.

<sup>4</sup> იქვე, 185. შეად. კიდევ ჯუანშერისავე ცნობა ვე. 197: „ხოლო საქათა-

ამგვარად სვეტი-ცხოვლის ტაძარი, აშენებული უკვე ქვისაგან ვახტანგ გორგასალის მიერ, მის შემდეგ იწოდებოდა საკათალიკო-ზოდ, ხოლო ალევორიულად, როგორც ქართლის ეკლესიის მეთაურის საკათედრო საყდარი, დიდ სიონადაც.

მაგრამ ვახტანგ გორგასალის ამ შენობას თავისი პირვანდელი სახით ჩვენამდის არ მოუღწევია. სვეტი ცხოველი შემდეგ ხანებში საფუძვლიანად გადაკეთდა და ხელახლავ აშენდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ მცხეთის სვეტი-ცხოვლის გეგმის და შინაგან კამარების დეტალური შესწავლა არკვევს ერთს ფრიად საგულისხმიერო ფაქტს, სახელდობრ, რომ სვეტი-ცხოველის მოწვენილი შენობა არსებითად წარმოგვიდგენს, თავისი ნიშანდობლივი თვისებებით, ვახტანგ გორგასალის დროინდელ შენობის გეგმას. გორგასალის დროინდელი ტაძარი აგებული ყოფილა სამნავიან ბაზილიკის გეგმაზე. ბაზილიკის ნაგებებს ერთმანერთისაგან განსაზღვრავდა კამაროსანი სვეტები (რომლებზედაც დაყრდნობილი იყო სახურავი), რიცხვით თითო რიგში ექვსი. ერთი სვეტი ცენტრალურ და სამხრეთ ნავს შორის იყო თვით ცხოველი სვეტი. ამ სამნავიან ბაზილიკის გუმბათიანად გადაკეთების დროს; რაც, როგორც დავინახავთ, X ს-ნის პირველ ნახევარში მოხდა, გუმბათის მოსათავსებელ ადგილას თითო სვეტი გამოღებულ იქმნა, თვით გუმბათის დასაყრდნობი სვეტებიც სისქის მიცემით გამაგრებულ იქმნა და ყველაფერ ამასთან დაკავშირებით გეგმა გადაკეთებულ იქმნა იმგვარად, რომ თითო სვეტი ამოღებულ იქმნა გუმბათის სვეტების დასაუღეთითაც. ამ ერთ სვეტთაგანი იყო სვეტი-ცხოველიც, რომელიც ამის შემდეგ გადაიქცა კულტის დეკორატიულ სვეტად<sup>1</sup>.

ეს იყო ტაძრის ახალ გეგმაზე გადაკეთება და აშენება. ამის შემდეგ ტაძარს თავისი გეგმა არსებითად არ შეუცვლია. ისტორიული ცნობები შემდეგ დროებისთვის ადასტურებენ ტაძრის საფუძვლიან შეკეთებას ალექსანდრე მეფის დროს XV ს-ნის პირველ ნახევარში, დაქცეულ გუმბათის ხელმეორედ აგებას XVII ს-ნეში როსტომ მეფის და მარიამ დედოფლის დროს, შენობის კედლების ნაწილობრივ შეკეთებას გიორგი XII დროს 1678—1685 წ.. უკანას-

ლიკოზოსა არნ კრება ყოველთა ხუთშაბათთა და აღიდიან წმიდა სიონი“. უკანასკნელი გამოთქმაც ამტკიცებს, რომ მცხეთას ეწოდებოდა სიონი ალევორიული მნიშვნელობით. მცხეთის გარდა ქართლში კიდევ ძველს ხანაში ცნობილი იყო ტფილისის სიონი (მ. ქ-საჲ), სამშვილდის სიონი, ბოლნისის სიონი, ატენის სიონი.

<sup>1</sup> სვეტი-ცხოველის ტაძრის ამ გეგმის გამოსარკვევად მე მუშაობას ვაწარმოებდი დიმი. გორდევეთან ერთად. დაკვირვებათა დეტალები შენობის გეგმის შესახებ ეკუთვნის დ. გორდევეს (იხ. აზის შესახებ ამ წერილის დანატებაში).

კნელ კიდევ ადგილი ჰქონდა მისი განახლებას XIX ს-ნეშიც (1837—1844 წ.). მაგრამ ყველა ეს შეკეთებანი სწარმოებდა შენობის უკვე არსებულ გეგმის დაცვით, ასე რომ ყველა მათ ჩვენ მაინც მივყევართ შენობის მთავარ აღნაგებობასთან, რომელიც დაკავშირებულია მელქისედეკ კათალიკოზის სახელთან.

სვეტი-ცხოველის ხელახლავ აშენება იმ გეგმით, როგორც ის ეხლაც არის წარმოდგენილი, გარკვევით უნდა მიეკუთვნოს მელქისედეკ კათალიკოზს, ხუროთ-მოდღვარი კიდევ ყოფილა არსაკისსე. ეს ცხადად სჩანს სვეტი-ცხოველის შემდეგ ორი წარწერიდან.

პირველი წარწერა მოთავსებულია სვეტი-ცხოველის აღმოსავლეთ მხარეზე, სახელდობრ აღმოსავლეთ კედლის რელიეფურ გამოხატულობას, რომელიც ვაზს უნდა წარმოადგენდეს, ახასიათებს მთავარი ნაწილის გარდა 12 ცალკე რგოლი, რომელთაგან ათი გამოყენებულია შემდეგი ასომთავრული წარწერისათვის:

აღწ | ღწ | ქწ | შრ მქი | ზედკ | ქკზი აწ | აღწნა ესე  
წა ევა | კლთა გლზკისა | მწნა მწთს | აქრსკსძთა | ღწ გსე სლსა

სრულად ეს წარწერა იკითხება შემდეგნაირად: „აღიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზი, აშინ. აღაშენა ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ კელითა გლახაკისა მონისა მათისა არსაკისძისაჲთა, ღმერთმან განუსვენე სულსა“.

წარწერაში სწორი ფორმა არ არის „ღმერთმან განუსვენე“ (უნდა იყოს „განუსვენოს“), მაგრამ აქ გარკვევით იკითხება „ღწ გსე“. შეიძლება აქ იყოს დამწერლობითი ხასიათის შეცდომა.

მეორე წარწერა სვეტი-ცხოველის ჩრდილოეთ კედელზეა ორივე მხარეზე ქანდაკებისა, რომელიც წარმოადგენს ხუროთ-მოდღვრის ხელს შენებულობის საზომი იარაღით გონიოთი, და იკითხება შემდეგნაირად:

კელი მო		ნისა
არსკს		ძა შწთ.

ანუ სრულად: „კელი მონისა არსაკისძისაჲ, შეუნდვეთ“<sup>1</sup>.

ამ წარწერებიდან ირკვევა, რომ მცხეთის ტაძრის აღმშენებელი არის მელქისედეკ კათალიკოზი, ხუროთ-მოდღვარი კიდევ არსაკისძე<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ამ წარწერების წაკითხვის ცდა შეცდომებით წარმოდგენილი ჰქონდა თ. ჟარდანიასაც (ქრონიკები... I, 175—176).

<sup>2</sup> ფორმა არსაკისძე ამტკიცებს, რომ ხუროთმდღვარი ქართველი იყო. საყურადღებოა, რომ არს უკი (არსოკი) არშაკის ნაცვლად გვხვდება მ. ქ.-ს უძველეს ნაწილში (ОПОП. II, 709).



ესევე წარწერები, რომელიც აღმ. და ჩრდ. კედელზე მალა კარნიზთან ახლოს არის მოთავსებული, გვიჩვენებს კიდევ, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული ალექსანდრე მეფის რწმუნება 1440 წ., რომ თემურ-ლენგს „თავად დედაქალაქი მცხეთა და რაოდენნი საქართველოსა საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყუნეს, ყოველნი დაექცივნეს, საფუძველითურთ დაექცივნეს<sup>1</sup>. სვეტი-ცხოველი თემურ-ლენგმა დაანგრია, მაგრამ რასაკვირველია არა „საფუძველითურთ“. ეს გამოთქმა ზუსტად სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგან ტაძრის კედლები (ყოველს შემთხვევაში აღმოს. და ჩრდილ. კედელი) თავისი წარწერებითურთ მაშინაც მთლიანად ყოფილა დაცული.

ვინ არის ეხლა ეს მელქიზდეკ კათალიკოზი, მცხეთის აღმშენებელი?

ამ საკითხის გასარკვევად საჭიროა მცირე ექსკურსის მოხდენა X—XI ს-ნის ქართლის კათალიკოზთა სიის დასადგენად.

X—XI ს-ნის ქართლის კათალიკოზთა სია საძიებელი ხდება, მით უმეტეს რომ მ. ქ.-ს ქრონიკის ბოლოში მოთავსებული სია ქართლის კათალიკოზთა წარმოდგენს არა VIII—X ს-ნის კათალიკოზთა სიას, როგორც ეს წინად მიღებული იყო, არამედ მხოლოდ VIII—IX ს-ნისას, ხოლო მეორე, აქამდის XI—XII ს-ნის კათალიკოზთა შესახებად მიჩნეული სია ნამდვილად შეიცავს კათალიკოზების სახელებს დაწყებული XI ს-ნის უკანასკნელ მეოთხედიდან<sup>2</sup>.

უკანასკნელი კათალიკოზი, მოხსენებული მ. ქ.-ს ქრონიკის მიმატებაში, სახელდობრ არსენი, რომლის თაოსნობით 904 წ. ან ამის ახლო ხანებში შედგენილ იქმნა ასურელ მამათა მეტაფრასტული ცხოვრებანი, მამათმთავრობდა ჩვენის ანგარიშით 903—910 წლ. ახლო ხანებში. ამის შემდგომ კათალიკოზთაგან ჯერჯერობით ცნობილი არიან:

951 წ. კათალიკოზი მიქელ<sup>3</sup>.

964 წ. გაბრიელ<sup>4</sup>.

XI ს-ნის ქართლის კათალიკოზთა შორის დანამდვილებით ცნობილი არიან შემდეგი პირნი:

მელქისედეკ, 1020 წ. მის მიერ მცხეთისადმი მიცემულ ცნობილ სიგელის მიხედვით და კიდევ 1031 წ.<sup>5</sup>

<sup>1</sup> თ. ყორდ., ქრონიკ. II, 28.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. ასურელ მამათა ცხოვრებათა არქტიპები, გვ. 7 (ამ წიგნის დამატებაში).

<sup>3</sup> გრიგოლ ხანძთელის ცხ-ვა, ნ. მარტის გამ., გვ. 3.

<sup>4</sup> თმოგვის წარწერა, M. Brosset, Voyage archéol... rapp. I, 167.

<sup>5</sup> Ф. Жордания, Опис. рукоп. церковн. муз. I, 1—2.

მელქისედეკის გაზრდილი ყოფილა კათალიკოზი იოანე, მოხსენებული იმავე მცხეთის 1020 წლის სიგელის მინაწერში<sup>1</sup>. იოანე, როგორც სჩანს, იყო მელქისედეკის უშუალო მემკვიდრე საკათალიკოზო ტახტზე. იოანე გარკვევით სჩანს კათალიკოზად 1033 წ., ამ წელს ის იხსენიება ოშკს გადაწერილი მესტიის სახარების მინაწერში<sup>2</sup>.

იოანეს შემდგომ კათალიკოზად ყოფილა ოქროპირი, მოხსენებული იმავე სიგელის მინაწერში<sup>3</sup>. ოქროპირი კათალიკოზად სჩანს 1046 წ.<sup>4</sup>

1057—1058 წ. ქართლის კათალიკოზად არის გიორგი<sup>5</sup>, 1072—1073 წელს კიდეე—გაბრიელი<sup>6</sup>. 1105 წ. კიდეე, რუის-ურბნისის კრების დროს<sup>7</sup>, ქართლის კათალიკოზად იხსენიება იოანე, რომელიც საზოგადოდ ცნობილია დავით აღმაშენებლის დროს<sup>8</sup>.

ამ ცნობების გათვალისწინებით შეიძლება სათანადოდ შეჯერებულ იქნას კათალიკოზთა ჩვენამდის მოღწეული ერთი სია, რომელიც XI—XII ს-ნის კათალიკოზთა სიად არის აღიარებული<sup>9</sup> და რომლის ტექსტი იკითხება შემდეგნაირად:

„წმიდისა მამათმთავრისა ჩუენისა (სახელით) ქ[ართლისა] კათალიკოზისა მრავალ არიან წელნი. ოქროპირისა, სუმეონისი, მელქისედეკისი, იოვანესი, დიმიტრისი, ბასილისი, იოანესი, სუმეონისი, საბაჲსი და ნიკოლოზისი, მიქაელისი, თე[ოსი] (თეოდორესი), ბასილისი, იოანესი, ეპიფანესი, არსენისი, გიორგისი“.

<sup>1</sup> ქრონიკ. II, 35, უფრო კიდეე გვ. 36, შენიშვნა და კიდეე იგივე წიგნი, 83. 95—96.

<sup>2</sup> ა. ხახანაშვილის *Сванетские рукописные евангелия*, МАК. X, стр. 10—11.

<sup>3</sup> იოანე და ოქროპირი კათალიკოზნი დადასტურებული არიან ერთს უფრო გვიანდელს (XIII ს-ნის პირვ. ნახევრის) საბუთში (ქრონიკ. II, 95—96).

<sup>4</sup> ოქროპირს იხსენიებდა ხუცესი სტეფანე პალავრელი თავის 1046 წლის მინაწერში. ეგრედ წოდებულ ლაშოხვერის (სვანეთში) სახარების ტექსტზე. სტეფანე 268 ქორონიკონს სწერს: „მოვიწიე წმიდა ქალაქსა იერუსალიმს აღდგომასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა და წმიდა გოლგოთასა... და დამაწესეს მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირისა“ (Д. Баградзе, *Сванетия, Записки кавк. отд. Рус. Геогр. о-ва VI*, 93—94).

<sup>5</sup> შიო-მღვიმისადმი ბაგრატ IV-ის მიერ მისი მეფობის მე-31 ინდიკტიონს მიცემული სიგელი, თ. ყორდანია, ისტორ. საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, 3—5.

<sup>6</sup> იქვე, 12; ს. კაკაბ., შიო-მღვიმის სამი სიგელი, 5.

<sup>7</sup> რუის-ურბნისის კრება მოხდა კვირიკე კახთა მეფის სიკვდილის (1102 წ.) შემდეგ და გელათის დიდი ტაძრის დაწყებამდის (1106 წ.). თ. ყორდანია კრების თარიღად სთვლის 1103—1104 წ., უფრო სწორად 1103 წ. (ქრონიკ. I, 238; II, 54). ჩვენის აზრით უფრო სწორი უნდა იყოს 1104—1105 წ.

<sup>8</sup> თ. ყორდ., ქრონიკ. II, 70; ქ. ცხ-ბა I, 259; ქრონიკ. I, 33; საქართ. სა-მოთხე მ. საბინისისა, 110—111.

<sup>9</sup> სია მოთავეებულია 1170 წლის ხელნაწერში, ქრონიკ. I, 79—81.

იქვე არშიაზე მიწერილია: „არსენი ყოვლად განთქმულისა საღმრთოთა წიგნთა თარგმანისა და საქართველოთა ეკლესიათა მნათობისაჲ საუკუნო იყავნ კსენება; მართლმადიდებელთა კჳთა საუკუნო იყავნ კსენება“.

ამ სიის ბოლო ნაწილი, იქ მოხსენებულ კათალიკოზთა დათარიღების მხრივ, ეჭვს არ იწვევს. ნიკოლოზ კათალიკოზი კათალიკოზად ყოფილა გიორგი III-ის დროს, „სიმდაბლისა ძლით იჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან“ (ქ. ცხ-ბა I, 280) და იერუსალიმს წასულიყო. მისი შემდგომად იყო მიქელი, რომელიც იხსენიება 1184 წ. გიორგი III-ის სიკვდილისას და თამარის მეფობის პირველ წლებში<sup>1</sup>.

მიქელს შეუდგა თეოდორე, კარგად ცნობილი თამარის დროს; იხსენიება უკანასკნელად ბოლოსტიკეს ომის დროს, მაშასადამე 1203 წ.<sup>2</sup> ამის შემდეგ კათალიკოზად ყოფილა ბასილი, შემდეგ, თამარისავე დროს (და ალბად გიორგი ლაშის დროსაც),—იოანე<sup>3</sup>, 1218 წ. ეპიფანე<sup>4</sup>, შემდეგ—არსენი და გიორგი 1218—1224 წლების ახლოს<sup>5</sup>.

ამ ცნობების მიხედვით და ზემოდ, ქართლის XI ს-ნის კათალიკოზთა შესახებ მოყვანილ ცნობების მიხედვით ცხადი ხდება, რომ აღნიშნული სია კათალიკოზებისა (1270 წლის ხელნაწერიდან) წარმოგვიდგენს XI ს-ნის კათალიკოზებს არა სრულად და საზოგადოდ ფრიად მცირედ. კერძოდ დასახელებულ სიაში მოხსენებული მელქისედეკი არ შეიძლება იყოს 1020 და 1031 წლებში ცნობილი კათალიკოზი მელქისედეკი. ეს სია შეიძლება წარმოგვიდგენდეს კათალიკოზების სახელებს შემდეგ მხოლოდ 1072—1073 წ. მოხსენებულ გაბრიელ კათალიკოზისა (ეს სახელი არ არის სიაში), რის გამო, დაახლოვებით რასაკვირველია, სიაში მოხსენებული კათალიკოზების მათ-მთავრობა შეიძლება დათარიღდეს შემდეგნაირად<sup>6</sup>:

ოქროპირი (1075—1084 წ.), სვიმეონი (1084—1093 წ.), მელქისედეკი (1093—1102 წ.), იოვანე (1102—1115 წ.), დიმიტრი (1115—1126 წ.), ბასილი (1126—1137 წ.), იოანე (1137—1148 წ.),

<sup>1</sup> ქ. ცხ-ბა I, 276, 280, 292.

<sup>2</sup> ქ. ცხ-ბა, მარ. ვარიანტი, 501; ბოლოსტიკეს ომის თარიღი, ვ. ტყაოსანი. ს. კაკაბაძის გამ., ტფ. 1927 წ.,

<sup>3</sup> იხსენიება მატეანეშიც ქ. ცხ. I, 312, მარ. ვარ. 481 შემდ.

<sup>4</sup> Н. Марр, Надпись Епифания, католикоса Груз. ИАН. 1910 г.

<sup>5</sup> ს. კაკაბაძე, XIII ს-ნის პირველ ნახევრის საქართველოს კათალიკოზები, ტფ. 1913 წ.

<sup>6</sup> ანგარიშის დროს მიღებულია მხედველობაში, რომ გაბრიელის შემდეგ დაახლ. 1075 წლიდან 1105 წლამდის კათალიკოზებად ყოფილან ოქროპირი, სვიმეონი, მელქისედეკი და იოანე, ხოლო 1115—1170 წლებში—დანარჩენნი ვიდრე ნიკოლოზ გულაბერისძემდის.

სვიმეონი<sup>1</sup> (1148—1159 წ.), საბა (1159—1170 წ.), ნიკოლაოზი გულაბერისძე (1170—1180 წ.), მიქელი (1180—1185 წ.).

ამ სიის მიხედვით, სადაც თარიღები ნაჩვენებია მხოლოდ დაახლოვებით (სიის პირველ ნახევარში თითო კათალიკოზზე ორთაშუა რიცხვით მოდის 9 წელი, ხოლო მეორე ნახევარში—11 წელი), ყოველს შემთხვევაში ცხადია ქართლის კათალიკოზების (სახელების მხრივ მაინც) ვინაობა XI—XII ს-ნეში.

ეხლა მელქისედეკ კათალიკოზის შესახებ.

XI ს-ნეში კათალიკოზთა ჩვენი სიით ცნობილია ამ სახელის მატარებელი ორი კათალიკოზი—1020—1031 წლებში და 1093—1102 წლ. ახლოს. უნდა ითქვას, რომ XI ს-ნის დიდ ეკლესიათა აღმშენებლობის შესახებ ცნობები მატრიანეში საკმაოდ არის დაცული. ბაგრატ III-ის შესახებ, მაგ., ნათქვამია, რომ მან „ალაშენა საყდარი ბედიისა“; მანვე „აკურთხა ეკლესია ქუთათისა“<sup>2</sup>. ბაგრატ IV-ის დროს (1027—1072 წ.) საზოგადოდ ეკლესიანი „ვერ იკითხვებოდეს“, ხოლო დავით აღმაშენებლის დროს გელათის აშენებას მისი მემკვიდრე საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს. რომ დავით აღმაშენებლის დროს ადგილი ჰქონოდა სვეტი-ცხოვლის აშენებას, ამას მემკვიდრე უსათუოდ აღნიშნავდა. აგრეთვე აუცილებლივ იქნებოდა ეს ფაქტი მატრიანეში აღნიშნული, მას რომ ადგილი ჰქონოდა ბაგრატ III-ის და მისი შვილის გიორგი II-ის დროს (როგორც ამას ვხედავთ ბედიის და ქუთათის ტაძრების შესახებ). და რომ 1020—1031 წლებში მცხოვრებ მელქისედეკ კათალიკოზს არ ეკუთვნის სვეტი-ცხოვლის აშენება, ეს ცხადად სჩანს მის მიერ 1020 წელს მიცემულ სიგელიდანაც<sup>3</sup>.

ამ სიგელში, რომელიც თ. ჟორდანიას საკმაოდ სწორედ აქვს დაბეჭდილი<sup>4</sup>, მელქისედეკ კათალიკოზი ჩამოთვლის თავისი ღვაწლს

<sup>1</sup> ეს სვიმეონი იყო კათალიკოზ ნიკოლაოზ გულაბერისძის ბიძა (საქართველო. სამოთხე მ. საბინინისა, 108—109).

<sup>2</sup> ქ. ცხ-ბ I, 211—212.

<sup>3</sup> ამ სიგელმა ჩვენამდის მოაღწია XII ს-ნის კოპიით. ეს კოპიოც შემთხვევით გადარჩა დაღუპვას აღმ. საქართველოს სხვა სამონასტრო საბუთებთან განადგურებისას 1920 წ. ჩრდილ. კავკასიაში (სადაც ეს საბუთები გატანილი იყო დიდ ომის დროს), რადგანაც დასახლებული სიგელი მე მიღებული მქონდა სამუშაოდ სათანადო ნებართვით არქივიდან სწორედ არქივების ევაკუაციის დაწყების წინ 1914 წ. და 1922 წ., საქართველო. ცენტრარქივში ძველი საბუთების განყოფილების დაარსებისას, გადაეცა ცენტრარქივს.

<sup>4</sup> ქრონიკ. II, 31—36; მცირე შეცდომებს გარდა აღსანიშნავია ერთი თვალსაჩინო შეცდომა (გვ. 33, სტრიქ. ქვემოდან მე-12), დაბეჭდილია: „კურბითს რა აზნაორი კარგი სოფელი ერთი“. უნდა იყოს: „კურბითს სააზნაორო კარგი სოფელი ერთი“. წინადაც ეს საბუთი დაბეჭდილი ჰქონდა დ. ჩუბინაშვილს თავისი ქართულ ქრისტიანობაში 1863 წ. სპბურგი, გვ. 203—205.

საკათალიკოზო ტაძრის წინაშე და ამბობს: „მას ქამსა, ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საჭეთ პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა და შევამკევ სალხინებელად სულისა ჩემისა და წარსამართებელად ქრისტიანეთა და შევამკევ ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედა დაბურვითა და შევამკევ ყოვლითა სამკაულობითა, ოქროთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა და საღთოთა წიგნებითა დაწერითა“.

როგორც ამ სიგელიდან სჩანს, XI ს-ნის პირველ ნახევრის მეღქმისდეკ კათალიკოზს მცხეთაში მიუძღვის სრულიად გარკვეული ღვაწლი: მას აუშენებია „გარეთი ბჭე“ და იგივე ბჭე გარეშემო სტოითა მოუქმნია და ზედა დაუბურავს. შესაძლებელია (კონტექსტიდან ეს მთლად გარკვევით არ სჩანს) „სტოით მოქმნა“ და „ზედა დაბურვა“ თვით სვეტი-ცხოველს შეეხებოდეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც შეიძლება მელიქიზედეს მიერ სვეტი-ცხოველის ტაძრის გადახურვაზე და არა თვით ტაძრის აღშენებაზე ლაპარაკი.

რომ მცხეთის ტაძარი ამ დროს უკვე არსებობდა დამთავრებული სახით, ეს სჩანს თვით სიგელის მინაწერიდან: „ამათ ყოველთა ნაქმართა ჩემთა შემდგომად, ამბობს მეღქმისდეკ კათალიკოზი, სამხრით საღიაკენოსა წმიდათა მოწამეთა სამარტვილოსა შიგან შევქმენ საფლავი ჩემი და დავდგი საკურთხეველი და ამა საკურთხეველსა ზედა დავაყენე (მწირველი-ო)“<sup>1</sup>.

ამგვარად მეღქმისდეკ კათალიკოზს XI ს-ნის პირველ მეოთხედში მცხეთაში აუშენებია მხოლოდ „გარეთი ბჭე“ და შესაძლებელია მასვე ეკუთვნოდეს სვეტი-ცხოველის სახურავის შეკეთება.

ამ „გარეთი ბჭის“ ნაშთმა ჩვენამდის მოაღწია, ის მოქცეულია გალავნის დასავლეთ კედელში და შემდეგ დროის მინაშენებებით ძლიერ არის დამახინჯებული. 1927 წ. ზაფხულში ამ ბჭის შესწავლას ხუროთ-მოძღვრულ თვალსაზრისით აწარმოებდა კავკ. საისტ.-საარქ. ინსტიტუტი დიმ. გორდევის და ხუროთ-მოძღვარ მიხ. კალაშნიკოვის სახით. როგორც ბჭის გაზომვამ და დეტალურად შესწავლამ გამოარკვია, ის წარმოადგენდა ტაძრის გალავანის მთავარ შესავალს (ამ შესავალის თალის ნაწილი ეხლაც სჩანს), რომელსაც ორივე მხარეზე (ჩრდილ. და სამხრეთით) ჰქონდა ცალკე ოთახები. მეორე სართულში იყო კიდევ ფასადისკენ სვეტებზე დაყრდნობილი ლამაზი კამაროსანი შენობა. ამ კამაროსან შენობას, რომლის ფასადმა თავისი მთავარი ნაწილით ჩვენამდის მოაღწია, ამკობს შემდეგი ისტორიული წარწერა ასომთავრულით:

<sup>1</sup>. ქრონიკ. II, 34.

ქე ადე შნ მირ დამყარებოლი მფე ჩნი ქს მიერ მელქი-  
ზედკ ქართლისა კათალიკოზი რნ მა<sup>1</sup> მეორედ ალაშენა წე კათო-  
[ლიკს]--- სოლისა მთისა.

სრული წაკითხვით:

„ქრისტე ადიდე შენ მიერ დამყარებული მეუფე ჩუენი ქრი-  
სტეს მიერ მელქიზედკ ქართლისა კათალიკოზი, რომელმან მეორედ  
ალაშენა წმიდისა კათოლიკე [ეკლესიისა და ბქს სალოცველად] სული-  
სა მათისა.

ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები წარწერას აკლია. როგორც  
სჩანს, ამავე ადგილას სვეტი-ცხოველს ჰქონია „ბქე“, — შესავალი კარი,  
შედარებით უბრალო გეგმაზე აშენებული, ან ამ დროს უკვე მოძვე-  
ლებული და მელქისედეკ კათალიკოზს აუგია ახალი მშენებელი ბქე.

რომ გარეთი ბქის და თვით ტაძრის ამშენებელი მელქისედეკი  
სხვა და სხვა პირნი არიან, ეს სჩანს წარწერათა პალეოგრაფიულ თვი-  
სებებიდან. სვეტი-ცხოველის წარწერას, მაგ., ახასიათებს, შედარებით  
ბქის წარწერასთან, გარდამავალი სახის ასომთავრული კ მოკლე ფე-  
ხით და მეორე შემთხვევაში გრძელი ფეხითაც. მოკლე ფეხიანი ასო-  
მთავრული კ უფრო ძველი ხანის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს.  
სამწუხაროდ წარწერათა სიპატარავე არ იძლევა პალეოგრაფიულ და-  
კვირვებათათვის ფართო ასპარეზს, მაგრამ ზემოდ მოყვანილ მაგა-  
ლითის და საერთო შთაბეჭდილების მიხედვით სვეტი-ცხოველის წარ-  
წერანი უფრო ძველი დროისად სჩანან. ხოლო რადგანაც ეს ასეა, სა-  
ჭიროა გამოირკვეს, თუ როდის XI ს-ნის დასაწყისზე უადრეს უნდა  
აშენებულიყო თავისი მოღწეული გეგმით სვეტი-ცხოველის ტაძარი.

საფიქრებელია, რომ სვეტი-ცხოველის ტაძრის ხელახლად აგება  
ახალი გეგმით დაკავშირებული ყოფილიყო წინად არსებულ შენობის  
მიმართ რაიმე კატასტროფიულ ხასიათის მოვლენასთან. ცნობილია  
მატიანეს მიხედვით, რომ X ს-ნის პირველ ნახევარში ადგილი ჰქონ-  
და არაბების მიერ მცხეთის და მცხეთის პირდაპირ ჯვარი-პატიო-  
სანის ტაძრის გადაწვას. ფაღლა კახთა ქორიკოზის დროს და „ამასვე  
ჯამსა მოვიდეს სარკინოზნი, რომელთა უკმოზენ საჯობით და მო-  
ტყუენეს კახეთი და დაწვეს ჯუარი, მცხეთა და შეიქცეს და წარ-  
ვიდეს და წარიტანეს თანა ჯუარი პატიოსანი დაჭრილი“... (შემდეგ  
ჯვარი უკან დააბრუნეს).

ეს მოხდა გიორგი აფხაზთა მეფას დროს. ეს გიორგი კი აფხა-  
ზეთის ისტორიის ქრონიკის მიხედვით მეფობდა 912—957 წ.<sup>2</sup> აქ მო-

<sup>1</sup> ეს მა, ცხადია, არის დამწერლობითი შეცდომა. დამწერს შეცდომით და-  
უწყია მა ნაცვლად სიტყვა მე[ორედ] და შემდეგ მიუტოვებია.

<sup>2</sup> ქ. ცხ-ბა I, 197.

<sup>3</sup> ე. თაყაიშვილი, საისტ. მასალანი, ძველი საქართვე. II, 53.

ხსენებული საჯი შეიძლება დაკავშირებულ იქმნას ასოლიკის მიერ აღნიშნულ „უწმინდურ საჯთან“, რომელიც იყო იუსუფ აბუ საჯის—  
 ძე, ქართული წყაროსი აბულ-კასიმ ძე აბუ-საჯისი. იუსუფ აბუ-საჯის  
 ძემ 907 წ. გაილაშქრა სომხეთზე, ააოხრა ის, შემოვიდა ტფილისსა  
 და ქართლშიც, 910 წ. გამრიყვანა კაპოეტის ციხიდან სუმბატ სო-  
 მხთა მეფე და 5 წლის განმავლობაში (მაშასადამე 907—913 წ.) სა-  
 შინლად მძინვარებდა სომხეთში. 915 წ. მან ჩამოახრჩობინა დვინში  
 სუმბატ სომხთა მეფე<sup>1</sup>. ეს ამბები აღნიშნულია ქართლის მატიანე-  
 შიც, რომელიც ამის შემდეგ (იგულისხმება აბულ-კასიმის შემოსევა)  
 მოგვითხრობს რამოდენიმე წლის გასვლისას კოსტანტინე მეფის სიკე-  
 დილს, რომელიც 912 წ. უნდა მიეკუთვნოს. მისი ქართლს შემოსევა  
 ამიტომ საფიქრებელია 908—909 წელს მოხდა (ამის შემდეგ შეიპ-  
 ყრეს ტყვედ 910 წ. სუმბატ სომხთა მეფე)<sup>2</sup>.

კოსტანტინე აფხაზთა მეფეს ეცილებოდა ტახტს მისი ძმა ბაგ-  
 რატი და „ვიდრე არა მიიცვალა ბაგრატ, არა იყო მშვიდობა მათ  
 შორის“. ბაგრატს ეხმარებოდა სიმამრი გურგენ ერისთავთ-ერისთავი  
 (918—941 წ.). ამის შემდეგ გიორგი მეფობდა მარტო; მან აღაშენა  
 ჭყონდიდის საყდარი.

კვირიკე კახთა ქორიკოზის სიკვდილის შემდეგ დაჯდა ძე მისი  
 ფაღლა და ამ დროს მოხდა ზემოდ მოხსენებული შემოსევა საჯისა,  
 რასაც შედეგად ჭყონდა მცხეთის და ჯვარის ტაძრის დაწვა. ამის  
 შემდეგ მატიანე გადმოგვცემს: „და ჰერეთსავე მეფობამდე იშხანიკი-  
 სასა პირველნი ყოველნი იყვნეს მწვალებელნი, ხოლო იშხანიკი დის-  
 წული იყო გურგენ ერისთავთ ერისთავისა და დედამან მისმან დინარ  
 დედოფალმან მოაქცივნა მართლმადიდებელად და სალართა დაეპყრა  
 მაშინ ბარდავი და ადარბადაგანი“<sup>3</sup>. ქართლის მატიანეს მიერ აქ  
 მოხსენებული სალარნი არის დეილემიტების მეთაური სალარი,  
 რომელმაც, მოსი კალანკატუელის სიტყვით<sup>4</sup>, დაიპყრა ალბანია,  
 სპარსეთი, სომხეთი და მოვიდა ქალ. ბარდაშიც. ამავე დროს მისივე  
 სიტყვით ჩრდილოეთიდან მოვიდა „ველური და უცხო ხალხი რუზი-  
 კი“ (რუსნი), რომელთაც აგრეთვე დაიპყრეს ბარდავი<sup>5</sup>. იბნ-ალ-  
 თირის სიტყვით რუსები მოვიდნენ ბარდავს, აიღეს ის 332 წ.  
 ჰიჯ. (3 სექტ. 943—23 აგვ. 944 წ.) და დაჰყვეს ამ ქალაქს 1 წე-  
 ლიწადი“. მაშასადამე მცხეთის და ჯვარის დაწვა საჯის მიერ მომხ-

<sup>1</sup> *Историческое Сведение о Грузии*; იეტობ. გამ. 1885 წ., გვ. 165.

<sup>2</sup> ქ. ცხ-ბა I, 195—196.

<sup>3</sup> ქ. ცხ-ბა, I, 197.

<sup>4</sup> *Историческое Сведение о Грузии*; *А. И. Савва*, III, წ. XXII, ტფილ. 1913 წ., გვ. 385.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> B. Dorn, *Caspia*, Spb, 1875. S. 302—303.

დარა 943 წელზე უწინარეს. ამასთანავე ეს ამბავი მოხდა ფადლას ქორიკოზად გახდომის ახლო ხანებში. გიორგის მეფობის დროს კი ფადლას შემდეგ ქორიკოზად დაჯდა კვირიკე; რომელსაც 957 წ., როდესაც გიორგი I გარდაიცვალა, სასიძო შვილი ყავდა<sup>1</sup>. ფადლას ქორიკოზად დაჯდომას ამიტომ ადგილი უნდა. ჰქონოდა გიორგი I-ის მეფობის პირველ ნახევარში. ამასთანავე სომხეთიდანაც არაბები განდევნა სუმბატის შვილმა მეფე აშოტმა (†929 წ.), რომლის შემკვიდრე აბასი (929—953 წ.) უკვე მშვიდობიანად მართავდა თავისს ქვეყანას. ამიტომ, ყველა ამ მოსაზრებების გამო საჯის კახეთში შემოსევა, რასაც შედეგად ჰქონდა მცხეთის და ჯვარის დაწვა, უნდა მომხდარიყო მე-920 წლებში, დაახლოვებით 925 წ. ახლოს.

ამავე წლის ახლო ხანებში შემუშავებულ იქნა სვეტი-ცხოვლის ახალი გეგმა და მალე მისი ასაშენებლად დაიწყო კიდევ მუშაობა.

სვეტი-ცხოვლის წარწერებში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ არსად იქ არ არის ნაჩვენები მეფე ეს გარემოება უნდა აიხსნებოდეს არა მარტო იმით, რომ ტაძრის აშენებას აწარმოებდა თვით საკათალიკოზო ეკლესია, არამედ იმ დროინდელ ქართლის და აფხაზეთის პოლიტიკურ მდგომარეობითაც. სახელდობრ ამ დროს გიორგი I-სა და მისი ძმას ბაგრატს შორის სწარმოებდა გამუდმებული შინაური ბრძოლა, რომელიც ქართლის მატთანეში ფრიად მოკლედ და მოჭრით არის აღნიშნული. ნამდვილად კი რომ ეს ბრძოლა ხანგრძლივი და ხშირად არა გიორგი I-ის სასარგებლოდ მიდიოდა, ეს სჩანს ერთი ქრონიკული ცნობიდანაც, რომლის მიხედვით 931 წ. ბაგრატი მეფედაც კი დამჯდარა<sup>2</sup>. ასეთს პირობებში გასაგები ხდება რომ სვეტი-ცხოვლის აშენების თაოსნობა თვით ეკლესიას უნდა ეკისრა და საქმე შეესრულებია კიდევ. რადგანაც სვეტი-ცხოვლის აშენება მელქისედეკ კათალიკოზის სახელთან არის დაკავშირებული, ხოლო 951 წ. კათალიკოზად უკვე მიქელი ზის, ამიტომ, გათვალისწინებით იმ გარემოებისა, რომ სვეტი-ცხოვლის კოლოსალურ შენობის დამთავრებას თუნდაც უმთავრესი ხაზებით 20 წელიწადი მაინც დასჭირდებოდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სვეტი-ცხოვლის ტაძრის გადაკეთება და ხელახლავ აშენება მოხდა მელქისედეკ კათალიკოზის დროს, დაახლ. 925—945 წლებში.

<sup>1</sup> ქ. ცხ-ბა I, 203; გიორგი I-ის შვილმა ლეონმა „უქადა (კვირიკეს) ძისა მისისა სიძობა“.


<sup>2</sup> ქრონიკ. I, 86.



## Приложение

Предварительное сообщение о древнейших частях Свети-Цховел-и. В настоящей краткой заметке не касаюсь, по недостатку места, истории изучения этого первоклассного памятника. Отмечу лишь, что довольно подробный и, в общем, удовлетворительный обмер Мцхетского собора был издан Г. Бартом («Зодчий», С-Пб., 1903 г., №№ 23 и 24, стр. 283 и сл., 295 и сл.). План этот переиздан в перечерченном виде в сборнике «არბილი», Тфл-1925 г.; план—стр. 115, разрез—стр. 121, статья Г. Чубинашвили ქართული ხუროთ-მოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი. В связи с разысканиями С. Н. Какабадзе по истории Мцхетских древностей, мною, совместно с ним и архитектором-художником М. Г. Калашниковым летом 1927 г. было предпринято обследование ряда Мцхетских памятников, в том числе и Свети-Цховел-и («Бюлл. КАИА» № 1—3, Тфл., 1928 г. стр. 1, 14—15; ср. стр. 6—7), когда и выявилась возможность выделить древнейшую часть этого здания и по ней наметить проект реконструкции базилики до ее переделки в купольную. Схема этой реконструкции, исполненная по моим указаниям М. Г. Калашниковым, на основе вышеуказанного плана, при сем прилагается. Контурной линией показано существующее здание; черной заливкой—места, где сохранились древнейшие части постройки; отштриховкой без контурной обводки—восстанавливаемые части базилики, разрушенные при переделке собора в купольное сооружение. Основания для предлагаемой реконструкции: 1) залитые сплошь места сохранили следы радикальной перестройки—на пилонах совершенно ясно намечаются пять подковообразных арок, связывавших пилоны между собою; арки эти, которым корреспондирует кладка противоположных участков наружных стен, позднее были сломаны и подтесаны; 2) два крайних западных пилон соответствуют и связаны подпружными арками основных нефов с двумя западными внутренними столбами, тогда как подпружные арки второй пары пилонов, считая к востоку, упираются в замковую долю больших арок, перекинутых от западных подкупольных столбов к западным малым столбам,—что крайне неконструктивно; как раз против южного пилон этой пары расположен «столп», ныне совершенно не связанный с зданием; 3) расстояния между западной стеной бафаликона и первыми западными пилонами, между этими последними и следующей парой приблизительно одинаково; разница колеблется в ничтожных отступлениях, обычных в древних зданиях для аналогичных членений постройки; 4) это найденное расстояние, идя далее на восток, точно укладывается еще 4 раза до алтаря, намечая тем место нахождения утраченных пилонов, которым соответствовали столбы, имевшиеся на местах теперешних подкупольных устоев и в промежутке между ними; 5) при

таким предположением во время перестройки место древнего алтаря было оставлено, как то обычно и практикуется; водчий Арсакидзе сохранил общий очерк плана древней базилики, трехнефной, типа Болнисской (стр. табл. 41 в изд., под ред. Е. С. Такайшвили, Тифлисск. Гос. Университета—Album d'Architecture géorgienne, 1924 г.), выломал вторую и четвертую, считая от алтаря, пары столбов, а на местах первой и третьей вывел подкупольные устои. Этим расчетом он строил между алтарной частью и западной долей самостоятельное купольное сооружение



План реконструкции нефов древней базилики Свети-Шовел-и (по чертежу ныне существующего здания Барта; реконструкция исполнена М. Г. Калашниковым; крестиком обозначен «столи»).

почти квадратное в плане с куполом на перекрестье коробов. На запад и на восток он поднял средний неф древней базилики, подперев западные подкупольные устои внизу широкими арками. При этом «столи» оказался уже вне конструктивных частей здания. Оба же западные угла, как наименее нагруженные, не потребовали слома старых стен до основания, а лишь некоторой переделки, вследствие чего и сохранились. Снаружи древние переделки точно не прослеживаются, вследствие многочисленных капитальных ремонтов облицовки. Окончательные выводы по реконструкции древней базилики и исполнение точных, а не эскизных чертежей требуют выкопек в штукатурке и дополнительных раскопок.

*Дмитрий Гордеев.*

## წვრილი შენიშვნები და მასალები.

ოლთისის მთავარი კოპასძე 1502 წ. ქუთაისის საისტ.-სეთნ. მუზეუმში დაცულია კახორის ეკლესიიდან (ზემო-იმერეთში) ჩამოტანილი ხატი (ინვენტარით № 1197), რომლის სახე გადასულია და რომლის არშიას ამკობს შემდეგი წარწერა, ასოთავრულით დაწერილი. წარწერა გადმოწერილი ჰქონდა ქუთ. მუზეუმის თანამშრომელს ზინ. ჯაფარიძეს და ჩვენ მასთან ერთად ხელახლავ შევადარეთ და შევასწორეთ. წარწერას ახასიათებს სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ, რასაც ჩვენ არ ვიცავთ.

შნ ო ლ ჩნო, რნი გრდამოსკედ კსნისათს კცთა ნათესავისა და რნი სათნო გეყო უქცეველად გრიგოლი დიდმნ მღღელთ მოძღუარმან მოთმინებით ყოედრება უსჯულთთაგნ, სიცბილი უგუნურთა არად შეირაცხა სიყუარულისათს ქრისტესა, ეგე ვითარი დიდება და პატივი მოიგე, გრიგოლი ღთიე შუენიერო მღღელთ მოძღუარო. აწ შეისმინე უნდოსა და არა ღირსისა და სასოებით მონღობილისა სოილისი და ჩნი სიქადული. და დიდება დიდი პტრონი ჩნი მზექაბუკ ამს სოფელსა უძღველ ყავ და დღეგრძელ და სკნდ მიმადლე წათა თა ზენა სსფეველი და შნი მონნი მშბელნი იგი ჩნი გნსუნებსა ღირს ყვენ და მეულსა ჩმსა და ძეთა ჩმთა დღესა მს საშინელსა გნკითხვისსა მეოხად წარმოუდევ და მე ხატისა შნისა დამხატავსა და მომჭედელს სოილს კოპასძესა შუამდგომელ მექმენ დამბადებელსა წე აურაცხელთა ცოდვათა ჩმთა მოტევებისათს და შენღობსა. დაიხატა და მოიჭედა წაესე ხატი მს ჟამსა ოდეს ოლთისთა ვმთარობდი (sic) ქრანიკონსა რპი.

წარწერა ამგვარად იხსენიებს მზექაბუკ ათაბაგის დროს 1502 წ. ოლთისის მთავარს სოილ კოპასძეს. კოპასძეთა გვარი XVI ს-ნის პირველ ნახევარში შედგენილ სამცხის წარჩინებულ გვარეულობათა სიაში არის მოხსენებული (ს. კაკაბ., კვლევა-ძიბანი საქართვ. ისტ. საკით. შეს., 8), მხოლოდ არ იყო ცნობილი მათი ბინადრობის ადგილი. ზემოდ მოყვანილი წარწერა ასეთ ადგილად თითქოს ოლთისს ასახელებს.

კახორის ეს ხატი, ეჭვს გარეშეა, მოტანილი უნდა იყოს ოლთისის რაიონის ერთ-ერთ ეკლესიიდან. მისი მომტანიც, საფიქრებელია, კოპასძის გვარის წევრთაგანი იქნებოდა. მართლაც, XIX ს-ნის

დასაწყისის კოპასძე იხსენიება აზნაურად ფერსათში, სადაც ის XVII ს-ნეში (შესაძლებელია, თუმცა ნაკლებ მოსალოდნელია, XVIII ს-ნეშიც) არის დამკვიდრებული, შეად. ზემოდ, გვ. 65). თუ ფერსათელი კოპასძე ოლთისის მთავრის კოპასძის გვარისა არის, ვლებულობთ საინტერესო ფაქტს, თუ როგორ მესხეთიდან ქრისტიანობის გამო გარდმოვარდნილი თავადი იმერეთში იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო საეკლესიო აზნაურის ხარისხით.

**კასრი და მენახევრე იმერეთს XVI ს-ნეში.** აფხაზეთის საკათალიკოზო დავთარში ჩხარის გლეხების გამოსავალი თეთრით, ღვინით და პურეულობით ნაჩვენებია შემდეგნაირად. დავთარში სულ დასახელებულია ჩხარის მცხოვრები 9 კომლი საკათალიკოზო გლეხი და 6 პარტახტი. 9 კომლს (3 კ. აბულაძე, 1 კ. ნიკოლაძე, 1 კ. ყიფჩაყიძე, 4 კ. ავეანდაძე) მართებდა, სხვა გამოსავალს გარდა, 146 თეთრი, 148 კოკა ღვინო, 24 კოდი ქერი, 8 მენახევრე ღომი და 8 მენახევრე პური. ექვს პარტახტს (3 ლივლივასშვილი, 1 სახეჩიძე, 2 ზაბუქიძე) კიდევ იქვე მართებდა 74 თეთრი, 74 კოკა ღვინო, 10 მენახევრე პური და ღომი, 14 კოდი ქერი<sup>1</sup>.

ჩხარის ეს გლეხები შეწირული იყო იმერეთის დედოფლის თამარის მიერ 1586 წ. სულ მაშინ შეწირული იყო 13 კომლი გლეხი (3 კ. აბულაძე, 1 კ. დავითაშვილი, 3 კ. ავეანდაძე, 1 კ. ყიფჩაყიძე, 1 კ. სახეჩიძე, 2 კ. ლივლივასშვილი, 1 კ. მარგველაშვილი, 1 კომლი ზაბუქიძე), რომელთა გამოსავალი ყოფილა (17+19=)36 კოდი ქერი, (78+77=)155 ათიანი კოკა ღვინო, 7 კასრი პური, 7 კასრი ღომი და ფულად ათი შამახურ ლიტრის სანთლის (კელაბტარისთვის) და ერთი ჩარექ საკმეველის საფასური<sup>2</sup>.

საკათალიკოზო დავთრის ნუსხა ჩხარის დასახელებულ გლეხების შესახებ შედგენილია დაახლ. ერთი თაობის შემდეგ შედარებით 1586 წლის შეწირულობის სიგელთან, რადგან ორი კომლი (ერთი—დიმიტრი ყიფჩაყიძე ცოცხლად და მეორე—ზაბულა ზაბუქიძე პარტახტად) მოხსენებულია როგორც 1586 წლ. სიგელში, ისე საკათალიკოზო დავთარში. ამიტომ საკათალიკოზო დავთარში მოხსენებული ნუსხა ჩხარის გლეხებისა უნდა იყოს შედგენილი თვით დავთრის შედგენის ახლო ხანებში, 1520 წლის ახლოს.

ამ ორი ნუსხის შედარებიდან სჩანს შემდეგი. 1586 წ. ჩხარში არის საკათალიკოზო 13 საკომლო, 1620 წლ. ახლოს კი 15 საკომლო (9 კ.+6 პარტ.). გარდა ამისა მეკომური დავითაშვილი იხსენიება 1586 წ., ხოლო 1620 წლ. ახლ. ის არც მეკომურთა და არც პარ-

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე, აფხაზ. საკათალიკოზო გლეხების დავთარი გვ. 3—4.

<sup>2</sup> ს. კაკაბაძე, დასავლ. საქართ. საეკლ. საბუთები I, 33.

ტახტთა სიაში არ იხსენიება. რჩება ამგვარად 12 საკომლო, საერთო 1586 წ. და 1620 წლ. ახლო დროის ნუსხებისთვის.

ამ 12 საკომლოს საკათალიკოზო დავთრით ემართა ფულად და-ახლ. 172 თეთრი (მთელს ნუსხას უნდა გამოაკლდეს 1 აჟუანდაძის, 1 დემეტრაძის, 1 ლივლიაშვილის და 1 ზაბუჭიძის გამოსავალი, ემატება დავითაშვილის). ეს უნდა იყოს 10 შამახურ ლიტრა სანთელის და 1 ჩარექ საკმევლის საფასური.

საკათალიკოზო დავთარში მოხსენებულ 9 მეკომურიდან ერთს, ივანა აჟუანდაძეს, რომელიც სწორედ ზედმეტად სჩანს 1586 წლის სიგელთან შედარებით) მართებს მხოლოდ 16 კოკა ღვინო და 20 თეთრი. დანარჩენ 14 საკომლოს მართებს 39 კოდი ქერი, ხოლო რადგანაც კომლს მართებს 3 კოდი ქერი, ამიტომ მივიღებთ 13 საკომლოსთვის 36 კოდ ქერს, ე. ი. იმდენს, რამდენიც მოხსენებულია 1586 წ. სიგელში 13 კომლისთვის.

საკათალიკოზო დავთრით დასახელებულ 14 საკომლოს მართებს 8 მენახევრე ღომი, 8 მენახ. პური, 10 მენახ. პური და ღომი, სულ 13 მენახ. ღომი და 13 მენახ. პური. თითო კომლზე მოხსენებულია თითო მენახევრე ღომი და პური, მაშასადამე ერთს კომლს პარტახტს, როგორც სჩანს, ღომი და პური არ მართებია, მაგრამ რომელს—არა სჩანს. ამიტომ სიფრთხილისთვის ყველა 13 კომლზე 1586 წლისთვის უნდა ვიანგარიშოთ 13 მენახევრე ღომი და 13 მენახევრე პური, რომელიც უდრის 1586 წლის სიგელში მოხსენებულს 7 კასრ ღომს და 7 კასრ პურს. სწორი შესატყვისობისათვის შეიძლება დავუშვათ, რომ ერთ-ერთ მეკომურს 1620 წლის დროისთვის (შედარებით 1586 წელთან) ჩამოწერილი ჰქონდა პურისა და ღომის გამოსავალი თითო მენახევრე. ამ შესაძლებლობის დაშვებით მივიღებთ რომ 1586 წლისთვის 13 კომლს ემართა 14 მენახევრე ღომი და 14 მენახ. პური<sup>1</sup>. 14 მენახევრე მაშასადამე უდრიდა 7 კასრს. კასრი=2 მენახევრე.

**ქართლის მეფის დავითის საბუთი საკათალიკოზო ყმების ბეგრისაგან თავისუფლების შესახებ.** საბუთი ზომით 30×15 სანტიმ., ბოძებული დავით მეფის მიერ (1505—1526 წ.), დაწერილია ქალაქ-

<sup>1</sup> თითო კომლზე იანგარიშება თითო მენახევრე პური და ასევე ღომი და თითო მარხილი თივა. მიუხედავად ამისა 6 პარტახტს 1620 წლისთვის ემართა 8 მარხილი თივა. ყოფილა მაშასადამე ორი ისეთი კომლი, რომელთაც რთის მაგივრად ორი მარხილი თივა ემართა. ასევე შეიძლება ყოფილიყო პურის და ღომის შესახებ. თუ საერთოდ აქაც ორს კომლს ვიანგარიშებთ ორმაგად (ორ-ორ მენახევრის) პურის და ღომის გარდამხდელს, მაშინ მართლაც მივიღებთ 12 კომლზე (13 კომლიდან 1 კომლის გამოკლებით, რომელსაც, როგორც პარტახტების ნუსხიდან სჩანს, პური, ღომი და ქერი არ ემართა, 14 მენახევრე ღომს და პურს. ეს არის განმარტების მეორე შესაძლებლობა, რომელსაც იმავე რიცხვამდის მივყევართ.

დზე ეკუთვნის მცხეთის საბუთებს, აქვს ორი ნუმერაცია მე-18 საუკუნისა წითურად ხუცურად („დაიწერა: რით:“) და მე-19 ს-ნის (№ 196). საბუთი დაცულია საქართვ. ცენტრარქივში.

საბუთი საყურადღებოა თავისი შინაარსით: ჩამოთვლილია სამეფო გარდასახადები, რომელიც ჩვეულებრივ ედებოდა გლეხებს (იგულისხმება არა სამეფო გლეხები) და აგრეთვე ის მოვალეობა, რომელიც მეფის სასარგებლოდ მაინც ედვათ სხვა ვალდებულებათაგან თავისუფალ საეკლესიო ყმებს.

ქ.: თქვენ: წმიდასა: მეუფესა: ქართლისა: ქათალიკოზსა: ბასილს: ესე: წიგნი: მოგახსენეთ: ჩუენ: პატრონმან: მეფემან: დავით: ჩემან: ძმამა: პატრონმან: გიგი: პატრონმან: ბაგრატი: ასრე: და: ამა: პირსა: ზედან: რომე: როდეს: ჩუენს: წმე: დაი-საჯენით: (sic) თქუენ: და: ბატონი: მთავარ: ეპისკოპოზი: და: მახეთი: შვილნი: ჩუენთ: გუართ: შეწირული: და: ჩუენთ: სასაფლავოთ: მამული: სრულად: ხელშეუვლელად: მოგანებეთ: ასრე: რომე: არცა: გამოსაღები: და: არა: ფერი: სათხოვარი: არა: ეთხოვბოდეს: არცა საელჩო: არცა: საჯინბო: არცა: საბაზიერო: არცა: სახორსალარო: არა: ეთხოვბოდეს: რა: ერთი: ნადირობის: მეტი: და: სალაშქროს: მეტი: ლაშქარსა: და: ნადირობა: ზედან: ვერა: დავიკლებთ: არცა: მალი: ეთხოვბოდეს: რაცა: დლე ვინ დლემდისინ: საქათალიკოზო: ქონებოდეს: ლაშქარსა: და ნადირობას: ვერა: დავიკლებთ: სხუა: სათხოვარი: არა: ეთხოვბოდეს: ციხეს: დგომას: არა: დავიკლებთ: საყდრის: ყმა: თუ: ვინმე: ჩუენი: ერდგული: იყოს: ჩუენის ერდგულობისთუი: არა: დამცროთ: რაცა: სხუათ: მეფეთ: და: ქათალიკოზთაგან: მამული: ჰქონდეს:

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა

**1689 წლის საბუთი ქართლს არსებულ საბატონო გარდასახადების შესახებ.** საქ. ცენტრარქივში დაცულია საბუთი 1689 წლისა, ნიციემული გივი ამილახვარის მიერ. საბუთი დაწვრილებით ჩამოთვლის ერთი საბატონო გლეხის გარდასახადებს, რისთვისაც ის განსაკუთრებით საყურადღებოა. საბუთში მოხსენებული გლეხი, როგორც თავით თვისითა ნაყმევი, პრივილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. როგორც სჩანს, ის მიჩნეული იყო მსახურად:

ქ: ნებითა: და: შეწევნითა: ღთისათა: ესე: ამიერ: უკუნისამდე: ჟამთა: და: ხანთა: საბოლოოდ: გასათავებელი: წყალობისა: წიგნი: გიბოძეთ: ჩვენ: ამილახორმან: პატრონმან: გივმან: და: ძემან: ჩვენმან: პატრონმან: ანდუყაფარ: და: პატრონმან: დემეტრემ: თქვენ: ჩვენთა: ერთგულთა: ყმათა: კუ-

პატაძეს: ოთიასა: და: ძმისწულთა: შენტა: დათასა: და: შო-  
 შიასა: მას: ჟამსა: ოდეს: მოგუიდეგით: კარსა: და: სითარხნის:  
 წყალობასა: გვეაჯენით: ვითაცა: თქვენითა: ნებითა: მოხვედით:  
 და: თქუენითა: ნასყიდითა: მამულითა: გვეყმენით: და: ჩვენი:  
 სამადური: მამული: არა: გქონდათ რა: ამის მეტი: რომე: შენ: და:  
 შენმა ნაბატონემა: ილაპარაკეთ: და: ვერას შემოგივიდა:  
 ჩვენცა: ვისმინეთ: აჯა: და: მოხსენება: თქუენი: შეგიწ-  
 ყალეთ: და: ასე: გათარხნეთ: და: გათავისუფლეთ: რომე:  
 ერთი: მსახური: უნდა: გვახლდეს: ზერის: ბარვასა: და: ხოდა-  
 ბუნის: მკას: უნდა: მოგვეკმარებოდეთ: ამის მეტი: საჩვენო: არც:  
 სეფეობა: არც: სათხოვარი: და: გამოსაღები: არა: გეთხოვბო-  
 დეს რა: არა: კულუხი: არა: ბეგარა: არა: სამასპინძლო: არა:  
 გუთნის: კენა: არა: ლეწვა: არა: სეფეობა: არცა: დიდი: არცა:  
 მცირე: თვინიერ: ერთის: დადიისა: (sic) და: მკისა: და: ბარ-  
 ვის მეტი: იქივ: ფხვენის: მკასა: და: ბარვას: უნდა: მოგვეკმარე-  
 ბოდეთ: გქონდეს: და: გიბედნიეროს: ლთნ: ჩვენსა: ერთგუ-  
 ლად: სამსახურსა: შინა: არ: მოგეშალოს: არცა: ჩვენგან: და:  
 არცა: შემდგომთა: სხვათა: მეპატრონეთაგან: დაიწერა: ნიშანი:  
 და: ბრძანება: ესე: ჩვენი: ივლისსა: ივ: ქკსა: ტონ: კელითა:  
 კარისა: ჩვენისა: მდივან: მწიგნობარისა: ჯავახაშვილისა: პაპუ-  
 ნასითა:

ბ ე ქ ე დ ი: ამილახორი გივი.

**ქუთათურ ვაჭრების საბუთები 1807—1810 წლების.** 1927 წ.  
 ვას. ქორქაშვილიდან (ს. გეგუთი) ჩვენ მიერ ქუთ. საისტ.-საეთნ. მუ-  
 ზეუმში ჩატანილ საბუთებს შორის აღმოჩნდა რამოდენიმე, რომელიც  
 შუქს ფენს ქუთაისში ჯერ კიდევ სამეფოს არსებობის დროს ვაჭარ-  
 თა შორის არსებულ შინაგან საქმითი ურთიერთობას. საბუთები საინ-  
 ტერესოა როგორც ამ ურთიერთობის, დასახასიათებლად, ისე აგრე-  
 თვე თავისი ფორმითაც (საამხანაგო წიგნები). საბუთები ცხადად  
 ადასტურებენ იმერეთის ვაჭრობის ამ დროს დამოკიდებულებას ოსმა-  
 ლეთის ბაზარზე და სტამბოლზე. საბუთებში მოხსენებულნი არიან  
 როგორც ადგილობრივი (ქუთათური) ვაჭრები, ისე ახალციხის მხრი-  
 სანი (ოცხელი, უდელი, ე. ი. ოცხედან, აწინდელ აბასთუმნის რაი-  
 ონიდან, და უდედან). ქუთაისის ბაზრის დამოკიდებულება „კოსტან-  
 ტინოპოლსა, ტფილისსა და ახალციხეზე“ დადასტურებულია რუსთა  
 მართველობის დამყარების შემდეგაც მე-1820 წლებში (იხ. ამის შე-  
 სახებ კლავროტის ცნობა მის წიგნში *Tableau historique, géogr.,  
 ethnogr. et politique du Caucase*, Paris 1827, page 128).

საბუთებს ვებუქდავთ მართლწერის დაცვით. ეს საბუთები, რო-

გორც სჩანს, ნიკოლოზ ქორქაშვილის კუთვნილება ყოფილა. ეს ნიკოლოზ ქორქაშვილი იხსენიება 1772 წლის ერთს საბუთში, რომელიც აგრეთვე ქუთ. საისტ.-საეთნ. მუზეუმს გადაეცა. 1822 წ. ეს ქორქაშვილი იმავე ჯგუფის ერთ-ერთ საბუთში პრაპორშჩიკად არის მოხსენებული: რუსების დროს, როგორც სჩანს, დაწინაურებულია ჩინის მიღებით. ქორქაშვილები იყვნენ ქუთაისის მოქალაქენი, სარწმუნოებით გრიგორიანები.

I. 1807 წლის საბუთი, დაწერილია მკლურჯო ქალაღდზე, ნიშნად იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ 1 წერტილი.

ქ ხვითთ ესე აფხანაგობის წიგნი დაგიწერე და მოგეცი მე ჩიკვაშვილმა ისხაკამ შენ [ქორქაშვილ]ს ნიკოლოზს, ასე რომ ცხრას ორმოცი ყურუში ავიღე შენგან საღი ოსმალოს თეთრი რომ იქს ამისი ნახევარი ოთხას სამოცდათუთხმეტი ყურუშს. ახლა ღმერთ ქვეშ, რასაც მოიყვანს ღმერთი, ხვთის ამანათათ ორსავესი იქნება, მოგება საზიაროთ და მთ(ა)ვენ(ი) შენი არის, სამღი შენი თეთრი ჩემს ხელათ იქნება და ახლა ამ გზობით ცხენი ჩემი არის და სამას ორმოცი ყურუში სარმა. რასაც მოიყვანს ღმერთი, სულყველა ორივესი არის მოგება და ზიანიდამ უფალმა დაიფაროს. რაც მოხთება, ერთი არის ამამიღ. ეს საფხანაკო წიგნი მე თითონ ისხაკას დამიწერია და ჩემი ხელი არის და ყაბულიც მაქვს ამისი.

დაიწერა ეს აფხანაგობის წიგნი კათათვის თუთხმეტ დღეს გასულს ჩყხ.

ც უღის ხელით: მე გლახაშვილი სტეფანა მოწამე ვარ ამ ზემო ნაწერისა ნიკოლოზას სიტყვითა და ისხაკას სიტყვით.

არ ში იახე: ქ ჩემი სამას ორმოცი ყურუშისაგან დაეხარჯე ორმოცი ყურუში. ეს ჩემი ხელი მომიწერია თითონ ისხაკას.

II. 1807 წლის საბუთი, დაწერილია თეთრ ქალაღდზე.

ქ ლთით ეს სამხანაგო წიგნი დავსწერეთ და დავსდევით ჩვენ ნიკოლოზა ქორქაშვილმა და გუარაშვილმა პეტროსამ, ასე რომ ათას ხუთასი ყურუში სარმია ნიკოლოზოსია და ხუთასი ყურ(უ)ში პეტროსასი, რომ გახდა ორივესი ორი ათასი ყურუში. ამ თეთრით მე პეტროსამ უნდა ვიმგზავრო სიმართლით და სამართლით გავისარჯო და რაც ღმერთმა მოგება მომცეს, ნახევარი ნიკოლოზოსია და ნახევარი ჩემი. ესრეთვე ზარალი, ღმერთმა მაშოროს, ზნიანი (sic) თუ ჯუქუამი რაც ღმერთსაგან მომივიდეს, ნახევარი ნიკოლოზასია და ნახევარი ჩემია. ეს სამხანაკო წიგნი მე უდღელებიანთ ნიკოს დამიწერია და მოწამეც ვარ, ორივეს სიტყვით აღიწერა ქუთაისს ენკენისთვის იზ, წელსა უფლისა ათას რვას შეიღსა.



ხელის მოწერა მდარე ხელით: 1) ჩემი ყაბულია ქორ-  
ქაშვილი ნიკოლოზას 2) მე ყაბული მაქპეტროსა გუ|ა|რ(ა)შვ(ი)ლ(ი)სი.

III. 1808 წლის საბუთი, დაწერილია თეთრს ქაღალდზე, ნიშ-  
ნად იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ ორი წერტილი.

ქ. ლთი(თ) ეს შართლამა დაგიწერეთ ჩვენ მელქონ იჯარადადრმა  
და ჩემა ამხანაგებმა თქვენ ყაზარაშვილი პავლესა და სტეფანა შვი-  
ლი პეტრესა, ასე რომ ლომსიათხევის სამღებრო მოგყიდეთ მისი.  
შემოსავლით ღორეშა ს(ა)ხლით და წევა რვა იმერული ქესათ, რომ  
დაფათით (sic) უნდა მოქცეთ, ერთი წლით მოგყიდეთ შენის საყო-  
ფი ლილა და ხადაკი. რაც იმუშაო, მის ბაჟი არ უნდა ავილო და  
სხვა რაც მოიტანოთ და ან რაც გაიტანოთ, ყველასი ბაჟი უნდა  
მამცეთ. თუ ვინმემ მამიმატოს ან ნავროზამდი ან ნავროზზე უწინ,  
ორასი მარჩილი ხალათი უნდა აილოთ. დაიწერა აპრილის ნახევარს.  
ქეს 1808.

ხელის მოწერა არ არის.

IV. 1809 წლის საბუთი, დაწერილი თეთრს ქაღალდზე.

ქ ლთით ეს სამხანაკო წიგნი დაგიწერე და მოგეც მე ნალბან-  
დიანთ ოსეფას ძე სტეფანამა თქვან (sic) ქორქაშვილს პარუნ ნიკო-  
ლოზასა, ასრე რომ ხუთი ქესა ოსმალოს თეთრი მომეცი და ერთი  
ქესაც ჩემია, რომ გახდა ექვსი ქესა. ეს თეთრი სტამბოლს მიმა ქუს.  
ღმერთმან გვაშოროს ზიანი, ზიანი თუ სარგებელი ორივესია. ამას  
გარდა კიდევ თუ ფოლოსა (sic) რამე წამოუღე, ზიანი თუ სარგე-  
ბელი ორივესია. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი, კაცთაგან ფი-  
რალაშვილი პარუნ ნიკო, აკოფაშვილი პარუნ თომა და მე ნალბან-  
დიანთ ოსეფას ძე სტეფანას დამიწერია და ყაბულიც მაქუს. დაიწე-  
რა ეს სამხანაკო წიგნი აპრილის პირველს ქკონს 1809.

პატარა ბეჭედი სტეფანესი სომხური მონოგრა-  
მით.

ცუდის ხელით: ამა ზამაო ნაწარისა მა გიქორას ყაბულ-  
მაქას და ეს ჩამ ხალია. ამას გარადა სამოც ბაჯახალ ამანათათ გამა-  
ტანა. იმის ზარალი და სარაგაბალ ნიკოლოზასია, ამანათათ არის.

V. 1809 წლის საბუთი, დაწერილი მოღურჯო ქაღალდზე.

ქ ლთით ავიღე მე მოშა დაფლიკიშვილმა შენ ოცხელი ყაზარა-  
შვილი პავლესაგან ოცდათუთხმეტი მარჩილი იმერული ძველი თეთ-  
რი, რომ იქს ამის ნახევარი ჩვიდმეტ მარჩილს. ნახევარსა ამ ქვემო  
თარეხილამ სამი თვე ვადა ვადაზე შენი თეთრი ულაპარაკოთ მოგა-  
ბარო. თუ გაგალაპარაკო, ან გაგასაერო ან საბოქოულო ან საპქო  
დაგახარჯვინო რამე, ყოველა (sic) მე გარდავიხადო. არის ამის მო-

წაქე ელო თოფჩიაშვილი, ელო ელიგულაშვილი, მოშა და მე ოცხელს ვართანაშვილს დამიწერია მოშას სიტყვით და ძოწამეც ვარ ამ თამასუქისა. დაიწერა ეს თამასუქი მაისის პირველსა ქქეს აქეთ 1809.

VI. ნასყიდობის წიგნი 1810 წლისა, დაწერილი კარგი ღირსების თეთრს ქალაღზე. საბუთი გვიჩვენებს თავადების დამოკიდებულებას ფულის მხრივ ქუთ. მოქალაქეებზე.

ქ ნებითა და შეწვევითა ღწისათა ესე მტკიცე და უცვალბელი ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ წულუკიძემ გიორგიმ და ჩემმა შვილმა სვიმონ შენ ჩვენს მეგობარს და ძმებრ საყუარელს ქორქაშვილს ნიკოლოზს და შენს შვილებს ასე და ესე ვითარად, რომ თეთრი დამჭირდა და გამოგართვი ექუს ქქესა ნახევარი იმერული ძველი თეთრი და ამაშიდ მოგეცი ციხას ხუთი მოსახლე გვეტაძეები კაცი-ელა და მისი ძმა ხახუტელა და კიდე მათი ძმა გიორგელა, მათი სახლისკაცი იორდანე და მისი შვილები. კიდე გვეტაძე შოშიკა, მისი ძმა გოგია და მისი ძმისწულები კვირიასშვილები ბასილა და მისი ძმები და კიდე ხახუტელა გვეტაძის შვილები სვიმონა და დავითა მათის ცოლშვილით, მათი სახლკარით, მათი ადგილ მამულით, მათი ყოფაცხოვრებით შინ და გარეთ, რისიც მქონებელი იყუნენ, საფლავ სამარხით, საძებრით და უძებრით, ასე გულსრულათ და ხელშეუვალად მოგვიცემია. ამ ზემო აღწერილს მოსახლეს გლეხებშიდ არც ჩვენ და არც ჩვენი შვილი და მომავალი შენ და შენს შვილსა და მომავალს აღარ გედეოთ და თუმც ვინმე ამათი მოდევე და მოცილე თქვენზედ მოდგეს, ჩვენ მოგაცილოთ. აწ იქმნა წერილისა ამის მოწამე და შუამდგომელი წულუკიძე ხოსია, გოცირიძე პეტრე და სუანიძე ოტია და მხეიძე გიორგი. აღიწერა კელითა მღუდლის ქიჭინაძის გიორგისათა წელთა უფლისათა ქქეს აქეთ ჩყი, თთვესა აპრილსა კზ.

ბეჭედი: წულუკიძე გიორგი.

ს ხ ვ ა ხ ე ლ ი თ: მამიჩემის სიგელს ვამტკიცებ წულუკიძე სვიმონ. არ შ ი ა ხ ე ტ ე ქ ს ტ ი ს ხ ე ლ ი თ: ქ დათუკა გვეტაძე და მისი შვილებიც კიდე მოგეცი მისი ცოლშვილით, სახლკარით და ადგილ-მამულით, სასაძებრით და უძებრით, წელთა ჩყი აპრილის კზ.

ბ ე ჭ ე დ ი: წულუკიძე გიორგი.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

Caucasica, herausgegeben von A. Dirr, Fasc. 2, Leipzig, 1925; Fasc. 3, Leipzig, 1926.

დასახელებულ Caucasica-ს ორი წიგნთაგან პირველი შეიცავს შემდეგს წერილებს: H. Junker, Das Awestaalphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift (გვ. 1—92); G. Graf, Der georgische Physiologus (გვ. 93—114); A. Trombetti, Probleme der allgemeinen Sprachwissenschaft (გვ. 115—118); A. Dirr, Zum Ethnicon „Abchas“ (გვ. 119—120); O. G. von Wesendonk, Nachträge zum georgischen Heidentum (გვ. 120—130); Kleine Mitteilungen.

მეორე წიგნის შინაარსია: C. Tagliavini, Beiträge zur Etymologie und Semantik mit besonderer Berücksichtigung der kaukasischen Sprachen (გვ. 1—6); Fürst N. Trubetskoj—Studien auf dem Gebiet der vergleichenden Lautlehre der nordkaukasischen Sprachen (გვ. 7—36); Gerhard Deeters, Armenisch und Südkaukasisch (ein Beitrag zur Frage der Sprachmischung) (გვ. 37—81); Heinrich F. Junker, Das Awestaalphabet und der Ursprung der armenischen und georgischen Schrift, მეორე ნაწილი (გვ. 82—139).

დასახელებულ ორგანოს გამოცემა ამტკიცებს კავკასიისადმი დაკერძოდ საქართველოსადმი დას. ევროპის განსაზღვრულ სამეცნიერო წრეებში ერთგვარი ინტერესის არსებობას. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც სასიამოვნოა დასახელებულ ორგანოს გამოშვება<sup>1</sup>, იმდენადაც სამწუხაროა, რომ მასში მონაწილე პირთა მუშაობა სწარმოებს მეტად აბსტრაქტულ პირობებში როგორც მასალების, ისე რუსულად და ადგილობრივ-კავკასიურ (ქართულ-სომხურ) ენებზე არსებულ ლიტერატურის ჯეროვნად გაუთვალისწინებელი. ეს სჩანს განსაკუთრებით საისტორიო ხასიათის საკითხების გარჩევისას. ამ მხრივ ფრიად სამწუხაროა, მაგ., ჰაინრ. იუნკერის ვრცელი წერილი ავესტა-ალფაბეტისა და ქართულ-სომხურ ანბანის წარმოშობის შესახებ. სამწუხაროა იმიტომ, რომ თუმცა ავტორი, როგორც თავისი საგნის კარგი სპეციალისტი, იჩენს ავესტა-ალფაბეტის ცალკე საკითხების გარჩევისას, რამდენადაც ეს ჩვენთვის შესაძლებელი იყო, სათანადო ცოდნას და საღ მსჯელობას, მაგრამ აშკარად

<sup>1</sup> გამოვიდა უკვე სამი წიგნი. პირველ წიგნში სხვა წერილ შენიშვნებს გარდა მოთავსებული იყო ო. გ. ფონ-ვეზენდონკის წერილი Über georgisches Heidentum.

კარგავს ფეხქვეშ ნიადაგს ქართულ-სომხურ ანბანის ცალკე ნაწევართა წარმოშობის საკითხის განხილვისას. მიზეზი ამისი არის ის, რომ ავტორი არ იცნობს ქართულ და სომხურ პალეოგრაფიას და გამოდის ეხლა არსებულ ქართულ-სომხურ ანბანის ცალკე ნაწევართა გამოსახულებისაგან, რაც რასაკვირველია მიუღებელია, რადგანაც განსაკუთრებით ქართულ ანბანს ჰქონდა თავისი მრავალ-საუკუნეებრივი ისტორია (შეად., მაგ., იუნკერის ტაბულები ქართ. ანბანის მოშველიებით *Caucasica II*, გვ. 83—85). იშვიათ შემთხვევაში ავტორს გამოყენებული აქვს ძველი მასალაც (*III*, 90), მაგრამ ისიც არა სწორი დათარიღებით. ლურჯი მონასტრის (ტფილისში) წარწერას ის, მაგ., *XVI* ს-ნისად სთვლის, მაშინ როდესაც ეს წარწერა *XII* ს-ნისაა და სხ.

ერთ-ერთი მთავარი დასკვნა ავტორის არის, სხვათა შორის, ის, რომ წინააღმდეგ, მაგ., *Spiegel*-ის აზრისა, რომლის მიხედვით ფაჰლაური და მოღწეულ ხელნაწერების ავესტა-ანბანი წარმოიშვა 600 წლ. ახლოს ქრ. შ. (წინად ავესტა სხვა ანბანით იწერებოდაო),— ავესტა-ალფაბეტი წარმოიშვა 350 წლ. ახლოს ქრ. შ.. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ამ, და აგრეთვე სხვა დებულებათა გასარკვევად ავტორი იშველიებდა ქართულ-სომხურ ანბანის ცალკე მაგალითებს, საკითხის გარდაწყვეტას, კერძოდ ქართულ ისტორიულ პალეოგრაფიასთან დაკავშირებით, დასჭირდება სათანადო შეჯერება.

სპარსულ-ქართული ცდანი, წიგნი I.

გ. მარრი. ულულ-ბეგის ზიჯის ვახტანგისეული თარგმანი სპარსულ-ქართული ლექსიკონით.

კ. დონდუა. ჰიდაათ ილ-ნუჯუმი და საიმისო სპარსულ-ქართული ლექსიკონი. საქართველოს ს.ს.რ. სახ. განათლ. კომისარიატის გამოცემა, ლენინგრადი 1926 წ. გვ. 1—91.

ახალგაზრდა ირანისტის, ჩვენი თანამემამულის გ. მარრის დასახელებული შრომა წარმოადგენს ლენინგრადის საახიო მუზეუმის № 189 ხელნაწერის შესწავლის შედეგს. ვახტანგ VI-ის მეცნიერული ინტერესი, სხვათა შორის, სპარსულ კოსმოგრაფიულ ცოდნასაც სწვდა და ამ ინტერესის შედეგი იყო ვახტანგის მიერ შესრულებული სათანადო თარგმნითი სამუშაო თემურლენგის ცნობილი მეცნიერ შვილის შვილის ულულ-ბეგის ნაშრომთა.

გ. მარრს ვახტანგის ნაშრომი გამოცემული აქვს სათანადო ადგილებში სპარსულ პარალელების თანდართვით. მთელი სამუშაო გ. მარრისა სტოვებს კულტურულად ჩატარებულ სამეცნიერო მუშაობის შთაბეჭდილებას.

ასევე კარგად არის შესრულებული კ. დონდუას მიერ ჰიდაათ ილ-ნუჯუმის ვახტანგისავე დროინდელი სპარსულ-ქართული ლექსი-

კონის გამოცემა ლენინგრადის სააზიო მუზეუმის კუთვნილ (№ 188) და აწ საქართველოში დაბრუნებულ ხელნაწერის მიხედვით. დართული შენიშვნები აგრეთვე ძლიერ კარგს შთაბეჭდილებას სტოგებენ.

აღნიშნული ორი ნაშრომით ქართული მეცნიერება ეცნობა საასტრონომიო ნაწარმოებთა დარგში ვახტანგის დროს წარმოებულ გადმოქართულების საქმიანობას. ამით თვალსაჩინოდ ივსება ქართულად არსებულ საასტრონომიო ნაწარმოებთა გაგების ხარვეზი, რაც მართლაც დიდი იყო. „ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც სამართლიანად შენიშნავს კ. დონდუა (გვ. 54), სავარსკვლავეთ-მრიცხველო... ნაწარმოებებს დღემდე თითქმის უკანასკნელი ადგილი ჰქონდა მიჩნეული“.

Известия абхазского научного общества, вып. IV, Сухум 1926 г., стр. 2—134.

საზოგადოდ კარგად, თუმცა სამწუხაროდ საქართველოსაგან განკერძოების განხრით, მომუშავე დასახელებულ საზოგადოების ბეჭდვითი ორგანოს ეს მეოთხე ტომი შეიცავს რამოდენიმე სერიოზულ და საინტერესო გამოკვლევას. პროფ. ა. ს. ბაშკირევის წერილი—*Археологические изыскания в Абхазии летом 1925 г.* (გვ. 3—59) წარმოგვიდგენს პირველ ნაწილში ავტორის მიერ სოხუმსა და მის რაიონში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრათა ანგარიშს. ამ გათხრის შედეგი იყო საინტერესო დასკვნების გამოტანა თვით სოხუმის ტერიტორიაზე დადასტურებულ ციხის ნაშენობათა სამი ძველი კულტურულ ფენის შესახებ. პირველი ფენა—რომის იმპერიის დროინდელი, II—IV ს-ნის ქრ. შ.. მეორე ფენა—XI—XII ს-ნე, მესამე ფენა—ოსმალების ბატონობის ხანისა სოხუმში.

სოხუმის რაიონში, ქალაქს გარედ, ა. ბაშკირევის მიერ წარმოებულ მუშაობის ობიექტი ყოფილა ეგრედ წოდებული ბაგრატის ციხის ნანგრევები, ძველი ხიდი (ვენეტიკურად ან გენუელებისად, როგორც ავტორი არკვევს, შეცდომით წოდებული), რომელიც ავტორის მიერ XII—XIV ს-ნისთვის არის მიკუთვნებული, აფხაზეთის დიდი გალაგანის (კელასურის კედლის) ნაწყვეტი, რომელსაც ის შენებულობის ხასიათის მხრივ ბაგრატის ციხის ეპოქას უკავშირებს.

დასახელებული წერილის მეორე ნაწილი ეხება ბიჭვინტის კონცხის ისტორიულ ნაშთებს და უპირველეს ყოვლისა მოკლედ თვით ბიჭვინტის ტაძარსაც. რომელსაც ავტორი სთვლის ბიზანტიის ხელოვნების ნაშთად და, —თარიღის საკითხში ნ. ტოლსტოისთან და ნ. კონდაკოვთან თანხმობით, —არა უადრეს X ს-ნისა წარმოშობილად. ჩვენის აზრით, საკითხი ბიჭვინტის ტაძრის შესახებ თხოულობს, თანა-

მედროვე ქართულ ისტორიოგრაფიულ შესაძლებლობათა მიხედვით, ახალს დამუშავებას.

ავტორი ეხება იმავე წერილში ლიხნის ისტორიულ ძეგლებსაც (ლიხნის ეკლესიის ფრესკების დათარიღებაში—XIV ს-ნისად—ავტორი ზოგადად ეთანხმება უვაროვისას ახრს) და მდ. ფსირტსხის რაიონში მდებარე ისტორიულ ნაშთებს (სვიმონ კანანელის ტაძარს ავტორი X—XI ს-ნისად სთვლის, ხოლო ეგრედ წოდებულ ივერიის მთაზე მდებარე ბაზილიკას—VIII ს-ნეზე ადრინდელად და XI—XII ს-ნეში გადაკეთებულად).

მ. მ. ივაშჩენკო წერილში Великая Абхазская стена იხილავს რომაელ და ბერძენ-ბიზანტიელთა მწერლების ცნობებს აფხაზეთის ტერიტორიის ისტორიულ ტოპონიმების შესახებ და დაასკვნის, რომ კელასურის კედელი (გალავანი), რომლის ნაშთმა ჩვენამდის მოაღწია, აშენებული იყო იუსტინიანე იმპერატორის დროს ძველი აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვარზე.

მეორე წერილში (გვ. 90—92) იგივე მ. ივაშჩენკო ეხება ამ ძველი კელასურის კედლის მიმართულებას.

წერილში.—К вопросу о местонахождении Диоскурии древних—მ. ივაშჩენკო ამტკიცებს, რომ დიოსკურია მდებარეობდა შავი ზღვის სანაპიროზე ვიწრო ზოლად  $1\frac{1}{2}=2$  კილომეტრის სიგრძეზე, მდ. ბესლათის ორივე მხარეზე. ნაწილი დიოსკურიისა ამ ჟამად დაფარულია სოხუმის ბუხტით.

კრებულში კიდევ მოთავსებულია შემდეგი წერილები: ვ. ი. სტრაჟევის—Бронзовая культура в Абхазии (გვ. 105—124), მისივე—К азиатскому долмену (გვ. 125—127); მ. ივაშჩენკოსი—Развалины в Псху (გვ. 128—130), ს. კორკუნოვისა—Развалины Джальской церкви в моквинском районе кодорского уезда (გვ. 131—132) და მისივე—Остатки близ селений Тхина и Гупы моквинской общины кодорского уезда (გვ. 133—134).

კორნ. კეკელიძე, საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ. ტფილ. უნივერს. მოამბე VI, ტფ. 1926 წ. გვ. 82—107 (Корн. Кекелидзе. К вопросу о прибытии сирийских деятелей в Грузию, Bulletin de l'Université de Tiflis t. VI, Tiflis 1926, p. 82—107).

Затронутый в работе К. Кекелидзе вопрос является одним из весьма важных для истории древней Грузии, могущий пролить свет на культурно-церковные взаимоотношения грузин VI века с восточными странами, прежде всего с Сирией. Имеет этот вопрос значение и для выяснения действительной роли так назыв. 13 сирийских отцов (во главе с Иоаном зедазонским) в культурной жизни древней Грузии, в частности для установ-

ления их роли и значения в деле организации монастырской жизни на местах. Понятно поэтому, что работа К. Кекелидзе должна была бы быть встречена с интересом, если только положения, в пей выдвинутые, вполне отвечали требованиям научной критики.

Автор начинает свою работу с перечисления имеющихся на лицо на груз. яз. первоначальных, а также распространительных (метафрасных) житий названных 13 сирийских отцов и констатирует, что житие Абибоса некресского (представленное даже в метафрасной переделке в наиболее архаичном и близком к начальному архетипу виде) написано католикосом Арсением I Великим, правившим церковью, по приводимой К. Кекелидзе хронологии, в 855—882 гг. Вслед за этим идет житие Давида гареджийского (архетип), составленное, по мнению К. Кекелидзе в I пол. X в. Архетипы же метафрасных житий самого Иоанна зедазенского, Шно мгвимского и Исе цилканского составлены, по мнению автора, во второй половине X в. католикосом Арсением II, правившим груз. церковью, по хронологии К. Кекелидзе, в 955—980 г.г. Метафрасные же редакции означенных житий относятся автором к эпохе после XII в.<sup>1</sup>

Эти положения автора не находят подтверждения в наличных материалах. Метафрасное житие Иоанна зедазенского имеет следующую приписку: ... „Через 404 года после прихода Иоанна (зедазенского) расследовал (сие дело) святой наш отец Арсений, католикос Грузии, кое-что вычитали из книг, а кое-что из их (сирийских отцов) дел слышали мы (по преданию) и описали жизнь и подвижничество тех святых отцов“<sup>2</sup>. Для разъяснения этого весьма важного для вопроса сообщения следует иметь в виду дошедший до нас список грузинских католикосов VIII—X в., приложенный к хронике *Обращения Грузии*<sup>3</sup>, а также список настоятелей зедазенского монастыря, начиная с самого отца Иоанна, составленный, повидному, в середине X века<sup>4</sup>. Путем синхронистических сопоставлений устанавливается список груз. католикосов VIII—X в. с приблизительным (путем начисления одинакового количества лет между определенными датами) хронологическим указателем годов их управления церковью в след. порядке: Мама 733—747 г., Иоанн 747—754 г., Григорий 754—761 г., Клементий 791—797 г., Фалил 774—

<sup>1</sup> Текст архетипов этих житий см. в приложении к настоящей книге под заглавием: *ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტოპები*. Метафрасные редакции житий изданы у М. Сабинина *საქართველოს სამოთხე, სპდურაი*; подробное содержание метафрасных редакций у М. Сабинина же на русс. яз.—Полное жизнеописание святых грузин. церкви, СПб., 1873 г. I, 67—140; II, 49—56.

<sup>2</sup> Груз. текст см. *ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტოპები*, стр. 2.

<sup>3</sup> Груз. текст ОРОРГ. II, 727; русский перевод Е. Такайшвили, СМОМШ. т. XXVIII, стр. 48.

<sup>4</sup> Груз. текст см. в приложении *ასურელ მამათა ცხოვრებათა არქეტოპები* 83. 3—4.

781 г., Самуил 781—790 г., Кирилл 790—800 г., Григорий 800—810 г., Самуил 810—820 г., Георгий 820—830 г., Гавриил 830—840 г., Илларион 840—848 г., Арсений 848—875 г., Евсухий 875—882 г., Василий 882—889 г., Михаил 889—896 г., Давид 896—903 г., Арсений 903—910 г. Последний Арсений и является инициатором составления метафрасных житий сирийских отцов. Следует отметить, что метафрасное житие Иоанна зедазенского написано, как видно из приложенного к тексту письма самого автора жития к настоятелю зедазенского монастыря Михаилу, по просьбе последнего, очевидно во исполнении намеченного Арсением общего плана написания житий сирийских отцов. Михаил же был настоятелем зедазенского монастыря, судя по вышеназванному списку зедазенских настоятелей<sup>1</sup>, в 890—914 г.г., т. е. при католикосе Арсение.

Метафрасное житие Иоанна зедазенского написано, таким образом, в начале X в. при католикосе Арсение. И тогда же, повидимому, составлены все остальные метафрасные жития сирийских отцов (Давида гареджийского, Шио мгвимского, Исе цилканского).

Относительно архетипов этих житий, впервые публикуемых в приложении к данному изданию, следует отметить, что они безусловно являются производением значительно более древней эпохи по сравнению с метафрасными редакциями этих житий, т. е. по сравнению с началом X в. В метафрасном житии Давида гареджийского прямо имеется ссылка на „вначале и когда-то в старину написанное подвижничество сего блаженного“<sup>1</sup>. Аналогичная по существу ссылка на „прежних описателей его жизни“ имеется и в метафрасном житии Иоанна зедазенского и об этом же говорится также в приписке, упоминающей об инициативе католикоса Арсения в деле изготовления метафрасных житий сирийских отцов<sup>2</sup>. В заголовке же архетипов житий Иоанна зедазенского и Шио мгвимского имеется упоминание об Арсение католикосе, как о составителе этих житий (груз. текст, стр. 18). Принимая во внимание, что архетипы всех житий (включая и житие Давида гареджийского) относятся, по времени их составления, повидимому, к одной и той же эпохе, а также, что в виду близости их составления к началу X в., автором архетипов житий не может быть принят католикос Арсений, сын Миряна (ок. 848—875 г.), упоминаемый в житии Григория хандзтнийского, следует полагать, что составителем этих древних редакций житий, „когда-то в старину написанных“, надо считать

<sup>1</sup> მ. სპინი, საქართველოს სამოთხე, 266.

<sup>2</sup> Сам список зедазенских настоятелей за период V—X в. с приблизительным хронологическим указателем времени их деятельности см. в приложении к данной книге ასურულ მამათ ცხოვრებათა არქტიპები, стр. 4—6.

<sup>3</sup> ასურ. მამ. ც-ბათა არქტიპები, 2.



католикоса Арсения, деятеля конца VII в., автора известного труда *о разделении* (в церковном отношении) *Грузии и Армении*<sup>1</sup>.

Находящееся в житии Абибоса некресского фактическое упоминание о византийском владычестве в Грузии и о владычестве в Грузии эриставов (правителей) также указывает на конец VII в., как на эпоху появления данного жития. В общем, при детализации выводов, появление первоначальных житий Иоанна зедазенского и Шио мгвимского из-под пера Арсения католикоса возможно отнести к 680—690 годам, появление жития Абибоса некресского (написанное неизвестным лицом)—к 690—700 г.г. и в это же время, повидимому, составлено также и житие (архетип) Давида гареджийского.

Из этого можно заключить, насколько мнение К. Кекелидзе относительно времени появления житий сирийских отцов, неприемлемо. Автор явно путается в различных материалах и не правильно подходит к ним. Так, напр., в вопросе о католикосах Грузии VIII—X в. в. автора, как видно, ввело в заблуждение безпроверочное базирование на представленные в груз. историографической литературе мнения по вопросу. Частичные исправления, внесенные при этом К. Кекелидзе в датировку эпохи управления церковью двумя Арсениями (в IX и X в.), оказались мало полезными. Основная ошибка автора состоит в том, что он, повидимому, считает, базируясь на вычислениях Ф. Жордания<sup>2</sup>, католикоса Михаила, третьего с конца в списке хроники *Обращение Грузии* (см. выше, стр. 123), правившего церковью ок. 889—896 г.г., идентичным с католикосом Михаилом, упоминаемым в 951 г. Георгием Мерчулом, автором жития Григория хандзтийского<sup>3</sup>. Отсюда в свое время Ф. Жордания, а теперь и К. Кекелидзе относят второго после Михаила католикоса Арсения ко второй половине X в. (по К. Кекелидзе 955—980 г.г.), считая этого последнего автором житий сирийских отцов. Следует при этом отметить, что Ф. Жордания полагал этого Арсения, согласно его *memeto* в житии Иоанна зедазенского, автором метафрасных житий. К. Кекелидзе же считает его автором житий архетипов, отодвигая, таким образом, составление метафрасных житий совершенно непонятным образом к более позднему времени. Что католикос Михаил, упоминаемый в 951 г., не есть католикос Михаил списка хроники *Обр. Груз.*, это видно хотя бы из того, что ок. 964 г. в тмогвской надписи упоми-

<sup>1</sup> Об этом см. სურ. მამ. ცხ-ბათა არქეტიპები, 10—15. В частности о времени составления названного труда (*О разделении Гр. и Арм.*) см. С. Какабадзе Историч. разыскания (на груз. яз.)—საისტორიო ძიებანი—Тифл. 1924 г., стр. 38—55.

<sup>2</sup> Ф. Жордания, Хроника и др. матер. по ист. Грузии, Тифл. 1892 г. (на груз. яз.), т. I, стр. 79—79.

<sup>3</sup> Н. Марр., Житие Григ. хандзт., СПб., 1911 г, стр. 80 и 148.

нается католикос Гавриил<sup>1</sup> в означенном же списка после Михаила представлены имена католикосов Давида и Арсения. Не говоря уже о несостоятельности датировки управления церковью Арсением в 955—980 г.г., раз ок. 964 г. упоминается католикос Гавриил, следует вообще считать, что в упоминавшемся списке католикосов хроники *Обр. Груз.* мы вовсе не имеем имен после начала X в.

Не разобравшись в списке католикосов Грузии VIII—X в., автор допустил целый ряд других ошибок, имевших роковое значение для самого исследования в целом. Мemento о написании жития Иоанна зедазенского через 404 года по прибытии в Грузию сирийских отцов, при датировке управления католикоса Арсения 955—980 годами, могло быть понято как косвенное указание на дату прибытия отцов около середины VI в. Так и поступает К. Кекелидзе, но так как в житии Давида гареджийского имеется упоминание об иерусалимском патриархе Илье (516—518 г.), при котором Давид совершил паломничество в Палестину, то автор и считает возможным допустить прибытие в Грузию Давида около 520 г., связав этот факт с начинавшимся при императоре Юстине I-м гонением на монофизитов. Давид, как монофизит, должен был, мол, бежать из Палестины, куда он мог прибыть, в качестве паломника, из Сирии, и искать убежища в Грузии. Но автор при этом упускает из виду категорическое сообщение жития о прибытии Давида в Палестину именно из Грузии, а не из Сирии и, повидимому, упускает сознательно, т. к. принятие во внимание этого сведения приводило бы к заключению о прибытии Давида и с ним вместе также и других учеников Иоанна зедазенского, не говоря уж о самом учителе, раньше патриаршествования в Иерусалиме Ильи, т. е. раньше 516—518 г.г., а это никак не могло быть увязано с основным положением автора, в корне ошибочным, о датировке прибытия сирийских отцов в Грузию временем (955—404л.=) середины VI в. Не имея вместе с тем возможности подкрепить это положение фактическими данными, автор явно путается и вынужден отнести прибытие сирийских отцов к разным датам на протяжении VI в., а именно Давида гареджийского, как упоминалось, ок. 520 г., Иоанна зедазенского и большей части других его учеников—Шино мгимского, Исе цилканского, Исидора самтавийского, Иосифа аллавердского, Зиновия икалтойского и Таты—в 543 г., Антония марткопского—в 545 г. и Абибоса некресского—в 571 г.

Ни одна из этих дат не может быть принята, так как в вопросе, напр., о датировке прибытия Иоанна зедазенского, кстати прибывающего в Грузию по К. Кекелидзе на 22 года позднее

<sup>1</sup> M. Brosset, Voyage archéologique, rapp. I, p. 167; газ. „Иверна“ (груз.) 1891 г. № 239, также Ф. Жордания, Хроники I, (на груз. яз.) стр. 78, прим.

своего ученика Дав. гареджийского, что никак уже невозможно увязать с данными житий, автор вынужден сослаться на явно ненадежное сообщение метафрасного жития о прибытии Иоанна вместе с учениками к Семену Дивногорцу для получения благословения еще во время пребывания его в пещере (до восхода на высокий стол). Пребывание в пещере Семена Дивногорца, по житию этого подвижника, составленного Аркадием, кипрским архиепископом, датируется 541—551 годами. Антоний же мартконский, по житию, узнает об отбытии в Грузию своего учителя Иоанна зедазенского после осады Едессы персидским царем Хосроем I в 544 г. и после этого отбывает в Грузию, т.-е., по мнению К. Кекелидзе, около 545 г. Отсюда — дата прибытия Иоанна зедазенского с большей частью учеников в Грузию около 543 г.

Но эти даты основаны на явном недоразумении. Житие Антония мартконского, как об этом известно и К. Кекелидзе (стр. 85), написано в начале XVIII в. и содержащиеся в нем фактические данные, явно сфабрикованные литературным путем, не заслуживают никакого доверия. Что же касается сведения из жития Иоанна зедазенского о хождении Иоанна с учениками на благословение к Семену Дивногорцу, означенное сведение имеется только в метафрасном житии, составленном в начале X в. Этого сведения нет вовсе в житии первой редакции (архетипе), вследствие чего не остается сомнений об его искусственном происхождении, путем книжной фабрикации, при составлении метафрасного жития в нач. X в.. К этому времени полу-эпический, полу-летописный труд Джуаншера, содержащий в себе повествование о царе Вахтанге Горгасале и далее о событиях в Грузии за VI в и до середины VII в., имел уже более чем столетнюю давность (труд Джуаншера, повидимому, написан во второй пол., скорее в третьей четверти VIII в.). В труде же Джуаншера мы имеем схему исторических событий Грузии за VI в. уже в искаженном виде<sup>1</sup>, и царь Фарсман, в царствование которого, согласно хронике *Обр. Грузии*, имело место прибытие сирийских отцов во главе с Иоанном зедазенским, мог быть в сознании литературно мыслящих кругов, под влиянием труда Джуаншера, отодвинут к более позднему времени (характерно, напр., что царевич Вахушт, историк, правда, позднего времени, относил царствование этого самого Фарсмана, по счету VI-го, к 542—557 г.г.). Вследствие этого увязывание Иоанна зедазенского с именем Семена Дивногорца могло пасть в глазах церковных литературных деятелей нач. X в. некоторое теоретическое оправдание. Но опираться на это сравнительно позднее, явно при том литературной фабрикации, сведение, не подтверждаемое вовсе более древним источником (архетипом жития), конечно, не приходится.

<sup>1</sup> Об этом см. у меня же სახსტ. კრებ. (Recueil historique) II, 34—

Основная ошибка автора состоит в том, что он берет за разрешение подобного рода подчас весьма важных научных проблем без предварительной какой бы то ни было, проработки первоисточников, вследствие чего ему приходится, беря готовые, подчас ошибочные, мнения по отдельным вопросам от разных авторов, часто друг другу противоречащих, искать золотую середину и часто строить собственное уже по вопросу мнение буквально на песке. Примером чрезчур доверчивого отношения автора к мнениям отдельных научных работников может служить хотя бы устанавливаемая им дата прибытия в Грузию одного из учеников Иоанна зедазенского—Абибоса некресского.

По житию Абибоса, сей последний был замучен персами за оскорбление огненоклоннической религии во время персидского владычества: марзпан персидский судит Абибоса и казнит его в сел. Рехи в Зена-сопели, т.-е. во внутренней Карталинии. При этом К. Кекелидзе ссылается на одну работу И. Джавахова<sup>1</sup>, доводы которого автору предварительно встали следовало проверить.

Действительно, в данной работе И. Джавахова в цитованном месте указывается, со ссылкой на Себеоса и Георгия кипрского, на факт передачи в 591 г. персидским царем Хосроем II-м большей части Иберии до гор. Тифлиса императору Маврикию. Отсюда К. Кекелидзе датирует казнь Абибоса некресского 590 г. Не говоря уж о произвольности подобной датировки, она базируется при этом на ошибочной предпосылке, так как персидское владычество в части Грузии (во всяком случае в Зена-Сопели, т.-е. во внутренней Карталинии) во второй половине VI в. уступило место византийскому господству раньше 590 г., когда эта смена владычеств нашла, повидимому, еще одно оформление. Феофан византийский упоминает о переходе иберийского правителя по имени Гургена от персов на сторону Византии в 571 г. Существование этого Гургена подтверждается и нумизматическими данными<sup>2</sup>. Абибос некресский, поэтому, должен был быть замучен ранее 571 г. в эпоху бесспорного персидского владычества в Зена-сопели, повидимому, около 550 г.<sup>3</sup>

Разбором этих основных положений статьи К. Кекелидзе я заканчиваю сей критический разбор. Автор, повидимому, серьезно поработал над темой, но пришел к ошибочным выводам вследствие неправильного подхода к наличным историческим материалам. Это тем более печально, что при малочисленности лиц, работающих в грузиноведении в области чисто исторических разысканий, работы, построенные аналогично

<sup>1</sup> История груз. народа (на груз. яз.) кн. I, стр. 214—215. При этом К. Кекелидзе повторяет всю цитацию И. Джавахова как свою собственную без упоминания об этом (стр. 101, прим. 4).

<sup>2</sup> Об этом подробнее в სპობტ. კვებ. (Res. hist.) II, 36.

<sup>3</sup> Что в 570-ых и 580-ых годах Грузией владели византийцы; это ясно видно из неоднократных об этом упоминаний Менаандра Византийца.

данной статье, могут вызывать, в особенности при отсутствии критики, разброд и замешательство при постановке отдельных исторических проблем грузиноведения и соседних с ним дисциплин<sup>1</sup>.

*С. Какабадзе.*

მიმომხილველი, საქართველოს საისტორიო და საეთნო-გრაფიო საზოგადოების ორგანო, წიგნი I, ტფ 1926 წ. გვ. 1—362. დასახელებული წიგნი შეიცავს წერილების მთელს რიგს როგორც ქართულ საისტორიო, ისე საფილოლოგიო დარგიდან. ბოლოში კიდევ მოთავსებულია კრიტიკის და ბიბლიოგრაფიის ვრცელი განყოფილება, სამეცნიერო ქრონიკა და ნეკროლოგები.

წიგნი იწყება კ. კეკელიძის ვრცელი წერილით — ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები (გვ. 1—33). წერილი გარეგნულად კარგად არის აგებული და ბლომად სხვადასხვა ციტატებითაც შემკული (ზოგი ციტატა პირველ წყაროდან არაა აღებული, თუმცა ეს მოხსენებული არ არის), მაგრამ არსებითად წერილი, ჩვენის აზრით, სუსტია (ამ წერილის გარჩევა იხ. ქვემოდ).

ყურადღებას იპყრობს სვ. ყაუხჩიშვილის — გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ (გვ. 54—68). ავტორის მსჯელობა არის სწორი.

დანარჩენ წერილთაგან აღსანიშნავია პროფ. რობერტ ბლეჯის მიერ მოწოდებული ცნობა — ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან (გვ. 157—172), ს. მაკალათიას წერილი — ფალოსის კულტი საქართველოში (გვ. 122—136). სერიოზულად არის დამუშავებული გ. ჩიტაიას გამოკვლევა — გლეხის სახლი (დარბაზული ტიპი) ქვაბლიანში (გვ. 137—156). კარგად არის აგრეთვე დამუშავებული პროფ. ი. ჯავახიშვილის წერილი — ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები (გვ. 69—98). ნ. ბერძნიშვილის წერილი — დას. საქართველოს საეკლესიო წესწყობილება; აფხაზეთის კათალიკოზი XIII—XV ს-ნეში (გვ. 99—131) — დაწერილია, ჩვენის აზრით, გაჭიანურებულად, შეიძლება უფრო მოკლედ. ავტორი, სხვათა შორის, ადასტურებს, რომ აფხაზეთის საკათალიკოზო XIII ს-ნედან სჩანს. მართლაც, მანამდის ის, როგორც სჩანს, არც არსებულა და დაარსდა XIII ს-ნის დასაწყისს თამარის დროს, როგორც საფიქრებელია, პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> О деятельности в Грузии 13 сирийских отцов см. в приложении к настоящей книге Архетипы житий 13 сирийских отцов (груз. текст с исследованием).

<sup>2</sup> ამის შესახებ ს. კაკაბ., თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოში, ტფ. 1912 წ., გვ. 13.

კრებული ამას გარდა შეიცავს ს. გორგაძის წერილს—ოვანე დამასკელის მთავარი თხზულება „პეგე გნოსეოს“ ქართულ მწერლობაში (გვ. 173—194) და გ. ახვლედიანის და ვ. თოფურიას ლინგვისტურ წერილებს (გვ. 195—219), შემდეგ—წერილ შენიშვნებს, ლიტერატურულ მიმოხილვას (გვ. 220—269) და კრიტიკას და ზი-ბლიოგრაფიას. უკანასკნელ განყოფილებაში აღსანიშნავია ა. ჩიქობავას „კრიტიკა“ აკად. ნ. მარრის წიგნზე—Грамматика древне-литературного груз. языка. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აკად. ნ. მარრი სამართლიანად ითვლება თანამედროვე ქართული ფილოლოგიისთვის საფუძვლის ჩამყრელად, რომ სამეცნიერო მუშაკების მთელი ახალი თაობა (და მათ შორის ა. ჩიქობავაც) უშუალოდ თუ სხვების შუავობით ქართული ენის და საზოგადოდ ქართველურ ენების სწორედ ნიკ. მარრის მიერ შემუშავებულ გრამატიკაზე არიან აღზრდილნი, მაშინ ცხადი იქნება, თუ რამდენად, ეთიკის თვალსაზრისით, შეუძლებელია გამართლებულ იქნას ა. ჩიქობავას და მისი ამ მხრივ სულის ჩამდგმელთა მოქმედება, რომელიც გამოიხატა ხსენებულ კრიტიკულ განხილვისთვის პამფლეტურ ხასიათის მიცემაში.

ნეკროლოგების განყოფილებაში მოთავსებულია ნეკროლოგები უდროოდ დაკარგულ იოსებ და დ. ყიფშიძეთა და სილ. ლომიასი. დ. ყიფშიძის და ს. ლომიას ნეკროლოგი დაწერილია თბილი გრძნობით გ. ჩიტაიას მიერ. ხოლო ი. ყიფშიძის ბიოგრაფია, ს. გორგაძის მიერ დაწერილი, წარმოადგენს ფრიად სამწუხარო ლიტერატურულ ფაქტს. იოსებ ყიფშიძე იყო წყნარი და პატიოსანი მუშაკი, თვითონაც მოკლებული გადამეტებულ პრეტენზიებს. აკად. ნ. მარრის ხელმძღვანელობით და აქტიური დახმარებით ის ამასთანავე მუშაობდა დინჯად და საკმაოდ ნაყოფიერადაც. მისი დაკარგვა ქართულ სამეცნიერო მუშაკთა წრისათვის, ექვს გარეშეა, წარმოადგენდა სამწუხარო დანაკლისს. ამიტომაც არ ეპატიება ს. გორგაძეს, რომ თავისი მიერ ყოვლად ახირებულად დაწერილი ბიოგრაფიით (ამ ბიოგრაფიის მთელი კონსტრუქციით, აფორიზმების მოყვანით და სხ.) განსვენებულის ხსოვნას ასე უსამართლოდ მოეპყრო. ს. გორგაძეს, როგორც ამის მიხედვით ეხლა უკვე აშკარად ცხად შეიქნა, ბევრი არ მოეთხოვება. მაგრამ სად იყო კრებულის რედაქცია, როდესაც ამ უხეიროდ დაწერილ ბიოგრაფიას მთელი 22 გვერდს უთმობდა.

პროფ. კორნ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები (მიმოხილველი I, 1926 წ. გვ. 1—53.

კ. კეკელიძის დასახელებული ნაშრომი წარმოგიდგენს რამოდენიმე ძირითად დებულებას, რომელთა განხილვა განსაზღვრავს

მთელს ნაშრომსაც. კლასიკურ მწერალთა იბერია, ამბობს. ავტორი, სულ სხვაა, ვიდრე ქართლი (გვ. 16), და ქართლური სახელი ამ სამეფოსი უნდა იყოს ჰერეთი (გ. 16). ეს ჰერეთი მოუქცევია ქრისტიანობაზე ნინოს, რომელიც ყოფილა გუგარქელი ტყვე-ქალი. იბერია-ჰერეთის გაქრისტიანება მოხდა 355—356 წლებში. ასეთია, მოკლედ, კ. კეკელიძის ნაშრომის დასკვნა აღნიშნულ საკითხის შესახებ.

ავტორი გამოდის იმ დებულებიდან, რომ იბერია არის იგივე ჰერეთი და არა ქართლი. ეს დებულება, ისე როგორც დებულება იმის შესახებ, რომ ქართველებში ქრისტიანობამ პირველად ისტორიულ გუგარქის ტერიტორიაზე მოიკიდა ფეხი, ახალი არ არის. ის წამოყენებული იყო ამ თხუთმეტეოდე წლის წინად ამ სტრიქონების დამწერის მიერ<sup>1</sup>. ამ დებულების წამოყენებას თავისს დროზე ჰქონდა მნიშვნელობა: ის წარმოადგენდა საკითხის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს. მაგრამ ეხლა ამ დაძველებულ დებულების კვლავ წამოყენება, ძიების განვილი საფეხურების შემდეგ, სრულს შეუწყნარებლობას წარმოადგენს. კ. კეკელიძე უგულვებელ ყოფს იმ ფაქტს, რომ ჰერეთის ტერიტორია ქართველების უძველესი წარმოდგენითაც („მამათა და ნათესავთა ცხოვრება“, V ს-ნე) მდებარეობდა აღმოსავლეთით „მცირისა ალაზნისა (იორის) შესართავითგან ვიდრე ტყეებადმდე, [რომელსა აწ ჰქუიან გულგულა]“<sup>2</sup>. იბერია კი შიგნით ამ ტერიტორიისა არ მიდიოდა. ექვს გარეშეა, მაშასადამე, რომ იბერია სხვაა და ჰერეთი სულ სხვა. ქრისტიანობის ჩვენში დამკვიდრების დროისთვის (IV ს-ნისთვის) სხვანაირი აზრის გამოტანა ეხლა შეუძლებელიცაა.

შემდეგ, კ. კეკელიძე ეთნოგრაფიულ ქართლად ქრისტიანობის დამყარების დროისთვის სთვლის ბერძნულ გოგარენეს ან სომხურ გუგარქს. რადგანაც ეს მხარე IV ს-ნის ნახევრამდე სომხეთის ფარგლებში იმყოფებოდა, ამიტომ ქრისტიანობის იქ გავრცელებაც გრიგოლ პართელის სახელთან იყო დაკავშირებულიო. იბერია-ჰერეთის განმანათლებელად კი ნინო ითვლებოდაო. როდესაც იბერია და გუგარქი გაერთიანდნენ პოლიტიკურად და კულტურულად, აქ განმტკიცდა ორი ტრადიცია, რომელთაგან ერთი, გუგარქიდან წარმომ-

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე. წმ. ნინო და მისი მწაშველობა საქართველოში. ისტორიაში ტფ. 1912 წ. გვ. 3—14. შემდეგ ეს აზრი ჩვენ უარყვავით. სათანადო გამოკვლევის გამოკვეყნება არ მოუერხდა, მაგრამ დებულების შეცვლა მოკლედ დადასტურებული იყო ჩვენს საქართველოს შემოკლ. ისტორიაში, ძველი ისტორია, ტფ. 1921 წ., გვ. 13—16.

<sup>2</sup> ქ. ცხ-ბა I, :7. დიდს ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები პირვანდელ დედანს არ უნდა ეყოფინოდეს და შემდეგ დროის ნართაული უნდა იყოს. დაწვრილებით ამას შესახებ — ს. კაკაბ., საისტ. ძიებანი, გვ. 105.

მდინარე, ქართველთა განმანათლებლად სთვლიდა გრიგოლ პართელს და მეორე, იბერია-ჰერეთში აღმოცენებული, ასეთივე განმანათლებლად სთვლიდა ტყვე-ქალს ნინოს-ო, ამბობს კ. კეკელიძე.

ყველა ეს დებულებები კ. კეკელიძეს ამოღებული აქვს ჩვენი დასახელებულ, ჩვენთვის აწ უკვე დაძველებულ ნაშრომიდან, თუმცა ამას ის სათანადოდ არ იხსენიებს. არსებითად კი უნდა ითქვას, რომ გრიგოლის და ნინოს ქართველთა განმანათლებლად მიჩნევა წარმოადგენს არა ორი სხვადასხვა ტრადიციის შეზავებას, არამედ აქგვაქვს ერთისა და იმავე ისტორიულ მოვლენის ორ სხვადასხვა პიროვნებასთან დაკავშირების ფაქტი. ნინო იყო ოფიციალურ ქართლის განმანათლებელი, მან მოაქცია მეფე და მისი ახლობლები. გრიგოლი კი იყო მთელი სამისიონერო სკოლის მეთაური, რომელსაც ნინო საჭიროების დროს დირექტივებისთვისაც მიმართავდა. ეს გარემოება ნათლად ყოფილა აღნიშნული აგათანგელოსის უძველეს ვერსიაში, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია და რომლითაც სარგებლობდა მოსე ხორენელი. მოსე ხორენელი სახელდობრ გადმოგვცემს (II, 86), რომ მირიანის სასწაულებრივ (დაბნელების მერმედ) მოქცევის შემდეგ ნინომ (ნუნემ) „მოითხოვა (მეფისაგან) სარწმუნო კაცები, რომელნიც გაგზავნა წმიდა გრიგოლთან და შეეკითხა მას, თუ რა განკარგულების მიცემას ინებებს მისთვის, რადგანაც ქართველებმა სიამოვნებით მიიღეს სახარების ქადაგებაო. (ნუნე) ღებულობს (გრიგოლისაგან) ბრძანებას, დაამსხვრიოს მისი მაგალითისამებრ კერპები და აღმართოს პატიოსანი ჯვარი, სანამ ღმერთი მოავლინებს მწყემსს მათი საპატრონებლად. (ნუნემ) მაშინვე დაამსხვრია ქუხილის ამტეხავი არამაზდი (არმაზი), რომელიც ქალაქს გარედ იდგა და რომელსაც ქალაქიდან ჰყოფდა დიდი მდინარე (მტკვარი)“.

ამ ცნობიდან ცხადია, რომ ნინო ეკუთვნოდა იმ სამისიონერო სკოლას, რომლის მეთაურად წინა-აზიაში ითვლებოდა გრიგოლი, შემდეგში სომეხთა ნაციონალურ განმანათლებლად მიჩნეული. გასაგებია ამიტომ, რომ VII ს-ნეშიც, როგორც ეს დასტურდება გარკვევით კირიონ ქართლის კათალიკოზის მიწერ-მოწერიდან აბრამ სომეხთა კათალიკოზთან და ყრუდ აგრეთვე არსენი კათალიკოზის ტრაქტატიდან „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, ქართულები ქრისტიანობის ქართლში საფუძვლის ჩამყრელად გრიგოლ პართელს სთვლიდნენ, თუმცა ქრისტიანობის ქართლში ფაქტიურად დამყარებელი ნინო იყო. კ. კეკელიძე ამ ფაქტებში ვერ გარკვეულა და ამიტომ ის ეხლა იმეორებს ძველს აზრს გრიგოლის ქართველთა შორის, ხოლო ნინოს ჰერთა შორის საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ.

ვრცლად ეხება კ. კეკელიძე თავის ნაშრომში ქრისტიანობის



ჩვენში დამყარების თარიღს. ქრისტიანობა მისი აზრით დამყარდა ჩვენში მირიანის დროს. მაგრამ არა კოსტანტინე დიდის, არამედ კონსტანტი იმპერატორის დროს, სახელდობრ 355—356 წლებში. ის მოსაზრებები, რომელიც ავტორს ამ დებულების დასამტკიცებლად მოყავს, საყურადღებოა მეთოდოლიოგიური თვალსაზრისით, ავტორის ძიების მეთოდის გასარკვევად. იმის დებულების წინააღმდეგ, რომ ქრისტიანობა ჩვენში დამყარდა კოსტანტინე დიდის დროს, ავტორი ასახელებს ევსები კესარიელს (†340 წ.), რომელიც არც თავის საეკლესიო ისტორიაში და არც „კოსტანტინეს ცხოვრებაში“ არ იხსენიებს ქრისტიანობის ქართლში გავრცელების ამბავს. მაგრამ ავტორს ავიწყდება, რომ ასეთი *argumentum ad silentium* გამოსაყენებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ესა თუ ის საკითხი სხვა რეალურ საბუთების მიხედვით საკმაოდ საფუძვლიანად არის დადგენილი. უამისოდ თავისთავად ამა თუ იმ მწერლის მიერ ნაგულისხმევ საკითხის შესახებ სიჩუმეს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. მართლაც, ევსები თავისს უფრო გვიანდელ ნაწარმოებშიც „ცხოვრება კოსტანტინესი“ არაფერს ამბობს ქრისტიანობის ქართლში დამკვიდრების შესახებ. მაგრამ ის არაფერს ამბობს თავისს თვით საეკლესიო ისტორიაშიც ქრისტიანობის სომხეთში დამკვიდრების შესახებაც, თუმცა მან კარგად იცის, რომ 312 წლისთვის ქრისტიანობა სომხეთში გაბატონებული სარწმუნოება ყოფილა და სომხები ამ სარწმუნოებას იარაღით ხელში იცავდნენ თავისი სიუზერენის — აღმოსავლეთის იმპერატორის წინააღმდეგ<sup>1</sup>. კ. კეკელიძის მიხედვით მივიღებდით, რომ სომხეთშიც ქრისტიანობა კოსტანტინე დიდის შემდეგ დამყარებულა, მაგრამ საკითხის ასე დაყენების შეუძლებლობა თავისთავად ცხადია.

და ესეც რომ არ იყოს, ევსების არც შეეძლო კოსტანტინეს ცხოვრებაში ქრისტიანობის ქართლში დამკვიდრების ამბავი მოეთხრო, რადგანაც, როგორც ირკვევა, მირიანმა ოფიციალურად თავისი ქრისტიანობა გამოაცხადა 311 წ.<sup>2</sup>, როდესაც კოსტანტინე რომის იმპერიაში გალლიას განაგებდა და აღმოსავლეთ საქმეებზე გავლენას ვერ იქონიებდა. მხოლოდ შემდეგ წლებში, როდესაც კოსტანტინე გახდა ჯერ იმპერიის დასავლეთი ნაწილის და შემდეგ მთელი იმპერიის პირველი მბრძანებელი, მირიან მეფეს ვხედავთ მასთან ქრისტიანობის საფუძველზე მტკიცე ურთიერთობაში (მოციქულების გაგზავნის მხრივ და სხ.), მაგრამ, როგორც სჩანს, ამ ურთიერთობის განცხოვლებას უფრო ქართლისთვის ჰქონდა მნიშვნელობა, რომის

<sup>1</sup> Eusebii Pamphili Eccles. historia, ed. a. 1672, p. 355.

<sup>2</sup> ამის შესახებ ს. კაკაბ., ძიებანი ქართველთა IV—VII ს-ნის ისტორიის შესახებ, საისტ. კრ. II, 1—8

იმპერიის მესვეურნი კი მას ყოველს შემთხვევაში პირველხარისხოვან მნიშვნელობას არ აძლევდნენ.

მირიანის გაქრისტიანების შესახებ 355—356 წლებში, სახელდობრ ამ თარიღის დასასაბუთებლად, კ. კეკელიძე ემყარება რუფინის ცნობას ეთიოპიის („უშინაგანესთა ჰინდთა“) მოქცევის შესახებ. ეს ცნობა ვრცლად გარჩეული აქვს პროფ. ვ. ბოლოტოვის თავისს *Лекции по истории древней церкви II, 267—277*. კ. კეკელიძე ლებულობს ამ გარჩევას პროფ. ვ. ბოლოტოვის დასახელებულ წიგნიდან, მაგრამ ვ. ბოლოტოვის არგუმენტაციას აძლევს სულ სხვა მიმართულებას, ვიდრე ეს თვით ავტორს აქვს. თავისთავად იგულისხმება, ასეთი ტენდენცია სხვისი აზრის გადმოცემისას თავისთავადაც დაუშვებელია და საკითხის გასარკვევადაც მავნებელი. მართლაც, მიეყვით პროფ. ვ. ბოლოტოვის აზრის განვითარებას, რაც კ. კეკელიძესთვის ამ შემთხვევაში პირველ წყაროს წარმოადგენს.

პროფ. ვ. ბოლოტოვი ეხება რუფინის ცნობას, რომ ქალ. ტირის ფალაოსოფოსი მეროპი თავისი ორი მცირეწლოვანი ძმისწულით, იდესით და ფრუმენტით, იწყებს შორეულ მგზავრობას, გზაში მას მოკლავენ, ხოლო მცირეწლოვანი ყრმები ხელში უვარდება ჰინდთა მეფეს. ფრუმენტი შემდეგ ხდება პირველ მოხელედ და მეფის სიკვდილის შემდეგ ის, მემკვიდრის მცირეწლოვანობის გამო, განაგებს სახელმწიფოსაც. როდესაც მემკვიდრე სრულწლოვანი გახდა, ფრუმენტი მიდის ალექსანდრიაში, სადაც ამას წინად (*nuper*) ეპისკოპოსად ათანასე დიდი იყო დადგენილი და აცნობებს მას რომ ჰინდნი (ეთიოპელები) მომზადებულნი არიან ქრისტიანობის მისაღებად. ათანასე დიდმა ჰინდთა ეპისკოპოსად დაადგინა თვით ფრუმენტი, რომელიც იყო ქრისტიანულ სინათლის ამ ხალხში საფუძვლის ჩამყრელი.

პროფ. ვ. ბოლოტოვი არჩევს რუფინის ამ ცნობას და ამბობს: რადგანაც ათანასე ალექსანდრიის ეპისკოპოსად ეკურთხა 8 ივნ. 328 წ., ამიტომ ფრუმენტის ხელდასხმა უნდა მომხდარიყო 328—335 წლებში, დაახლოვებით 333 წელს. მეროპზე თავდასხმა და მისი მოკვლა ამიტომ 313 წლის ახლოს უნდა მომხდარიყო. ამისდა მიხედვით გამოდის, რომ ეთიოპიაში ქრისტიანობა დამყარდა IV ს-ნის პირველ მესამედში.

მაგრამ პროფ. ვ. ბოლოტოვის იქვე მოყავს ის მოსაზრებები, რომელიც ამ დებულებას საექვოდ ხდიან. რუფინი სახელდობრ იხსენიებს, რომ მეროპიმ მოგზაურობა დაიწყო სხვა მოგზაურის მიტროდორის მაგალითისამებრ, ხოლო მიტროდორი განსაკუთრებით ცნობილი გახდა 334 წელს. შემდეგ, ათანასე დიდს თავისს 357—358 წლებში დაწერილ ნაწარმოებში *Apologia ad Constantium imperatorem* („Ἐπιλογία ἐπὶ τῷ βίῳ καὶ τῇ χριστιανισμῷ“), მოყავს იმპერატორ კონსტანტის ერ-

თი დოკუმენტი, რომელშიდაც ის სწერს აქსუმის მეფეებს აიძანას და საძანას: „ეპისკოპოსი ფრუმენტი გამოგზავნეთ რაც შეიძლება საჩქაროდ ეგვიპტეში ღირს ეპისკოპოს გიორგისთან და სხვა ეპისკოპოსებთან. თქვენ იცით, რომ ფრუმენტი ეპისკოპოსად აკურთხა ათანასემ, რომელიც ურიცხვ ბოროტებაში არის დამნაშავე და ეხლა დაძრწის უცნობ ადგილებში. გაფრთხილდით, რათა ათანასე არ შემოიპაროს აქსუმში და არ მოახდინოს არეულობა საეკლესიო და აგრეთვე პოლიტიკურ ცხოვრებაში“-ო. ხოლო კონსტანტი აეშალა ათანასე დიდს 353 წლის მაისიდან. ვ. ბოლოტოვი ფიქრობს: თუ ფრუმენტი ხელდასხმულ იქნა 333 წელს, მაშინ უცნაურად სჩანს, რომ კონსტანტი 25 წლის წინად მომხდარ ხელდასხმას 358 წლის ახლოს იგონებს და ისიც უკადრისადო. არის კიდევ საფუძველი ვიფიქროთ, რომ 346 წლამდის (ამ წელს დაბრუნდა ათანასე დიდი ალექსანდრიის საეპისკოპოსო კათედრაზე) ფრუმენტი ეპისკოპოსად არ იყო და სხ. პროფ. ვ. ბოლოტოვი გადაჭრით არაფერს ამბობს. მას მოყავს რა რუფინის ცნობა ეთიოპელთა გაქრისტიანების შესახებ, რაც იმავე ცნობის მიხედვით IV ს-ნის პირველ მეოთხედშია საგულისხმეველი (ფრუმენტი ეპისკოპოსად აკურთხეს 333 წლის ახლოს), მეცნიერული სინდიისიერობით იქვე აღნიშნავს ამ დებულების საწინააღმდეგო მოსაზრებებსაც. მაგრამ ცხადია, რომ რუფინს შეეძლო მოგზაურ მიტროდორის მაგალითი მოეყვანა ქრონოლოგიურ თანდათანობისთვის ანგარიშის გაუწვევლად (ე. ი. თუნდაც რომ მიტროდორი მეროპის შემდეგ ცხოვრებულყო), რადგან თვითონ რუფინი თავისი საეკლესიო ისტორიას IV ს-ნის მიწურულში სწერდა (დაამთავრა 401 წ.). გარდა ამისა, კონსტანტი იმპერატორის წერილიდან აქსუმის მეფეთა სახელზე სრულიად არ შეიძლება ისეთი დასკვნის გამოტანა, თათქოს აქ ფრუმენტი შედარებით ახალი დროის ეპისკოპოსად იგულისხმებოდეს. თუ სხვა რაიმე საბუთი არ აღმოჩნდა ამ დებულების (ე. ი. ფრუმენტის ეპისკოპოსად ხელდასხმის შესახებ მე-350 წლებში) სასარგებლოდ, მარტო ამ წერილზე დაყრდნობით რუფინის ცნობის შერყევა ძლიერ ძნელია და ვ. ბოლოტოვსაც გადაჭრით არაფერი უთქვამს.

ეხლა ვნახოთ, როგორ იყენებს კ. კეკელიძე პროფ. ვ. ბოლოტოვის მეცნიერულ სიფრთხილეს. „ვ. ბოლოტოვმაო, ამბობს ის (გვ. 37), თითქმის მათემატიკურად დაამტკიცა, რომ ფრუმენტის ეპისკოსად კურთხევა მოხდა 355 წლის სექტემბრიდან 356 წლის თებერვლამდე“. ათაფერი ამისი მსგავსის „მათემატიკურად“ დამტკიცების პრეტენზია ვ. ბოლოტოვს არ ჰქონია. კ. კეკელიძე მას განზრახ ახვევს თავს ამგვარ პრეტენზიას, რათა დასახელებულ მეცნიერზე დაყრდნობით როგორმე ნაირად გაიყვანოს თავისი წინადაღებული აზრით

შედგენილი დებულება. მეცნიერულ სიმართლის ძიებასთან მუშაობის ამგვარ „მეთოდს“ საერთო რასაკვირველია ძლიერ ცოტა აქვს.

მთელი ეს მსჯელობა ეთიოპიის მოქცევასა და ფრუმენტიების-კოპოსის შესახებ კ. კეკელიძეს დასჭირდა იმიტომ, რომ რადგანაც რუფინი ეთიოპელთა გაქრისტიანების შემდეგ იწყებს ახალს თავს იბერიელების მოქცევის შესახებ სიტყვებით: „იმავე დროს“ (per idem tempus) მოხდა იბერიელების გაქრისტიანებაო,—ამიტომ შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ქართლის მოქცევაც მე-350 წლებში მომხდარიყო. მაგრამ რუფინი ეთიოპიის მოქცევას, ყოველს შემთხვევაში ქრისტიანობის მიერ იქ მძლავრად ფეხის მოკიდებას, IV ს-ნის პირველ მესამედს უკავშირებს, ამასვე ადასტურებს ქართული წყაროც—მ.კ-საჲ და ამიტომ ქართლის გაქრისტიანებაც იმავე დროს, ე. ი. IV ს-ნის პირველ მესამედს უნდა დაუკავშირდეს. ამასთანავე რუფინის სიტყვები—„იმავე დროს“ მოხდა იბერიელების მოქცევაო—არ შეიძლება გაგებულ იქნას სიტყვა-სიტყვით, რადგან რუფინი შედარებით მაინც გვიან სწერდა და ამ ამბების თანამედროვე არ იყო და გარდა ამისა რუფინს ქრონოლოგიური სრული თანდათანობის დაცვა რომ ნდომებოდა, მაშინ მას ქრონოლოგიური ფაქტებიც ექნებოდა მოყვანილი.

ამის შემდეგ უნდა მოიხსნას ონომასტიკურ საკითხებზე კ. კეკელიძის მსჯელობაც (გვ. 41—42), წარმოებული იმის დასამტკიცებლად, რომ სახელები კონსტანტი და კონსტანტინე შესაძლებელია ერთმანეთში არეულიყო. საკითხისთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან ჯერ უნდა დამტკიცდეს, რომ ქრისტიანობა ქართლში დამკვიდრდა იმპერ. კონსტანტის დროს, რომ შემდეგ შესაძლებელი იყოს კონსტანტის სახელის კონსტანტინე დიდის სახელთან არევაზე ლაპარაკი.

ამაზე ჩვენ შეგვეძლო გაგვეთავებინა კ. კეკელიძის ნაშრომის გარჩევა. წვრილმანებს (როგორც, მაგ., აგათანგელოსის სახელის შეცდომით დასახელება ალათანგელოსად და სხ.) ჩვენ არ ვეხებით. ზემოდ თქმულიდან ყოველს შემთხვევაში ცხადია დასახელებულ წერილის ძთავარ დებულებათა შეუძლებლობა და მათი ხელოვნურად წარმოშობა ერთი გარკვეული აზრის დასადასტურებლად,—სახელდობრ, რომ ქართლის გაქრისტიანება მირიანის დროს მოხდა 355—356 წ. ეს თარიღი იმდენად ხელოვნურია, რომ ძალაუნებურად იზადება საკითხი, რა გამოსავალი წერტილი ჰქონდა ავტორს, რო-

1. მ. კ-საჲ IV ს-ნის დასაწყისისთვის „ჰინდოთა“ (ეთიოპელთა) ერთ ნაწილს ქრისტიანებად სთვლის: „იყო ვინმე კაცი ეფესელი და წარმოთქუა წინაშე მეფისა (კონსტანტინე კეისარის წინაშე), ვითარჲედ ქრისტიანენი იგი ჰრომნი და ყოველნი ჰინდონი და ვისცა ვის აქუს შჯული იგი ახალი ქრისტეს წმიდისაჲ... სძლევენ მტერთა ძლიერად“ (კვ. 710).

დესაც ამ აზრის დასამტკიცებლად სხვადასხვა მოსაზრებებს უყრიდა თავს.

ეს გამოსავალი წერტილი, როგორც სჩანს, არის IV ს-ნეში მომხდარ მზის დაბნელების თარიღები. ეს თარიღებია: 301 წ. 25 აპრ., 306 წ. 27 ივლ., 348 წ. 9 ოქტ., 349 წ. 4 აპრ. და კიდევ 355 წ. 28 მაისს<sup>1</sup>. რადგანაც IV ს-ნის დასაწყისისთვის მირიანის მოქცევის თარიღის გადატანას (მზის დაბნელებასთან დაკავშირებით) უშლიდა ტრადიცია, რომელიც მირიანის გაქრისტიანებას მე-320—330 წლებისთვის დასდებს, ამიტომ კ. კეკელიძეს აუღია IV ს-ნის ნახევრის თარიღები და ამ თარიღებში,—ეთიოპელთა გაქრისტიანების შესახებ პროფ. ბოლოტოვის აზრის გადასხვაფერებულად გამოყენებით—355 წელი. თავის თავად იგულისხმება, რომ ამგვარი ხელოვნური საშუალებით სამეცნიერო საკითხის გარკვევა შეუძლებელია.

ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. გამომცემლობა „ქართული წიგნი“, ტფ. 1926 წ., გვ. I—IV, 1—240.

დასახელებული წიგნი ივ. ჯავახიშვილისა არის ავტორის სერიოზული შრომის ნაყოფი. ის ავტორს, მისივე სიტყვით, დაწყებული ჰქონია კარგა ხნის წინად, ჯერ კიდევ 1914 წ., მაგრამ შეუვსია და დაუმთავრებია 1918—1921 წლებში. წიგნი შესდგება ხუთი თავისაგან: 1) პალეოგრაფიული ცოდნის მიზანი და თანამედროვე მიღწეულობანი (გვ. 4—28), 2) ტერმინები და ცნობები ძველი ქართული და სხვა ერთა სამწიგნობრო ხელოვნების შესახებ (გვ. 28—100), 3) დამწერლობათა-მცოდნეობის ზოგადი დებულებანი და ქართული სხვადასხვა დამწერლობის შესახები ცნობები (გვ. 101—149), 4) ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურები (გვ. 150—187), 5) ქართული ანბანის წარმოშობის საკითხი.

როგორც უკვე წიგნის ამ ცალკე ნაწილების ერთმანეთთან შეფარდებიდან სჩანს, წიგნი უმთავრესად იხილავს თეორიულ ხასიათის კითხვებს და ნაკლებ (სამწუხაროდ, ძლიერ ნაკლებ) პალეოგრაფიულ მიზნებისთვის საჭირო კონკრეტულ მასალებს. პალეოგრაფიის მიზანს კი შეადგენს წერილობითი ძეგლების დროისა და ადგილის გარკვევა და ამისათვის საჭირო საშუალებათა დადგენა. ამ მიზანს პალეოგრაფიისას ივ. ჯავახიშვილი თავის წიგნში, თუ არ ჩავთვლით უძველეს ხანის ერთ საფეხურს, როდესაც ასომთავრული ბ, ვ და ყ თავშეკრული იწერებოდა, სამწუხაროდ უგულებელს ყოფს. და თუკაც წიგნის ბოლოში ავტორს დართული აქვს ჯერ კიდევ დ. ბაქრაძის მიერ 1881 წ.

<sup>1</sup> უფრო დაწვრილებით—ძიებანი ქართვ. IV—VII ს-ნის ისტორიის შესახებ, სა. სტ. კრებ. II, 6—7.

მოცემულ ცხრილის<sup>1</sup> ანალოგიით ასოების ნიმუშები 31 ძეგლის მიხედვით (ტაბულა I), მაგრამ ჯერ ერთი რომ ეს ნიმუშები მოყვანილია მხოლოდ XIV ს-ნემდის, მაშინ როდესაც ქართული დამწერლობის განვითარება XVI ს-ნეზე, რასაკვირველია, არ შეჩერებულა და გარდა ამისა პოლეოგრაფიის, როგორც საისტორიო-საფილოლოგიო ერთ-ერთ დამხმარე დისციპლინის, დანიშნულებას შეადგენს ჯერ ერთი განსაზღვრულ კონკრეტულ მოვლენათა დადგინება და შემდეგ ამ მოვლენათა შორის, დროისა და ადგილის მიხედვით, მიზეზობრივ გენეტიურ კავშირის ახსნა. არც ერთი და არც მეორე აქ დასახელებული დანიშნულება არ შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ განსაზღვრულ ძეგლების დამწერლობის ნიმუშებიდან შემდგარი მშრალი ტაბულით.

კონკრეტულად კიდევ წიგნის ცალკე ნაწილების შესახებ უნდა ითქვას, რომ პირველი თავი, რომელიც შეიცავს ცალკე ენების დამწერლობის ისტორიის მოთხრობას, ჩვენის აზრით, შესაძლებელი იყო წიგნისთვის ზიანის მიუცემლად ბევრად უფრო მოკლედ ყოფილიყო გადმოცემული. სპეციალურად დაინტერესებული პირი სათანადო ლიტერატურაში თითონაც კარგად გაერკვევა, სახელდახელოდ რაიმე ცნობის მოსაკვლევად კი წიგნის ეს ნაწილი მაინც არ კმარა.

მეორე თავში უხვად არის წარმოდგენილი ძველი ქართული სამწიგნობრო ხელოვნების შესახებ შეკრებილი ტერმინები. ავტორს აქ საკმაოდ კარგად, ბევრს ადგილას თითქმის ამოწურვით, აქვს წარმოდგენილი სათანადო ცნობები, პირველ წყაროებიდან ამოკრებილი. ცნობები საწერი მასალის, იარაღის, წერის ტექნიკის, წიგნების დამზადების და მათი ფასის შესახებ და სხვა ასეთი ცნობები ძლიერ მრავლად არის წარმოდგენილი, შეიძლება ითქვას რომ გადამეტებითაც (ყველაფერს ამას წიგნში უჭირავს 72 გვ., შეიძლებოდა ბევრად ნაკლები ადგილის დათმობაც), მაშინ როდესაც ზოგიერთი მთავარი მნიშვნელობის ფაქტი და მოვლენა საკმაოდ არ არის გაშუქებული.

დამატებით შეიძლება, მაგ., აღინიშნოს, რომ უქველეს ქართულში საწერ მასალას ეძახდნენ ქარტა-ს, როგორც ეს სჩანს საღმრთო წერილის ქართულ თარგმანიდან<sup>2</sup>. ქარტა კი არის ბერძნულიდან ნასესხები სიტყვა (ბერძნ. *χαρτης* თავდაპირველად ქილის ქალღს ნიშნავდა). ექვს გარეშეა, ბერძნულიდან ნასესხებ ამ ტერმინის მიხედვით, რომ ქართველები ძველი დროიდანვე იცნობდნენ ქი-

<sup>1</sup> Труды V-го археологического съезда в Тифлисе 1881г., М. 1887 г.

<sup>2</sup> 2 იოანე. 12: „არა ვინებებ (ნიწერად) ქარტითა და მელნითა“, ე.ი. ქალღსითა და მელნითა. ბერძნულ ტექსტში აქ სწერია: *ἐν χαρτῆσι καὶ μέλανος...*

ლის ქალაქს, რომლის მთავარი დამანზადებელი ადგილი მდ. ნილის დელტა იყო. არაბების მძლავრების დროს ქალაქის ინდუსტრიის ცენტრი გაჩნდა უფრო ახლოს საქართველოსთან. ჰიჯრის III ს-ნის დასაწყისიდან ვიდრე IV ს-ნის შუამდის (მაშასადამე დაახლ. 725—960 წლების სიგრძეზე) ამ მხრივ მოხდა დიდი ცვლილება. არაბები უკვე არ კმაყოფილდებიან ჩინური ქალაქის შემოტანით, არამედ აწყობენ საკუთარი ქალაქის წარმოებასაც. ვეზირის ჭადლ-იბნ-აჰმად-ს თაოსნობით დაარსდა ქალაქის ფაბრიკა სახალიფოს სატახტო ქალაქს ბაღდადშიც. არაბები ჩინელებისაგან იცნობდნენ სელის ქალაქს, ეგვიპტელებისაგან კიდეც—ბამბის ქალაქს და თვალსაჩინოდ გააუმჯობესეს ამისი ტექნიკა<sup>1</sup>. თავისთავად იგულისხმება, რომ ქართველები მაშინვე გაეცნობოდნენ ამ ახალ გაუმჯობესებულ ქალაქს და მართლაც ჩვენამდის მოაღწია X ს-ნის პირვ. ნახევრის ერთ-მა ქართულმა ხელნაწერმა (საქ. საისტ.-საეთნ. მუხ. № 341), რომელიც დაწერილია ქალაქდზე და სახელდობრ, როგორც ეტყობა, გაუმჯობესებულ ქალაქზე.

ქალაქის ისტორია ჩვენში ივ. ჯავახიშვილს სუსტად აქვს წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ეს საკითხი ძლიერ საინტერესოა, სხვა არა იყოს რა, ეკონომიურ ისტორიის თვალსაზრისითაც. XII ს. ჩვენში, როგორც მოწვენილ მასალებიდან სჩანს, ქალაქი ბლომად იხმარებოდა საბუთებისთვისაც (მელქისედეკ კათალიკოზის გუჯარის პირი XII ს-ნისა და დავით მეფის მიერ 1155 წ. არიშიძესადმი მიცემული სიგელი ქალაქზეა დაწერილი). მაგრამ საფიქრებელია, რომ ქალაქი როგორც ხელნაწერ-წიგნებისთვის, ისე აგრეთვე საბუთებისთვის X და XII ს-ნეზე ადრეც იხმარებოდა, მხოლოდ ჩვენამდის სათანადო ნიმუშები მოწვენილი არ არის. XI—XII ს-ნეში არაბულ წარმოების ქალაქდმა დაიპყრო ევროპის ბაზარიც, საიდანაც განდევნა პერგამენტი. გასაკვირველი არ არის, რომ ამ ხანებში არაბული ქალაქი საქართველოშიც გაბატონებულიყო. პერგამენტი ამ დროს და შემდეგაც საქართველოში უმეტესად მხოლოდ განსაკუთრებული წინაშენელობის ხელნაწერი წიგნებისთვის და საბუთებისთვის იხმარებოდა. კელ მწიფი ფი ს კ ა რ ი ს გ ა რ ი გ ე ბ ა გვიჩვენებს, რომ XIII ს-ნის მეორე ნახევარს XIV ს-ნის პირველ ნახევარში საქართველოს მეფის სამმართველოს უზენაეს ორგანოში—მწიგნობართ-უხუცესის კანცელარიაში თითქმის მხოლოდ ქალაქდ იხმარებოდა<sup>2</sup>. XIV—XV ს-ნეში ჩვენში ხმარებული ქალაქი უკვე,

<sup>1</sup> A. Kremer, Kulturgeschichte des Orients II, 305—306.

<sup>2</sup> ერგებოდა „ხუთი ფურცელი ქალაქი ყოველთა დღეთა კყოინდელსა, სამი ფურცელი საწოლის მწიგნობარსა და თვთო ფურცელი სხვათა მწიგნობართა“ (კელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამ., გვ. 4).

წინანდელთან შედარებათ, უფრო სუსტი ღირსების იყო. საიდან შემოდიოდა ამ დროს ქალაქი ჩვენში, არა სჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ ისევე წინა-აზიიდან, კერძოდ სპარსეთიდან. საქართველოშივე ადგილობრივ ქალაქის წარმოების არსებობის შესახებ XII—XV ს-ნეში ცნობები ჯერ-ჯერობით არ არის, თუმცა შეუძლებელია, განსაკუთრებით XII—XIII ს-ნის შესახებ, არაფერია.

XV ს-ნის დასასრულიდან ჩვენში დადასტურებულია დას. ევროპიდან შემოტანილი ქალაქი. სახელდობრ ევროპიულ ქალაქზეა დაწერილი ანნა დედოფლისეული ქართლის ცხ-ბა, რომელიც თვით ივ. ჯავახიშვილის ხელთ არის<sup>1</sup>, მაგრამ ევროპის ქალაქს ამ დროს ჩვენში, ყოველს შემთხვევაში აღმოს. და სამხრეთ საქართველოში, უნდა სპარსობდეს სპარსული ქალაქი. სპარსულ ქალაქზე უნდა იყოს, მაგ., დაწერილი იოსებ ზილიხანიანის პირველი ვერსიის XVI ს-ნის დასაწყისის ახლოს შესრულებული ხელნაწერი (ყოფ. წ. კ. გამ. საზ-ბის ხელნაწ. კოლექცია № 1283), რომელიც, სამწუხაროდ, არ სჩანს, თუ სად არის დაწერილი. XVII ს-ნეში ქართლ-კახეთში სპარსობს სპარსული ქალაქი, ხოლო დას. საქართველოში—ევროპიული. XVIII ს-ნეში (უფრო ამ ს-ნის მეორე მეოთხეტიდან) საქართველოში ყველგან სპარსობს ევროპიული და რუსული ქალაქი. რუსული ქალაქი იწყებს ჩვენში დამკვიდრებას XVIII ს-ნის მეორე ნახევრიდან.

თავისთავად იგულისხმება, რომ ქალაქის ჩვენში ისტორიას სჭირდება სპეციალური დამუშავება, ხოლო ამისთვის საჭიროა ხელნაწერებზე სათანადო ძიების და ექსპერიმენტების მოხდენის შეუზღუდველი უფლება. ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილს ჰქონდა ფართო შესაძლებლობა და სამწუხაროა, რომ მას პალეოგრაფიის წიგნის წერისას ამ სპეციალური მიზნით, როგორც სჩანს, თვით ხელნაწერები არ გადაუხინჯავს. მარტო ხელნაწერების ბეჭდვით არსებულ აღწერილობით სარგებლობა საკითხის გასარკვევად, რასაკვირველია, არ კმარა.

ტერმინების აღნიშვნისას (რაც, ვიმეორებთ, ბევრად უფრო მოკლედ შეიძლებოდა) ავტორის ზოგი განმარტება საჭიროებს დამატებას, ზოგი ტერმინი კიდევ სრულებით არაა გამოძიებული, მაგ., ისეთი ტერმინი, როგორცაა წიგნი<sup>2</sup> (გვ. 61).

<sup>1</sup> ეს ცხადად სჩანს ამ ხელნაწერის ჰვირნიშანიდან, რომლის ნახაზობა დაბეჭდილი აქვს ივ. ჯავახიშვილს თვის წიგნში—ძველი ქართული საისტ. მწერლობა, პირვ. გამ., ტფ. 1916 წ., გვ. 257.

<sup>2</sup> თუ არ ვცდებით, ეს ტერმინი უნდა მომდინარეობდეს ლათინურ signum-დან, რომელიც ნიშნავდა სამხედრო ნიშანსაც, თუ ეს ახსნა მართალია, მაშინ მივიღებთ ამ ტერმინის დამკვიდრებას I ს-ნიდან ქრ. წ., როდესაც იბერიაში დამკვიდრდნენ რომაელები. ნიშანის, კერძოდ სამხედრო ნიშანის სახელი (სიგნ-უმ) შემდეგ გადავიდა თვით ეგრედ წოდებულ წიგნზე.



ძველი ქართული წიგნთ-საცავების აღნიშვნისას (გვ. 84—89) არაა მოხსენებული აფხაზ-იმერეთის საკათალიკოზო ბიბლიოთეკის ოდენობა 1776 წ., რაც ავტორს, როგორც სჩანს, შემთხვევით გამოორჩენია<sup>1</sup>. წიგნების სხვადასხვა დროს ჩვენებისას არ არის აღნიშნული ხონელი მთავარეპისკოპოსის ანტონის მიერ 1791 წლის ერთს საბუთში დასახელებული ფასები<sup>2</sup>. სხვა, შედარებით წვრილ, დამატებათ და შესწორებათ სიმოკლისთვის არ აღვნიშნავთ.

შემდეგი თავი სარეცენზიო წიგნისა შეიცავს არსებულ მასალების მიხედვით და უმთავრესად ანტონ I კათალიკოზის ცნობებზე დამყარებით ქართულ სხვადასხვა დამწერლობის შესახებ ცნობებს. ავტორი, მაგ., ადასტურებს მგრგლოვან, ხუცურ და მხედრული წერის ტერმინების არსებობას, მაგრამ, ჩვენის აზრით, უნდა სცდებოდეს, როდესაც ის ტერმინების წარმოშობის დათარიღებისას ტერმინებს ხუცურს და მხედრულს XIII ს-ნის დამლევს და XIV ს-ნის დამდეგს შემოსრულად სთვლის. XIV ს-ნეში არსებობდა წინა ხანებშიდაც დადასტურებულ ტერმინის მგრგლოვანის (ასომთავრულისათვის) გარდა ტერმინები ხუცური (ნუსხა ხუცურისთვის) და მწიგნობრული (მხედრულისთვის). 1365 წ. ავგაროზ ბანდაისძე სწერს—ვისწავლე „კელი მწიგნობრობისა... წერაჲ ხუცურისაჲ“<sup>3</sup>. „კელი მწიგნობრობისაჲ“ უნდა გულისხმობდეს ჩვენის აზრით მხედრულ დამწერლობასაც. მართლაც, სრულიად გასაგებია, რომ მხედრულ დამწერლობას, რომელიც თავისი ცალკე სახით უკვე დადასტურებულია XI ს-ნეში (ნამდვილად კი ის ალბად უფრო ადრეც არსებობდა) და რომელიც უმთავრესად და par excellence სახელმწიფო კანცელარიებში მწიგნობრების მიერ იყო ხმარებაში, სახელად მწიგნობრული წერა დარქმეოდა. შემდეგ კი ამის სამაგიეროდ დამკვიდრდა ტერმინი მხედრული, მწერლობაში ჯერჯერობით მხოლოდ XVII ს-ნისთვის დადასტურებული (არჩილიანი და დათუნა ქვარიანის პოემა წმ. გიორგის შესახებ).

<sup>1</sup> ამ წიგნთსაცავში 1776 წ. ირიცხებოდა სულ 25 წიგნი ხელნაწერი და 1 ცალი კიდევ სტამბაში დაბეჭდილი (ს. კაკაბაძე, დას. საქ. საეკლ. საბ. II, 55). ეს იყო არსებითად გელათის წმ. გიორგის მონასტრის წიგნთ-საცავი. გელათშივე საგენათლო წიგნთ-საცავი სხვა იყო და, როგორც სჩანს, თვალსაჩინოდ უფრო მდიდარი.

<sup>2</sup> ამ დროს იმერეთში ღირდა: დაბაჟება დაბეჭდილი (იგულისხმება, ცხადა, მოსკოვის გამოცემა 1743 წლის) და ერთი ხელნაწერი მეტაფრასი—155 მარჩილი, სახარების თარგმანება მარკოსის და ლუკასი (ხელნაწ.) 80 მარჩი, სამღვდელ-მთავრო კონდაკი (ხელნაწ.) 27 მარჩი, სხვა ხელნაწერები 6—22 მარჩი. თითო, დამასკელის წიგნი სტამბაში დაბეჭდილი—5 მარჩილი (ს. კაკაბაძე, დას. საქ. საეკლ. საბ. II, 179).

<sup>3</sup> Ф. Жордания, Описание рукоп. Тифл. церков. музея II, 94.

საზოგადოდ კი უნდა ითქვას, რომ დეტალების მხრივ ი. ჯავახიშვილის წიგნის ეს თავი კარგად არის დამუშავებული<sup>1</sup>.

მეოთხე თავი ი. ჯავახიშვილის შრომისა—ქართული დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურები—არსებითად უნდა წარმოადგენდეს მთელი წიგნის მთავარ ნაწილს. აქ უკვე ავტორი უნდა გადასულიყო ქართული პალეოგრაფიის ძირითად საკითხების განხილვაზე და სწორედ აქ ვხედავთ თემის ფარგლების მეტისმეტად შემჭიდროებას და, რაც უფრო მოულოდნელია, პალეოგრაფიის საკითხების უგულვებელყოფას. მთელს თავს უჭირავს (ისიც თხრობის მეტად ვერცლად წარმოჩენით) 38 გვერდი (გვ. 150—187) და ამთავან 12 გვერდი უკავია მცხეთის ჯვარის მონასტრის წარწერების დათარიღებას, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ამ საკითხს ასევე ვერცლად და ამავე აზრების წამოყენებით წინადაც შეეხო<sup>2</sup>. ჩვენის აზრით, ი. ჯავახიშვილის ეს თარიღები მიუღებელია და საფუძვლიან შესწორებას თხოულობს<sup>3</sup>, მაგრამ პალეოგრაფიის ძირითად საკითხების დასად-

<sup>1</sup> აღნიშნავთ მხოლოდ ი. ჯავახიშვილის აზრს ფულის ანგარიშის წარმოების შესახებ ასორიცხვთა არსებულ მნიშვნელობის შესახებ (გვ. 147—148). როგორც ცნობილია, ე (5) არის ფულის შიფრი, ს (200) ერთი აბაზის და ასე მიყოლებით ვიდრე ჳ-მდის (10 ათასი), რაც აღნიშნავს თუმანს. „ამ პირველი შეხედვით თითქოს რთული და უაზრო (!) სისტემის გაგება ადვილი იქნება, ამბობს ი. ჯავახიშვილი, თუ ადამიანს შემდეგი სამი ძირითადი დებულება ეცოდინება: 1) როგორც ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობაში განმარტებული მაქვს, 1 ქართული ფული—სო ე-ით იმიტომ აღინიშნებოდა, რომ 1 ქართული ფული 5 ნახევარ-დრახმიან სპილენძს იწოდნოდა და 5 ამ უკნინეს ძირითად ერთეულს შეიცავდა; 2) მეორე დასახსომებელი დებულებაა, რომ 1 ბისტი=4 ფულს.. 1 თუმანი=10 მინალთუნს 3) ქართული ანგარიშწარმოების სისტემა იმაზე დამყარებული, რომ იქ ფულის ერთეულის გამოსახატავად ის ასორიცხვ-ნიშანი იწერებოდა, რამდენი ძირითადი უკნინესი ერთეულის შემცველი იყო ესა თუ ის ფული“ (ბისტში 20 ასეთი ერთეულია, თუმანში—10 ათ. და სხ.).

გაუგებარია ის სიმედგრე, რომლითაც ი. ჯავახიშვილი კვლავ იმეორებს თავისი აშკარა შეცდომას, უკვე აღნიშნულს ლიტერატურაში (ს ა ი ს ტ. მ-ბ ე, 24 წ. II, 283) არც სირთულე და არც მით უმეტეს უაზრობა ამ სრულიად მარტივ სისტემაში არ არის. ფულის ერთეულად ითვლებოდა (სპარსეთში და ჩვენში) დინარი. ერთი ფული შეიცავდა 5 დინარს, აბაზი 100 დინარს და ასე მიყოლებით, თუმანიც—10 ათ. დინარს. ასორიცხვნიშანიც ამისდა მიხედვით იყო შემოღებული (ფული—5, ბისტი,—20, აბაზი—100 და სხ.).

ამგვარი ფრიად აშკარა შეცდომის განმეორება უნდა აცილებულ იქნას.

<sup>2</sup> ტფ. უნ. მ-ბე II, გვ. 324—334 (წერილი—ახლად აღმოჩენ. უძველესი ქართულწარწერები).

<sup>3</sup> ი. ჯავახიშვილის ცალკე აზრებს განხილვაზე სიმოკლისთვის აქ არ შევჩერდებით. შეცდომები აიხსნება უმთავრესად მასალების სხვაგვარად გაგებით და ფაქტებისადმი შემცდარ მიდგომით. ქართლის VI ს-ნის მეორე ნახევარის და VII ს-ნის პირველი ნახევრის მართველთა შესახებ იხ. ს ა ი ს ტ. კ რ ე ბ. II, გვ. 35—42; ჯვარის მონასტრის აშენების დათარიღების შესახებ—ჩვენი წერილი K датиров-

გენად ამ თარიღებში დაშვებულ 30—40 წლის შეცდომებს შეიძლება არსებითი მნიშვნელობა არც მიეცეს. V ს-ნის პირველ მესამედს ჩამოყალიბებული (მაშტოცის სკოლის წარმომადგენლის ჯაყას ხელმძღვანელობით) ქართული მგრგლოვან (ასომთავრულ) ანბანის მოხაზულობა თუ მეხუთე არა, ყოველს შემთხვევაში VI—VII ს-ნის სიგრძეზე და შემდეგ საუკუნეებისათვის ეხლა უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს<sup>1</sup>. როგორც ხელნაწერების შედარებით შესავლიდან სჩანს და ეს ფაქტი დასტურდება VI—VII ს-ნის მიმართ თარიღიან ან მიხლოვებით დათარიღებულ ეპიგრაფიულ მასალებით, მგრგლოვან (ასომთავრულ) ანბანს ვიდრე X ს-ნემდის დასპორადიულად X ს-ნის სიგრძეზე ახასიათებდა თავშეკრული ბ, ვ და ყ. ურბნისის წარწერა, რომელიც ჩვენის აზრით, 600 წლის ახლო ხანებს უნდა ეკუთვნოდეს, წარმოგვიჩენს მგრგლოვან ს-საც თავშეკრულად. მაგრამ ამასთანავე თავის თავად იგულისხმება, რომ V—X ს-ნის სიგრძეზე ქართულ ანბანს ახასიათებდა განვითარების ცალკე ეტაპები, რომლის დადგენის საჭიროება პალეოგრაფისტიკისთვის აუცილებელი საჭიროა.

ასოების მოხაზულობის ევოლუცია მიდიოდა მათი განმარტივებისაკენ. უფრო ადრე თავგახსნილობა აშკარად დაეტყო ასოებს ს, შემდეგ ბ-ს (VII ს-ნე) და ყ-ს (IX—X ს-ნის მიჯნაზე) და ბოლოს ვ-ს (X ს-ნის სიგრძეზე). X ს-ნეშივე ასო კ-მ საბოლოოდ მიიღო გრძელფეხიანი სახე. XI ს-ნეში ჩამოყალიბდა მგრგლოვანი უ, რომელიც მანამდის ორი ასოთი (ოვ) იწერებოდა. მგრგლოვანი უ წარმოიშვა, როგორც სჩანს, ვ-საგან<sup>2</sup>.

სიმოკლისთვის ჩვენ მეტს ამ საკითხზე არ გავჩერდებით. აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ქართული ასომთავრული დამწერლობა ამ საუკუნეებს სიგრძეზე წარმოგვიჩენს ასოების მოხაზულობის განვითარების საკმაო ნათელს სურათს. განსაკუთრებით ეს ითქმის IX—XI და შემდეგ საუკუნეთა შესახებ, რომელ დროიდან ჩვენ უკვე მოგვეპოება თარიღიანი ხელნაწერები. ი. ჯავახიშვილი, როგორც მისი წიგნიდან

ке постройки монастыря Креста против Мцхет (იხ. მეხუთე ტომში Известия КИАН, გვ. 61—70).

<sup>1</sup> ამ საკითხისთვის გამოსაყენებელ პალემსესტებს ყურადღება პირველად თ. ურდანიამ მიაქცია. მას ეკუთვნის მათი დათარიღების ცდაც (Описание рукописей церквей. музей I, 90), თუმცა ცალკე გამოკვლევა მას, სამწუხაროდ, არ გამოუქვეყნებია. 1912 წ. ურდანიას მიერ მოცემულ ცნობის მიხედვით ამ პალემსესტების გარეჯა დაწებულა გვქონდა ჩვენც, მაგრამ ვინაიდან მაშინ საეკლ. მუხეუმის ხელნაწერებით ხანგრძლივად სარგებლობა მხოლოდ განსაზღვრულ პირთათვის იყო ნებადართული, ხოლო თვით მუხეუმში მუშაობა კი შეუძლებელი იყო, ამატომ ეს სამუშაო შეჩერდა.

<sup>2</sup> პირვანდელი მგრგლოვანი უ, წარმოშობილი ვ-საგან, გვხვდება XI ს-ნის ერთს ხელნაწერში (ყოფ. საეკლ. მუხ. კოლექცია № 86).

სჩანს, სამწუხაროდ სუსტად იცნობს ცალკე ეპოქების ქართული პალეოგრაფიის ძირითად ნიშანდობლივ თვისებებს. სინას მოის ქართულ მონასტრიდან გამოტანილი ჭილის ხელნაწერს, რომელიც ამ უამად, პეტერბურგიდან 1923 წელს გადმოცემული, საქ. საისტ. საეთნოგ. მუზეუმში ინახება, ი. ჯავახიშვილი მართალია IX ს-ნის ძველად სთვლის (გვ. 33)<sup>1</sup>, მაგრამ, როგორც სჩანს, შემთხვევით (ეს ხელნაწერი მართლაც IX ს-ნის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს), რადგან ჭილის მეორე ხელნაწერს (აგრეთვე სინას მთიდან), რომელიც ეხლაც ლენინგრადში ინახება, ი. ჯავახიშვილი აგრეთვე VIII ს-ნისად სთვლის (გვ. 33), მაშინ როდესაც,—პალეოგრაფიული თვისებებით ეს ეჭვს გარეშეა,—ეს ხელნაწერი პირველზე უფრო გვიანდელია და დაახლ. X ს-ნის მეორე მეოთხედს უნდა ეკუთვნოდეს.

მართლაც დამახასიათებელია, რომ ი. ჯავახიშვილი, აღნიშნავს რა XI—XII ს-ნის ზოგ უთარილო ხელნაწერის თ. ჟორდანიას მიერ ხელის მიხედვით მიახლოებით დათარიღებას, ამბობს: „სრული უეჭველობით ყველა ზემო (იქვე) ჩამოთვლილ ხელნაწერების XI—XII ს-ნისად მიჩნევა რასაკვირველია შეუძლებელია. ქართული დამწერლობათა მცოდნეობის მტკიცე დებულებათა ჯერჯერობით უქონლობის გამო ამ ძეგლების დათარიღებას ჯერ გულდასმითი და ფრთხილი შემოწმება სჭირდება“-ო (გვ. 40).

ეს წინადადება ქართულ პალეოგრაფიის შესახებ დაწერილ წიგნში დიდ გაუგებრობად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან სწორედ XI—XII ს-ნის შესახებ ქართულ მგრგლოვან, თუ ნუსხა ხუცურ და აგრეთვე მხედრულ დამწერლობათა თვისებები ძლიერ კარგად არის ცნობილი (ეს იცოდა ჯერ კიდევ თ. ჟორდანიამ) და ამ საუკუნეების ხელნაწერების მიახლოებითი დათარიღება პალეოგრაფიის მცოდნესთვის დიდს სიძნელეს არ წარმოადგენს. ი. ჯავახიშვილი, როგორც სჩანს, გაიტაცა წმინდა თეორაულმა მუშაობამ (ტერმინების ამოკრება და სხ.), რის გამო მას დაავიწყდა სწორედ პალეოგრაფიის დამახასიათებელ ფაქტების შესწავლა და დადგინება.

და რომ ეს ასეა, ეს სჩანს იქიდანაც, რომ წიგნში, მაგ., ძლიერ სუსტად არის წარმოდგენილი ნუსხა ხუცურის განვითარების ისტორია. არ არის, მაგ., მოხსენებული ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი, როგორიცაა ორკილიანი ო, აშკარად წარმომდგარი მგრგლოვან ოსაგან, რომელიც ახასიათებდა ნუსხა ხუცურს X ს-ნის პირველ ნახევრამდის თანმივლეთ. X ს-ნის პირველ ნახევარში კი უკვე მკვიდ-

<sup>1</sup> თუქცა პროფ. ალექს. ცაგარელი, რომლის აზრს ი. ჯავახიშვილი აქვე იხსენიებს, 1889 წ. ამ ხელნაწერს VII—VIII ს-ნისად სთვლიდა, მაგრამ მაშინ ქართული პალეოგრაფიის ფაქტები იმდენადც არ იყო ცნობილი, რამდენადც ეს, მაგ., თ. ჟორდანიას მიერ იყო დადგენილი.

რდება ნუსხა ხუცურის სამკბილიანი ო<sup>1</sup>. XI ს-ნის მეორე ნახევარში კიდევ ნუსხა ხუცურის საერთო მოხაზულობა მარტივდება და ის კარგავს წინანდელ ნახევრად ირიბულ ხაზების მქონე გამოსახულობას.

რაც შეეხება თვით ნუსხა ხუცურის წარმოშობის დროის საკითხს, ეს საკითხი ჯერ-ჯერობით ღიად უნდა დარჩეს. ი. ჯავახიშვილის აზრი, თითქოს ნუსხა ხუცური წარმოშობილიყოს კუთხოვან ასომთავრულის გაკრულ და გადაბმულ დამწერლობისაგან, მიუღებლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან არსაიდან სჩანს, რომ როდისმე არსებულის კუთხოვანი ასომთავრული. თუ მივიღებთ, მხედველობაში, რომ ქართველებს ანბანი ნასესხები აქვთ სპარსეთის არამეულ დამწერლობიდან, ხოლო არამეული ანბანი ქრ. დაბ. წინა ხანებშიც პირველი საუკუნეებში უკვე კუთხოვანი არ იყო, კუთხოვან ასომთავრულ ანბანის საკითხის დაყენებაც ზედმეტად უნდა ჩაითვალოს. თუ ნუსხა ხუცური ასომთავრულისაგან წარმოსდგება, როგორც ეს თავის დროზე საბუთიანად გამოსთქვა დ. ბაქრაძემ (დასახელ. შრომა), მაშინ ნუსხა ხუცურის წარმოშობა, ასოების ს, ბ-ს მასში თავიდანვე თავგახსნილობის გამო, VIII—IX ს-ნის მიჯნის ახლო ხანებს უნდა მიეკუთვნოს<sup>2</sup>. მაგრამ შესაძლებელია, რომ ნუსხა ხუცური იყოს თავიდანვე მგრგლოვან დამწერლობასთან ერთად პარალელურად არსებული ანბანი, თუმცა ამისი დამამტკიცებელი საბუთი ჯერჯერობით არაა.

გაუგებარია, სხვა არა იყოს რა, დ. ბაქრაძის უკვე დასახელებულ შრომის შემდეგ, ეხლა კიდევ ი. ჯავახიშვილის მტკიცება (გვ. 185—187), თითქოს მხედრული დამწერლობის ჩამონაკვეთილობაზე ლაპარაკი მხოლოდ XIII ს-ნის მეორე ნახევრიდან იყოს მართებული და XI—XII საუკუნის ძეგლებში, მეტადრე საბუთებში, ჩვენ მდივანმწიგნობრული მგრგლოვანი ნუსხა ხუცური დამწერლობა გვქონდეს. ამ აზრის მიღება შეუძლებელია, იმდენად ცხადია მისი უსაფუძვლობა. ი. ჯავახიშვილი, სამწუხაროდ, როგორც სჩანს, ანგარიშს არ უწევს არსებულ ნიმუშებს (ბაგრატი IV-ის სიგელები, დავით აღმაშენებლის ხელისმოწერა, დავით დიმიტრის ძის 1155 წ.

<sup>1</sup> ეს და ანალოგიური ცნობები ჩვენ შეტანილი გვქონდა ქართული პალეოგრაფიის მოკლე კურსში, რომელიც ჩვენ მიერ დროგამოშვებით იკითხებოდა 1912—1915 წლებში ტფილ. ქალთა უმაღლეს კურსებზე საქართველოს ისტორიის პრაქტიკულ მეცადინეობის დამხმარე საგნად.

<sup>2</sup> უძველესი თარიღიანი ნიმუში ნუსხა ხუცურის დამწერლობისა, რომელიც ჯერჯერობით პირადად ჩვენ ვიცით, არის წარმოდგენილი ყოფ. საეკლ. მუხ. ასომთავრულ ხელნაწ. № 38-ის მინაწერებში ტექსტისავე ხელით (ფ. 248<sup>1</sup>, 263<sup>2</sup>). ამ ხელნაწერს აქვს გადაწერის თარიღი ჯვარცმიდან 974 წელს, რაც წელთ აღრიცხვის პანდორეს სისტემის მიხედვით (კ. კეკელიძე, როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება, ტ. უ. მ. II, 394—325) უდრის ქართულ ქორონიკონს 124 ანუ ქრისტესით 904 წელს.

არიშიანისადმი მიცემული სიგელი, გიორგი III-სა, თამარ მეფის და გიორგი ლაშის დროინდელი სიგელები და სხვა ძეგლები სრულიად ცხად ჰყოფენ, რომ ჯერ კიდევ XI ს-ნის მეორე ნახევარში (უფრო ადრინდელი ხანის საბუთებს ჩვენამდის არ მოუღწევია) მხედრული (მწიგნობრული) ანბანი სავსებით ჩამოყალიბებულად უნდა ჩაითვალოს და ამის შემდეგ ის ვითარდება შეუწყვეტლივ. XI და XII ს-ნის მხედრული ტექსტის პალეოგრაფიულად ერთმანერთისაგან განსხვავება, მაგ., სრულებით ადვილი საქმეა, ასევე XII ს-ნის ნაწერისა XIII ს-ნის ნაწერისაგან გარჩევა და სხ.. ხოლო რომ მხედრული დამწერლობა ნუსხა ხუცურისაგან არის წარმოშობილი (კუთხოვანის მაგვირად მგრგლოვანის სისტემის მიღებით), ეს ჯერ კიდევ დ. ბაქრაძის ჰქონდა აღნიშნული (დასახელ. შრომა).

ამ არსებითად მიუღებელ დებულების წამოყენებით ათავებს ი. ჯავახიშვილი ქართული დამწერლობის განვითარებაზე მსჯელობას, მაშინ როდესაც ქართული დამწერლობა შემდეგს საუკუნეებშიდაც განაგრძობდა განვითარებას. საერთო მოხაზულობა და ცალკე ასოები თანდათან იცვლებოდა. მხედრულში, მოხაზულობის საერთო ხასიათის ევოლუციის გარდა, აღსანიშნავია XV ს-ნის დასაწყისიდან ასო ა-სთვის ცალკე გამოსახულების მოპოება, XV ს-ნის მეორე ნახევრიდან ასო ო-ს შებრუნებით ხმარების დაწყება (ნაცვლად ა—უკვე ო), XVI ს-ნის სიგრძეზე პ-ს და ჰ-ს წალმა შებრუნება, XVIII ს-ნეში მხედრული დამწერლობის მიერ ოდნავ წახრითი ხასიათისა და ნუსხა ხუცურის მიერ XVII—XVIII ს-ნეში ახალი ხასიათის მიღება და სხ. აღსანიშნავია ამასთანავე და პალეოგრაფიის მკვლევარმა უნდა ეს გარემოება მხედველობაში იქონიოს, რომ ქართული ანბანის ევოლუციაში სიტყვის მიმცემი ხან ერთი პროვინცია იყო და ხან მეორე, ხან ერთი სოციალური და კულტურული ფენა და ხან მეორე. ნუსხა ხუცური (როგორც ამას მისი ძველი სახელიც—ხუცური ამტკიცებს) უფრო მონასტრულ ცხოვრების პირობებში არის ჩამოყალიბებული (იმ სახით, როგორც ის ცნობილია საშუალო საუკუნეებში, ის ჩამოყალიბებულია ალბად IX საუკუნის სიგრძეზე კლარჯეთის და მისი მიმდგამ მხარის მონასტრებში). მხედრული დამწერლობა, საფიქრებელია, ჩამოყალიბდა იმავე კლარჯეთის და მისი მიმდგამ მხარის მმართველთა, სახელდობრ ბაგრატუნიანთა მწიგნობრების წრეში (დაახლ. X ს-ნეში). ამის შემდეგ ასომთავრული (ძველს ხანაში საყოველთაო ქართული ანბანი) მალე შეჩერდა თავისი განვი-

<sup>1</sup> მხედრული ა ჯერჯერობით პირველად დადასტურებული პირადად ჩვენ ვიცით 1419 წლის სიგელში, რომელიც მიცემულია დიდ ალექსანდრე მეფის მიერ საკათალიკოზო საყდრისადმი. XI ს.—XIV ს-ნის პირვ. ნახევარში ა-ს მხედრულში გამოსახულება არ ჰქონდა, ის იწერებოდა როგორც ი.

თარებაში. XII ს-ნედან (უკეთ, ჯერ კიდევ XI ს-ნის მეორე ნახევრიდან) ის შეჩერდა უკვე მიღწეულ ფორმაზე და ამის შემდეგ არ შეცვლილა. სახმარებლადაც ასომთავრული ამიერიდან მხოლოდ ნუსხა ხუცურით დაწერილ ტექსტის სათაურებში გვხვდება. ეკლესიაში გაბატონებულია ნუსხა ხუცური, ხოლო სამეფო მწიგნობართა წრეში, საერო მწერლობასა და მთავართა და აზნაურთა შორის—მხედრული ანბანი. XV—XVI ს-ნეში მხედრული ანბანის ევოლუციის სიტყვის მიმცემად, საბუთების მიხედვით, ქართლის მდივან-მწიგნობართა წრეები სჩანან. აგრეთვე უმთავრესად ქართლის სამწერლობო და სამდივნო წრეში სწარმოებს მხედრულის მოხაზულობის ევოლუციონური განვითარება XVII—XVIII ს-ნეშიც. XII ს-ნედან ჩვენ ვხედავთ მხედრულის თანდათან გაბატონებას, XV ს-ნედან მხედრულად დაწერილმა მიაღწია უკვე საეკლესიო ხასიათის წიგნებმაც (ერთი ასეთი თარიღიანი ხელნაწერი XV ს-ნის II ნახევრის ჩვენ გვინახავს ქუთ. მუზეუმში). XVII ს-ნეში უკვე იყვნენ ისეთი პირნი, რომელთაც იცოდნენ მხედრული, მაგრამ არ იცოდნენ ხუცური. ეს სჩანს მელექსეს დათუნა ქვარიანის სიტყვებიდან (წმ. გიორგის შესახებ პოემაში):

„ვინცა არ იცის ხუცური, იკითხოს ეს მხედრულია“.

ჩვენ ეს საკითხები აქ წამოვაყენეთ (დაწვრილებით ამის და აგრეთვე სხვა ანალოგიური საკითხების შესახებ მოთხრობილია პალეოგრაფიის ჩვენს კურსში) მხოლოდ იმის საჩვენებლად, თუ რამდენი საინტერესო საკითხი არსებობს ქართულ პალეოგრაფიაში, რომელთაც პალეოგრაფისტი ასე თუ ისე გვერდს ვერ აუვლის.

ი. ჯავახიშვილის წიგნის უკანასკნელი თავი (გვ. 188—230) უკავია ქართული ანბანის წარმოშობის საკითხს. სამწუხაროდ, წიგნის ამ ნაწილს ახასიათებს ერთი ძირითადი მეთოდოლოგიური დეფექტი, რომელიც მას მნიშვნელობას უკარგავს. ი. ჯავახიშვილს სახელდობრ მოჰყავს, სათანადო სახელმძღვანელოთა მიხედვით, ნიმუშები ყველა წინა-აღმოსავლურ ანბანებიდან (ბერძნული სხვადასხვა კუთხისა, ფინიკური, არამეული სხვადასხვა ქვეყნის და ეპოქის, პალმირული, ებრაული, სამარიტული, ნაბატეური, მოაბური, სიდონური, პუნური და სხ.) და ადარებს ყოველ ცალკე შემთხვევაში რომელიმე ჯგუფის ნიშანს სათანადო ქართულ ასოსთან. თავისთავად იგულისხმება, რომ ამგვარი შედარება დროსა და ადგილის გარეშე სხვადასხვა ეპოქის და ხალხის ანბანის ცალკე ნაწევრებისა დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. ყველა ეს ანბანები (და ქართულ-სომხურიც) არსებითად წარმომდინარეობენ ერთი და იმავე ძირისაგან, ამიტომ ანბანის ცალკე ნაწევრებს შორის და ისიც სხვადასხვა საუკუნეების. სიგრძეზე მსგავსება ყოველთვის მოსალოდნელია, მაგრამ ეს განა რამეს ამტკიცებს? რასაკვირველია, არაფერ ს. თუ რამდენად მეთოდოლოგიურად ი.

ჯავახიშვილი შემცდარ საფუძველზე დგას, ეს სჩანს ერთი შემდეგი, შემთხვევით ჩვენ მიერ აღებულ ქართული ანბანის მაგალითიდან.

მხედრული ო XI—XV ს-ნეში იწერებოდა პირზევით, რითაც ის სრულებით მიაგავდა ბერძნულს ა-ს. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ჩვენ ქართულ ო-ს ბერძნულ ა-დან წარმოშობილად მივიღებდით, რადგანაც მხედრული ო-ს პროტოტიპი ნუსხა ხუცური ო მხოლოდ X ს-ნის ნახევრის ახლოს გახდა სამკბილიანი. ამასვე უწინარეს ის იყო ორ-კბილიანი და აშკარად წარმოგვიჩენდა თავისი წარმომავლობას ასომთავრულ ო-დან, რომელიც თავისი მხრივ არის ქართულში შემოღებული ბერძნული ო. გენეტიურად მაშასადამე ქართ. ო უკავშირდება ბერძნულ ო-ს და არა ა-ს. ი. ჯავახიშვილის მიერ აღებული ხაზით კი ჩვენ შეგვეძლო პარალელი გაგვეტარებინა ქართ. ო-ს და ბერძნულს ა-ს შორის, რაც რასაკვირველია მიუღებელი იქნებოდა.

ამგვარი მეთოდოლოგიური შეცდომით აიხსნება, რომ ი. ჯავახიშვილი მთელი 48 გვერდის სიგრძეზე ქართული ანბანის საკითხს მაინც ვერ არკვევს და აკეთებს მეტად უცნაურს დასკვნას: „ქართულისათვის დედან დამწერლობად შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ფინიკური, სილონური და პუნური ერთის მხრით, მეორეს მხრით უძველესი ებრაული სამარიტულითურთ IV ს-მდე ქრ. წ., მესამე მხრით არამეული VII ს-მდე ქრ. წ.“ (გვ. 225). აქ ყველაფერი ერთად არის არეული, — სხვადასხვა ანბანები და სხვადასხვა საუკუნეები, ამიტომაც ასეთი დასკვნის შეუძლებლობა თავის თავად ცხადია.

ქართული ანბანი, ისე როგორც ყველა სხვა ხალხის ანბანი, წარმოიშვა განსაზღვრულ დროისა და ადგილის პირობებში. არამეული ანბანი პირველ საუკუნეებში ქრ. წ. ფეხმოკიდებული იყო მთელს წინა-აზიაში. სპარსეთში ამ ანბანს ჰქონდა თავისი ცალკე განხრა (არამეულ-ფაჰლავური). ჩვენის აზრით და ქართველ ტომების მაშინდელი საერთო პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა ამას ამტკიცებს — ქართველები სარგებლობდნენ არამეულ-ფაჰლავურ ანბანით, რომელიც შეიცავდა თანხმოვან ასოებს. შემდეგ, სახელდობრ ბერძნების ზედგავლენით და ეს უნდა მომხდარიყო რომის იმპერიის ბატონობის დამყარების შემდეგ იბერიაში, პირველ ს-ნის ბოლოს ქრ. წ. ან ამის ახლო ხანებში, — ქართველებმა ამ მათ მიერ ხმარებულ ანბანის გადატრიალებით, ე. ი. ბერძნების დაგვარად მარცხნიდან მარჯვნივ წერის შემოღებით, საფუძველი ჩაუყარეს საკუთარ ანბანს. V ს-ნის პირველ მესამედში ქართველი მეცნიერის ჯაყას მიერ ეს ფრიად ნაკლებივანი ანბანი შეესებულ იქნა ხმოვანი ასოებით (ბერძნულის მიხედვით და ცალკე ასოების იქიდან ვადჰოლებით) და აგრეთვე ქართუ-



ლისთვის სპეციალურ დამახასიათებელ ბგერათა გამოსახატავად ზოგი თანხმობის ასოთი<sup>1</sup>.

ამით ვათავებთ სიმოკლისათვის ი. ჯავახიშვილის წიგნის განხილვას. დავასკვნით მხოლოდ, რომ პალეოგრაფიის მიმოხილვა შეუძლებელია, როგორც ამას ი. ჯავახიშვილის წიგნის მაგალითიდან ვხედავთ, მარტო ტერმინების (თუნდაც მათი არა ჩვეულებრივად ვრცლად) ამოკრებით იქნას განსაზღვრული, რომ პალეოგრაფია, ისე როგორც ყოველი სხვა საისტორიო დისციპლინა, არის ცოცხალი სცენა, რომელიც თხოულობს რეალურად მასალების შესწავლას და, სათანადო მეთოდოლოგიურ მიდგომასთან ერთად, დროისა და ადგილის თვალსაზრისის დაცვას. სამწუხაროა ამასთანავე, რომ წაროდესაც ჩვენში მაინც შესაძლებელია ქართული პალეოგრაფიის შესახებ 240 გვერდიან წიგნის გამოშვება, საკუთრივ პალეოგრაფიის საკითხებზე მასში შედარებით ასე ცოტა არის ნათქვამი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ცალკე გამოკვლევა ჯერ გამოქვეყნებული არ არის. მოკლედ ამის შესახებ იხ. ს. კაკაბ., საისტორიო ძიებანი, 82—83.

ბოლოსიტყვაობაში (გვ. 229—230) ი. ჯავახიშვილს აქვს შეუდგეი საპოლემიკო ადგილი: «არაფერი მაქვს ნათქვამი ახლად აღმოჩენილ ხანმეტი პალემფსესტების გამო კ. დონდუას, ა. გენკოს და აკად. ნ. მარრის დაწერილი წერილების შესახებ (იხ. *Тексты и разыск. по Кавказ. филологии I*), რათგან იქ სამეცნიერო მწერლობაში მიღებული კამათის წესები იმდენად არის დარღვეული და ბრძოლის საშუალებათა ისეთი გაურჩევლობაა, რომ კამათს არავითარი აზრი არა აქვს, იმისდა მიუხედავად, რომ ლიოსეული პასუხის მიცემა შეიძლებოდა. ჯერ კიდევ არსენი ამარტოლმა აღნიშნა, რომ „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოად, რომლისამე საქებელ კოფად, ხოლო სხვა განქიქებად“ (ქრონიკები II, 109) და ამ პირობა წერილების ყოველი მკითხველი თვით იგრძნობს, ამ აღმწერელთა რაგვარი თვისებების „გამომაჩინებელიც“ არის ეს მათი ნაწერო.

სამართლიანობას უნდა ამ შემთხვევაში აქვს უფლებინა ი. ჯავახიშვილი აღეარებინა ის, რომ ხსენებული წერილების, რომლებშიდაც აკადემიური ნორმები, რასაკვირველია, სავსებით არის დაცული, საპოლემიკო ნაწილი გამოიწვია ი. ჯავახიშვილის საერთოდ დაუშვებელ კილოთი დაწერილმა წერილმა—ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (ტუმ. II, 313—391),—რომელიც ამავე დროს შეიცავს სხვისი აზრის ტენდენციურად გადმოცემის მაგალითების მთელს რიგს. ი. ჯავახიშვილი, როგორც სჩანს, დარწმუნებულია, რომ მას საზოგადოდ შეუძლია, როგორც ეს სხვა მაგალითებიდანაც სჩანს, აკადემიურად მიუღებელ საშუალებებს და კილოს მიმართოს და სრვას კი უფლება არა აქვს ამის საპასუხოდ და ამის წინააღმდეგ ხმა აღიმალლოს. ჩვენ ამ ჟამად დავკმაყოფილდებით ამ მცირე შენიშვნით, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ი. ჯავახიშვილი ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს იმ საერთოდ მიღებულ აკადემიურ წესებს, რომელთაც ის თავისი თავისთვის ჯერჯერობით სავალდებულოდ არ სთვლის.